ლეთ, რატომ იყო მსგავსი ჰარმონიზაციები ხელსაყრელი, თუმცა იმ დროს, როდესაც ჯერ საერთაშორისო ინსტიტუციები არ არსებობდა, რატომ იყო ჰარმონიზაცია პრობლემებთან დაკავშირებული.

3. ურთიერთაღიარება ჰარმონიზაციის ნაცვლად

განმარტეთ, რატომ შეიძლებოდა, Cassis de Dijon-ის საქმესთან დაკავშირებით 1979 წელს ევროპის სასამართლოს განაჩენი, რომელმაც გაერთიანების წევრ ქვეყნებში მომხმარებელთა დაცვის რეგლამენტის ურთიერთაღიარებას შეუწყო ხელი, გამხდარიყო უფრო ძლიერი სტიმული შიდა ბაზრის გაფართოებისათვის, ვიდრე ტრადიციული ინტეგრაციის მეთოდი, რომელიც ეფუძნებოდა ეროვნული წესების ჰარმონიზაციას ევროპული ნორმებით.

4. ევროზონის ინსტიტუციური წესები

ევროზონაში ახალი წევრების მიღება დაკავშირებულია კონვერგენციის კრიტერიუმების ზედმიწევნით ზუსტ შესრულებასთან. ევროზონის წევრებმა უნდა შეასრულონ სტაბილურობის პაქტის დებულებები. განმარტეთ, რატომ ენიჭება მსგავს წესებს განსაკუთრებული მნიშვნელობა სავალუტო კავშირში?

გამოყენებული ლიტერატურა

რიკარდოს „საერთაშორისო ვაჭრობის მოდელი“, ასახულია *Krugman/Obstfeld* (2011) სახელმძღვანელოში. მსოფლიო ეკონომიკის ინსტიტუციური ჩარჩო პირობები, თავისი განხვავებული ზომით ასახულია *Sautter* მიერ (2004). ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებისათვის საჭირო პრინციპებსა და რეალური განვითარების ტენდენციებზე მსჯელობენ *Baldwin/Wyplosz* (2012).

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციისა (*WTO*) და ევროკავშირის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია *www.wto.org* და *www.europa.eu*

ნაწილი V

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნები: კეთილდღეობის ეკონომიკის გამოყენება

13 **კოლექტიური შეფასებების ეკონომიკური ანალიზი** 275

14 **ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები და მიზანთა კონფლიქტი** 297

15 **ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული მიზნების ოპერაციონალიზაცია** 311

კოლექტიური შეფასებების ეკონომიკური ანალიზი

13

თავი

13.1. *პარეტოს* კრიტერიუმი და კონკურენციის წონასწორობა 276

13.2 საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციები და კეთილდღეობის ოპტიმუმი 281

13.3 არჩევნების პროცედურა და შეუძლებლობის თეორემა 286

13.4 მაგალითი: მდგრადობა, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური მოდელი 291

სწავლების მიზნები

- კეთილდღეობის ეკონომიკა ორ მთავარ აქსიომას ეფუძნება: 1. ნებისმიერი კონკურენტული წონასწორობა არის პარეტო-ოპტიმალური; 2. ნებისმიერი პარეტო-ოპტიმუმი, შესაბამისი საწყისი განაწილების შემთხვევაში, მიღწევადია კონკურენტული წონასწორობის გზით.

- კეთილდღეობის ეკონომიკის თვალსაზრისით, ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები საზოგადოებრივ ღირებულებებთან დაკავშირებული წარმოდგენებიდან გამომდინარეობს. პარეტოს კრიტერიუმის დახმარებით თავდაპირველად განისაზღვრება ეფექტური ალოკაცია. შემდეგ, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის საშუალებით, შესაძლებელია განისაზღვროს ალოკაციის ის ფორმა, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება თანასწორობასთან დაკავშირებულ კოლექტიურ წარმოდგენებს.

- ნორმატიული თვალსაზრისით, განსხვავებულია შეხედულებები სამართლიანობის შესახებ. დაწყებული ბენტამის უტილიტარული კონცეფციით და დამთავრებული როლსის სამართლიანობის კონცეფციით.

- საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის კონკრეტული დიფერენცირება კოლექტიური ხმის მიცემის პროცესის შედეგად ხდება. როგორც კონდორსეტის პარადოქსი და ეროუს შეუძლებლობის თეორემა გვიჩვენებს, არ არსებობს არჩევნების პროცედურა, რომელიც ყველა შესაძლო გარემოების გათვალისწინებით, ერთსულოვანად მიღებული შედეგის გარანტიას იძლეოდეს.

- ეკონომიკის მდგრადი განვითარების მიზნის შესახებ არსებულ დისკუსიაში რესურსების ეფექტური გამოყენების შესახებ არსებული წარმოდგენები ერთგვაროვანია იმ პირობით, რომ შესაძლო საბაზრო ხარვეზები თავიდან აცილებული იქნება და ინდივიდებს, ქვეყნებსა და თაობებს შორის რესურსები სამართლიანად განაწილდება.

13.1 *პარეტოს* კრიტერიუმი და კონკურენციის წონასწორობა

ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიზნების დასახვა გულისხმობს სასურველი ოპტიმალური მდგომარეობის შესახებ ღირებულებით შეფასებას. კეთილდღეობის ეკონომიკა – ინგლისური ტერმინის Welfare Economics არც თუ მკაფიოდ გამომხატველი თარგმანი – ცდილობს, აღწეროს საზოგადოების ისეთი ოპტიმალური მდგომარეობა, რომელშიც კონკრეტული საზოგადოების წევრები თავიანთი ეკონომიკური ქცევებიდან მაქსიმალურ სარგებელს ღებულობენ. კეთილდღეობის ეკონომიკის მეთოდის განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ თავდაპირველად ალტერნატიული მდგომარეობების შედარებისათვის გამოიყენება მხოლოდ ერთადერთი ნორმატიული შეფასების წესი: ე.წ. პარეტოს

კრიტერიუმი. პარეტოს კრიტერიუმი გულისხმობს, რომ ერთ მდგომარეობას უპირატესობა უნდა მიენიჭოს მაშინ, როდესაც ადგილი აქვს სულ მცირე, ერთი ინდივიდის სარგებლიანობის ზრდას იმ პირობით, რომ არ გაუარესდება სხვა ინდივიდების სარგებლიანობა. პარეტოს ოპტიმუმი შეიძლება მიღწეულად ჩაითვალოს, როდესაც არც ერთი ინდივიდის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება აღარ შეიძლება ისე, რომ არ მოხდეს სხვა ინდივიდის მატერიალური მდგომარეობის გაუარესება.

პარეტოს კრიტერიუმის დახმარებით თავდაპირველად შესაძლებელია პირობების ჩამოყალიბება, რომლის დროსაც კონკურენტულ ეკონომიკურ გარემოში შესაძლებელია განხორციელდეს საქონლის ოპტიმალური წარმოება და ოპტიმალური გაცვლა. ამ ორი მოცემულობის შეკრებით მივიღებთ სრულყოფილი კონკურენციის დროს საყოველთაო წონასწორობის პირობებს, ე.წ. კონკურენციის წონასწორობას.

ვილფრედო პარეტო და ოპტიმალური ალოკაციის კრიტერიუმი

ვილფრედო ფედერიკო (თავდაპირველად ფრიტც ვილფრედი) პარეტო, მარკიზ დი პარიგი (1848-1923) დაიბადა პარიზში, საიდანაც ოჯახი 1950 წელს იტალიაში დაბრუნდა. ტურინში მათემატიკის, ფიზიკისა და საინჟინრო მეცნიერებების შესწავლის შემდეგ, 1880 წელს მან დაიცვა ხარისხი და თავდაპირველად მუშაობა დაიწყო რკინიგზის კომპანიაში, ხოლო მოგვიანებით ფლორენციის ფოლადის საწარმოში გადავიდა. მას შემდეგ, რაც იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე, ეკონომიკური საკითხებით იყო დაკავებული, 1898 წელს, როგორც ლეონ ვალრასის მემკვიდრე, ლოზანის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის კათედრაზე მიიწვიეს. 1898 წლიდან იგი სულ უფრო მეტად დაინტერესდა სოციოლოგიური თემებით და (მაქს ვებერთან ერთად) არამარქსისტული სოციოლოგიის დამფუძნებელი გახდა. მისი მთავარი შრომებია: *Cours d' Economie Politique* (ლოზანა,1896/97); *Trattato di Sociologia Generale* (ფლორენცია, 1916).

პარეტო, რომელმაც ჯერ კიდევ საინჟინრო-სამეცნიერო მიმართულებით დაცულ დისერტაციაში დაამუშავა მყარი სხეულების წონასწორობის კონცეფცია, ეკონომიკის შესახებ თავისი შრომებით მათემატიკაზე ორიენტირებული ლოზანის სკოლის ძირითადი წარმომადგენელი გახდა. პარეტომ, ვალრასის მიერ შემუშავებულ ზღვრული სარგებლიანობის კონცეფციაზე დაყრდნობით, განავითარა გაცვლის პროცესში საქონელთა ოპტიმალური ალოკაციის კონცეფცია, რომლის მიღწევაც მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც გაცვლაში მონაწილე ყველა ინდივიდის ზღვრული სარგებლიანობის პირობები ერთნაირია. ამ შემთხვევაში აღარ გამოდის ერთი ინდივიდის კეთილდღეობის გაუმჯობესება ისე, რომ არ მოხდეს სულ მცირე ერთი ინდივიდის კეთილდღეობის გაუარესება. პარეტოს ამ კრიტერიუმთან ერთად, დღემდე ეკონომიკის ემპირიული კვლევის დროს ასევე მნიშვნელოვანია პარეტოს განაწილება. საქმე ეხება განაწილების ფუნქციას, რომელიც თან ახლავს მუდვივი მაჩვენებლურობის ახარისხების წესს. მათი დახმარებით პარეტომ მოახდინა ემპირიული ანალიზის შედეგების მიღება, რომლის მიხედვითაც იტალიის ქონების 80%-იტალიის საოჯახო მეურნეობების მხოლოდ 20%-ის მფლობელობაში იყო.

კონკურენციის შესაძლო წონასწორობებს შორის საბოლოოდ მხოლოდ ის წონასწორობა უნდა შეირჩეს, რომელიც მაღალ საზოგადოებრივ სარგებლიანობას ემსახურება. აღნიშნული ე.წ. კეთილდღეობის ოპტიმუმის (Optimum optimorum) განსაზღვრისათვის პარეტოს კრიტერიუმთან ერთად საჭიროა კიდევ ერთი ნორმატიული დასკვნა, რომელიც კონკრეტულ საზოგადოებაში სხვადასხვა საქონლისა და სარგებლიანობის განაწილების შეფასების საშუალებას იძლევა. ინდივიდუალური უპირატესობებიდან ასეთი საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის გამოყვანა, რომელიც შესაძლოა წარმოვიდგინოთ, როგორც დემოკრატიული არჩევნების შედეგი, ყურადღებას ამახვილებს არჩევნების შესაძლო პროცედურის მნიშვნელოვან პრობლემებზე. შედეგები, რომლებიც საზოგადოების კეთილდღეობის ფუნქციის ფორმულირებისათვის აღნიშნული პრობლემების შედეგად იჩენენ თავს, შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც დადებითი დასკვნები და გადამოწმდეს ემპირიულად.

კონკურენციის წონასწორობისათვის მნიშვნელოვანია კეთილდღეობის ეკონომიკის შესახებ ორი მნიშვნელოვანი დებულება:

- კეთილდღეობის ეკონომიკის შესახებ პირველი დებულების თანახმად, კონკურენციის ყოველი წონასწორობა წარმოადგენს პარეტოს ერთდროულ ოპტიმუმს საქონლის წარმოებასა და გაცვლაში. კონკრეტული მოდელის ჰიპოთეზისა და პარეტოს კრიტერიუმით ნორმატიული შეფასების გათვალისწინებით, აღნიშნული შედეგი წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის ეფექტურობის უპირატესობების დადასტურებას.
- კეთილდღეობის ეკონომიკის შესახებ მეორე დებულების თანახმად, შესაძლებელია პარეტოს ყველა ერთდროული ოპტიმუმის კონკურენციის წონასწორობის სახით რეალიზება. ამით მტკიცდება, თუ განსაზღვრულ პირობებში რატომ უნდა გაიმიჯნონ საბაზრო ეკონომიკაში განაწილების საკითხები ეფექტურობის მოსაზრებებისგან.

კონკურენციის წონასწორობისა და კეთილდღეობის ეკონომიკის შესახებ ორივე დებულების მისაღებად საჭიროა ტრანსფორმაციის მრუდისა და კეთილდღეობის ზღვარის კონცეფცია. მოდელის ფარგლებში, რომელშიც ხდება ორი საქონლის q_1 და q_2-ის მოცემული საწარმოო ტექნოლოგიის დროს ორი საწარმოო ფაქტორის საშუალებით წარმოება, ნახაზზე 13.1. ტრანსფორმაციის მრუდი ან წარმოების შესაძლებლობის მრუდი სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ეფექტური განაწილების ყველა წერტილის კომბინაციას წარმოადგენს. აღნიშნულ მრუდზე განთავსებულია ორივე საქონლის ყველა კომბინაცია, რომლებისთვისაც პარეტოს კრიტერიუმის მიხედვით მიიღება, რომ მოცემული ფაქტორების ოდენობით და მოცემული საწარმოო ტექნოლოგიებით ვეღარ მოხერხდება ვერცერთი საქონლის წარმოება ისე, რომ არ შეიზღუდოს სხვა რომელიმე საქონლის წარმოება. ტრანსფორმაციის მრუდის გასწვრივ ორივე ფაქტორს შორის არსებული სუბსტიტუციის ზღვრული განაკვეთები წარმოების ორივე მიმართულებაში ერთმანეთს ემთხვევა. ამით შესრულებულია ფაქტორების ოპტიმალური განაწილების პირობა, ვინაიდან წარმოების ორივე მიმართულებაში ორივე ფაქტორის ზღვრული პროდუქტების თანაფარდობა ერთნაირად მაღალია. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული პირობა არ შესრულდებოდა, მაშასადამე წარმოების ორივე მიმართულებაში ფაქტორების ზღვრული პროდუქტის თანაფარდობა არათანაბარი იქნებოდა, ფაქტორების რეალოკაციით

და ორივე საქონლის წარმოების რაოდენობის ცვლილებით შესაძლებელი იქნებოდა განაწილების გაუმჯობესება.



ნახაზი 13.1: ტრანსფორმაციის მრუდი და საზოგადოებრივი განურჩევლობის მრუდი

Q კონკურენციის წონანსწორობაში საზოგადოებრივი განურჩევლობის მრუდი ეხება TT ტრანსფორმაციის მრუდს. ამით ტრანსფორმაციის მრუდის დახრა, ტრანსფორმაციის ზღვრული განაკვეთი, შეესაბამება განურჩევლობის მრუდის დახრას.

ეს უკანასკნელი, ჩანაცვლების ზღვრული განაკვეთი, შეესაბამება ჩანაცვლების ორივე ინდივიდუალური ზღვრული განაკვეთის დახრას, რომლებიც ერთმანეთს ეხებიან გაცვლის R ოპტიმუმში. Q წერტილი არის პარეტოს ოპტიმუმი, ვინაიდან არ არსებობს განაწილების სხვა ფორმა, რომლის საშუალებითაც ინდივიდის კეთილდღეობა მეტად გაუმჯობესდებოდა ისე, რომ არ გაუარესებულიყო სხვა ინდივიდის კეთილდღეობა.

კონკურენციის პირობებში ფაქტორების ოპტიმალური ალოკაციის პირობის შესრულება შესაძლებელია, როდესაც ყოველი ცალკეული მიმწოდებელი ფაქტორების არჩევისას ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ზღვრული პროდუქტის თანაფარდობა მოცემული და ასევე ყველა მიმწოდებლისათვის ერთნაირად მაღალი ფაქტორის ფასებს შეესაბამებოდეს. ტრანსფორმაციის მრუდის დახრა გამოსახულია, როგორც ტრანსფორმაციის ზღვრული განაკვეთი. იგი შეესაბამება წარმოების ორივე მიმართულებაში წარმოების ზღვრული ხარჯების თანაფარდობას. როგორც წესი, გამოდიან იქიდან, რომ ტრანსფორმაციის მრუდი ჩაზნექილი და, შესაბამისად, ტრანსფორმაციის ზღვრული განაკვეთი მზარდი იქნება. იგულისხმება, რომ ერთი საქონლის მზარდი წარმოებისას აღნიშნული საქონლის წარმოების ზღვრული ხარჯები სხვა საქონლის წარმოების ზღვრულ ხარჯებთან შედარებით იზრდება.

ისევე, როგორც ფაქტორების ოპტიმალური განაწილებისათვის პარეტოს კრიტერიუმის დახმარებით ასევე შესაძლებელია საქონლის ოპტიმალური გაცვლის პირობის ფორმულირებაც. გაცვლის ოპტიმუმი მიიღწევა, როდესაც სუბსტიტუციის ზღვრული განაკვეთი ორივე, q1და q2 საქონელს შორისაა და, შესაბამისად, ორივე საქონლის ზღვრული სარგებლიანობის თანაფარდობა ორივე ინდივიდისათვის ერთნაირია. კონკურენციის პირობებში გაცვლის ოპტიმუმი მაშინ მიიღწევა, როდესაც ყველა ინდივიდი თავიანთი სამომხმარებლო გადაწყვე-

ტილების შესაბამისობაში მოყვანას ცდილობს მანამ, სანამ სუბსტიტუციის ყველა ინდივიდუალური ზღვრული განაკვეთი საქონლის ფასების თანაფარდობას არ შეესაბამება. საქონლის ფასები კვლავინდებურად მოცემული და ყველა მომხმარებლისათვის ერთნაირია. ვინაიდან, გაცვლის ოპტიმუმში ინდივიდების შედარებითი შეფასებები ერთმანეთს ემთხვევა, შესაძლებელია ისინი განვიხილოთ, როგორც გაცვლითი შესაძლებლობების ერთიანი საზოგადოებრივი შეფასება და ამდენად, ისინი წარმოადგენენ ჩანაცვლების საზოგადოებრივ ზღვრულ განაკვეთს, საზოგადოებრივი განურჩევლობის მრუდის დახრას. საზოგადოებრივი განურჩევლობის მრუდი წარმოადგენს ყველა შესაძლო საქონლის ნაკრების გეომეტრიულ ადგილს, რომელიც გაცვლის ოპტიმუმიდან გამომდინარე, ორივე ინდივიდისათვის თანაბარ ინდივიდუალურ სარგებელს და აქედან გამომდინარე, თანაბარ საზოგადოებრივი სარგებლიანობის დონეს ემსახურება. ინდივიდუალური განურჩევლობის მრუდის მსგავსად, ყოველი საზოგადოებრივი განურჩევლობის მრუდიც ამოზნექილია, შესაბამისად, სუბსტიტუციის ზღვრული განაკვეთი საქონლის რაოდენობის ზრდის შემთხვევაში მცირდება. განურჩევლობის მრუდები, რომლებიც საწყისი მდგომარეობიდან დაშორებით მდებარეობენ, წარმოადგენენ საზოგადოებრივი სარგებლიანობის უფრო მაღალ დონეს, ვინაიდან, პარეტოს კრიტერიუმის თანახმად, სულ მცირე ერთმა ინდივიდმა შეძლო საწყის სიტუაციასთან შედარებით თავისი სარგებლის გაზრდა.



ნახაზი 13.2: კეთილდღეობის ზღვარი

Q_1, Q_2 და Q_3 წარმოადგენს სარგებლიანობის ალტერნატიულ განაწილებას კონკურენციის სამ სხვადასხვა წონასწორობაში. სარგებლიანობის განაწილების წირი კონკურენციის ყველა შესაძლო წონასწორობაში GG კეთილდღეობის ზღვარს წარმოადგენს. როგორც R_1 და R_2 წერტილები გვიჩვენებს, კეთილდღეობის ზღვარი ყალიბდება კონკურენციის სხვადასხვაგვარი წონასწორობით, რომლებიც საწყისი განაწილების მიხედვით სხვადასხვა გაცვლით ოპტიმუმს შეესაბამებიან.

გაცვლისა და წარმოების ერთდროული ოპტიმუმი, რომელსაც ასევე კონკურენციის წონასწორობა ეწოდება, მდებარეობს იქ, სადაც ტრანსფორმაციის მრუდი საზოგადოებრივი განურჩევლობის მრუდს ეხება, რომელთა მდებარეობაც განსაზღვრულია საქონლისა და სარგებლის ზუსტი საწყისი განაწილებით. Q კონკუ-

რენტულ წონასწორობაში ტრანსფორმაციის ზღვრული განაკვეთი და სუბსტიტუციის საზოგადოებრივი ზღვრული განაკვეთი ერთმანეთს ემთხვევა. ამდენად, ორივე საქონლის წარმოებისას არსებული ზღვრული ხარჯების თანაფარდობა ორივე საქონელზე მოთხოვნისას არსებულ სუბსტიტუციის ინდივიდუალურ ზღვრულ განაკვეთებს შეესაბამება. კეთილდღეობის ეკონომიკის შესახებ პირველი დებულების თანახმად, კონკურენციის წონასწორობა წარმოადგენს ერთდროულ პარეტოს ოპტიმუმს. არცერთ მიმწოდებელს ან მომხმარებელს არ შეუძლია წარმოებისა თუ სამომხმარებლო გეგმების რეალოკაციის საშუალებით საკუთარი სარგებლიანობის გაზრდა ისე, რომ სხვა ინდივიდის კეთილდღეობა არ გაუარესდეს. ვინაიდან, კონკურენციის წონასწორობაში აღარავის შეუძლია რეალოკაციიდან მოგების მიღება, სასაქონლო და საწარმოო ფაქტორების ბაზრებზე ფასებიც მეტად აღარ შეიცვლება. კეთილდღეობის ეკონომიკის შესახებ პირველი დებულება ამყარებს ვარაუდს, რომ თავისუფალ და ქმედითუნარიან ფასების სისტემას შესწევს უნარი, მოახდინოს მიმწოდებლებისა და მომხმარებლების დეცენტრალიზებული გადაწყვეტილებების იმგვარი კოორდინაცია, რომ საბოლოოდ მიღწეულ იქნას პარეტოს საყოველთაო ოპტიმუმი.

იმის გამო, რომ საზოგადოებრივი განურჩევლობის მრუდები საქონლისა და სარგებლიანობის მოცემულ საწყის განაწილებას შეესაბამებიან, თითოეულ ტრანსფორმაციის მრუდს შეიძლება შეხება ჰქონდეს საზოგადოებრივი განურჩევლობის ბევრ მრუდთან – საწყისი განაწილების გადანაწილების შემთხვევაში. პრინციპში, ამდენად შეიძლება არსებობდეს ნებისმიერი რაოდენობის კონკურენციის წონასწორობა. კონკურენციის ყველა შესაძლო წონასწორობის გეომეტრიული ადგილმდებარეობა შესაძლებელია სარგებლიანობის სივრცეში საზოგადოებრივი კეთილდღეობის ზღვარის სახით დაიფაროს. ნახაზზე 13.2. კეთილდღეობის ზღვარი ასახავს პარეტოს იმ ერთდროულ ოპტიმუმს, რომლის დროსაც UA ინდივიდის სარგებლიანობის გადანაწილების გზით გაზრდა, სხვა UB ინდივიდის სარგებლიანობის შემცირების გარეშე აღარ არის შესაძლებელი. კეთილდღეობის ეკონომიკის შესახებ მეორე დებულების თანახმად, პარეტოს ყოველი ასეთი ოპტიმუმი, როგორც კონკურენციის წონასწორობა მიღწევადია, თუ საწყისი განაწილება შესაბამისად არის დადგენილი. აღნიშნულმა დასკვნამ უნდა დაადასტუროს, რომ საბაზრო ეკონომიკაში განაწილების პრობლემები უნდა გადაიჭრას შესაბამისად განაწილების საკითხებიდან განცალკევებით. მიუხედავად იმისა, თუ რომელი საწყისი განაწილება იქნება შერჩეული, კონკურენცია და ფასების სისტემა სრულყოფილი კონკურენციის პირობებში ეფექტურ განაწილებაზე ზრუნავენ. ბუნდოვანი რჩება საკითხი, თუ რომელი საწყისი განაწილება უნდა წარმოადგენდეს მიზანს და, შესაბამისად, რომელი მათგანი უნდა განხორციელდეს.

13.2 საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციები და კეთილდღეობის ოპტიმუმი

კეთილდღეობის ზღვარის გასწვრივ მდებარე კონკურენციის შესაძლო წონასწორობებიდან ერთის განხორციელების შესახებ მიღებული გადაწყვეტილება თავისთავად შეიცავს სასურველ, ან სულ მცირე, დასაშვები განაწილების შეფასებას და აქედან გამომდინარე, სცილდება მოსაზრებას წმინდა განაწილების

თაობაზე. მაშინ, როდესაც პრობლემა ფაქტორების ეფექტიანი განაწილების შესახებ ცალკეულ ინდივიდს ეხება, განაწილების შეფასება ყოველთვის ინდივიდების დიდ რაოდენობას-საზოგადოებას მოიცავს. სხვადასხვაგვარი საწყისი განაწილების კოლექტიური შეფასება გამომდინარეობს საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციიდან.

იმისათვის, რომ კეთილდღეობის ეკონომიკის თეორიული ინსტრუმენტი გამოყენებადი იყოს, საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციამ რამდენიმე პირობა უნდა შეასრულოს. პირველ რიგში, სხვადასხვაგვარი განაწილებიდან მიღებული საზოგადოებრივი სარგებლიანობა უკავშირდება ინდივიდუალურ შეფასებებს და იზრდება ინდივიდუალური სარგებლიანობით. პარეტოს კრიტერიუმის თანახმად, შესაბამისად, კოლექტიური კეთილდღეობა ყოველთვის მაშინ მატულობს, როდესაც იზრდება სულ მცირე ერთი ინდივიდის სარგებლიანობა ისე, რომ არ მცირდება სხვა ინდივიდის სარგებლიანობა. შემდგომ, როგორც ეს ნახაზზე 13.3. არის ნაჩვენები, ამოზნექილი განურჩევლობის მრუდები ექვემდებარება საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციას. განურჩევლობის მრუდის დახრაში, ჩანაცვლების ზღვრულ განაკვეთში ან ინდივიდუალურ სარგებლიანობებს შორის ჩანაცვლების ელასტიკურობაში გამოხატულებას ჰპოვებს უთანასწორობის განცდა საზოგადოების მხრიდან.

უთანასწორობის წინააღმდეგ შესაძლებელია, განვასხვავოთ საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის სხვადასხვა ვარიანტი. მათი განვითარება ყოველთვის ხდება ნორმატიული მოთხოვნით, სხვადასხვაგვარი განაწილების შეფასებისათვის უნდა ჩამოყალიბდეს ეთიკური ან საზოგადოებრივ-პოლიტიკური თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელი წესი, შესაბამისად, სამართლიანი განაწილების გაგება. ამით ისინი წარმოადგენენ კონკრეტულ ღირებულებით შეფასებებს, რომელთა გადამოწმებაც ემპირიული გზით არ არის შესაძლებელი. თუმცა, შემდგომ ნაბიჯზე შესაძლებელია, გამოკვლეულ იქნეს, არსებობს თუ არა საზოგადოებაში რაიმე მექანიზმი, რომელიც ასახული იქნება სამართლიანი განაწილების საზოგადოებრივი შეფასება ან უთანასწორობისადმი წინააღმდეგ დასაშვები მასშტაბი.



ნახაზი 13.3: საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციები

სარგებლიანობის სივრცეში საზოგადოების კეთილდღეობის ფუნქციები ასახავენ ორ ინდივიდს შორის სარგებლიანობის განაწილების შესახებ არსებულ სხვადასხვა შეფასებებს. მკვეთრად განსხვავებული (ექსტრემალური) შემთხვევების სახით აღნიშნულია W_B ბენტამის წრფივი ფუნქცია, რომელთანაც ნა-

ვარაუდევია სარგებლიანობის სრულყოფილი სუბსტიტუციურობა და ლიმიტირება, W_R როლსის ფუნქცია, რომელშიც სარგებლიანობის სუბსტიტუცია არ არის დაშვებული, ასევე მათ შორის არსებულ შემთხვევაში, W_N ბერნული-ნეშის ფუნქცია.

საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქცია, რომელიც A და B ინდივიდების სარგებლიანობაზეა დამოკიდებული, ფორმულით შემდეგნაირად გამოისახება:

$$W = W(U_A, U_B) \tag{13.1}$$

აღნიშნული ზოგადი ფორმულირება, რომელიც ასევე ბერგსონ-სამუელსონის კეთილდღეობის ფუნქციის სახელით არის ცნობილი, შეიცავს სამ სპეციფიკურ შემთხვევას. პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი მიმართულების, უტილიტარიზმის შემთხვევაში, რომელიც იერემია ბენტამის სახელს უკავშირდება, საზოგადოებრივი კეთილდღეობა მაქსიმუმს აღწევს, როდესაც ყველა ინდივიდის სარგებლის ოდენობა მაქსიმალურია. ეს მოსაზრება ფორმულირებულია ბენტამის (წრფივი) კეთილდღეობის ფუნქციით, რომლის დროსაც არ არსებობს საზოგადოების წინააღმდეგობა არათანაბარი განაწილების მიმართ.

$$W_B = U_A + U_B \tag{13.2}$$

იერემია ბენტამი და უტილიტარიზმი

იერემია ბენტამი (1748-1832) დაიბადა ლონდონში, იურისპრუდენციას სწავლობდა ოქსფორდში, მცირე ხნის მანძილზე მუშაობდა ადვოკატად, ხოლო მამის გარდაცვალების შემდეგ სოლიდურმა მემკვიდრეობამ მას თავისუფალი მწერლობის საშუალება მისცა. თავის უამრავ ნაშრომში მან განავითარა პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების პროექტები, მათ შორის ციხის მოდელის გეგმა, ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფა, განქორწინების უფლება, თავისუფალი ვაჭრობა და ლონდონში ახალი უნივერსიტეტის დაარსება. იგი ასევე გახდა Westminster Review-ის გამომცემელი. მის მოსწავლეებად ითვლებიან ეკონომისტი ჯეიმს მილი და მისი ვაჟი ჯონ სტიუარტ მილი, სახელგანთქმული ლიბერალ-ეკონომისტი და სოციალური ფილოსოფოსი, ასევე რობერტ ოუენი, ინგლისური სოციალიზმის ფუძემდებელი. ბენტამის მთავარი შრომაა: *An Introductionto the Principles of Morals and Legislation* (*London*, 1789).

ბენტამი ითვლება უტილიტარიზმის ფუძემდებლად, რომელსაც იგი განიხილავდა, როგორც ეთიკურ, ასევე სამართლის ფილოსოფიის კონცეფციად. მისი აზრით, ადამიანის არსს განსაზღვრავს ორი „სუვერენული მმართველი“ ტანჯვა და სიხარული. ისინი განაპირობებენ ცალკეული პიროვნების ქმედებას სარგებლიანობის პრინციპის შესაბამისად, რაც გულისხმობს, პირადი სიხარულის მაქსიმალურად გაზრდას და ტანჯვის მინიმუმამდე შემცირებას. ყველანაირი ქმედება, რომელიც აღნიშნულ პრინციპს შეესაბამება, ეთიკურად შეიძლება შეფასდეს. სახელმწიფოს ამოცანაა, უზრუნველყოს მოქალაქეთა „უდიდესი რაოდენობის უდიდესი ბედნიერება“ (*the greatest happiness for the greatest number*). ბენტამმა, მიზნის მიღწევის

რაოდენობრივი გაზომვის მიზნით, დააყენა ბედნიერების გაანგარიშების საკითხი (*felicific calculus*). მასში გათვალისწინებულია: ბედნიერების განცდის სიძლიერე და ხანგრძლივობა, მისი წარმოქმნის ალბათობა, შესაძლო გვერდითი ეფექტები და მონაწილე პირთა რაოდენობა. ჯონ სტიუარტ მილმა წმინდა მგრძნობიარობით აღქმაზე ორიენტირებული ბენტამის ბედნიერების ცნება იმ დონემდე განავითარა, რომ მან „ ინტელექტის სიხარულს, გრძნობებსა და ფანტაზიას, ასევე მორალურ აღქმას“ მგრძნობიარობითი აღქმის სიხარულზე უფრო მაღალი ხარისხი მიანიჭა. ინდივიდუალური ბედნიერების მისეული ცნების მნიშვნელოვანი ელემენტი იმაში მდგომარეობს, რომ ხშირად საზოგადოების სხვა წევრების ბედნიერებას ცალკეული ინდივიდის სიხარულში წვლილი შეაქვს. ამით მილმა უარყო ბენტამის გამოკვეთილი ინდივიდუალიზმი, რომლის კონცეფციაშიც ცალკეულ ინდივიდს უკეთ შეუძლია შეაფასოს, თუ მოცემულ მომენტში რომელი ქმედება გაზრდის მის ბედნიერებას.

ჯონ როლსი და უმეცრების საბურველი

ჯონ ბორდენ როლსი (1921-2002) დაიბადა ბალტიმორში, ფილოსოფიას სწავლობდა პრინსტონის უნივერსიტეტში (ნიუჯერსი), სადაც ომით გამოწვეული შესვენების შემდეგ 1950 წელს ხარისხი დაიცვა და ოქსფორდში კვლევით საქმიანობას ეწეოდა. 1953 წელს მან კორნელის უნივერსიტეტში ფილოსოფიის პროფესორის ადგილი დაიკავა. 1962 წელს იგი გადავიდა ჰარვარდში, სადაც ასწავლიდა ემერიტუსის წოდებამდე. მისი მთავარი შრომაა: *A Theory of Justice* (*Cambridge*, 1971).

როლსმა, როგორც მე-20 საუკუნის პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა წარმომადგენელმა, განავითარა პოლიტიკური და სოციალური სამართლიანობის საფუძვლების თეორია, რომელიც, პირველ რიგში, გაგებულ უნდა იქნეს, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუციების მორალური შეფასების კრიტერიუმი. ნორმატიული ხელშეკრულების თეორიების ტრადიციის თანახმად, იგი სვამს კითხვას – საკუთარი ინტერესიდან გამომდინარე, თუ რომელ პრინციპს აირჩევდნენ თავისუფალი და გონიერი ადამიანები. კითხვაზე პასუხის გასაცემად, როლსმა შექმნა ფიქტიური საწყისი მდგომარეობის მოდელი, რომელშიც ყველა ადამიანი „უმეცრების საბურველს“ (*veil of ignorance*) ექვემდებარება. რაც იმას ნიშნავს, რომ კერძოდ, ისინი ფლობენ ზოგად ცოდნას (მაგალითად, ეკონომიკური ან საბუნებისმეტყველო კავშირების შესახებ), თუმცა მათ არა აქვთ სპეციალური ცოდნა საკუთარი თავის, როგორც საზოგადოების ნაწილის შესახებ (ანუ, საკუთარი ინტელექტის, სქესის, რასის, ასაკის, წარმომავლობის და ა.შ.). ამდენად, ვინაიდან, ინდივიდუალური პოზიცია არ არის მყარი, ყველა ადამიანი გადაწყვეტილებას ერთსულოვნად მიიღებს საზოგადოებისა თუ სახელმწიფო კონცეფციის სასარგებლოდ, რომელშიც, ერთი მხრივ, უზრუნველყოფილი იქნება მაქსიმალური და ინდივიდუალური თავისუფლება და რომელშიც, მეორე მხრივ, დიფერენცირების პრინციპი მუშაობს. ეს იმას ნიშნავს, რომ შანსებისა და მატერიალური საქონლის განაწილების უთანაბრობა მხოლოდ მაშინ დაიშვება, როდესაც ყველას და ამდენად, ასევე

საზოგადოებაში ყველაზე ცუდ პირობებში მყოფი ადამიანიც კი, აქედან მოგებული დარჩება. როლსი ცდილობს აჩვენოს, რომ აღნიშნული მოსაზრების ექსპერიმენტების შედეგი შესაბამისობაში მოდის ჩვენს „კარგად გააზრებულ სოციალურ-ეთიკურ გადაწყვეტილებასთან“ და სურს შემოგვთავაზოს მორალურ-ფილოსოფიური შეფასების პრინციპი, რომლის ნორმატიულ საფუძველს წარმოადგენს „სამართლიანობა, როგორც მიუკერძოებლობა“.

მეტად სარწმუნოა, რომ თითოეულ ინდივიდს კოლექტიური სოციალურ კეთილდღეობაში მხოლოდ საკუთარი წვლილი აინტერესებს. უკიდურესად საპირისპირო პოზიცია წარმოდგენილია (ნაცვალგებაზე დაფუძნებული) ეგალიტარული ლიბერალიზმით, რომლის განვითარებაც განსაკუთრებით უკავშირდება ჯონ როლსის (1971) სახელს. როლსის ე.წ. დიფერენცირების პრინციპი მიუთითებს, რომ საზოგადოებრივი სარგებლიანობის გაზრდა შესაძლებელია მხოლოდ იმ მასშტაბით, რომლის შესაბამისადაც გაიზრდება საზოგადოების ყველაზე ცუდ პირობებში მყოფი წევრის სარგებელიანობა. ფორმალურად აღნიშნული მოსაზრება, რომელიც უსასრულოდ დიდი მასშტაბის უთანაბრობის მიუღებლობას გულისხმობს, (ლიმიტირების) როლსის კეთილდღეობის ფუნქციით გამოისახება:

$$W_R = \min(U_A, U_B) \tag{13.3}$$

ორ უკიდურესობას შორის ადგილს იკავებს ბერნული-ნეშის კეთილდღეობის ფუნქცია:

$$W_N = U_A U_B \tag{13.4}$$



ნახაზი 13.4: კეთილდღეობის ოპტიმუმი

კეთილდღეობის ოპტიმუმი მდებარეობს W საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის განურჩევლობის მრუდის GG კეთილდღეობის ზღვართან შეხების წერტილში. საზოგადოების მიერ განსაზღვრული უთანასწორობისადმი წინააღმდეგობა აღნიშნავს კონკურენციის წონასწორობას, რომელსაც ზუსტად მიეკუთვნება გაცვლის ოპტიმუმი მოცემულ საწყის განაწილებასთან ერთად. ალოკაცია და განაწილება F პუნქტში საზოგადოების თვალთახედვით ოპტიმალურად არის შერჩეული.

ფუნქცია ეფუძნება ინდივიდუალური სარგებლიანობის მულტიპლიკაციურ გაერთიანებას, რომლიდანაც გამომდინარეობს დადებითი, თუმცა საბოლოო საზოგადოებრივი უთანასწორობისადმი წინააღმდეგობა. ამის შედეგია უტილიტარიზმთან შედარებით არათანაბარი განაწილების მიმართ უფრო ძლიერი ეგალიტარული დამოკიდებულება.

ნახაზზე 13.4.-ზესაზოგადოებრივი სარგებლიანობის ზღვარსა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის შეხების წერტილზე მდებარეობს F კეთილდღეობის ოპტიმუმი (Optimum optimorum). ამით კეთილდღეობის ეკონომიკა აღნიშნავს საქონლის, ფაქტორებისა და სარგებლის იმ ზომით განაწილებას, რომლის პირობებშიც საზოგადოებაში შესაძლებელია, როგორც ალოკაციის, ასევე განაწილების პრობლემების გადაჭრა. როგორც უკვე აღვნიშნეთ, კეთილდღეობის ოპტიმუმის შესახებ წარმოდგენის წინაპირობაა ის, რომ სამართლიანი განაწილების შესახებ არსებული ნორმატიული შეხედულებები, რა სახითაც ისინი ასახვას ჰპოვებენ კეთილდღეობის ფუნქციის არჩეულ ვარიანტში, საზოგადოების ყველა წევრის მიერ გაზიარებული ან, სულ მცირე, მისაღები იქნება. ამდენად, ისმის კითხვა, რომელი საზოგადოებრივი მექანიზმების საშუალებით მიიღწევა ერთიანობა დასაშვები უთანაბრობის მასშტაბთან დაკავშირებით.

13.3 არჩევნების პროცედურა და შეუძლებლობის თეორემა

იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება ჩამოყალიბდეს საზოგადოებაში სამართლიანი განაწილების შესახებ წარმოდგენები, არსებობს რამდენიმე გზა. შესაძლო მოქმედების არეალზე გავლენას ორი საპირისპირო პოზიცია ახდენს. ერთი მხრივ, საზოგადოების კეთილდღეობის ფუნქციის კონცეფცია უპრობლემოდ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოების ყველა ინდივიდს სამართლიანობის შესახებ ერთნაირი წარმოდგენა აქვს და, შესაბამისად, საზოგადოების მიერ უთანაბრო განაწილების შეფასება ემთხვევა ნებისმიერი წარმომადგენლობითი ინდივიდის შეფასებას. მეორე, მხრივ, გასათვალისწინებელია დიქტატორის შემთხვევა, რომლის პირობებშიც ერთადერთ ინდივიდს, როგორც წესი, დიქტატორს, აქვს ძალაუფლება, მთელ საზოგადოებაში გაატაროს თავისი წარმოდგენა სამართლიანი განაწილების თაობაზე. შეიძლება იმ პოზიციიდან გამოსვლაც, რომ ორ საპირისპირო პოზიციას, წარმომადგენლობით ინდივიდსა და დიქტატორს შორის არსებობს თავისუფალი დიაპაზონი, რომელშიც სხვადასხვა ინდივიდუალური შეფასებების გაერთიანება არათანაბარი განაწილების შესახებ ხორციელდება ხმის მიცემის დემოკრატიული პროცედურით, ანუ არჩევნების გზით. ისმის კითხვა, რა მოთხოვნები უნდა იყოს არჩევნების პროცედურის მიმართ წაყენებული, იმისათვის, რომ მას მოჰყვეს მხოლოდ საყოველთაოდ მიღებული საზოგადოებრივი შეფასება სამართლიანი განაწილების შესახებ, შესაბამისად საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქცია.

ხმის მიცემის წესი, რომელიც ახლოს დგას პარეტოს კრიტერიუმთან, ეფუძნება ერთსულოვანი გადაწყვეტილების მოთხოვნას. რაიმე ალტერნატივას, ანუ, მაგალითად, განსაზღვრულ საწყის განაწილებას მხოლოდ მაშინ მიენიჭება უპირატესობა, თუ ის საზოგადოების ყველა წევრისათვის მისაღებია. ამის მიღმა დგას წარმოდგენა, რომ არცერთი ინდივიდი არ დათანხმდება ალტერ-

ნატივას, თუ ინდივიდუალურ დონეზე მდგომარეობა გაუარესდება. გადაწყვეტილების ერთხმად მიღების წესი დამაჯერებელია, თუმცა პრობლემატური ასპექტების შემცველია. როგორც წესი, ის დაკავშირებულია გადაწყვეტილების მიღებისთვის საჭირო ტრანზაქციის მაღალ ხარჯებთან, ვინაიდან ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღება, ხშირად, მხოლოდ ძალიან ბევრი სავარაუდო ალტერნატივის შედარების შემდეგ არის შესაძლებელი. გარდა ამისა, თითოეულ ინდივიდს მინიჭებული აქვს განუსაზღვრელი ვეტოს უფლება, რომელიც არ არის დამოკიდებული ინდივიდუალური უპირატესობების ინტენსივობაზე. ამდენად, ხმის მიცემის პროცესში უპირატესობა სტრატეგიულ ქცევას ენიჭება. თითოეული ინდივიდი მოტივირებულია, დაბლოკოს კონსესუსის გზით მიღებული გადაწყვეტილება, ინდივიდუალურად უფრო მიმზიდველი გადაწყვეტილების მიღწევის მიზნით. გადაწყვეტილების მიგნებისათვის საჭირო მაღალი ხარჯები, ინდივიდუალური ვეტოს უფლება და სტრატეგიული საარჩევნო ქცევის საფრთხე ხელს უწყობენ იმას, რომ ხშირად, გადაწყვეტილების ერთხმად მიღების წესებს სულაც არ მოჰყვება აზრთა თანხვედრა სტატუს ქვოს შეცვლის თაობაზე. რისკი იმისა, რომ ახლებური რეგულირების თაობაზე შეთანხმება ვერ მოხერხდება, ხმის მიცემაში მონაწილეთა რაოდენობის ზრდასთან ერთად მატულობს. სტატუს ქვოს შეცვლის გარეშე შესაძლებელია არა ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი პრიორიტეტების რანჟირება, არამედ საწყისი განაწილება წარმოადგენს საზოგადოებისათვის მისაღებ ერთადერთ პუნქტს.

პრობლემებს, რომლებიც დაკავშირებულია გადაწყვეტილების ერთხმად მიღების წესთან, მივყავართ შეკითხვამდე, არსებობს თუ არა უმრავლესობის არჩევანი, რომლის საშუალებითაც მიიღწევა საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქცია ტრანზაქციის ნაკლები ხარჯებით. აღნიშნულ შეკითხვას 1785 წელს პასუხი გასცა მარკიზ დე კონდორსეტმა. მის მიერ დასახელებული არჩევანის პარადოქსი გვიჩვენებს, რომ განსაზღვრული ჰიპოთეზების პირობებში, უმრავლესობის არჩევანში წყვილი კენჭისყრის გზით, საზოგადოებრივი თანმიმდევრული კეთილდღეობის ფუნქციისათვის ორზე მეტი ალტერნატივის პოვნა არ არის შესაძლებელი.

ამომრჩეველთა პრიორიტეტეტები	A	B	C
მაღალი	x	z	y
საშუალო	y	x	z
დაბალი	z	y	x

ნახაზი 13.5: პრიორიტეტების რანჟირება კონდორცეტის პარადოქსისთვის

მოცემულია იერარქიული ცხრილი, რომელშიც სამი A, B და C ამომრჩეველი სამ x, y და z ალტერნატიულ პირობას აყენებს. ინდივიდუალური პრიორიტეტების რანჟირების შეზღუდვებს ადგილი არ აქვს. ისე რომ, ყველა შესაძლო იერარქიული პრიორიტეტი განხორციელებადია ისე, რომ, მაგალითად საზოგადოებას შეუძლია x ამჯობინოს y-ს, ისევე, როგორც y-ს მიანიჭოს უპირატესობა z-თან შედარებით, შესაბამისად, თავის მხრივ, z-ი ამჯობინოს x-ს.

კონდორსეტი განიხილავდა სამ, A, B და C ინდივიდს, რომლებსაც სამი x, y და z ალტერნატივის შესახებ სხვადასხვა რიგითობით ფორმულირებული პრიორიტეტები გააჩნდათ, რომელთა მიღმა შესაძლოა, ყოველთვის განაწილების სხვადასხვა კონიუნქტიურა ყოფილიყო დამალული. ნახაზი 13.5. ასახავს შესაძლო პრიორიტეტების რანჟირებას. სამი ალტერნატიული ვარიანტის შესახებ შეთანხმების მისაღწევად, სამი ინდივიდი ყოველთვის ხმას აძლევს სამიდან ორ ალტერნატივას და უმრავლესობის გადაწყვეტილებით ადგენს სოციალურ პრიორიტეტს. აღნიშნულ ფარგლებში რთული არ არის, ინდივიდუალური შეფასებების ისე განსხვავებულად გამოყვანა, რომ ხმის მიცემის გზით ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი შეფასება დამოკიდებული იყოს ხმის მიცემის თანმიმდევრობითობაზე. აღნიშნულ ფენომენს, რომელიც, ცხადია, თავსებადობას და ასევე სოციალური შეფასების ნორმების საყოველთაო აღიარებას ძირეულად აყენებს კითხვის ქვეშ, ასევე ციკლურ უმრავლესობებს უწოდებენ.

კონდორცეტის პარადოქსის წინააღმდეგ შესაძლებელია გამოითქვას აზრი, რომ ხმის მიცემის პროცედურის შესაბამისი მოდიფიკაციის შემთხვევას, ასევე შესაძლებელია საზოგადოების პრიორიტეტების რანჟირების თანმიმდევრული დიფერენცირებაც მოჰყვეს. სწორედ აღნიშნულის საწინააღმდეგოდ მეტყველებს კენეტ ეროუს (1951) მიერ განვითარებული შეუძლებლობის თეორემა. იგი შეიცავს ფორმალურ მტკიცებულებას, რომ სინამდვილეში არ შეიძლება არსებობდეს არჩევანის პროცედურა, რომელიც საშუალებას იძლევა, ორზე მეტი ინდივიდის პრიორიტეტებიდან ორზე მეტი პირობით ერთმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შეფასება წარმოიშვას. ეროუს შეუძლებლობის თეორემა ეფუძნება საზოგადოების პრიორიტეტების რანჟირების მიმართ ოთხ უაღრესად დამაჯერებელ მოთხოვნას:

- *პარეტოს ეფექტურობა:* როდესაც ყველა ინდივიდი ერთ ალტერნატიულ ვარიანტს ამჯობინებს სხვა ალტერნატიულ ვარიანტებს, აღნიშნული შეფასება სოციალური პრიორიტეტების რანჟირებადაც უნდა ჩაითვალოს.

- *უნივერსალური სამართლიანობა:* ინდივიდუალური პრიორიტეტები ასარჩევ პირობებთან დაკავშირებით არანაირ შეზღუდვას არ ექვემდებარება. ამით უზრუნველყოფილ უნდა იქნას ინდივიდის მაქსიმალური სუვერენიტეტი ინდივიდუალური პრიორიტეტის ფორმულირების დროს.

- *არარელევანტური ალტერნატივების დამოუკიდებლობა:* შესაფასებელი პირობებისათვის ყოველთვის გამოიყენება წყვილური შედარების მეთოდი. აღნიშნული შედარებისათვის არარელევანტური ალტერნატივების გათვალისწინება გამორიცხულია. ამით სტრატეგიული ხმის მიცემა სხვა შესაძლო ალტერნატივებთან მიმართებაში გამოირიცხება.

- *არა-დიქტატურა:* ცალკეული ინდივიდის დიქტატურა, შესაბამისად, ინდივიდუალური პრიორიტეტების რანჟირების შეუზღუდავი განხორციელება გამორიცხულია.

შეუძლებლობის თეორემის დასამტკიცებლად შესაძლებელია კონდორცეტის პარადოქსის გამოყენება. ციკლური უმრავლესობების არსებობა შესაძლებელია თავიდან აცილებულ იქნას ხმის მიცემის პროცედურით, რომლის დროსაც წყვილური ხმის მიცემის შემთხვევაში, ინდივიდს შეიძლება ეწოდოს „ნაწილობრივი დიქტატორი“, რომელსაც შეუძლია თავისი ინდივიდუალური პრიორიტეტები უმრავლესობის საწინააღმდეგოდ გაატაროს. შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ მსგავსი „ნაწილობრივი დიქტატორი“ ან ავტომატურად იქცევა სრულყოფილ დიქტატორად და, შესაბამისად, ადგილი ექნება მოთხოვნის – არა-დიქტატურა-დარღვევას, ან გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ ადგილი ექნება დანარჩენი სამი მოთხოვნიდან გადახრას.

თავად ეს მტკიცებულება ეფუძნება E გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფის კონცეფციას. იგი შედგება საზოგადოების ყველა იმ წევრისგან, რომელთა პრიორიტეტები გადამწყვეტია საზოგადოების პრიორიტეტების რანჟირების ჩამოყალიბებისას. E ჯგუფი ერთსულოვანი გადაწყვეტილების მიღებისას მოიცავს საზოგადოების ყველა წევრს. უმრავლესობის რიგითი არჩევნებისას E ჯგუფი შედგება $(n/2) + 1$ პირებისგან (მთლიანი მოსახლეობის n ლუწი რაოდენობის შემთხვევაში) ან $(n + 1)/2$ პირებისგან (მთლიანი მოსახლეობის კენტი რაოდენობის შემთხვევაში). თუმცა, E ჯგუფში ყოველთვის უნდა შედიოდეს ერთზე მეტი წევრი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება დიქტატურას. გადაწყვეტილების მიმღები ჯგუფი, ყველა შესაძლო საარჩევნო პროცედურიდან გამომდინარე, შესაძლებელია სხვადასხვა ზომისიყოს, თუმცა ის სულ მცირე ორი წევრისგან მაინც უნდა შედგებოდეს. თუ E ჯგუფის წევრს A-თი აღვნიშნავთ, B ჯგუფში შევა დარჩენილი რაოდენობა. B-ს სულ მცირე ერთი წევრი მაინც ჰყავს. საზოგადოების ის წევრები, რომლებიც არ შედიან E ჯგუფში, ქმნიან C რაოდენობას. აღნიშნული რაოდენობა შესაძლოა, „ცარიელი“ იყოს იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღება. აღნიშნულ ჰიპოთეზებში შესაძლებელია კვლავ ნახაზზე 13.5. გამოსახული პრიორიტეტების დანახვა. თუ A და B ერთად ქმნიან E გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფს და თუ მათ $x > y$ იერარქია შეესაბამება, მაშინ აღნიშნული იერარქია მთლიან საზოგადოებასაც უნდა მიესადაგებოდეს. ცალკე B ჯგუფს შეესაბამება $z > y$. თუმცა, აღნიშნული იერარქია ვერ იქნება საზოგადოების პრიორიტეტების რანჟირება, ვინაიდან B არ წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღებ ჯგუფს, შესაბამისად, საზოგადოებრივ შეფასებას უნდა მივუსადაგოთ $z < y$ (ან z-ს და y-ს არადიფერენცირება უნდა შეესაბამებოდეს). საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის ტრანზიტულობის გამო, უნდა ჩაითვალოს, რომ $x>z$-ი შეფასებული იქნება. თუმცა, აღნიშნული იერარქია წარმოდგენილი იქნება მხოლოდ A ინდივიდით, რაც მას დიქტატორობამდე მიიყვანდა. ამდენად, შესაძლებელია ჩამოყალიბდეს ლოგიკური წინააღმდეგობა ოთხ აქსიომას შორის, რომლის თავიდან აცილება არცერთი სახის საარჩევნო პროცედურით არ არის შესაძლებელი.

ეროუს შეუძლებლობის თეორემა არ უნდა იყოს გაგებული, როგორც საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის კეთილდღეობის ეკონომიკის მოდელის ფუნდამენტური კრიტიკა. მან უფრო მეტად უნდა გაამახვილოს ყურადღება იმ სირთულეებზე, რომლებიც თავს იჩენენ ინდივიდუალურიდან კოლექტიურ შეფასებაზე გადასვლის დროს. ამ სირთულეებიდან გამოსავალი არ უნდა იყოს სრულყოფილი საარჩევნო პროცედურის ძიება. სჯობს, გადაიხედოს და შეიცვალოს საზოგადოებრივი ხმის მიცემის პროცესისადმი აშკარად გადაჭარბებული მოთხოვნები. ჰიპოთეზები, რომლებიც საფუძვლად უდევს შეუძლებლობის თეორემას, მიუთითებენ იმ შესაძლო მოდიფიკაციებზე, რომლებიც რეალურად არსებულ საზოგადოებრივი ხმის მიცემის პროცესშიც იჩენენ თავს.

ასე, რომ ერთმნიშვნელოვანი საზოგადოებრივი შეფასება უმრავლესობის მიერ არჩევის გზით უპრობლემოდ მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს, როდესაც ასარჩევად მხოლოდ ორი გამოკვეთილი ალტერნატივა არსებობს. შეუძლებ-

ლობის თეორემა ეფექტიანი არც მაშინ არის, როდესაც, როგორც ეს ნახაზზე 13.6-ია გამოსახული, ინდივიდუალური პრიორიტეტების რანჟირება, მხოლოდ უმაღლეს წერტილში იყრის თავს. ერთმწვერვალიანი განლაგება ამომრჩევლების უნივერსალური საარჩევნო პრიორიტეტების, ანუ ეროუს მეორე მოთხოვნის, შეზღუდვას წარმოადგენს. იგი გულისხმობს, რომ ალტერნატივების ძირითად კლასიფიკაციაში ყველა ინდივიდი ერთსულოვანია და, რომ მათ მხოლოდ განსხვავებული ფავორიტები ჰყავთ. არსებობს ერთობლივი საფუძვლიანი ურთიერთთანხმობა, რომელიც ხელს უშლის საზოგადოებრივი პრიორიტეტების რანჟირების ცვალებადობას. საერთო ძირითადი ღირებულებები ამ თვალსაზრისით, საზოგადოების გრძელვადიანი ფუნქციონირებისათვის უშუალო განმსაზღვრელს წარმოადგენს. ინდივიდები გრძელვადიან პერსპექტივაში მხოლოდ ხმის მიცემის ისეთ საზოგადოებრივ ჯგუფებს შეუერთდებიან, რომლებშიც თავიანთ საკუთარ ძირითად ღირებულებებს საკმარისად გათვალისწინებულად მიიჩნევენ. გარდა ამისა, დემოკრატიის ტრადიციად ითვლება ხმის მიცემის წინ აზრის გამოხატვა. ეს შესაძლებელია აღქმული იყოს ისე, რომ დისკუსიის გზით იქმნება საყოველთაო ურთიერთთანხმობა და ამით თავიდან აცილებული იქნება ის ფაქტი, რომ შესაძლებელია პერმანენტულად თავი იჩინოს ხმის მიცემის არაერთსულოვანმა პროცედურამ.



ნახაზი 13.6: მრავალმწვერვალიანი და ერთმწვერვალიანი პრიორიტეტების რანჟირება

მარცხენა დიაგრამა ასახავს იერარქიას ნახაზის 13.5. მიხედვით. ამასთან ნათელია, რომ B-ს პრიორიტეტების რანჟირება ორმწვერვალიანია. როგორც მარჯვენა დიაგრამა გვიჩვენებს, B-ც რომ ერთმწვერვალიან იერარქიაზე იყოს განთავსებული, უმრავლესობის არჩევანის შედეგი ერთმნიშვნელოვანი იქნებოდა.

და ბოლოს, მოსალოდნელია, რომ საზოგადოებრივი ჯგუფები ასევე გაითვალისწინებენ დანარჩენი მოთხოვნების შეზღუდვებს, რათა დიდი ხნის მანძილზე დარჩნენ ქმედითუნარიანები. ამის მნიშვნელოვან მაგალითს წარმოდგენს იმ საქონლისა თუ მომსახურების მიწოდება, რომლის მოხმარებასაც სახელმწიფო უწყობს ხელს. ამასთან, საქმე ეხება იმ საქონელს, რომლის საზოგადოებრივი შეფასება არ ეფუძნება შესაბამის ინდივიდუალურ შეფასებებს. ამის მიზეზად ითვლება არა ბაზარზე არსებული ხარვეზები, არამედ დამახინჯებული ინდივიდუალური პრიორიტეტები. ამის მაგალითს წარმოადგენს განათლებისა და კულტურის ინსტიტუციების დაარსება. აღნიშნული საქონელი დემოკრატიული საზოგადოების მიერაც უზრუნველყოფილია. მიუხედავად იმისა, რომ პარეტოს

კრიტერიუმი მასზე არ ვრცელდება და გადაწყვეტილების პროცესზე დომინირებენ ცალკეული ინდივიდები, თუნდაც საერთო კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე.

13.4 მაგალითი: მდგრადობა, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური მოდელი

უახლესი წარსულის ეკონომიკურ-პოლიტიკურ დებატებში თავი იჩინა მდგრადი განვითარების კონცეფციამ, როგორც ახალმა მოდელმა. თავდაპირველად „მდგრადი განვითარების“ ცნებამ გამოყენება ჰპოვა გლობალურ დონეზე განვითარების პოლიტიკის თვალსაზრისით შემდგომი ძალისხმევისათვის საჭირო მიზნის ფორმულირებასთან კავშირში. განსაკუთრებული როლი მან ითამაშა 1989 წელს დამოუკიდებელი კომისიის მიერ გაერთიანებული ერებისთვის წარდგენილ ანგარიშში „ჩვენი საერთო მომავალი“ (OurCommon Future), რომელსაც სათავეში გრი ჰარლემ ბრუნდტლანდი ედგა. 1992 წელს რიო დე ჟანეიროში გამართული გაეროს კონფერენციის შემდეგ „გარემო და განვითარება“, მდგრადი განვითარება მსგავსი ეკონომიკურ-პოლიტიკური კონცეფციების ძირითად მახასიათებლად იქცა, რომლებიც ბუნებრივი გარემოს დაცვას განსაკუთრებულ პრიორიტეტად მიიჩნევენ. ამასობაში, ასევე ჩვეულებად იქცა „მდგრადი საფინანსო პოლიტიკისა“ თუ „მდგრადი შრომის ბაზრის პოლიტიკის“ შესახებ საუბარი. ამდენად, ისმის შეკითხვა, რა ახალი აქცენტები შეიძლება შემოიტანოს მდგრადი განვითარების კონცეფციამ ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების შესახებ გამართულ საყოველთაო დისკუსიაში.

საინტერესოა, რომ მდგრადი განვითარების კონცეფციის ისტორიული ფესვები უნდა ვეძებოთ მე-19 საუკუნის გერმანიის მეტყევეობის მეცნიერებაში. გერმანული სახელმწიფოების ფისკალური ინტერესები იმ პერიოდისათვის მიმართული იყო სახელმწიფოს კუთვნილებაში არსებული ტყეების მაქსიმალურად ეფექტური ათვისებისკენ. ეძებდნენ მეთოდს ტყის ოპტიმალური გაჩეხვისა და შემდგომ მისი ოპტიმალური აღდგენისათვის. აქტივობის ორივე ფორმა დიდ გავლენას ახდენდა „ბუნებრივი კაპიტალის“, ანუ ტყის მასივის დროებით განახლებაზე. მეთოდი ტყის მასივის გამოყენებისათვის გრძელვადიან პერსპექტივაში განავითარა მეტყევეობის მკვლევარმა მარტინ ფაუსტმანმა (1849). ფაუსტმანისწესის მიხედვით, ტყის მასივის ოპტიმალური სიდიდე და, შესაბამისად, ყოველწლიურად ტყის გაჩეხვის ოდენობა მით მეტია, რაც ნაკლებია შეშის ფასი, რაც უფრო ნაკლებია ტყის აღდგენისთვის საჭირო ხარჯები და რაც უფრო ნაკლებია კაპიტალდაბანდებისთვის საჭირო სასესხო განაკვეთები, როგორც ალტერნატიული ხარჯები. მდგრადი განვითარება ამ კონტექსტში სხვა არაფერია, თუ არა ეფექტური გამოყენება მცირე, თუმცა აღდგენადი რესურსებისა, რომლებიც მოგებაზე ორიენტირებული სარგებლის უფლებით კერძო საკუთრებაში, შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებობენ. განსხვავება პარეტოს ოპტიმუმთან საქონლის წარმოებაში ან კონკურენციის წონასწორობის კონცეფციასთან, რომლებიც ზემოთ იყო განხილული, მდგომარეობს გრძელვადიან ორიენტაციაზე, რომელიც ფაუსტმანის წესში სასესხო განაკვეთის აშკარა გათვალისწინებით არის ასახული. თუმცა, ასევე შესაძლებელია კონკურენციის წონასწორობის კონცეფციის გააქტიურება და შემდეგ შესაბამისი შედარებითი ფასების შესახებ

წარმოებისა და გაცვლის ინტერტემპორალური გადაწყვეტილებების კოორდინაციის კვლევაც. იგი თანამედროვე ეკონომიკური ზრდისა და რესურსების ეკონომიის საგანს წარმოადგენს.

ბრუნდტლანდის ანგარიში მთელი მსოფლიოს ბუნებრივ რესურსებს „ბუნებრივ კაპიტალად" განიხილავს, რომლის ეფექტური გამოყენების შემთხვევაშიც გათვალისწინებულ უნდა იქნას მომავალი თაობების ინტერესებიც. ამით ეფექტურობასთან ერთად საქმე განაწილების პრობლემებსაც, კერძოდ კი თაობებს შორის განაწილების საკითხს ეხება. განაწილების პრობლემატიკაზე აქცენტი იმ თვალსაზრისითაც კეთდება, რომ ბრუნდტლანდის ანგარიშში საუბარია არამხოლოდ თაობებს შორის განაწილებაზე, არამედ ასევე განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებს შორის განაწილების გამო არსებულ გლობალურ კონფლიქტზეც. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობა არამხოლოდ განვითარებული ქვეყნების პრეროგატივას უნდა წარმოადგენდეს, არამედ შესაბამისად გათვალისწინებულ უნდა იყოს განვითარებადი ქვეყნების ინტერესები, აღნიშნული ძირითადი კაპიტალით სარგებლობის შესახებ.

რაც შეეხება მდგრადი განვითარების კონცეფციის ინტერტემპორალურ მასშტაბს, ანუ მომავალი თაობების კეთილდღეობაზე ზრუნვას, დისკუსია კონცენტრირებულია უპირველეს ყოვლისა საკითხზე, რამდენად აისახება კაპიტალის ბაზარზე არსებულ საბაზრო განაკვეთებში აღნიშნული ინტერტემპორალური შეფასებები. ალტერნატიული წარმოდგენები ან მკვეთრად უტილიტარისტულია, რაც იმას ნიშნავს, რომ კეთილდღეობა ყველა თაობის თანაბარი უფლებაა და მომავალი თაობების ინტერესების დისკონტირება დაუშვებელია. ან ჯონ როლსის მსგავსად, მოითხოვენ ყველაზე ცუდ მდგომარეობაში მყოფი თაობის, ანუ პრინციპში ყველაზე შორეულ მომავალში მცხოვრები თაობის ინტერესების განსაკუთრებულ გათვალისწინებას. უტილიტარისტული აზროვნება საბოლოოდ იწვევს რესურსების ამოწურვის დაჩქარებას მაშინ, როდესაც როლსის მიხედვით, ორიენტირებული ნორმატიული კონცეფცია რესურსების ექსტრემალურად შეზღუდულ გამოყენებას შეიცავს. ყველა ამ მოსაზრებას აერთიანებს ის, რომ ისინი წარმოადგენენ ღირებულებით შეფასებებს, რომელთა სამართლიანობის გადამოწმება ემპირიული გზით შეუძლებელია, ვინაიდან საუბარია მეტისმეტად გრძელვადიანი განვითარების პროცესების შეფასებაზე. ნამდვილი ინტერტემპორალური საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქციის შექმნა დემოკრატიული საარჩევნო პროცედურის გზით, აწყდება არამხოლოდ ეროუს შეუძლებლობის თეორემისეულ პრობლემებს, არამედ საკმარისად ლეგიტიმური ელექტორატის ნაკლებობასაც. არჩევნების გზით რესურსების ინტერტემპორალური განაწილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში, კერძოდ, მონაწილეობა უნდა მიიღონ ასევე მომავალში მცხოვრებმა თაობებმა. ამის გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ წარმომადგენლობითი სახით, ანუ მშობლების საშუალებით, რომლებიც შეეცდებიან არჩევნებში თავიანთი შვილების ინტერესები გამოხატონ. ვინაიდან, ჩვეულებრივ, მშობლების ხმას უშვილოების ხმასთან შედარებით მეტი წონა არა აქვს, დემოკრატიულ საარჩევნო სისტემაში ადგილი აქვს მუდმივ ხარვეზებს მოცემულ მომენტში მცხოვრები ინდივიდების სასარგებლოდ.

კიდევ უფრო პრობლემატურია ინტერტემპორალური განაწილების მასშტაბი, რომელიც ჩადებულია მდგრადი განვითარების კონცეფციაში.

ამარტია სენი და შესაძლებლობებისა და უნარების განაწილება

ამარტია სენი (დაბ. 1933 წელს ინდოეთში, სანტინიკეტანში) ეკონომიკურ მეცნიერებებს თავდაპირველად კალკუტას *Presidency College*-ში ეუფლებოდა. 1953 წელს იგი გადავიდა კემბრიჯის *Trinity College*-ში, სადაც 1959 წელს დაიცვა სამეცნიერო ხარისხი. მასაჩუსეტის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში კვლევითი საქმიანობის შემდეგ, ის დელის უნივერსიტეტის ეკონომიკური მეცნიერებების პროფესორად მიიწვიეს. 1971 წელს კი საქმიანობას აგრძელებს *London School of Economics*-ში. მოგვიანებით ოქსფორდსა და ჰარვარდში პროფესორის სტატუსით მოღვაწეობის შემდეგ, დღეისათვის იგი ასწავლის კემბრიჯის უნივერსიტეტის *Trinity College*-ში. კეთილდღეობის ეკონომიკის სფეროში მიღწევებისათვის 1998 წელს სენი ეკონომიკური მეცნიერებების დარგში ნობელის პრემიით დაჯილდოვდა. მისი მთავარი შრომებია: *Collective Choice and Social Welfare* (*San Francisco*, 1970); *Commodities and Capabilities* (*Amsterdam*, 1985); *Development as Freedom* (*New York*, 1999).

თავის ნაშრომებში სენი დაკავებულია, როგორც *Social Choice*-თეორიის განვითარებით, ასევე კეთილდღეობისა და სიღარიბის ინდიკატორების ანალიზით და შიმშილთან დაკავშირებული კატასტროფების მიზეზების ემპირიული შესწავლით. ყველა ეს სფერო ერთმანეთთან განაწილების საკითხებისადმი არსებული ძირითადი ინტერესით არის დაკავშირებული, რომლის დროსაც განსაკუთრებული ყურადღება საზოგადოებაში ყველაზე ღარიბი ფენის მდგომარეობას ეთმობა. საზოგადოებაში სარგებლიანობის სხვადასხვაგვარი განაწილების შესადარებლად, სენი სარგებლის ფორმულირების ფარგლებში მატერიალური საქონლის განაწილებასთან ერთად საზოგადოების შესაძლებლობებისა და უნარების განაწილებასაც ითვალისწინებს. ინდივიდუალური შემოსავალი, როგორც სარგებლიანობის ინდიკატორი, შესაბამისად, მხოლოდ მაშინ შეიძლება დამაჯერებლად ჩაითვალოს, თუ იგი იმავდროულად ქმნის შესაძლებლობებს ქმედებებისა და ცხოვრებისათვის, როგორც მოცემული დროის მომენტში, ასევე ხანგრძლივი დროის მანძილზე. განხილვის აღნიშნული ფორმის საფუძველზე იგი ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ სხვადასხვა ქვეყნებში შიმშილის გამომწვევი მიზეზი არა საკვები პროდუქტის ნაკლებობაა, არამედ, საქმე მეტწილად ყველაზე დაბალი შემოსავლების მქონე ფენებში სპეციფიკური განაწილების ფორმაშია, რაც საკვები პროდუქტის დეფიციტს უწყობს ხელს. იმ შემთხვევაში, თუ ღარიბებს პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში ჩართვის საკმარისი შესაძლებლობა მიეცემათ, დროულად გატარდება სიღარიბის საწინააღმდეგო ღონისძიებები. სწორედ ამიტომაც შიმშილთან დაკავშირებული კატასტროფები დამახასიათებელია დიქტატორული მმართველობისათვის და არა დემოკრატიული სისტემისათვის.

განვითარებადი ქვეყნების ინტერესების სისტემატური შეზღუდვა ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის საკითხში, სათავეს იღებს უარყოფითი გარე ეფექტებიდან, რაც დაკავშირებულია ბუნებრივ ძირითად კაპიტალზე არასაკმარისად მკაფიოდ ჩამოყალიბებულ ან საერთოდ არარსებულ საკუთრების უფლებასთან. აღნიშნული არაეფექტიანი განაწილების ინტერნალიზაცია, პრიციპში, შესაძლებელია შესაბამისი საშუალებებით, მაგალითად, რესურსების მოხმარებაზე გადა-

სახადების ან სერთიფიკატების შემოღებით. თუმცა, რთული ხდება განაწილების პოლიტიკის მიზნების წარმოდგენის დაზუსტება. იგი არც თუ მცირე გავლენას ახდენს კითხვაზე, სად უნდა წავიდეს გადასახადებიდან და სერთიფიკატებიდან მიღებული შემოსავალი?

მნიშვნელოვანი პრობლემების გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია მდგრადი განვითარებისთვის საჭირო განაწილების მიზნების დაზუსტებასთან, ინტერტემპორალური და ინტრატემპორალური თვალსაზრისით, მდგრადი განვითარების შესახებ პრაქტიკულად განხორციელებული მსჯელობა ისევ ეფექტიანობის ასპექტებზეა კონცენტრირებული. ამასთან, ჩამოყალიბდა სამი წესი, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ეკონომიკური აქტივობების ეკოლოგიურად უსაფრთხო მდგრადი განვითარება.

- *Output-წესი:* გარემოს დაბინძურება ნარჩენებით, გამონაბოლქვითა და საკანალიზაციო წყლებით არ უნდა აღემატებოდეს იმ ზღვრულ მაჩვენებელს, რომლის განეიტრალების უნარიც ადგილობრივ გარემოს აქვს, ისე რომ საომავლოდ მიუღებელი ფორმით არ შეიზღუდოს მისი, როგორც აკუმულირების, ასევე სხვა შესაძლებლობები.

- *Input-წესი განახლებადი რესურსებისათვის:* განახლებადი რესურსების მოხმარების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეგენერაციის ზღვარს, რომლის გენერირებაც ბუნებრივი სისტემისთვისაა დამახასიათებელი.

- *Input-წესი არაგანახლებადი რესურსებისათვის:* არაგანახლებადი რესურსების მოხმარების ოდენობა უნდა შეესაბამებოდეს იმ მაჩვენებელს, რომლის მიხედვითაც ადამიანის გამომგონებლური უნარით და ინვესტიციებით განახლებადი შემცვლელების მიგნება იქნება შესაძლებელი. შემოსავლების ნაწილი, რომელიც მოაქვს არაგანახლებადი რესურსების გამოყენებას, უნდა დაიხარჯოს განახლებადი შემცვლელების განვითარებისათვის საჭირო კვლევებზე.

ზოლო წესი შესაძლებელია გაგებულ იქნას, როგორც ინოვაციების მიზანმიმართული წახალისება იმ სფეროებში, რომლებსაც არსებული ბუნებრივი რესურსების ამოწურვა ემუქრებათ. ცხადია, აღნიშნული წესი გულისხმობს ჩანაცვლების მაღალ ხარისხს ბუნებრივ კაპიტალსა და ცოდნისა და ინოვაციების რესურსს შორის. აღნიშნული ჰიპოთეზა საბოლოო ჯამში ისევ ღირებულებით შეფასებას წარმოადგენს, რომლის ერთსულოვან მხარდაჭერაზე გათვლის გაკეთება შეუძლებელია.

ძირითადი ცნებები

- პარეტოს კრიტერიუმი
  პარეტოს ოპტიმუმი
  ტრანსფორმაციის მრუდი
  კონკურენციის შედეგად წარმოქმნილი წონასწორობა
  კეთილდღეობის ზღვარი
  კეთილდღეობის ეკონომიკის დებულებები
- საზოგადოებრივი კეთილდღეობის ფუნქცია
  უთანასწორობის აპათია
  ბენტამის ფუნქცია
  ბერნული-ნეშის ფუნქცია
  როლსის ფუნქცია
  ბერგსონ-სამუელსონის ფუნქცია
  კეთილდღეობის ოპტიმუმი
- არჩევნების პროცედურა
  გადაწყვეტილების ერთხმად მიღების წესი
  უმრავლესობის არჩევანი
  კონდორცეტის პარადოქსი
  შეუძლებლობა
  სამომხმარებლო საქონელი ან მომსახურება სახელმწიფოს ხელშეწყობით
- მდგრადი განვითარება
  ფაუსტმანის წესი
  ბრუნდტლანდის ანგარიში

დავალებები

1. ნირვანას კრიტიკა

კრიტიკულად განეწყვეთ ხშირად გამოყენებული არგუმენტის მიმართ, რომლის თანახმადაც, კეთილდღეობის ოპტიმუმის კონცეფციას (და საბოლოო ჯამში პარეტოს მიხედვითკეთილდღეობის ეკონომიკას) პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკისათვის არანაირი სარგებელი არ მოაქვს, ვინაიდან აღნიშნული ჰიპოთეზები მხოლოდ „ნირვანასთვის“ შესაფერისად შეიძლება ჩაითვალოს.

2. გადაწყვეტილების ერთხმად მიღების წესი

იმსჯელეთ ერთსულოვნების წესის დადებით და უარყოფით მხარეებზე კოლექტიური გადაწყვეტილებების დროს.

3. შეუძლებლობის თეორემის დაძლევის შესაძლებლობები

პოლიტიკური გადაწყვეტილებების მეთოდების მაგალითის მიხედვით იმსჯელეთ, ეროუს შეუძლებლობის თეორემის ძირითადი აქსიომას შეცვლით, როგორ შეიძლება კონსისტენციური კოლექტიური გადაწყვეტილებების მიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

კეთილდღეობის ეკონომიკის დებულებებისა და კეთილდღეობის ოპტიმუმის შესახებ კვლევები იხილეთ *Donges/Freytag* (2009) და *Breyer/Kolmar* (2010). *Weimann* (2004) გვთავაზობს შეუძლებლობის თეორემის განსაზღვრას და მისი დაძლევის გზებს. განმარტებას მდგრადი განვითარების, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნის შესახებ, გვთავაზობენ *Harborth* (1993) და *Eisermann* (2003). მსჯელობა გარემოს დაცვის პოლიტიკის შედეგებზე იხილეთ *Cansier* (1996).

ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები და მიზანთა კონფლიქტი

14

თავი

14.1 ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები და ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები 298

14.2 ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზანთა კონფლიქტის მიზეზები და შედეგები 302

14.3 მიზანთა კონფლიქტის თავიდან აცილება კომპენსაციის გზით 304

14.4 მაგალითი: ფილიპსის მრუდი და კუზნეცის მრუდი..... 306

სწავლების მიზნები

- ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები შესაძლებელია ასევე უშუალოდ გამომდინარეობდეს განსაზღვრული, ნათლად ჩამოყალიბებული ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებებიდან. ამასთან, ეკონომიკური პოლიტიკის ყველა მიზანი მიმართულია ეკონომიკის უმაღლესი მიზნისაკენ, რაც თავის მხრივ, ისევ საზოგადოების უმაღლეს მიზანში ჰპოვებს ასახვას.

- ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზანთა კონფლიქტი, ჩვეულებრივ, თავს იჩენს გადანაწილების ტრანზაქციის ხარჯების, „მეორე საუკეთესო გამოსავლის“ (Second Best Solution) ან დინამიკური პერსპექტივების არსებობის გამო.

- „მეორე საუკეთესო გამოსავლის“ პერსპექტივაში დასაშვებია კეთილდღეობის ოპტიმუმისგან ეკონომიკურ-პოლიტიკური გადახვევა, თუ ამ უკანასკნელის საშუალებით სხვა მიზნიდან გადახვევის გასწორებაა შესაძლებელი.

- კომპენსაციის გზით მიზანთა კონფლიქტის დაძლევა თეორიულად დასაშვებია. თუმცა, იგი პრაქტიკაში რთულად განსახორციელებელია იმ შემთხვევაში, თუ საქმე ცალკეულ ღონისძიებას ეხება. უფრო მიზანშეწონილია ზოგადი კომპენსაციის კრიტერიუმის ამოქმედება, რომელიც გათვლას ბაზარზე ორიენტირებული რეფორმების პოლიტიკის დადებითი ეფექტების ფართოდ გავრცელებაზე აკეთებს.

- ფილიპსის მრუდის თეორია გამომდინარეობს „მეორე საუკეთესო გამოსავლის“ პერსპექტივიდან. ვინაიდან, ბუნებრივი უმუშევრობის შემცირება შესაძლებლად არ მიიჩნევა, რადგან დასაქმების გაზრდის მიზნით ინფლაციის ზრდასთან შეგუებაა საჭირო.

- კუზნეცის მრუდის თეორია ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზანთა კონფლიქტს ინტერტემპორალური პერსპექტივიდან განიხილავს. ერთ სულზე მზარდი შემოსავლის დროს შემოსავლების განაწილების მდგომარეობა თავდაპირველად უარესდება, თუმცა, თუ შემოსავლების ზრდა გაგრძელდა, მათი განაწილების თვალსაზრისით მდგომარეობა კვლავ უმჯობესდება.

14.1 ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები და ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები

განსაზღვრული ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების დასახვა უკავშირდება ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებს, რომლებზეც ორიენტირებულია პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა. ამასთან, ღირებულებების დეტალური

გათვალისწინება მეცნიერულ კვლევაში შეფასებების გამოყენებას მოითხოვს, რომელთა ლოგიკური დამტკიცება, ისევე, როგორც ემპირიული გაყალბება შეუძლებელია. ნორმატიული პოსტულატებიდან ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების გამოყვანის შედეგად, არ შეიძლება არსებობდეს ყველასთვის მისაღები ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების კატალოგი, ხოლო ცალკეული მიზნის მნიშვნელობა დროთა განმავლობაში და საერთაშორისო შედარებისას, ცვლილებას განიცდის.

დღეს დასავლეთის მრავალ განვითარებულ ქვეყანაში თავისუფლება, სამართლიანობა და უსაფრთხოება ძირითად საზოგადოებრივ ღირებულებებს წარმოადგენს. თავისუფლება გულისხმობს ინდივიდის უფლებას, საკუთარი ცხოვრება მაქსიმალურად შეძლებისდაგვარად საკუთარი შეხედულებისამებრ მოაწყოს და მთავრდება იქ, სადაც ინდივიდუალური ქცევები გარკვეული წესებით იზღუდება. თავისუფლების შეზღუდვა შესაძლოა გამომდინარეობდეს სამართლიანობის პოსტულატიდან, რომლის მიხედვითაც, ერთი ინდივიდის მაქსიმალური თავისუფლება მეორე ინდივიდის თავისუფლების შეზღუდვით არ გამოისყიდება. სამართლიანობა, შესაბამისად, გულისხმობს ერთნაირ პირობებში თანაბარ უფლებებსა და თანაბარ მოპყრობას და ასევე შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად თანაბარი ინდივიდუალური შანსების შექმნას. და ბოლოს, უსაფრთხოება მოიცავს მშვიდობის შენარჩუნებას შინ და გარეთ, ასევე ცხოვრებისეული რისკებისგან დაცვას, როგორც ხანგრძლივი დროის მანძილზე თავისუფლებითა და სამართლიანობით უზრუნველყოფის წინაპირობას.

ეს სამი ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულება ხშირად ქვეყნის კონსტიტუციაში აღიარებულია, როგორც ადამიანის ძირითადი უფლებები. გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის კონსტიტუცია მეორე მუხლით უზრუნველყოფს პიროვნების თავისუფალ განვითარებას და სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას. მე-3 მუხლი ხაზს უსვამს საყოველთაო თანასწორობას, განსაკუთრებული აქცენტი კეთდება კანონის წინაშე თანასწორობაზე, ქალისა და მამაკაცის თანაბარ უფლებებზე და წარმომავლობის, რასის, ენის, სამშობლოს, წარმოშობის, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე – ანტიდისკრიმინაციულ დამოკიდებულებაზე.

როგორც ეს ნახაზზე 14.1-ია გამოსახული, თავისუფლება, თანასწორობა და უსაფრთხოება ასახულია საზოგადოების უმაღლეს მიზანში – მაქსიმალურად გაიზარდოს საზოგადოების კეთილდღეობა. ეკონომიკის განვითარება, სხვა მრავალ საზოგადოებრივ სფეროსთან ერთად, ხელს უწყობს საერთო-ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმიზაციას, იზრდება რა ეკონომიკური კეთილდღეობა. ეკონომიკური კეთილდღეობის ზრდა შესაძლებელია განხილულ იქნას, როგორც ეკონომიკის სფეროში საზოგადოების უმაღლესი მიზნის კონკრეტიზაცია და ამით უშუალო კავშირშია საზოგადოების ძირითად ღირებულებებთან. ეკონომიკური კეთილდღეობა აყალიბებს თავისუფლების პოსტულატს მატერიალური თვალსაზრისით, შესაბამისად, ქმნის ეკონომიკურ წინაპირობას ცხოვრების ინდივიდუალური მოწყობისათვის, უზრუნველყოფს მოულოდნელი რისკებისგან დაცვას და, შესაბამისად, უსაფრთხოებას და სამართლიანი განაწილების შემთხვევაში, ასევე ასრულებს სამართლიანობის პოსტულატის პირობას.

ნახაზი 14.1: ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები და ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები

ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები თავს იყრიან საზოგადოების უმაღლეს მიზანში, რომლიდანაც გამომდინარეობს კეთილდღეობის ზრდა, როგორც ეკონომიკის უმაღლესი მიზანი. ეკონომიკის უმაღლესი მიზნიდან, თავის მხრივ, გამომდინარეობს სხვადასხვა ცალკეული ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზანი.

მართალია, ეკონომიკური კეთილდღეობის მაქსიმიზაცია წარმოადგენს ეკონომიკურ-პოლიტიკური ქმედებისათვის დაუზუსტებელ და ინტერპრეტაციის საჭიროებას დაქვემდებარებულ მიზანს, მაგრამ კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნიდან საზოგადოების ძირითადი ღირებულებების კატალოგის გათვალისწინებით გამომდინარეობს სამი უმაღლესი ეკონომიკურ-პოლიტიკური ხასიათის მიზანი: ალოკაციის ეფექტურობა, კონიუნქტურული სტაბილურობა და განაწილების სამართლიანობა.

განაწილების სამართლიანობა, ამასთან, წარმოადგენს ეკონომიკის სფეროში საზოგადოებრივი სამართლიანობის პოსტულატს და მოითხოვს ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების, ასევე საქონლის, შემოსავლებისა და ქონების სამართლიანად მიჩნეულ განაწილებას. საზოგადოებისათვის მისაღები უთანასწორობის მასშტაბი საბოლოოდ უნდა განისაზღვროს პოლიტიკური ხმის მიცემის პროცესით. სტაბილურობისა და ეფექტურობის მიზნის უკან დგას არაცხადი წარმოდგენა კონკურენციის წონასწორობის შესახებ, რომლის დროსაც, არსებული განაწილების პირობებში ხელმისაწვდომი რესურსების წარმოებისა და გაცვლის გზით შეძლებისდაგვარად ეფექტური სარგებლიანობა მიიღწევა. შესაბამისად, სტატიკური განხილვის წესის თანახმად, ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანას კონკურენციის წონასწორობისათვის საჭირო პირობების შექმნა უნდა წარმოადგენდეს. ეს უკანასკნელი გულისხმობს შესაძლო საბაზრო ხარვეზების თავიდან აცილებას, რაც სრულყოფილ კონკურენციას უშლის ხელს.

ამ თვალსაზრისით, ლეგიტიმური ხდება ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევები ინფორმაციის ასიმეტრიულობის, გარე ეფექტების, განუყოფლობისა და მო-

ნოპოლიური ძალაუფლების დროს. ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების გატარება ასევე საჭიროა მთლიანი ეკონომიკური ციკლის დარღვევების დროს, რასაც ინფლაციამდე, უმუშევრობამდე და საგადასახდელო ბალანსის პრობლემებამდე მივყავართ და ამდენად, უარყოფითად მოქმედებენ ოპტიმალური ალოკაციის განხორციელებაზე. დინამიკური თვალსაზრისით, წარმოების საერთო-ეკონომიკური შედეგი ოპტიმალური ალოკაციის დროს თანმიმდევრულად უნდა გაიზარდოს. თუმცა, ეკონომიკური განვითარების ისეთმა გვერდითმა მოვლენებმა, როგორიცაა გარემოს განადგურება, შესაძლოა, საქმე იქამდე მიიყვანოს, რომ მატერიალური საქონლით უზრუნველყოფის დღეისათვის არსებული მაღალი მაჩვენებელი ყველა ვარიანტში და გრძელვადიან პერსპექტივაში არა თუ საზოგადოების კეთილდღეობას ზრდის, არამედ კაცობრიობის არსებობის საფრთხის რეალური საფუძვლების შემცველი შეიძლება იყოს. სწორედ ეს საფრთხე გახდა მიზეზი იმისა, რომ გარემოს დაცვამ ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების კატალოგში დამოუკიდებელი მიზნის ადგილი დაიკავა.

აღნიშნული სახის ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნები შესაძლებელია ჩამოყალიბდეს, როგორც კონკრეტული იურიდიული ამოცანა ან ასევე შევიდეს პარტიისა თუ მთავრობის პროგრამაში. კონსტიტუციის მე-20 მუხლის პირველი თავი სოციალური სახელმწიფოს პრინციპის შესახებ, გერმანიას ავალდებულებს, თავიდან აიცილოს შემოსავლებისა და ქონების განაწილების მკვეთრი უთანასწორობა. კერძოდ, საქონლით ოპტიმალური უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საერთოსაკანონმდებლო რეგულირებები არ შემუშავებულა, ვინაიდან ხელახალი აღმშენებლობის ფაზაში მას იგივე მნიშვნელობა ენიჭებოდა, რაც ეკონომიკური ზრდის მიზანს. 1956 წელს მიღებული ბინათმშენებლობის კანონის მიზანი II. – აღმოფხვრილიყო საცხოვრებელი ბინების დეფიციტი, ისევე, როგორც 1957 წლის ევროპის ეკონომიკური კავშირის ხელშეკრულების 39-ე მუხლის მიზანი, ევროპის ერთიანი აგრარული პოლიტიკის ფარგლებში უზრუნველყოფილიყო სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგება, გვიჩვენებს, რომ ცალკეული პროდუქტითა თუ პროდუქტთა ჯგუფის გათვალისწინებით მომარაგებას, როგორც მიზანს, განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება მიენიჭოს. 1957 წლის ფედერალური ბანკის კანონი §3-ით ცენტრალურ ბანკს ვალუტის სტაბილურობას ავალდებულებს. 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულების 105-ე მუხლისა და ევროპის ცენტრალური ბანკის რეგლამენტის მე-2 მუხლის თანახმად, მონეტარული პოლიტიკის მიზანია, ევროკავშირის სივრცეში ფასების დონის მუდმივი ზრდის თავიდან აცილება.

1963 წელს მიღებული კანონი საერთო-ეკონომიკური განვითარების შეფასების მიზნით ექსპერტთა საბჭოს შექმნის შესახებ, §3-ში ეხება ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების ფართო ჩამონათვალს, რომელიც თავად სახელმწიფო ორგანოებს არ ავალდებულებს. ექსპერტთა საბჭომ, ანუ დამოუკიდებელ ექსპერტთა გაერთიანებამ, „... უნდა შეისწავლოს, თუ საბაზრო ეკონომიკური წესრიგის ფარგლებში, როგორ უნდა მოხდეს ერთდროულად ფასების დონის სტაბილურობის, დასაქმების მაღალი დონისა და მუდმივი და სათანადო ეკონომიკური ზრდის პირობებში საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა. კვლევა ასევე უნდა მოიცავდეს შემოსავლებისა და ქონების შექმნისა და განაწილების საკითხს.“ 1967 წელს მიღებულ კანონში სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის შესახებ, ისევ გათვალისწინებულია კონიუნქტურულ-პოლიტიკური სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის მიზნები, თუმცა, განაწილების მიზნებზე არაფერია ნათქვამი.

გარემოს დაცვა პირველად შევიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გარემოს დაცვის პროგრამაში 1971 წელს, როგორც სახელმწიფო ქმედების და-

მოუკიდებელი მიზანი. გარემოს დაცვის პოლიტიკა განსაზღვრულია, როგორც ყველა სახის ღონისძიების ერთობლიობა, რომლებიც საჭიროა, „ ...ადამიანებისათვის გარემოს ისეთი ფორმით შენარჩუნებისათვის, როგორიც ეს მათი ჯანმრთელობისა და ღირსეული არსებობისთვისაა საჭირო, რათა მოხდეს ნიადაგის, ჰაერის, წყლის, მცენარეებისა თუ ცხოველთა სამყაროს დაცვა ადამიანის მხრივ დამაზიანებელი ჩარევისაგან და რათა თავიდან აცილებულ იქნას ადამიანის მხრიდან ჩარევით გამოწვეული ზიანი.“ 1987 წლიდან ევროკავშირის დონეზეც არსებობს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული სრულიად ცხადი მიზნები. ევროკავშირის დეკლარირებულ მიზანს წარმოადგენს გარესამყაროს შენარჩუნება, დაცვა და მისი ხარისხის გაუმჯობესება. ამასთან, ევროკავშირი წინდახედულობასა და პრევენციას საკუთარ ვალდებულებად მიიჩნევს. 1994 წლიდან გერმანიის კონსტიტიციის მე-20 ა მუხლით, ბუნებრივი, სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობების დაცვა სახემწიფო მიზნის რანგშია აყვანილი. ამასთან, მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობა სრულიად ნათლად არის ხაზგასმული.

14.2 ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზანთა კონფლიქტის მიზეზები და შედეგები

პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების კატალოგში გათვალისწინებული უნდა იყოს ცალკეულ მიზნებს შორის ურთიერთობა. თუ, ერთ მიზანთან მიახლოება იმავდროულად სხვა მიზანთან მიახლოებას უწყობს ხელს, საქმე გვაქვს ორ მიზანს შორის არსებულ მიზნის ჰარმონიასთან. თუ ერთ მიზანთან მიახლობა, პირიქით უარყოფითად მოქმედებს სხვა მიზნის მიღწევაზე, თავს იჩენს მიზნის კონფლიქტი. იმ შემთხვევაში, თუ ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზანი სხვა მიზნებზე არანაირ გავლენას არ ახდენს, საქმე მიზნის ნეიტრალობასთან გვაქვს.

თუ კეთილდღეობის ოპტიმუმის პოსტულატიდან, როგორც კეთილდღეობის ეკონომიკის ამოსავალი წერტილიდან გამოვალთ, რომელშიც არსებობს საზოგადოების კეთილდღეობის ფუნქცია და, შესაბამისად, შესაძლებელია, როგორც ეფექტური ალოკაციის, ასევე სამართლიანი განაწილების განხორციელება, ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების კონფლიქტი გამორიცხულია. ყველა მიზანი ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობის ოპტიმუმის მიღწევას. პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკისათვის მეტად მნიშვნელოვანი მიზანთა კონფლიქტი, აქედან გამომდინარე, უნდა წარმოიშვას თეორიული კრიტერიუმების საპირისპიროდ რეალობიდან გადახვევის გზით. საზოგადოებრივი პრიორიტეტების რანჟირების პროცესში წარმოქმნილი ზემოთ აღნიშნული პრობლემების მიუხედავად, არსებობს მიზანთა კონფლიქტის სამი ძირითადი მიზეზი:

- ტრანზაქციის ხარჯების წარმოქმნა;
- კონკურენციის წონასწორობის მიუღწევლობა, რაც გვაიძულებს, ვეძებოთ „მეორე საუკეთესო გამოსავალი“;
- დღემდე არსებული კეთილდღეობის ეკონომიკის ანალიზის სტატიკური ხასიათი.

ტრანზაქციის ხარჯები, მაგალითად, მოსალოდნელია წარმოიშვას განაწილების პოლიტიკის ღონისძიებებით. საქონლის, შემოსავლებისა და ქონების გადანაწილების პროგრამები შეცვლილი მასტიმულირებელი მოქმედებით, ხშირად, ოპტიმალურ ალოკაციაზე პირდაპირ და კერძოდ, უარყოფით გავლენას ახდენენ. ტრანზაქციის არაპირდაპირი ხარჯები წარმოიშობა სახელმწიფო ბიუროკრატიის შექმნით, რომელსაც მინდობილი აქვს დაგეგმვა, გადანაწილების ღონისძიებების გატარება და კონტროლი. ტრანზაქციის ხარჯების გათვალისწინების გზით, კეთილდღეობის საზღვრის ფარგლებში, ვიწროვდება ეფექტური ალოკაციების სფერო, როგორც ეს ნახაზზე 14.2-ია ნაჩვენები. ამით თავს იჩენს ეფექტურობისა და განაწილების მიზნებს შორის კონფლიქტი, რომლის შედეგებიც შესაძლებელია, საკმაოდ მძიმე აღმოჩნდეს, თუ აღნიშნული ხარჯები თავს მოიყრის გადანაწილების ნეტო სარგებლის გამოთვლაში. ტრანზაქციის მსგავსი ხარჯების ზუსტი აღრიცხვის წინაპირობას წარმოადგენს ამომწურავი ინფორმაცია ინდივიდუალური სარგებლიანობისა და წარმოების ფუნქციების შესახებ, რაც რეალურად განუხორციელებელია. და მაინც, ტრანზაქციის ხარჯების გამო ეფექტურობის შესაძლო შემცირება წარმოადგენს გამაფრთხილებელ სიგნალს განაწილების პოლიტიკის გადამეტებული ჩარევის შესახებ.

კონკურენციის წონასწორობის კონცეფცია ეფუძნება ჰიპოთეზების კრებულს, რომლებიც რეალობაში მხოლოდ ცალკეული ტენდენციების სახით გვხვდება. ძნელია გამოვიდეთ იმ დაშვებიდან, რომ ეკონომიკა ოდესმე მართლა მიაღწევს ოპტიმალურ ალოკაციას. მაგრამ თუ ხანგრძლივი დროის მანძილზე ადგილი აქვს ოპტიმალური ალოკაციიდან, კეთილდღეობის თეორიის თვალსაზრისით „პირველი საუკეთესო გამოსავლის“ კონცეფციიდან გადახვევას და ამით ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების მთელ პაკეტში მთავარი მიზნის წარუმატებლობას, იგი მოცემულ პირობებში უარყოფითად იმოქმედებს სხვა მიზნებზეც. „მეორე საუკეთესო გამოსავლის“ თეორიის თანახმად, მსგავს სიტუაციაში მიზანშეწონილი იქნებოდა ერთ ან რამდენიმე ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზანზე უარის თქმა, რათა საბოლოო ჯამში, მიღწეულ იქნას მეორე საუკეთესო კეთილდღეობის ოპტიმუმი. მეორე საუკეთესო გამოსავლის შესახებ მაგალითს წარმოადგენს პატენტის დაცვის გამართლება. პატენტები ინოვაციური საქონლის ბაზრებზე ქმნიან მონოპოლიას, რომლებზეც არ სრულდება სრულყოფილი კონკურენციის მნიშვნელოვანი პირობა, კერძოდ, სრულყოფილი ინფორმაციის არსებობა, ბაზარზე სამომავლო შანსების შესახებ გაურკვევლობის მაღალი დონის გამო.



ნახაზი 14.2: გადანაწილების ტრანზაქციის ხარჯები

გადანაწილების ტრანზაქციის ხარჯების არსებობის შემთხვევაში, კეთილდღეობის ოპტიმუმიდან გამომდინარე, R-თან, კეთილდღეობის საზღვრის ფარგლებში, მცირდება ეფექტური ალოკაციების ხელმისაწვდომი რაოდენობა.

„მეორე საუკეთესო გამოსავლის“ კონცეფციის თანახმად, ასევე საჭიროა, რომ მეწარმეების მიერ შრომით ბაზარზე ხელფასის განსაზღვრისას, მოლაპარაკებების დროს არსებულ შესაძლო გავლენას დაუპირისპირდეს მიზანმიმართული, დამსაქმებელთა ორგანიზებული წარმომადგენლობები, უპირველეს ყოვლისა, პროფკავშირები, მაშინაც კი, თუ ამით დაზარალდება შრომითი ბაზრის ქმედითუნარიანობა. ამ მაგალითზე კარგად ჩანს, რომ „მეორე საუკეთესო გამოსავალი“ ხშირად, არა ტექნიკურ სიძნელეებს, არამედ „პირველი საუკეთესო გადაწყვეტის“ მიღწევის საკითხში პოლიტიკურ წინააღმდეგობებს უკავშირდება. ამდენად, მეორე საუკეთესო ალტერნატივის მისაღწევად, მიზანთა კონფლიქტის გადაჭრა შესაძლებელია ვიპოვოთ არა კეთილდღეობის თეორიაში, არამედ მხოლოდ პოლიტ-ეკონომიური ანალიზის საფუძველზე.

და ბოლოს, მნიშვნელოვანი კონფლიქტები ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებს შორის შენიღბულია კეთილდღეობის თეორიული დღემდე გამოკვლეული მოდელის ჩარჩოს სტატიკური ბუნებით. რესურსებით უზრუნველყოფის ან წარმოების ტექნოლოგიის დინამიკური ცვლილებები ზრდის წარმოების შესაძლებლობების არეალს. თუმცა, როგორც წესი, ინდივიდუალურ სამომხმარებლო შესაძლებლობებს ეს სრულიად განსხვავებული ფორმით ეხება. ეკონომიკურ ზრდას თან ახლავს მოგებული და წაგებული მხარეები. იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო ვაჭრობაზე, რომელსაც აგრეგირებულ დონეზე ყველა მონაწილე ქვეყნისათვის სარგებელი მოაქვს, თუმცა მას შესაძლოა თან ერთვოდეს სტრუქტურულ ადაპტაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი პრობლემები, რომლებიც სრულყოფილი სახით მხოლოდ დროთა განმავლობაში იჩენენ თავს.

14.3 მიზანთა კონფლიქტის თავიდან აცილება კომპენსაციის გზით

ეკონომიკურ ზრდისა და განაწილების მიზნებს შორის მოსალოდნელი კონფლიქტის განმუხტვა შესაძლებელი იქნებოდა, თუ მოგებული მხარეები დაზარალებულთათვის კომპენსაციის გადახდას შეძლებდნენ ისე, რომ საბოლოო ჯამში, ეფექტური მოგებით ყველა ინდივიდი ისარგებლებდა. ნიკოლას კალდორისა (1939) და ჯონ ჰიკსის (1939) მიერ განვითარებული კრიტერიუმის მიხედვით, ეფექტურობის ასამაღლებელი ღონისძიების გატარება კეთილდღეობის ნეტო ზრდისათვის უკვე საკმარისია. აღნიშნული შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ რეალობაში ნაკლებად ხდება. ნახაზზე 14.3. შესაძლებელია *E* და *G* სარგებლის განაწილებაზე დაკვირვება. *E*-ს მოძრაობა *G*-ს მიმართულებით ზრდის *A* ინდივიდის სარგებელს, თუმცა ამცირებს *B*-ს სარგებელს. *A*-ს პრინციპში, შეუძლია *B*-ს მისცეს კომპენსაცია თავისი მოგებიდან ისე, რომ საბოლოოდ, მიღწეულ იქნას სარგებლის *H* განაწილება. შედეგად, *B*-ს მდგომარეობა უარესი სულაც არ არის, ხოლო *A*-ს მდგომარეობა აშკარად უკეთესია ისე, რომ პარეტოს კრიტერიუმის თანახმად, ადგილი აქვს მდგომარეობის გაუმჯობესებას.

კალდორ-ჰიკსის კრიტერიუმის მიხედვით, კომპენსაციის იდეა პრაქტიკულ გამოყენებას ჰპოვებს სარგებელი-ხარჯების-ანალიზში, რომელშიც ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების სხვადასხვა ეფექტების შეფასებაა მოცემული. ამასთან, ღონისძიებების შედეგად დაზარალებულთა ხარჯებს უპირისპირდება

ღონისძიებების შედეგად მოგებული მხარის გადახდისათვის მზადყოფნა. აღნიშნული ღონისძიების რეალურად განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს სარგებელი-ხარჯების-შედარების დადებითი სალდო. გადახდისათვის მზადყოფნის გაზომვით უნდა გაირკვეს მოგებული მხარის სარგებელი. თუმცა, ღიად რჩება საკითხი, რამდენად და რა მოცულობით იქნება გამოყენებული გადახდისათვის მზადყოფნა დაზარალებულთათვის პირდაპირი კომპენსაციის გადახდის სახით.



ნახაზი 14.3: კომპენსაცია კალდორ-ჰიკსის კრიტერიუმის მიხედვით

პარეტოს კრიტერიუმის მიხედვით, ალოკაციის ცვლილება E-დან G-სკენ სუბოპტიმალურია, ვინაიდან, ერთი ინდივიდის მდგომარეობა უმჯობესდება, ხოლო მეორის – უარესდება. A-ს, პრინციპში, შეუძლია B-ს კომპენსაცია გადაუხადოს ისე, რომ H-თან მიღწეულ იქნეს სარგებლის განაწილება, რომლის დროსაც B-ს მდგომარეობა E-თან შედარებით არ გაუარესდება.

კალდორ-ჰიქსის კრიტერიუმის კრიტიკოსებმა ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების შეფასებისას რეალური გადანაწილების ეფექტების გათვალისწინების ნაკლოვანებაზე მიუთითეს. გარდა ამისა, მათ ყურადღება გაამახვილეს საფრთხეზე, რომ აღნიშნული კრიტერიუმის გამოყენებისას, მარტივად შეიძლება თავი იჩინოს შესაძლო მდგომარეობების (გარდაუვალმა) იერარქიამ. კომპენსაციასთან დაკავშირებული შესაძლებლობები და სარგებელი-ხარჯების-ანალიზები ეკონომიკურ-ეკოლოგიური მიზნების კონფლიქტების მოგვარების საკითხშიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. თუმცა, გარემოსადმი მიყენებული ზიანის შეფასებისას, ისევე როგორც სამუდამოდ დაკარგული (აღდგენის უნარს მოკლებული) რესურსების შესაძლო კომპენსაციის კვლევისას, მნიშვნელოვანად ფართოვდება შეფასების არეალი.

ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების ეფექტურობისა და მათი შედეგების განაწილების შესახებ არასრულყოფილი ინფორმაციის დროს, თითოეული ინდივიდი მოტივირებულია, საკუთარი სარგებელი ნაკლებად, ხოლო ზარალი მეტად წარმოაჩინოს. ამ გზით შესაძლებელია საკომპენსაციო თანხის გაზრდა. ამ შემთხვევაში, მაღალი კომპენსაციის გამო, ბევრი ღონისძიების გატარებას ადგილი აღარ აქვს, ხდება სტატუს-ქვოს გამყარება. აღნიშნული დილემიდან გამოსავალს გვთავაზობს კარლ-ქრისტიან ფონ ვაიცზეკერის (1998) მიერ შემუშავებული ზოგადი კომპენსაციის კრიტერიუმი. ის ცდილობს, თავი დააღწიოს კეთილდღეობის ეკონომიკის ძირითადი მოდელის სტატიკურ ბუნებას და ცალკეული ღონისძიების კომპენსაციაზე ფიქსირებას.

ფონ ვაიცზეკერი საბაზრო-ეკონომიკურ კონკურენციას განიხილავს, როგორც მექანიზმს, რომელიც ცალკეული შემთხვევების დიდ რაოდენობაში მაღალი ეფექტიანობისათვის ზრუნავს. კერძოდ, ყველა ცალკეულ შემთხვევაში ყოველი ინდივიდი მოგებულად ვერ ჩაითვლება, თუმცა, დიდი ალბათობით თითოეულ მათგანს შეუძლია საერთო-ეკონომიკური ეფექტურობის გაუმჯობესების ხარჯზე ინდივიდუალური კეთილდღეობის იმედი ჰქონდეს. რაც უფრო მაღალია ეფექტურობის გაუმჯობესების ხარისხი, მით მეტია იმის ალბათობა, რომ თითოეული ინდივიდი მოგებული დარჩება და სწორედ ამასთან არის დაკავშირებული მისი ინტერესი. ზოგადი კომპენსაციის თვალსაზრისით, ანუ მეტწილად ძალზე ეფექტური პროექტებიდან მიღებული მოგების ხარჯზე, ცალკეული პროექტის დროს შემთხვევითი დანაკარგის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თვალსაზრისით, როგორც ჩანს, ეფექტურობაზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკისათვის საჭიროა საზოგადოებრივი მხარდაჭერა. ამის წინაპირობას წარმოადგენს, ერთი მხრივ, საბაზრო ძალაუფლების თავიდან აცილებისათვის საჭირო ღონისძიებები, რათა უზრუნველყოფილ იქნას მოგების შედეგების ფართოდ განაწილება, ასევე ინფლაციის დამარცხება, რათა შენარჩუნებულ იქნას საბაზრო მექანიზმის ქმედითუნარიანობა, ასევე კონკურენციის უპირატესობის შესახებ ყველა დაზარალებული მხარის საკმარისი ინფორმაციით უზრუნველყოფა. ამით ზოგადი კომპენსაციის კრიტერიუმი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც სოციალური საბაზრო ეკონომიკის წესრიგის პოლიტიკის საფუძვლების გამართლება.

14.4 მაგალითი: ფილიპსის მრუდი და კუზნეცის მრუდი

პრაქტიკულ ეკონომიკურ პოლიტიკაში ორი განსაკუთრებით გამორჩეული მიზანთა კონფლიქტი მოიცავს, ერთი მხრივ, ფასების დონის სტაბილურობისა და სრულყოფილი დასაქმების და, მეორე მხრივ, ეკონომიკური ზრდისა და სამართლიანი განაწილების მიზნებს. ორივე მათგანი ცნობილი ეკონომისტების სახელს ატარებს. პირველ შემთხვევაში, საუბარია ფილიპსის მრუდზე, რომელსაც სახელი ალბენ ფილიპსის პატივსაცემად დაერქვა, ხოლო მეორე შემთხვევაში – კუზნეცის მრუდზე, რომელიც სიმონ კუზნეცის შრომებს ეფუძნება. ამ ორ კონფლიქტს სხვადასხვა საფუძველი აქვს. მაშინ, როდესაც, ფილიპსის მრუდი „მეორე საუკეთესო გამოსავალს“უკავშირდება, კუზნეცის მრუდი წარმოადგენს მიზანთა კონფლიქტისადმი დინამიკური მიდგომის ტიპურ მაგალითს.

ფილიპსის მრუდის თეორია, როგორც ეს ნახაზზე 14.4.-ია გამოსახული, გვიჩვენებს რომ შეიძლება არსებობდეს ეკონომიკურ-პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობა ინფლაციისა და უმუშევრობის დონეებს შორის. იგი ეფუძნება მოსაზრებას, რომ ერთდროულად შეუძლებელია უმუშევრობისა და ინფლაციის სრული შემცირება, ვინაიდან, ინფლაციის ნულოვანი მაჩვენებლის შემთხვევაშიც კი, „ბუნებრივი“ უმუშევრობის არსებობის საფუძველი მაინც რჩება. ეს აიხსნება შრომის ბაზრის სტრუქტურული პრობლემებით, რომელთა გადაჭრაც მოკლევადიან პერიოდში ვერ ხერხდება. ფილიპსის მრუდის მიხედვით, ინფლაციის დონის მიზანმიმართული გაზრდით მაინც შესაძლებელია უმუშევრობის მაჩვენებლის „ბუნებრივი“ დონის ქვევით დაწევა. მექანიზმზე, რომელიც ამის უკ-

ან დგას, პასუხისმგებელია შრომის ბაზარზე არსებული მოკლევადიანი ხარვეზები, რომლებიც მოლოდინების წარმოქმნასთან არის დაკავშირებული.



ნახაზი 14.4: ფილიპსის მრუდი

გრძელვადიანი ფილიპსის მრუდი წარმოადგენს ვერტიკალურ ხაზს ბუნებრივი Un უმუშევრობის დონის ზევით. მოკლევადიან ფილიპსის მრუდებს აქვთ უარყოფითი დახრა, რაც გულისხმობს Trade Off-ს ინფლაციისა და არასრული დასაქმების დონეებს შორის. მოკლევადიანი ფილიპსის მრუდების მდებარეობა დამოკიდებულია ინფლაციის მოლოდინების ოდენობაზე.

თუ დასაქმებულის მიერ ინფლაციის დონის ზრდა დროულად არ განისაზღვრა, ფასების დონის ზრდის გამო შემცირდება რეალური ხელფასი და, შესაბამისად, დასაქმებულთა რაოდენობაც. იმ შემთხვევაში, თუ მოხდა პირიქით და ნომინალური ხელფასები ფასების დონის ზრდის შესაბამისად გაიზარდა, რეალური ხელფასი და უმუშევრობის დონეც უცვლელი დარჩება. ვინაიდან, ფილიპსის მრუდის თვალსაზრისით, არსებობს ინფლაციისა და უმუშევრობის დონეებს შორის არჩევანის საშუალება, ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, გასარკვევი მხოლოდ ის რჩება, თუ სად მიიღწევა მეორე საუკეთესო ოპტიმუმი. ამ მიზნით, საზოგადოების კეთილდღეობის ფუნქციის მსგავსად საჭიროა, განისაზღვროს ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნის ფუნქცია, რომელშიც არგუმენტის სახით შევა, ერთი მხრივ, ინფლაციის დასაძლევად, ხოლო მეორე მხრივ, სრულყოფილი დასაქმებისათვის საჭირო პოლიტიკური პრიორიტეტები. ამგვარი მიზნის ფუნქციის განურჩევლობის მრუდები ფილიპსის მრუდს ეხებიან მეორე საუკეთესოს ოპტიმუმში, მაშინ როდესაც პირველი საუკეთესო გადაწყვეტა – კერძოდ, ნულოვანი ინფლაცია და ნულოვანი უმუშევრობა – პრაქტიკაში მიუღწევლად მიიჩნევა.

განსაკუთრებული პოლიტეკონომიური პრობლემები, რომლებიც თავს იჩენენ ფილიპსის მრუდის თეორიის „მეორე საუკეთესო“ თეორემის თვალსაზრისით ეკონომიკურ-პოლიტიკური გამოყენების დროს, მე-17 თავში უფრო დაწვრილებით არის გაანალიზებული.

სიმონ კუზნეცი და არჩევანი (Trade Off) ეკონომიკურ ზრდას და განაწილებას შორის

სიმონ სმიტ კუზნეცი (1901-1985) დაიბადა ხარკოვში, უკრაინა. 1922 წელს იგი ემიგრაციაში წავიდა აშშ-ში. ის ეკონომიკურ მეცნიერებებს ეუფლებოდა ნიუ-იორკის კოლუმბიის უნივერსიტეტში, სადაც 1926 წელს ხარისხი დაიცვა. ნიუ-იორკში *Social Science Research Council*-სა და *National Bureau of Economic Research*-ში მუშაობის შემდეგ, 1931 წელს მიიწვიეს ფილადელფიაში პენსილვანიის უნივერსიტეტის *Wharton School*-ში ეკონომიკური მეცნიერებებისა და სტატისტიკის პროფესორად. 1954-1960 ის იყო ბალტიმორში ჯონ ჰოპკინსის სახელობის უნივერსიტეტის პოლიტიკური ეკონომიის პროფესორი. 1960 წელს იგი ჰარვარდში პოლიტიკური ეკონომიის კათედრის გამგედ დაინიშნა. 1971 წელს კუზნეცი ეკონომიკური ზრდის შესახებ გაწეული ემპირიული კვლევებისთვის ეკონომიკური მეცნიერებების დარგში ნობელის პრემია მიენიჭა. მისი მთავარი შრომებია: *National Income and Its Composition, 1919 to 1938* (*New York*, 1941); „*EconomicGrowth and Income Inequality*“ (*American Economic Review*, 1955).

კუზნეცი აშშ-ში ციკლური ნაკადების ემპირიული შესწავლის თვალსაზრისით პიონერულ შრომას ეწეოდა. ამით მან მნიშვნელოვანი საფუძველი ჩაუყარა როგორც ეკონომეტრიკის განვითარებას, ასევე მაკროეკონომიკური ქცევის ჰიპოთეზების ჩამოყალიბებას, მაგალითად მილტონ ფრიდმანის სამომხმარებლო თეორიას პერმანენტული შემოსავლის საფუძველზე. აშშ-ს კონიუნქტურული განვითარებისათვის მან მოახდინა დაახლოებით 15-20 წლიანი საშუალოვადიანი ციკლის იდენტიფიცირება, რომელსაც მოგვიანებით კუზნეცის ციკლი ეწოდა. თავის გვიანდელ შრომებში მან განსაკუთრებული ადგილი განვითარებადი ქვეყნების პრობლემატიკას დაუთმო. იგი ცდილობდა ემპირიული გზით აეხსნა, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესი თავიდან დაკავშირებულია შემოსავლების პერსონალური განაწილების გაუარესებასთან, მოგვიანებით კი მოსალოდნელია აღნიშნული პროცესის შემობრუნება. ამ კავშირის მიზეზს, რომელიც ასევე კუზნეცის მრუდის სახელითაა ცნობილი, წარმოადგენს განვითარების პროცესში სტრუქტურული მოუქნელობა, რომელიც მხოლოდ გრძელვადიან პერსპექტივაში იძლევა გაზრდილი შემოსავლების მოსახლეობის ყველა ჯგუფზე თანაბრად განაწილების საშუალებას.



ნახაზი 14.5: კუზნეცის მრუდი

კუზნეცის მრუდი ასახავს განვითარების მდგომარეობას გაზომილს ერთ სულ მოსახლეზე შემოსვლის სიდიდით და პერსონალური შემოსავლების არათანაბარ განაწილებას შორის კავშირს. იგი გულისხმობს, რომ განვითარების პროცესში შემოსავლების არათანაბარი განაწილება თავდაპირველად იზრდება, ხოლო შემდგომ გრძელვადიან პერსპექტივაში კვლავ მცირდება.

კუზნეცის მრუდი, რომელიც გამოსახულია ნახაზზე 14.5, ეფუძნება ჰიპოთეზას, რომ ეკონომიკური განვითარების პროცესში, საწყის ეტაპზე პერსონალური შემოსავლების განაწილება უარესდება. ამის მიზეზი უნდა ვეძებოთ მთლიან მოსახლეობაზე განვითარების შედეგად მიღებული მოგების არათანაბარ განაწილებაში. განვითარებად ქვეყნებში დიდი რაოდენობით სამუშაო ძალის არსებობის გამო, მეტისმეტად მცირე კაპიტალის პირობებში, როგორც წესი, მოგების სახით შემოსავალი განვითარების პროცესში უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ხელფასის სახით შემოსავლები. ფუნქციონალური შემოსავლების განაწილების ეს ცვლილებები, როგორც წესი ასევე პერსონალური შემოსავლების განაწილების გაუარესებაზეც აისახება. განვითარების მხოლოდ გვიანდელ ფაზაში მაშინ, როდესაც სამუშაო ძალა უფრო მცირე, ხოლო კაპიტალი შედარებით ნაკლებად მცირეა ისე, რომ განვითარებიდან მიღებული მოგება მოსახლეობის ყველა ჯგუფისათვის ერთნაირად საგრძნობი ხდება, შემოსავლების განაწილება კვლავ უმჯობესდება. ამასობაში, კუზნეცის მრუდის კონცეფცია ეკონომიკურ ზრდასა და გარემოს დაცვას შორის არსებულ კავშირზე გამართულ დისკუსიებშიც პოულობს გამოყენებას. ამასთან, უკვე არსებობს ეკოლოგიური კუზნეცის მრუდის ცნებაც, რომლის თანახმადაც, ეკონომიკური განვითარების პროცესში გარემოს დაბინძურება თავიდან იზრდება, ხოლო მოგვიანებით მდგომარეობა კვლავ უმჯობესდება.

ძირითადი ცნებები

- ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებები
- მიზნის ჰარმონია
  მიზნის კონფლიქტი
  მიზნის ნეიტრალობა
- ტრანსაქციის ხარჯები
  „მეორე საუკეთესო გამოსავალი“
- კალდორ-ჰიქსის კრიტერიუმი
  სარგებელი-ხარჯის-ანალიზი
  გენერალური კომპენსაცია
- ფილიპსის მრუდი
  კუზნეცის მრუდი
  ეკოლოგიური კუზნეცის მრუდი

დავალებები

1. დინამიკური კონკურენცია და „მეორე საუკეთესოს“ თეორია

იმსჯელეთ, რამდენად შესაძლებელია დინამიკური კონკურენციის თეორიის ეკონომიკურ-პოლიტიკური რეკომენდაციები გაგებულ იქნას, როგორც „მეორე საუკეთესო გამოსავალი“.

2. ფასების დონის სტაბილურობა გაცვლითი კურსის სტაბილურობის წინააღმდეგ
განმარტეთ, რასთან შეიძლება იყოს დაკავშირებული ფიქსირებული გაცვლითი კურსისა და სრულყოფილი საერთაშორისო კაპიტალის მობილურობის შემთხვევაში, ფასების დონის სტაბილურობასა და გაცვლითი კურსის სტაბილურობას შორის მიზანთა კონფლიქტის არსებობა.

3. ეკოლოგიური კუზნეცის მრუდი
იმსჯელეთ ეკოლოგიური კუზნეცის მრუდის არსებობის შესაძლო საფუძვლებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების ძირითადი საზოგადოებრივი ღირებულებებიდან გამომდინარეობის შესახებ მსჯელობს *Streit* (2005). ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნის კონფლიქტების შესაძლო მიზეზებს აანალიზებენ *Acocella* (1998) და *Stiglitz* (2000). კომპენსაციის კრიტერიუმების პრობლემატიკას განმარტავენ *Donges/Freytag* (2009). ფილიპსის მრუდის შესახებ დისკუსიასა და დასკვნას გვთავაზობენ *Landmann/Jerger* (1999). კუზნეცის მრუდთან დაკავშირებით კრიტიკულ განხილვას გვთავაზობენ *Aghion/Williamson* (1998).

ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული მიზნების ოპერაციონალიზაცია

15.1 სრული დასაქმება 313
15.2 ფასების დონის სტაბილურობა 316
15.3 საგადასახდელო ბალანსის წონასწორობა 319
15.4 საქონლით ოპტიმალური უზრუნველყოფა და ეკონომიკური ზრდა 322
15.5 გარემოს დაცვა 325
15.6 განაწილების სამართლიანობა 327

15 თავი

სწავლების მიზნები

- სრული დასაქმების მიზნიდან გადახვევა იზომება უმუშევართა ქვოტით. როგორც უმუშევრების, ასევე სამუშაო ძალის პოტენციალის (შრომითი რესურსების) აღრიცხვა დაკავშირებულია სტატისტიკისა და კონცეპტუალურ პრობლემებთან. ბევრჯის მრუდი გვეხმარება, უმუშევრობის ფრიქციულ-სტრუქტურული დეტერმინანტები შრომის ბაზარზე არსებული ჭარბი მიწოდებისაგან განვასხვავოთ.

- ფასების დონის სტაბილურობის, შესაბამისად, ინფლაციის გაზომვა შესაძლებელია ფასის ინდექსის ცვლილების საფუძველზე. ცხოვრების დონის ფასის ინდექსი სხვადასხვა ფაქტორების გამო დამახინჯებულია ისე, რომ იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ფიქსირდება ინდექსის 2 %-იანი ზრდა, ფასების დონე მაინც სტაბილურად შეიძლება შეფასდეს. საბაზისო ინფლაციის გამოთვლის დროს, გათვალისწინებულია ინდექსის დამახინჯება, განსაკუთრებით ისეთი საქონლის ჯგუფის შემთხვევაში, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფასის მერყეობა.

- იმის გამო, რომ საგადასახდელო ბალანსი ფორმალურად ყოველთვის წონასწორობაშია, საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზანი ორიენტაციას იღებს სავალუტო რეზერვების ბალანსის ან მიმდინარე ანგარიშების ბალანსის სალდოზე.

- მატერიალური კეთილდღეობის ზრდა იზომება ერთ სულ მოსახლეზე რეალური მთლიანი შიდა პროდუქტით. მიუხედავად უამრავი კრიტიკისა, რომელიც მიმართულია მთლიანი შიდა პროდუქტის გაზომვისა და ინტერპრეტაციისაკენ, კეთილდღეობის გაზომვის ალტერნატიული კონცეფციების დანერგვა დღემდე არ ხერხდება.

- გარემოს დაცვის პოლიტიკასთან დაკავშირებული მიზნების მიღწევა იზომება ემისიების, იმისიებისა და გარემოსადმი მიყენებული ზიანის საფუძველზე. გერმანიაში გარემოს დაცვის ინდექსთან (DUX) ერთად, ბოლო დროს ასევე გამოიყენება გარემოს მდგომარეობის, მისი დაცვის ხარისხის შეფასების მრავალგანზომილებიანი ინდიკატორი.

- ფუნქციონალური განაწილების შეფასების მიზნით, გამოიყენება სახელფასო ქვოტა. პერსონალური განაწილება მოწმდება ლორენცის მრუდისა და ჯინის კოეფიციენტების დახმარებით. სიღარიბის დონის გასაზომად გამოიყენება სიღარიბის ზღვარის განსაზღვრა და სიღარიბის ქვოტას გამოთვლა.

15.1 სრული დასაქმება

1920-30 წლების ეკონომიკური კრიზისის დროს, ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ხანგრძლივ მასობრივ უმუშევრობას პირველად ჰქონდა ადგილი. ამ პერიოდიდან მოყოლებული, დასაქმების მაღალი დონის უზრუნველყოფა ეკონომიკურ-პოლიტიკური დებატების, კამათისა და გადაწყვეტილებების ცენტრალურ მიზანს წარმოადგენს. უმუშევრობა, ეფექტურობის თვალსაზრისით, შრომის – როგორც ეკონომიკური რესურსის გაფლანგვას გულისხმობს. უმუშევრობის მიზეზით შემოსავლების არქონა პერსონალური შემოსავლების განაწილების მზარდ უთანაბრობას იწვევს. შემცირებული შემოსავლებითა და მზარდი ხარჯებით უმუშევრობა უარყოფითად მოქმედებს სახელმწიფო ბიუჯეტის ფინანსურ მდგომარეობაზე. საბოლოოდ, გასათვალისწინებელია ასევე უმუშევრობის სოციალური და პოლიტიკური შედეგებიც. მწარმოებლური შრომა თვითდამკვიდრებასა და პიროვნული განვითარების შესაძლებლობას იძლევა. უმუშევრობა კი ინდივიდებს ეკონომიკური და საზოგადოებრივი გადაწყვეტილებების მიღების პროცესიდან მიჯნავს. საბაზრო ეკონომიკაში მას ასევე შეუძლია ეკონომიკური წესრიგის ქმედითუნარიანობაში დაეჭვებაც კი გამოიწვიოს, რასაც თან ახლავს პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ეკონომიკური სისტემის ძირფესვიანი ცვლილება, რასაც ადგილი ჰქონდა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს.

უმუშევართა ქვოტაზე დაკვირვებით შესაძლებელია სრული დასაქმების მიზნის, ისევე როგორც მიზნიდან გადახვევის ანალიზის ოპერციონალიზაცია. უმუშევართა ქვოტა განისაზღვრება, როგორც უმუშევრებისა და შრომითი რესურსების ანუ დასაქმებულებისა და უმუშევრების ჯამის შეფარდება. უმუშევრებისა და დასაქმებულების რაოდენობის სტატისტიკური დიფერენცირების დროს წარმოიშვება პრობლემები, რომლებიც, პირველ რიგში, ართულებენ უმუშევართა ქვოტების შედარებას საერთაშორისო დონეზე. ზოგადად, უმუშევართა სტატისტიკა უნდა მოიცავდეს პირებს, რომლებსაც არა აქვთ სამუშაო, ეძებენ სამსახურს და შრომის ბაზრისთვის ხელმისაწვდომნი არიან. გერმანიაში, ნიურნბერგის შრომის ბაზრის ფედერალური სააგენტოს მიერ ზემოთხსენებული დიფერენცირების საფუძველზე, უმუშევრად ითვლება, ვინც:

- 65 წლის ქვემოთაა,
- შრომისუნარიანია და დროებით არ არის დასაქმებული,
- რეგისტრირებულია დასაქმების სააგენტოში, როგორც უმუშევარი,
- ეძებს სავალდებულო დაზღვევას დაქვემდებარებულ საქმიანობას, კვირაში 18 სამუშაო საათზე მეტი დროით, სამ თვეზე მეტი პერიოდით (ანუ არა მხოლოდ არდადეგებზე დროებით დასაქმებას).

ვისბადენის სტატისტიკის ფედერალური სამსახური მოსახლეობისა და მათი დასაქმების შესახებ არსებულ რეგულარულ აღწერაში უმუშევრობის რაოდენობის განსაზღვრისათვის დემარკაციის ოდნავ განსხვავებულ ფორმას იყენებს. იგი ორიენტაციას იღებს ჟენევაში განთავსებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (*International Labour Office, ILO*) ძირითად პრინციპებზე და აღრიცხავს შემოსავლების არმქონე პირთა რაოდენობას. რეგისტრირებულ უმუშევრებს ემატება პირები, რომლებიც ეძებენ ახალ სამსახურს, თუმცა:

- არ არიან რეგისტრირებულნი შრომის სახელმწიფო ბირჟაზე, ან
- ეძებენ სამსახურს კვირაში 18 საათზე ნაკლები სამუშაო დროით ან სამ თვეზე ნაკლები პერიოდით.
- აღნიშნულ სტატისტიკაში არ არის გათვალისწინებული შესაძლო შრომის უუნარობა. ამდენად, შემოსავლების არმქონეთა რაოდენობა სისტემატურად აღემატება უმუშევართა რაოდენობას.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (*Organisation for Economic Cooperation and Development*, *OECD*) პარიზში, თავისი საერთაშორისო დონეზე შესადარებელი კვლევებისათვის იყენებს ე.წ. უმუშევართა სტანდარტულ რაოდენობას. იგი ეფუძნება შერჩევითი მეთოდით სისტემატიურ კვლევას. შრომის ფარული რეზერვები, რომელიც სხვადასხვა მიზეზის გამო სახელმწიფო შრომის ბირჟაზე არ არის რეგისტრირებული, აღნიშნული მეთოდით უკეთ აღირიცხება, ხოლო სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მიერ შემოსავლების არმქონე პირთა აღწერისგან განსხვავებით, ზედმიწევნით გათვალისწინებულია შესაძლო შრომის უუნარობა. ამდენად, შემოსავლების არმქონე პირთა რაოდენობა, მოსახლეობისა და მათი დასაქმების სტატისტიკის მიხედვით, უფრო მაღალია, ვიდრე *OECD*-ის კვლევის თანახმად მიღებული უმუშევართა რაოდენობა.

არსებითი განსხვავებები სამუშაო ძალის პოტენციალის (შრომითი რესურსების) გაზომვის დროსაც გვხვდება. მაშინ, როდესაც შრომის ფედერალური სააგენტოს უმუშევართა ქვოტა ტრადიციულად, საჯარო სფეროში დასაქმებულთა რაოდენობას მოიცავს, ანუ არა თავისუფალი პროფესიის (მხატვარი, მუსიკოსი და ა.შ.) მქონე პირებსა და რეგისტრირებულ უმუშევრებს, OECD-ის უმუშევართა სტანდარტიზებული ქვოტა დასაქმებულთა საერთო რაოდენობას ეფუძნება. იგი მოიცავს, როგორც არასაჯარო სფეროში დასაქმებულებს, ასევე თავისუფალი პროფესიის მქონე პირთა ჯგუფებს. ამდენად, განსაკუთრებული მნიშვნელის გამო, გერმანიაში *OECD*-ის უმუშევართა სტანდარტიზირებული ქვოტა მუდმივად შრომის ფედერალური სააგენტოს მიერ დეკლარირებულ უმუშევართა ქვოტაზე დაბალია.

OECD-ის უმუშევართა სტანდარტიზირებული ქვოტა განსაკუთრებულად მიესადაგება უმუშევრობის განვითარების საერთაშორისო კვლევებს. გერმანიის შრომის ბაზრის განვითარების ანალიზისათვის შრომის ფედერალური სააგენტოს მონაცემებს ალტერნატივა არ გააჩნიათ. ხშირად მიზანშეწონილია, უმუშევართა საერთო ქვოტების სხვადასხვა ფორმით დაცალკევება. ამ მხრივ, შესაძლებელია სქესისა და ასაკის სპეციფიკის გათვალისწინებით, ან რეგიონულ და სექტორულ დონეზე დიფერენცირებულ ქვოტებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდეთ.

შრომის ფედერალური სააგენტოს სტატისტიკა ასევე მოიცავს ინფორმაციას უმუშევრობის ხანგრძლივობის შესახებ, უმუშევართა სტრუქტურულ მახასიათებლებს, ასევე მონაცემებს დასაქმების სააგენტოებში გაცხადებული სამუშაო ადგილების რაოდენობისა და მოთხოვნილი ვალდებულებების შესახებ. ვინაიდან არ არსებობს ვაკანსიის გამოცხადების არანაირი ვალდებულება, რეალურად გამოცხადებული ვაკანსიების რაოდენობა მუდმივად ვაკანტური ადგილების საერთო რაოდენობაზე დაბალია. ორივე სიდიდის თანაფარდობა განსაზღვრავს შრომით ბაზარზე სახელმწიფოს ჩართულობის ხარისხს ვაკანტური ადგილების შევსების დროს.



ნახაზი 15.1: ბევერჯის მრუდი

ბევერჯის მრუდი გამოხატავს U უმუშევრობის დონესა და V ვაკანტური ადგილების რაოდენობას შორის არსებულ კავშირს. მრუდზე გამოსახულია უმუშევრობის ფრიქციულ-სტრუქტურული კომპონენტები. მრუდის გასწვრივ შრომის ბაზარზე ჭარბი მიწოდების მასშტაბი ცვლილებას განიცდის, რაც შესაძლოა განპირობებული იყოს მეტისმეტად მაღალი რეალური ხელფასებით ან მოთხოვნის დეფიციტით.

დროთა განმავლობაში უმუშევართა რაოდენობასა და არსებულ ვაკანსიებს შორის შედარების საშუალებას ბევერჯის მრუდი იძლევა. შრომითი ბაზრის პოლიტიკის დიაგნოზის ინსტრუმენტი, რომელიც ასახულია ნახაზზე 15.1., გვეხმარება გაზომილი უმუშევრობის სხვადასხვა კომპონენტების იდენტიფიცირებაში. უმუშევრობის ფრიქციულ-სტრუქტურული კომპონენტები ეფუძნება შუამდგომლობის წინააღმდეგობებს, რომლებსაც ადგილი აქვთ შრომით ბაზარზე მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. მათი თავიდან აცილების შემთხვევაში, პრინციპში, შესაძლებელია საბაზრო წონასწორობა. ამასთან, საჭიროა მისგან განვასხვავოთ არასრული დასაქმების ჭეშმარიტი არსი, კერძოდ, შრომის ბაზარზე ჭარბი მიწოდება ან მოთხოვნის დეფიციტი ნებისმიერი ფრიქციული თუ სტრუქტურული პრობლემების თავიდან აცილების შემთხვევაშიც კი უცვლელად დარჩებოდა. ჭარბი მიწოდების მიზეზს წარმოადგენს ან ზედმეტად გაზრდილი რეალური ხელფასები, რაც კლასიკურ უმუშევრობას იწვევს, ან სასაქონლო ბაზრებზე მოთხოვნის დეფიციტი, რაც კეინზიანისტური უმუშევრობის მიზეზი ხდება.

უმუშევრობის ფრიქციულ-სტრუქტურული კომპონენტების მასშტაბი გამოხატულებას ჰპოვებს ბევერჯის მრუდის სივრცობრივ მდგომარეობაში. შრომით ბაზარზე წმინდა ჭარბი მიწოდების ცვლილება ასახულია ბევერჯის მოცემული მრუდის გასწვრივ არსებულ მოძრაობებში. 45 გრადუსიანი წრფის გასწვრივ არსებული წერტილები შრომის ბაზარზე ქმნიან განლაგებას, რომლის დროსაც ვაკანტური ადგილების რაოდენობა უმუშევართა რაოდენობას ემთხვევა. რაც უფრო მეტია აღნიშნული რაოდენობა, მით მეტია სამუშაოს მაძიებელთა შუამდგომლობაში არსებული ფრიქციები ვაკანტურ ადგილებზე ან მით უფრო ნაკლებად შეესაბამებიან შრომის მიწოდებისა და შრომის მოთხოვნის სტრუქტურები ერთმანეთს ისე, რომ იზრდება მოთხოვნა შუამდგომლობასა და კვალიფიკაციის ამაღლებაზე. რეალური ხელფასის ან საქონელზე მოთხოვნის ცვლილებებმა შესაძლოა, აღნიშნული საწყისი მდგომარეობა სხვადასხვა ფორმით შეცვალოს, რასაც 45 გრადუსიანი წრფის ზევით ან ქვევით არსებულ წერ-

ტილებამდე მივყავართ. დროთა განმავლობაში, უმუშევრების რაოდენობისა და ვაკანსიების დინამიკის შემცირების შემთხვევაში, ბევერჯის მრუდის მიხედვით შესაძლებელია შრომის ბაზრის პოლიტიკის საჭირო მახასიათებლების შესახებ პირველადი ინფორმაციის მიღება.

15.2 ფასების დონის სტაბილურობა

ფასების დონის სტაბილურობასთან დაკავშირებული მიზანი ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების კატალოგის ყველაზე ადრეულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ინფლაციები, თავიანთი ალოკაციისა და განაწილების უარყოფითი ეფექტების გამო, მუდმივად გვახსენებენ სტაბილური ფასების დონის მნიშვნელობას. ფასების დონის სტაბილურობის მიზანი გაზომვას ექვემდებარება იმ თვალსაზრისით, რომ შესაძლებელია დავაკვირდეთ განსაზღვრული ფასის ინდექსის, ანუ ცალკეული ფასების მნიშვნელოვანი პაკეტის განვითარებას დროთა განმავლობაში. თუ რომელი ფასის ინდექსზე უნდა მოხდეს ცალკეულ შემთხვევაში დაკვირვება, დამოკიდებულია სპეციალურ ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებსა და ამოცანებზე, თუმცა ასევე იმ პრობლემებზეც, თუ რამდენად ექვემდებარება გაზომვას და რამდენად ხელმისაწვდომია იგი.

იმ მნიშვნელობის საფუძველზე, რომელიც მომხმარებლისათვის ფულის სტაბილურ მსყიდველობით უნარს ახლავს თან, როგორც წესი, ფასის ინდექსი ინფლაციის პროცესის გაანალიზებისათვის ყველა კერძო ბიუჯეტი ფუნქციონირების უნარიანობისთვის გამოსადეგი უნდა იყოს. ფასის ინდექსი მოიცავს მრავალ ასეულ ცალკეულ ფასს საქონლისა და მომსახურებისათვის, რომლებიც მიეწოდება დადგენილ სტატისტიკურ სააგენტოს, რომელიც, თავის მხრივ, ანგარიშობს საბაზისო წლის მიხედვით მთლიანი სამომხმარებლო ხარჯების შეწონილ წილებს. ვინაიდან საქმე ეხება ლასპეიერესის ინდექსს, სხვადასხვა დროის მონაკვეთის შედარებისას საბაზისო მაჩვენებელი უცვლელი რჩება ისე, რომ ინდექსის მნიშვნელობაში ცვლილებები მხოლოდ საქონლის ფასების ცვლილებებს უკავშირდება. რეალურად, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესში მომხმარებელთა სამომხმარებლო ჩვევები მუდმივად იცვლება. ისინი მოითხოვენ სხვა, ახალ საქონელს. სამომხმარებლო კალათა, შესაბამისად, სისტემატურად უნდა გადამოწმდეს. ინდექსის მნიშვნელობების შედარება, რომელიც შესწავლილ იქნა სხვადასხვა რაოდენობრივი საფუძვლით, მაინც ზღუდავს ინფლაციის ინდიკატორის ინფორმაციულობას.

სამომხმარებლო ფასის ინდექსის ინტერპრეტაციისას ყურადღება უნდა გამახვილდეს ოთხ შესაძლო შეცდომის წყაროზე:

- შედარებითი ფასების ცვლილებისას მომხმარებლების მოთხოვნა, სავარაუდოდ, გაიაფებულ პროდუქტებზეა მოსალოდნელი. ფასის ინდექსი მყარი რაოდენობრივი მნიშვნელობით ფასების დონის რეალურ ზრდას აჭარბებს, ვინაიდან შედარებით ძვირი საქონელი მეტისმეტად დიდ „წონას“ (მნიშვნელობას) ინარჩუნებს.

- გასაღების ახალი ფორმების გაჩენასთან ერთად, მომხმარებლები უფრო იაფ მიმწოდებლებზე აკეთებენ არჩევანს. ფასის ინდექსი, რომელიც სტატისტიკური სააგენტოს მყარ რაოდენობას ეფუძნება, აღნიშნულ შემთხვევაში, როგორც წესი, ფასის მეტისმეტად მაღალ ზრდაზე მიუთითებს.

- განსაკუთრებულ სტატისტიკურ პრობლემებს ადგილი აქვთ ფასების ცვლილებისას, რომლებიც დაკავშირებულია ხარისხის გაუმჯობესებასთან, ვინაიდან რთულია ხარისხსა და ინფლაციის კომპონენტებს შორის განცალკევება.

- ახალი საქონელი ბაზარზე შემოტანის პირველ წლებში ხშირად ფასების კლებაზეა ორიენტირებული. ვინაიდან, მოგვიანებით ისინი შესაძლოა ჩაერთონ ინდექსის გამოთვლის პროცესში, აღნიშნული ფასების მოძრაობა გაუთვალისწინებელი რჩება და ინფლაციის რეალური დონე ინდექსის განვითარებაში გადაჭარბებულია.

შესაძლებელია ვარაუდი, რომ დასახელებული ოთხი შეცდომის წყარო საშუალოდ სამომხმარებელო ფასის ინდექსს ინფლაციის იდეალური ინდიკატორის საპირისპიროდ, მხოლოდ 2%-ით ზრდის. ამდენად, ფასების დონის სტაბილურობა მიღწეულად ითვლება, თუ სამომხმარებლო ფასის ინდექსის ზრდა წლიურად 2%-ს არ აღემატება.

დროთა განმავლობაში, სამომხმარებლო ფასის ინდექსის ცვლილებაზე დაკვირვებისას ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით მნიშვნელოვანია, გაიმიჯნოს ინფლაციის ზოგადი ტენდენცია დროებითი და სექტორული თვალსაზრისით სპეციფიკური ფასების ცვლილებებისაგან. არსებობს სხვადასხვა მეთოდები მსგავსი საბაზისო ინფლაციის გამოსავლენად. დროებითი ფასების ეფექტების დაძლევის მარტივ შესაძლებლობას წარმოადგენს იმ საქონლის გამორიცხვა ინდექსის გამოთვლიდან, რომელიც საშუალოზე მაღალი მერყეობით ხასიათდება. ეს განსაკუთრებით ეხება დაუმუშავებელ საკვებ საშუალებებს და ენერგომატარებლებს. მსგავს პროდუქტთა შორის ფასის განსაკუთრებული არასტაბილურობით როგორც მოსალოდნელია, ხასიათდება ხილ-ბოსტნეული და საწვავი.

არაპირდაპირი გადასახადების ან მსგავსი მოსაკრებლების ცვლილების შედეგად შესაძლებელია, განსაზღვრულ პერიოდში პროდუქტთა სხვა ჯგუფებზეც დაფიქსირდეს ფასების გადახრა. შეფასება იმისა, თუ გრძელვადიან პერსპექტივაში რომელი ფასების ცვლილებები იქნება ტრანზიტული ან პერმანენტული ერთი ხელის მოსმით შეუძლებელია და ცალკეულ შემთხვევაში მეტად საკამათო შეიძლება იყოს. გამორიცხვის მარტივი მეთოდი შესაძლებელია უფრო დაიხვეწოს, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ერთიანი ინდექსის გამოთვლისას, ასევე დადგინდეს ცალკეული კომპონენტების მნიშვნელობა ცალკეული ფასების შედარებითი მერყეობის დროსაც. ამასთან, სამომხმარებლო კალათში მოხმარების თითოეული კომპონენტის მნიშვნელობა მოცემულ კალათაში იყოფა ფასების ცვლილების სტანდარტულ გადახრაზე.

საბაზისო ინფლაციის დონის გამოსათვლელ ყველაზე ინტენსიურ მეთოდს წარმოადგენს შეკვეცილი საშუალო სიდიდის მეთოდი. ამასთან, ცალკეული კომპონენტების განვითარებაზე დაკვირვება ხდება არა დროის გრძელ მონაკვეთში, არამედ ყველა სხვა დანარჩენ კომპონენტთან შედარებით, დროის ყველა მომენტში. იმ კომპონენტების განსაზღვრული რაოდენობა (ხშირად 50%-ი), რომლებიც სხვებთან შედარებით უფრო მეტად ან ნაკლებად შეიცვალნენ, ერთიანი ინდექსის გამოთვლის დროს გათვალისწინებული აღარ არის. გაანგარი-

შების ამ მეთოდს, რომელმაც საშუალო ფასის ტენდენცია უნდა შექმნას, თან ახლავს ის ფაქტი, რომ დროის ნებისმიერ მონაკვეთში შესაძლებელია საბაზისო ინფლაციის გაანგარიშებას სხვა კომპონენტები გამოეთიშონ. გაურკვეველი რჩება ასევე, მთლიანი განაწილების რომელი სფერო უნდა იქნეს მიჩნეული საბაზისო ინფლაციად. ამდენად, საბაზისო ინფლაციის გამოსათვლელად საჭირო ყველა მეთოდი, საბოლოოდ, შეფასების მნიშვნელოვან დიაპაზონს შეიცავს.

ევროპის ცენტრალური ბანკისათვის მომხმარებელთა ჰარმონიზებული ფასის ინდექსი (*HCPI – Harmonized Consumer Price Index*) ევროკავშირისათვის ინფლაციის რელევანტურ ინდიკატორს წარმოადგენს. ის ეფუძნება შეფასების ერთიან მეთოდს იმ საქონელთა ფასების განვითარების შესახებ, რომლებზეც ევროკავშირის ყველა ქვეყანაშია მოთხოვნა. ვინაიდან, მომხმარებელთა ჩვევები ეროვნულობიდან გამომდინარე ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, *HCPI* პირველ ეტაპზე თითოეულ ქვეყანაში მის სპეციფიკასთან შესაბამისი გაანგარიშების სქემით გამოიყვანება. ეროვნული სამომხმარებლო კალათის „წონა“ (მნიშვნელობა) ყოველწლიურად მოწმდება და მოხმარების სტრუქტურის ცვლილებებთან შესაბამისობაში მოდის. ხუთ წელიწადში ერთხელ ხდება საფუძვლიანი გადამოწმება. ევროზონისათვის *HCPI* გამოითვლება, როგორც ეროვნული ინდექსის სიდიდის შეწონილი საშუალო. *HCPI* ანალიზის გამარტივების მიზნით, მისი განვითარების მთავარი 5 კომპონენტი ცალ-ცალკე განიხილება. ისინი ზომავენ სამომხმარებლო ფასების დინამიკას პროდუქტთა ისეთ ჯგუფებში, როგორიცაა გადაუმუშავებელი კვების საშუალებები, გადამუშავებული კვების საშუალებები, ენერგია, სამრეწველო პროდუქტები გარდა ენერგიისა, და მომსახურება. მთავარ ჯგუფებად დაყოფა სექტორული თავისებურებების გათვალისწინების საშუალებას იძლევა, განსაკუთრებით გადაუმუშავებელი საკვები საშუალებების სეზონური ფასების მერყეობის დროს, ან ენერგომატარებლების ფასებზე ძლიერი საგარეო-ეკონომიკური გავლენის შემთხვევაში. *HCPI* დინამიკა ამ ორი მთავარი ჯგუფის ჩართულობის გარეშე, ამდენად, ნაკლებად მკაფიოდ მიმდინარეობს და შესაძლებელია მისი, როგორც საბაზისო ინფლაციის მარტივ ინდიკატორად გამოყენება.

სამომხმარებლო ფასის ინდექსის ნაკლს ზოგჯერ იმაში ხედავენ, რომ იგი არ იძლევა უძრავი ქონებისა და საფინანსო აქტივების ფასების დინამიკის ანუ ქონების დაბანდების სხვადასხვა ფორმების შესახებ ინფორმაციას. ყველა მონეტარული ტრანზაქციის ფასის ინდექსს შეეძლო ამ ნაკლის აღმოფხვრა, თუმცა ქონების ფასების განსაკუთრებული მასშტაბის მერყეობები მასზე უარყოფითად იმოქმედებდა. თავის მხრივ, ისევ გახდებოდა საჭირო იმის გარკვევა, თუ ქონების ფასის ძლიერი ზრდა რამდენად გამოდგებოდა ინფლაციის ზოგადი ტენდენციის ინდიკატორად და ქონების ღირებულების მსგავსი ინფლაცია (*asset inflation*) რა მასშტაბით უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული საბაზისო ინფლაციის გამოთვლის დროს.

დეფლატორში, რომელიც მონაწილეობს რეალური მშპ-ს გამოთვლაში, ქვეყნის შიგნით სამომხმარებლო საქონლის ფასებთან ერთად შედის ასევე საინვესტიციო საქონლის ფასებიც. თუმცა, საქმე ეხება პააშეს ინდექსს, რომელიც უტოლდება მონეტარულ დანახარჯებს დროის სხვადასხვა მონაკვეთში ისე, რომ სამომხმარებლო კალათის გამოთვლის სქემა უცვლელი არ რჩება. ინფლაციის ზოგადი ტენდენციის ანალიზისათვის, ამდენად, აღნიშნული ინდექსი ნაკლებად შესაფერისია.

15.3 საგადასახდელო ბალანსის წონასწორობა

ღია ეკონომიკაში საერთაშორისო ტრანზაქციები გავლენას ახდენენ, როგორც რესურსების ოპტიმალურ ალოკაციაზე, ასევე კონიუნქტურული განვითარების სტაბილიზაციაზეც. ამდენად, ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნას ეროვნულ ეკონომიკებს შორის მონეტარული და რეალური ეკონომიკის კავშირები. მსგავსი კავშირების მასშტაბი დოკუმენტურად ასახულია საგადასახდელო ბალანსში. საგადასახდელო ბალანსის ცალკეული ნაწილების სალდოები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნის განსახორციელებლად.

საგადასახდელო ბალანსში აისახება განსაზღვრული დროის პერიოდში მოცემულ ქვეყანასა და საზღვარგარეთს შორის არსებული ყველა ეკონომიკური ტრანზაქცია ეროვნულ ვალუტაში. ამასთან, ცალკეული ტრანზაქციების რეგისტრაცია ხორციელდება ორმაგი ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპის თანახმად, რაც გულისხმობს ორმხრივი ვალდებულების შესრულების მუდმივად ერთდროულ აღრიცხვას. საგადასახდელო ბალანსის აქტივების მხარეს ფიქსირდება ყველა ის ტრანზაქცია, რომლებიც ხელს უწყობენ ფულადი ნაკადების შემოსვლას უცხოეთიდან. მათ რიცხვს განეკუთვნება საქონლის ექსპორტი, კაპიტალის იმპორტი, ან ცენტრალური ბანკის მიერ სავალუტო რეზერვების გაყიდვა. პასივების მხარეს აღირიცხება ყველა ის ტრანზაქცია, რომელიც გამოწვეულია რეზიდენტების ფულადი ნაკადების საზღვარგარეთ გადინებით. მათ განეკუთვნება საქონლის იმპორტი, კაპიტალის ექსპორტი და ქვეყნის ცენტრალური ბანკის მიერ ოფიციალური სავალუტო რეზერვების შესყიდვა.

– მიმდინარე ანგარიშების ბალანსი
  - სავაჭრო ბალანსი
  - მომსახურებების ბალანსი
  - პროფესიული საქმიანობიდან და ქონებიდან მიღებული შემოსავლები
  - ტრანსფერების ბალანსი

– კაპიტალის ბალანსი
  - პირდაპირი ინვესტიციები
  - საფინანსო დერივატები
  - სხვა კაპიტალდაბანდებები
  - ფასიანი ქაღალდების დაბანდება

– სავალუტო რეზერვების ბალანსი
– ქონების ტრანსფერების ბალანსი
– კომპენსაციებისა და ნაშთების ნაკადი

ნახაზი 15.2: საგადასახდელო ბალანსი

ნახაზზე ასახულია საგადასახდელო ბალანსში შემავალი ქვებალანსები. .კომპენსაციებისა და ნაშთების ნაკადის გათვალისწინებით, საგადასამხდელო ბალანსი საერთო ჯამში მუდმივად დაბალანსებულია. ამდენად, საგადასახდელო ბალანსის სალდოდ მიიჩნევა სავალუტო რეზერვების ბალანსის ან მიმდინარე ანგარიშების ბალანსის სალდოები.

ნახაზზე 15.2. ნაჩვენებია მთლიანი საგადასახდელო ბალანსი, რომელშიც ცალკეა გამოყოფილი მიმდინარე ანგარიშების ბალანსი,კაპიტალის ბალანსი და სავალუტო რეზერვების ბალანსი. ამას ემატება ქონების ტრანსფერების ბალანსი და კომპენსაციებისა და ნაშთების ნაკადი. მიმდინარე ანგარიშების ბალანსი მოიცავს საქონლის ექსპორტსა და იმპორტს, ასევე მომსახურების ყიდვასა და გაყიდვას ადგილობრივებსა და უცხოელებს შორის. მასში ასევე შედის საზღვარგარეთ დაბანდებული კაპიტალის შემოსავალი და ხელფასის სახით მიღებული შრომითი შემოსავლები, ისევე, როგორც ადგილობრივ მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის განხორციელებული მიმდინარე გადარიცხვები პირდაპირი ორმხრივი ეკონომიკური ვალდებულებების გარეშე.

კაპიტალის ბალანსში შედის კაპიტალის ექსპორტი და იმპორტი. კაპიტალის ექსპორტი წარმოიშობა ადგილობრივის მიერ უცხოური საკუთრების უფლების შეძენით ან ადგილობრივი მოქალაქის მიერ უცხოელზე კრედიტის გაცემის გზით. კაპიტალის იმპორტი წარმოიშობა უცხოელის მიერ ადგილობრივი საკუთრების უფლების შეძენით ან ადგილობრივზე სესხის გაცემით. კაპიტალის ბალასში ზუღალტრული აღრიცხვა ხორციელდება ამ მიმდინარე ანგარიშების ეკონომიკური ტრანზაქციების სარკისებური ეფექტის სახით ან ასევე ადგილობრივებსა და უცხოელებს შორის წმინდა ფინანსურ ტრანზაქციებთან კავშირში.

კაპიტალის ბალანსში განასხვავებენ პირდაპირ ინვესტიციებს, პორტფოლიო ინვესტიციებს (ფასიანი ქაღალდების დაბანდება), ასევე კრედიტების ბრუნვას და სხვა კაპიტალდაბანდებებს. კრედიტების ბრუნვა იყოფა, როგორც მოკლევადიან კრედიტებსა (ერთ წელზე ნაკლები მოქმედების ვადით) და გრძელვადიან კრედიტებს შორის, ასევე სექტორების საკრედიტო ინსტიტუტებს, კერძო პირებსა და სახელმწიფოს შორის.

სავალუტო რეზერვების ბალანსში აისახება ეროვნული სავალუტო რეზერვების ცვლილებები, რაც მოიცავს ოქროს, აგრეთვე აქტივებს უცხოურ ვალუტაში, აგრეთვე საერთაშორისო სავალუტო ფონდის (*International Monetary Fund, IMF*) ან ევროპის ცენტრალური ბანკის მიმართ არსებულ დებიტორულ ვალებს. დებიტების რეზერვები, როგორც წესი შედგება არა ნაღდი ფულისგან, არამედ უცხოური ფასიანი ქაღალდებისგან. მოცემული ქვეყნის მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის ქონების გადაცემა კერძო ბალანსის ერთ-ერთ ნაწილში ხვდება. საგადასახდელო ბალანსის ნაშთების ნაკადს ადგილი აქვს იმის გამო, რომ ქვეყნის მოქალაქეებსა და უცხოელებს შორის არსებული ყველა ეკონომიკური ტრანზაქციის ზუსტი და დროული აღრიცხვა არ არის შესაძლებელი. ვინაიდან, ბევრი ოპერაცია შესაძლებელია მხოლოდ შეფასდეს, ორმაგი აღრიცხვის სისტემაში ადგილი აქვს არათანმიმდევრულობას, რაც ცდომილებას იწვევს. ნაშთების ნაკადში შესამჩნევი ცვლილებები შესაძლოა მიუთითებდეს საერთაშორისო ვაჭრობაში საქონლის მიწოდებასა და გადახდას შორის არსებულ განზრახ შეფერხებაზე. მსგავსი ცვლილებები გადახდის პირობებში ხშირად იმის ნიშანია, რომ ბაზრის მონაწილე მხარეები გაცვლით კურსში მნიშვნელოვან ცვლილებებს ელიან.

სავალუტო რეზერვების ბალანსის, ქონების ტრანსფერების ბალანსის და ნაშთების მუხლის გათვალისწინებით მთლიანი საგადასახდელო ბალანსი ფორმალურად მუდმივად დაბალანსებულია. საგარეო-ეკონომიკური წონასწორობის ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნისათვის, ამდენად, ბალანსის ცალკეული ნაწილების სალდოებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. დიდი ხნის მანძილზე სავალუტო რეზერვების ბალანსის სალდო ეკონომიკური პოლიტიკის განსაკუთრებული ინტერესის საგანს წარმოადგენდა. ეროვნული სავალუტო რეზერვების მატებას ან

კლებას ქვეყანაში ფულის ოდენობაზე საპასუხო რეაქცია მოჰყვება და, შესაბამისად, გავლენას ახდენს ქვეყანაში ფასების დონის, სარგებლის განაკვეთებისა და რეალური შემოსავლების დინამიკაზე. სავალუტო რეზერვების ბალანსის მუდმივი სიჭარბე ქვეყანაში ინფლაციის პროცესს უწყობს ხელს. ხანგრძლივი დროის მანძილზე სავალუტო რეზერვების ბალანსის დეფიციტი იწვევს სახელმწიფო დავალიანებას უცხოეთის მიმართ და ვალების კრიზისის საფრთხის შემცველია.

სავალუტო რეზერვების ბალანსის წონასწორობაზე ზრუნვა ყველა შემთხვევაში ძლიერად არის დამოკიდებული გაცვლითი კურსის სისტემის არჩევანზე. გაცვლით კურსს, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ბაზრებზე ეროვნული ვალუტის მიწოდებისა და მოთხოვნის ურთიერთობის შედეგად წარმოიშობა, პრინციპში, შესწევს სავალუტო რეზერვების ბალანსის წონასწორობის უნარი. და მაინც, არსებობს საფრთხე იმისა, რომ გაცვლითი კურსის ძლიერი მერყეობები უარყოფითად იმოქმედებს საქონლისა და ფინანსების საერთაშორისო ნაკადებზე. 1973 წელს მყარი სავალუტო კურსის რეჟიმზე უარის თქმის შემდეგ, განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად შემცირდა სავალუტო რეზერვების ბალანსის წონასწორობის, როგორც მიზნის ეკონომიკურ-პოლიტიკური მნიშვნელობა. თუმცა, სავალუტო ბაზრებზე მიზანმიმართული ჩარევებით მუდმივად აქვს იმის მცდელობას ადგილი, რომ შემცირდეს თავისუფალი გაცვლითი კურსის მეტისმეტად ძლიერი ამპლიტუდა. გრძელვადიანი წონასწორული გაცვლითი კურსის შესანარჩუნებლად არსებობს საბაზრო ჩარევების სხვადასხვა კონცეფციები, რომლებიც მსყიდველობითი უნარის პარიტეტებსა და რეალური ეკონომიკის განვითარებაზეა ორიენტირებული.

საგადასახდელო ბალანსის წონასწორობის, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნის ოპერაციონალიზების (დაზუსტების) ალტერნატივას წარმოადგენს მიმდინარე ანგარიშების ბალანსის ანალიზი. მთლიანი ეკონომიკური ციკლის ანალიზში მიმდინარე ანგარიშების ბალანსის სალდო შეესაბამება ქვეყანაში არსებულ დანაზოგსა და ნეტო-ინვესტიციებს შორის სხვაობას. თუ პოტენციური დანაზოგი დადებითია, მიმდინარე ანგარიშების ბალანსის სიჭარბით ქვეყანაში მოხმარების შეზღუდვა საზღვარგარეთ ქონების დაბანდებად ტრანსფორმირდება. ამის საპირისპიროდ მიმდინარე ანგარიშების ბალანსის დეფიციტი გულისხმობს, რომ უცხოელების მიერ მოხმარების შეზღუდვა ქვეყანაში საინვესტიციო რესურსად იქნეს გამოყენებული. ხანგრძლივი მიმდინარე ანგარიშების ბალანსის სალდოები ხელს უწყობენ სუფთა უცხოური კაპიტალის წარმოქმნას ან შემცირებას და ამით ქმნიან გრძელვადიან შემოსავლებს ან დავალიანებებს სესხზე მომსახურებასთან დაკავშირებით. ხანგრძლივ პერსპექტივაში ამ პროცესით შესაძლებელია მსოფლიო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი დისბალანსის გამოწვევა.

სწორედ მიმდინარე ანგარიშების ბალანსსა და ქვეყნის პოტენციურ დანაზოგს შორის არსებული კავშირის გამო ნაკლებ სავარაუდოა, რომ სტრუქტურული მიმდინარე ანგარიშების ბალანსის სალდოებმა უვადოდ იარსებონ. ჯობს, გათვლა მიმდინარე ანგარიშების ბალანსის ციკლურ ცვლილებებზე გაკეთდეს. ქვეყნის პოტენციური დანაზოგის მნიშვნელოვანი დეტერმინანტები წარმოადგენენ ქვეყნის მოქალაქეების სამომხმარებლო უპირატესობას მიმდინარე პერიოდში და ქვეყნის ძირითადი კაპიტალის მწარმოებლურობას. მოცემული დროის მიხედვით უპირატესობის შემთხვევაში ქვეყანაში კაპიტალის მაღალი მწარმოებლურობა, რომელიც მოსალოდნელია პროგრესზე ორიენტირებულ განვითარებად ან გარდამავალ ქვეყანაში, ან განსაკუთრებულად ინოვაციურ განვითარებულ ქვეყანაში, გამოიწვევს უცხოური კაპიტალის გაძლიერებულ

შემოდინებას და აქედან გამომდინარე, ხელს შეუწყობს მიმდინარე ანგარიშების ბალანსის დეფიციტის. ინვესტირებული კაპიტალის ზღვრული პროდუქტიულობის კლებისას, ვერ გამოვალთ იქიდან, რომ უცხოური ქონების შემცირება შეუზღუდავად გაგრძელდება. უფრო მოსალოდნელია, რომ ქვეყანაში მწარმოებლურობის შემცირებისას მიმზიდველი გახდება უცხოური ქონების შექმნა, რომელიც უნდა აისახოს მიმდინარე ანგარიშების ბალანსის სიჭარბეში. რადგან რთულია მსგავსი ციკლების მასშტაბისა და ხანგრძლივობის პროგნოზირება, ეკონომიკურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია გაკეთდეს სტრუქტურული მიმდინარე ანგარიშების ბალანსის სალდოების მიზეზებისა და ზემოქმედებების ანალიზი.

15.4 საქონლით ოპტიმალური უზრუნველყოფა და ეკონომიკური ზრდა

კერძო და საზოგადოებრივი საქონლით ოპტიმალური უზრუნველყოფა ისევე, როგორც ხანგრძლივი დროის მანძილზე მატერიალური კეთილდღეობის ზრდა ყოველი პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად მიზანს წარმოადგენს. ისინი, ჩვეულებრივ იზომება რეალური, ანუ ინფლაციის ეფექტების გათვალისწინების გარეშე, მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტით ან მთლიანი შიდა პროდუქტით (მშპ). მშპ მოიცავს ეკონომიკაში ადგილობრივებისა და უცხოელების მიერ წარმოებულ ყველა საქონელსა თუ მომსახურებას, მათი გამოყენების მიუხედავად, იქნება ეს მოხმარება, ინვესტიცია თუ საერთაშორისო გაცვლა. მთლიანი სოციალური პროდუქტი მოიცავს ყველა ადგილობრივი მოქალაქის ეკონომიკურ აქტივობას და მშპ-სგან განსხვავდება იმით, რომ მოიცავს ასევე მოცემული ქვეყნის მოქალაქეების მიერ საზღვარგარეთ მიღებულ შემოსავლებსაც და გამორიცხავს უცხოელების მიერ მოცემულ ქვეყანაში შრომითი საქმიანობით და ქონების ფლობით მიღებულ შემოსავლებს. ეკონომიკური ზრდის გასაზომად გამოიყენება ან რეალური საზოგადოებრივი პროდუქტის (რეალური შიდა პროდუქტის) ზრდის მაჩვენებელი ან ერთ სულზე რეალური საზოგადოებრივი პროდუქტის (ერთ სულზე რეალური საზოგადოებრივი პროდუქტის) მოცულობა, ეს უკანასკნელი ინდივიდების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შეფასების საშუალებას იძლევა.

ქვეყნის მატერიალური კეთილდღეობის ინდიკატორს წარმოადგენს რეალური საზოგადოებრივი პროდუქტი ან რეალური შიდა პროდუქტი, თუმცა ამ მხრივ ადგილი აქვს მნიშვნელოვან პრობლემებს, რომლებიც თავდაპირველად თავს იჩენენ ეროვნული შემოსავლის ანგარიშებში ღირებულების შექმნის არაზუსტი აღრიცხვის შესაძლებლობების გამო. ეკონომიკური აქტივობები, რომლებიც არ ხორციელდება ბაზრებზე და შესაბამისად არ ხდება მათი აღრიცხვა, საზოგადოებრივი პროდუქტის ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშში სრულყოფილად არ აისახება. ეს ეხება, მაგალითად, შავ სამუშაოს, კერძო საოჯახო მეურნეობაში განხორციელებულ სხვადასხვა საქმიანობას და გლეხურ ნატურალურ მეურნეობას. სახელმწიფო მომსახურებები, რომლებიც საწარმოებსა და საოჯახო მეურნეობებს უფასოდ მიეწოდებათ და, რომლებსაც საბაზრო ფასი არ გააჩნიათ, თავიანთი საწარმოო ხარჯებით, როგორც წესი, ეროვნული შემოსავლის სტატისტიკაში აღირიცხება. თუმცა, აღნიშნული ხარჯები შესაძლოა დამახინჯებული იყოს არაეფექტურობისა და მონოპოლური ძალაუფლების გამო. გარდა ამისა, ყურადღების მიღმა არ უნდა დარჩეს ის ფაქტი, რომ კეთილდღეობის შემამცირებელი განსაზღვრული ეფექტები დადებითად არის შეტანილი. ასე მაგალითად, გარემოს დაცვის, ექიმის მომსახურებისა და სისხლის სამართლებრივი დევნისათვის გამოყოფილი მზარდი ხარჯები, ხშირად, ცხოვრების ხარისხისათვის უარყოფით მაჩვენებელს წარმოადგენენ, თუმცა ხელს უწყობენ ეროვნული შემოსავლის ზრდას.

აღნიშნული კონცეპტუალური პრობლემების დაძლევის სამი გზა არსებობს:

- არსებობს მცდელობა იმისა, რომ ეროვნული შემოსავლის სტატისტიკის ყველა ხარვეზი ერთბაშად იქნას აღმოფხვრილი და ამით გამოთვალონ კეთილდღეობის მრავლისმომცველი ინდიკატორი. ამ გზას აკრიტიკებენ უილიამ ნორდჰაუსი და ჯეიმს ტობინი (1993) კონცეფციით *Measure of Economic Welfare* (*MEW*). მშპ-ში შეაქვთ საოჯახო მეურნეობებისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის შეფასებული შედეგები, ხოლო გარემოს დაბინძურებისა და აგლომერაციის ხარჯები მას აკლდება. მსგავსი საერთო კეთილდღეობის ინდიკატორის დაანგარიშების მეთოდი დაკავშირებულია მონაცემების შეგროვებისთვის საჭირო მაღალ ხარჯებთან და რთულად გადასამოწმებელი შეფასებებისათვის ფართო არეალს ქმნის.

- გარკვეული პრობლემატიკისათვის ეროვნული შემოსავლის სტატისტიკა სისტემატური დამატებითი ანგარიშების საშუალებით, შესაძლოა მეტი ინფორმაციის მომცველი იყოს. გერმანიაში სტატისტიკის ფედერალური სამსახურის მიერ აღირიცხება და ქვეყნდება ჰაერის დაბინძურების, ტრანსპორტისა და ენერგომოხმარების შედეგად მიღებული ხარჯები.

- მატერიალური კეთილდღეობის გაზომვა შესაძლებელია მრავალი სხვადასხვა სოციალური ინდიკატორით. *OECD*-მ განსაზღვრა რვა სფერო, რომლებიც საზოგადოების კეთილდღეობას უწყობენ ხელს: განათლება, ჯანმრთელობა, შრომა და პროფესიული ცხოვრების ხარისხი, თავისუფალი დრო, მსყიდველობითი უნარი, ფიზიკური გარემო, უსაფრთხოება და სოციალური ჩართულობის შანსები. აღნიშნულ მიზნობრივ სფეროებს უნდა მივუსადაგოთ შესაფერისი ინდიკატორები. იმ შემთხვევაში, თუ ნაწილობრივი სოციალური ინდიკატორების საზოგადოების კეთილდღეობის ერთიან ინდიკატორთან შერწყმა მოხდა, თავს იჩენს სირთულეები, ვინაიდან ცალკეული სფეროს „წონა“ მნიშვნელოვან ღირებულებით შეფასებასთან არის დაკავშირებული.

1990 წლიდან განვითარების პოლიტიკაში არსებობს მცდელობა, საერთაშორისო კეთილდღეობის შედარებები განხორციელდეს ახლებური ტიპის ერთიანი ინდიკატორის – ადამიანური განვითარების ინდექსის (*HDI*) – ბაზაზე. ინდექსი, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მსოფლიო განვითარების პროგრამის ფარგლებში შემუშავდა (*United Nations Development Program*, *UNDP*), ეფუძნება სამ კომპონენტს – ხანდაზმულობას, ცოდნასა და ცხოვრების სასურველი სტანდარტის მიღწევის საშუალებას. ხანდაზმულობა იზომება დაბადებიდან სიცოცხლის სავარაუდო ხანგრძლივობით, ცოდნა – ზრდასრულებში განათლების დონით, ასევე სკოლაში სწავლის ინტენსივობითა და ხანგრძლივობით, სკოლის ტიპის მიხედვით. ცხოვრების სასურველი დონის მიღწევის საშუალების საზომად გამოიყენება რეალური მშპ. ცალკეული ინდიკატორების საწყისი მო-

ნაცემები თითოეული ქვეყნისათვის აღირიცხება შკალაზე ნულიდან ერთამდე და ხდება მათი ტრანსფორმაცია ჩამორჩენის ინდიკატორებში, რომლებიც გვიჩვენებენ დაშორებას ყველაზე უკეთ განვითარებულ ქვეყანასთან მიმართებაში. ჩამორჩენის ინდიკატორის ნაწილის შეწონილი საშუალო სიდიდიდან ყოველწლიურად გამოითვლება ინდექსის სიდიდე და ყალიბდება განვითარების დონის მიხედვით საერთაშორისო რანჟირების სია. დროთა განმავლობაში, სიაში ადგილთა მონაცვლეობა იძლევა სურათს ცალკეული ქვეყნების განვითარებაში პროგრესისა თუ შეფერხებების შესახებ.

რიჩარდ ლეიარდი და ბედნიერების ემპირიული კვლევა

პიტერ რიჩარდ გრინვილ ლეიარდი (დაბ. 1934) თავდაპირველად სწავლობდა ისტორიას კემბრიჯში, ხოლო მოგვიანებით ეკონომიკურ მეცნიერებებს ლონდონის ეკონომიკის სკოლაში. სწორედ იქ დაიწყო მისი აკადემიური კარიერა, რომელიც მან ძირითადად შრომის ბაზრის კვლევას მიუძღვნა. 1980-დან 1999 წლამდე ის იყო ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორი, პარალელურად კი ბრიტანეთის მთავრობის მრჩეველი შრომითი ბაზრის რეფორმისა და უმუშევრობის შემცირების პროგრამაში. 2000 წლიდან ის *Lord Layard of Highgate*-ის წოდებით არის ბრიტანეთის ლორდთა პალატის წევრი. მის მთავარ შრომებს განეკუთვნება: *How to Beat Unemployment* (*Oxford*, 1986); *The New Happiness* (*London*, 2005).

თავის ბოლოდროინდელ ნაშრომში, რომელიც გერმანულ ენაზე ითარგმნა – „ბედნიერი საზოგადოება. კურსის ცვლილება პოლიტიკისა და ეკონომიკისათვის“ (ლეიარდი, 2005), რიჩარდ ლეიარდი პოლიტიკური და ამდენად, ასევე ეკონომიკური ქმედების ახალ მიზანს აყალიბებს. საქმე ეხება არა მატერიალური უზრუნველყოფის მაქსიმუმამდე გაზრდას, გაზომილს, მაგალითად მშპ-ით, არამედ საჭიროა უშუალოდ საზოგადოების წევრი ადამიანების ბედნიერების (*happiness*) გაზრდა. აღნიშნული პოლიტიკური მიზნის ოპერაციონალიზება შესაძლებელია საერთაშორისო დონეზე შედარებული, ახალი ემპირიული კვლევების დიდი რაოდენობით, რომლებიც ბედნიერების ინდივიდუალურ და კოლექტიურ განცდას შეისწავლიან. ისინი იძლევიან უშუალო სურათს განხორციელებული ცვლილებების შესახებ და ამით წინ უსწრებენ გარკვეული ეთიკური და სოციალ-პოლიტიკური სტანდარტის წინასწარ დეფინიციას.

ამავდროულად ბედნიერების ემპირიული კვლევის შედეგები ხელს უწყობენ ღირებულებებისა და მათი გადაფასების შესახებ საინტერესო მოსაზრებების ჩამოყალიბებას. ეკონომიკური თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმის გაცნობიერება, რომ მზარდი შემოსავალი პრინციპში დადებით, თუმცა ბედნიერების განცდის მიმართ უკუპროპორციულ ზრდას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო კონტექსტში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ღარიბი ქვეყნების დახმარება მორალური თვალსაზრისით გამართლებულია, ვინაიდან იქ შემოსავლების ზრდა ბედნიერების ზრდის პირდაპირპროპორციულია.

15.5 გარემოს დაცვა

ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების კატალოგში გარემოს დაცვის, როგორც დამოუკიდებლად მდგარი მიზნის შეტანა, განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო საბაზრო ხარვეზებზე რეაგირების მცდელობას წარმოადგენს. დიდი ხნის მანძილზე ბუნებრივი რესურსები, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული მიწის გარდა, თავისუფალ საქონელს წარმოადგენდა. მათი ხანგრძლივი დროის მანძილზე წარმოების პროცესში გამოყენება ყოველგვარი ხარჯების გარეშე შესაძლებლად მიიჩნეოდა. გარემოს მზარდმა დაბინძურებამ, რომელიც სცილდება ეროვნულ ფარგლებს, გაამძაფრა იმის შეგნება, რომ ბუნებრივი რესურსები ამოწურვადია. სიცოცხლისთვის აუცილებელი ბუნებრივი გარემოს დამზოგველ მოპყრობას დღეისათვის უამრავი სამეცნიერო კვლევა თუ პოლიტიკური პროგრამა ეძღვნება.

როგორც მდგრადი განვითარების პრინციპთან დაკავშირებულმა დებატებმა ცხადყო, გარემოს დაცვის ალოკაციური ასპექტების გვერდით, აქტუალური გახდა ასევე ინტრა- და ინტერტემპორალური განაწილებაც, რაც გულისხმობს ბუნებრივი რესურსებით სარგებლობას, როგორც ერთი თაობის ფარგლებში, ასევე თაობებს შორისაც. ვინაიდან, განაწილების მსგავსი ასპექტების შეფასებასთან დაკავშირებით არსებობს უამრავი ეთიკური პოზიცია, არ არის გასაკვირი, რომ დღემდე არ არის მიღწეული გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მიზნის გამოკვეთილი რაოდენობრივი ასახვა. ცალკეული მიზნების დაზუსტება, როგორც წესი ეფუძნება არა ღირებულებით, არამედ რაოდენობრივ სიდიდეს, რომლებზეც გავლენას ახდენენ ეკონომიკური აქტივობები.

ბუნებრივი გარემო შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ძირითადი კაპიტალი, რომელიც ეკონომიკური სისტემის ციკლთან უაღრესად მჭიდროდ არის დაკავშირებული. გარემო, ერთი მხრივ, გვაწვდის ეკონომიკური საქმიანობისათვის აუცილებელ რესურსებს და, მეორე მხრივ, იგი ეკონომიკური პროცესების ნარჩენი პროდუქტების მიმღებიცაა. ამდენად ბუნება, როგორც ეს ნახაზზე 15.3. ჩანს, ერთდროულად წარმოადგენს, როგორც მიმწოდებელს ასევე მიმღებს. ეკოსისტემის დაზიანების გზით, აღნიშნული ფუნქციის მოშლას მნიშვნელოვანი ეკონომიკური ხარჯების გამოწვევა შეუძლია. გარკვეულ დონეზე გარემოს აქვს თვითდასუფთავებისა და რეგენერაციის უნარი. ამდენად, გარემოს დაცვის მიზანს ეკოლოგიის წონასწორული მდგომარეობის შენარჩუნება და აღდგენა წარმოადგენს, რომელშიც გარემო, როგორც ძირითადი კაპიტალი, შენარჩუნებულია და იმავდროულად ეკოსისტემას შეუძლია თავისი ეკონომიკური ფუნქციების შესრულება. გარემოს დაცვის პოლიტიკური მიზნების დაზუსტება უკავშირდება გარემოს ჭარბი გამოყენებით გამოწვეულ ზარალს, რომლის დროსაც ეკონომიკური თვალსაზრისით მათი შეფასება ხშირად, ცალკეულ შემთხვევაში საბაზრო ფასის არარსებობის გამო, დიდ სირთულეს წარმოადგენს. ეკოსისტემის დაზიანების აღრეულ ეტაპზე თავიდან აცილების მიზნით, გამოიყენება იმისიების ან მათი გამომწვევი ემისიების კონტროლი.



ნახაზი 15.3: ეკონომიკურ-ეკოლოგიური ციკლური ურთიერთობები

ეკონომიკური აქტივობების ეკოლოგიური შედეგების გაზომვის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს ემისიები, იმისიები (შეღწევა ცოცხალ ორგანიზმებში) ან გარემოსადმი ზიანის მიყენება.

მაშინ, როდესაც ემისიები დაბინძურებული ნივთიერებების წარმოშობის წყაროს მიხედვით იზომება, იმისიები მოიცავენ დამაბინძურებელი ნივთიერებების კონცენტრაციას გარემოს საშუალებებსა (ნიადაგი, წყალი, ჰაერი) და ცოცხალ ორგანიზმებში (ადამიანები, ცხოველები და მცენარეები). ეროვნულ ეკონომიკაში ამ ორივე სიდიდის იდენტურობა არ არის აუცილებელი, რადგან გათვალისწინებული უნდა იყოს დიფუზიური პროცესები, სინერგიული ეფექტები და გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებების საერთაშორისო ტრანსმისიები. პრაქტიკული გაანალიზების მიზნით, გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნები მეტწილად გარემოს დამაბინძურებლების ემისიაზეა კონცენტრირებული. გარემოს დამაბინძურებელი ნივთიერებების თავიდან აცილებისთვის ემისიის გარკვეული მიზნების მიღწევა არც აუცილებელი და არც საკმარისი უნდა იყოს.

გერმანიის ფედერალური სტატისტიკის სამსახური წარმოადგენს გარემოს დაცვის ერთიან ეკონომიკურ ანგარიშებს (*UGR*). აღნიშნილი ანგარიშები მოიცავენ მონეტარულ და არამონეტარულ მონაცემებს, რომელთა დახმარებითაც იზომება გარემოს, როგორც ძირითადი კაპიტალის ცვლილებები ეკონომიკური აქტივობების შედეგად. *UGR*-ი განასხვავებს სამ სფეროს:

- გარემოს დატვირთვის ინდიკატორები (მატერიალური და ენერგონაკადების ანგარიშები, ფართობისა და სივრცის გამოყენების ინდიკატორები),
- გარემოს მდგომარეობის ინდიკატორები,
- გარემოს დაცვის ინდიკატორები (გარემოს დაცვის ღონისძიებები, სტანდარტის მისაღწევად აუცილებელი ხარჯები)

თავდაპირველად *UGR*-ის მიზანს წარმოადგენდა განეხორციელებინა გარემოს კაპიტალზე საამორტიზაციო ანარიცხების ფულად-რაოდენობრივი შეფასება

და შემდგომში იგი „ეკო შიდა პროდუქტის“ დასაანგარიშებლად გამოეყენებინა. დროთა განმავლობაში აღმოჩნდა, რომ ინდიკატორების მრავალფეროვნება გარემოს დაცვის კომპლექსურ პოლიტიკურ საკითხებსა და მიზნებს უკეთ შეესაბამებოდა, ვიდრე მხოლოდ ერთადერთი ღირებულებითი სიდიდე.

2000 წლიდან გერმანიაში გარემოს დაცვის ინდექსის სახით (*DUX*) გაჩნდა გარემოს დაცვის პოლიტიკის ახალი ინდიკატორი. *HDI*-ის მსგავსად, *DUX*-იც გარემოს დაცვის ექვს სხვადასხვა სფეროში – კლიმატი, ჰაერი, ნიადაგი, წყალი, ენერგია და ნედლეულის მწარმოებლურობა, წინასწარ განსაზღვრული მიზნობრივი სიდიდის მისაღწევად საჭირო ინდიკატორებს ეყრდნობა. მიზნობრივი სიდიდე თითოეულ სფეროში, მაგალითად, 2005 წლამდე CO_2-ის ემისიის შემცირება 25%-ით 1990 წელს არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, შეესაბამება ინდექსის მაჩვენებელს ნიშნულზე 1.000. რეალურად მიღწეული მიზნობრივი სიდიდეები ტრანსფორმირდება შესაბამისი ინდექსის ქულაში. ექვსი სხვადასხვა სფეროს ცალკეული მონაცემები საბოლოოდ ჯამდება. ინდექსის სიდიდის გადახრა მაქსიმალური მაჩვენებლიდან – 6.000, გარემოს დაცვის პოლიტიკის მიზნის მიღწევაზე მიუთითებს.

15.6 განაწილების სამართლიანობა

ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზანი, შექმნას შემოსავლებისა და ქონების სამართლიანად აღიარებული განაწილება, ემსახურება ეკონომიკური განვითარების პროცესში გარკვეული პირების ან პირთა ჯგუფების დისკრიმინაციის თავიდან აცილებას. ინდუსტრიალიზაციის დასაწყისიდან, მუდმივად ხდებოდა საბაზრო ალოკაციაში სახელმწიფო ჩარევების გამართლება „სოციალურ საკითხებზე“ აქცენტის გაკეთებით. მეორე მხრივ, სამართლიანმა განაწილებამ კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დააყენოს ეკონომიკური განვითარებისათვის მეტად მნიშვნელოვანი პრინციპი „სამართლიანობა დამსახურების მიხედვით“, ანუ მეტი შრომა მეტი შემოსავლით უნდა ანაზღაურდეს. შემოსავლების აბსოლუტურად თანაბარი განაწილება, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზანი, საბაზრო ეკონომიკაში მწყობრიდან გამოიყვანდა ეკონომიკური მოტივაციის სტრუქტურებს. მსგავს სიტუაციაში წარმოქმნილი მიზანთა კონფლიქტები სისტემატიურად იჩენენ თავს სოციალურ-პოლიტიკური რეფორმების შემუშავებისას.

განაწილების სამართლიანობა სხვადასხვა ფორმით იზომება. ფუნქციური განაწილების თვალსაზრისით – შემოსავლების განაწილება საწარმოო ფაქტორებზე – შრომა და კაპიტალი – საინტერესოა ფუნქციური შემოსავლების ქვოტას (ხელფასის და მოგების ქვოტა) ანალიზი. ამასთან, ხელფასის ქვოტა ზომავს ეროვნულ შემოსავლებში დაქირავებული დასაქმებულების შემოსავლების წილს. ხანგრძლივი დროის მანძილზე დასაქმებულების შემოსავლებთან დაკავშირებული პოზიციების განვითარების შესახებ გონივრული შეფასების გაკეთება შესაძლებელია მხოლოდ ხელფასის მოწესრიგებული ქვოტის საფუძველზე. მას შესწორება შეაქვს ხელფასის ქვოტაზე დასაქმებულებისა და მეწარმეების რაოდენობრივი ცვლილებების გავლენაში. მოგების ქვოტაში შედის მეწარმეთა შრომითი მიღწევების შედეგად მიღებული შემოსავლები, რომლებიც კონცეპტუალურად ხელფასის ქვოტაში უნდა აისახებოდეს. ამ გზას მივყავართ ხელფასის დამატებით ქვოტამდე, მის შევსებამდე.

შემოსავლების ფუნქციური ქვოტის, როგორც სამართლიანი განაწილების ინდიკატორის, გამოყენების მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წარმოადგენს დაქირავებულ დასაქმებულთა ჯგუფის არაჰომოგენურობა, რომელიც თანაბრად მოიცავს ტოპმენეჯერებს, დაბალი რანგის მენეჯერებს და რიგით სპეციალისტებს. ვინაიდან, ბევრი მათგანი ხელფასის გარდა ასევე იღებს შემოსავალს კაპიტალის ფლობიდან, როგორიცაა მაგალითად, აქციების დივიდენდები, დანაზოგის პროცენტები ან უძრავი ქონების გაქირავებიდან მიღებული შემოსავლები, ხელფასის ქვოტა კიდევ უფრო არაზუსტი ინფორმაციის მომცველია. აღნიშნულ ხარვეზებთან ბრძოლა შესაძლებელია პერსონალური შემოსავლების განაწილების ანალიზით, თუმცა იგი დაკავშირებულია მონაცემების შეგროვებისთვის საჭირო მნიშვნელოვნად მაღალ ხარჯებთან. ამასთან იკვლევენ, თუ ეროვნული შემოსავლის რა წილი მოდის, შემოსავლების წარმოშობის მიუხედავად, კონკრეტულ პირებსა თუ პირთა ჯგუფებზე.

შემოსავლების პერსონალური განაწილება შესაძლებელია გაიზომოს კვანტილის გრაფიკული ფორმით. მასში შემოსავლის ყველა მიმღები პირი შემოსავლის ოდენობის მიხედვით ხარისხდება. პრაქტიკაში მასში ბიუჯეტის შემოსავლები 5 ან 10 ერთნაირი სიდიდის კლასებად, ე.წ. კვანტილებად ან დეცილებად ნაწილდება. მთლიანი შემოსავლების წილები, რომლებიც ცალკეულ კლასზე მოდის, საერთაშორისო დონეზე ან დროთა განმავლობაში ერთმანეთს უდარებენ და ამდენად, ქმნიან სურათს შემოსავლების განაწილების მდგომარეობისა და განვითარების შესახებ.



ნახაზი 15.4: ლორენცის მრუდი

ნახაზზე ნაჩვენებია სტატისტიკური კავშირი შემოსავლების მიმღებ პირთა კვანტილების დაგროვებულ წილსა და მათ მიერ მთლიანი შემოსავლიდან მიღებულ შემოსავლების წილებს შორის. ლორენცის მრუდი, ჩვეულებისამებრ ქვევით მიემართება, ვინაიდან შემოსავლების განაწილება არათანაბარია.

კვანტილის გრაფიკზე რთული ლორენცის მრუდის ინსტრუმენტებია. როგორც ეს ნახაზზე 15.4. ჩანს, მთლიანი შემოსავლების დაგროვილი წილები (0-დან 100 პროცენტამდე) უპირისპირდება შემოსავლების მიმღებ პირთა დაგროვილ წი-

ლებს (ასევე 0-დან 100 პროცენტამდე). აღნიშნული გრაფიკის დიაგონალი წარმოადგენს სრული პერსონალური თანაბარი განაწილების მდგომარეობას, ვინაიდან იგი გულისხმობს, რომ შემოსავლების მიმღებ პირთა ყოველი x პროცენტი მთლიანი შემოსავლების ასევე x პროცენტს იღებს. რაც უფრო მკვეთრად იხრება მრუდი დიაგონალებიდან, შესაბამისად, მით უფრო დიდია შემოსავლების არათანაბარი განაწილება. ვინაიდან, დაკვირვება მცირეშემოსავლიანი პირების წილებით იწყება, რომელთა წილი საერთო შემოსავლებში ნაკლებია, ლორენცის მრუდი, როგორც წესი, ქვევით ეშვება.

თუ ლორენცის მრუდის ზევით არსებულ ველს (I) დიაგონალების ქვევით არსებულ მთლიან ველს, იგივე ველთა ჯამს (I + II) დავუკავშირებთ, მივიღებთ ჯინის კოეფიციენტს, როგორც პერსონალური განაწილების სამართლიანობის მაჩვენებელს. ჯინის კოეფიციენტი 0-ის ოდენობით, იქნებოდა აბსოლუტურად თანაბარი პერსონალური განაწილების მაჩვენებელი, რომელშიც I ველის მოცულობა ნულის ტოლია. ამის საპირისპიროდ, ჯინის კოეფიციენტი 1-აბსოლუტურად არათანაბარ განაწილებაზე მიუთითებს, ვინაიდან აღნიშნულ შემთხვევაში II ველის მოცულობა 0-ის ტოლია.

ლორენცის მრუდისა და ჯინის კოეფიციენტის საშუალებით ასევე იზომება სახელმწიფო გადანაწილების ღონისძიებების ეფექტურობა საგადასახადო და დანახარჯების პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით. ამასთან, ხდება პირველადი და საბოლოო შემოსავლების პერსონალური განაწილების შედარება. მსგავსი შედარების ლოგიკურ წინაპირობას ყველა ვარიანტში წარმოადგენს ის, რომ ლორენცის ცალკეული მრუდები ერთმანეთს არ კვეთდნენ.

თუ სოციალური და განაწილების პოლიტიკის მიზნად, უპირველეს ყოვლისა, სიღარიბის დაძლევას ან მის შემცირებას მივიჩნევთ, საჭიროა სიღარიბის საზომად განსაკუთრებული ინსტრუმენტების გამოყენება. ამასთან, უნდა განვასხვავოთ აბსოლუტური და შედარებითი სიღარიბის ინდიკატორები. აბსოლუტური სიღარიბის გასაზომად, რომელიც უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია განვითარების პოლიტიკისათვის, ადგილი აქვს მცდელობას, განისაზღვროს შემოსავლების ოდენობა, რომელიც ცხოვრების საარსებო მინიმუმის სტანდარტისათვის უპირობოდ აუცილებელია. მსოფლიო ბანკმა 1990 წელს წარმოადგინა საარსებო მინიმუმის შესაბამისი საქონლის სამომხმარებლო კალათა და აქედან გამომდინარე დაადგინა, რომ აბსოლუტური სიღარიბის ზღვარს წარმოადგენს დღეში 1 ამერიკული დოლარის ან წელიწადში დაახლოებით 400 ამერიკული დოლარის ოდენობის შემოსავალი. შედარებითი სიღარიბის გაზომვისას, რომელსაც განვითარებულ ქვეყნებში განსაკუთრებული სოციალურ-პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება, საჭიროა სიღარიბის ზღვარის კონცეფციაზე დაყრდნობა, რომელიც ყოველთვის საშუალო შემოსავალთან შედარებით დგინდება. ხშირად, სიღარიბის ზღვრად მიიჩნევა საშუალო შემოსავლების მესამედი ან ნახევარი. სიღარიბის ქვოტა შემდგომ ზომავს შემოსავლების მიმღებ იმ პირთა წილს, რომელთა შემოსავალი სიღარიბის ზღვარს ქვემოთ იმყოფება.

ძირითადი ცნებები

- სრული დასაქმება
  - უმუშევრობა
  - რეგისტრირებული უმუშევრობა
  - ფარული რეზერვები
  - უმუშევართა ქვოტა
  - უმუშევართა სტანდარტიზებული ქვოტა
  - *ბევერჯის* მრუდი
- ფასების დონის სტაბილურობა
  - ცხოვრების დონის ფასის ინდექსი
  - ჰარმონიზებული სამომხმარებლო ფასის ინდექსი (*HVPI*)
  - საბაზისო ინფლაციის დონე
- საგადასახადო ბალანსი
  - მიმდინარე ანგარიშების ბალანსი
  - კაპიტალის ბალანსი
  - დევიზების ბალანსი
- საგადასახადო ბალანსი
  - ეკონომიკური ზრდა
  - მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ)
  - მთლიანი სოციალური პროდუქტი
  - ეკონომიკური კეთილდღეობის საზომი
  - ადამიანური განვითარების ინდექსი
- გარემოს დაცვა
  - ემისიები
  - იმისიები
  - ეკოლოგიური შიდა პროდუქტი
  - *DUX* (გარემოს დაცვის ინდექსი გერმანიაში)
- სამართლიანი განაწილება
  - ხელფასის ქვოტა
  - ხელფასის წმინდა ქვოტა
  - ხელფასის დამატებითი (შევსებული) ქვოტა
- ლორენცის მრუდი
  - ჯინის კოეფიციენტი
  - სიღარიბის ზღვარი
  - სიღარიბის ქვოტა

დავალებები

1. ჰარტც IV და რეგისტრირებული უმუშევრობა

განმარტეთ, ჰარც IV-ის შრომის ბაზრის რეფორმას, რომლის შედეგადაც გაერთიანდა უმუშევრობისა და სოციალური დახმარებები და სოციალური დახმარების ყოფილ მიმღებ პირებს მოუხდათ გაეძლიერებინათ სამუშაო ადგილის ძებნა შრომის ფედერალური ბიუროს მეშვეობით, რატომ მოჰყვა 2005 წლის დასაწყისში გერმანიაში რეგისტრირებული უმუშევრობის მკვეთრი ზრდა.

2. გაცვლითი კურსი და ვალუტის სტაბილურობა

შეადარეთ, ვალუტის სტაბილურობის შესახებ არსებულ რომელ შეფასებებს შეუძლიათ გაცვლითი კურსის განვითარება ინფლაციის განვითარებასთან შედარებით.

3. ჩრდილოვანი ეკონომიკის გაზომვა

იმსჯელეთ შესაძლებლობებზე – ქვეყანაში ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბის დასადგენად.

4. გაერთიანებული ინდიკატორების პრობლემატიკა

HDI-ის და *DUX*-ის მაგალითზე, იმსჯელეთ ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნის გასაზომად გაერთიანებული ინდიკატორების პრობლემატიკაზე.

5. ჯინის კოეფიციენტების შედარება

განმარტეთ, საერთაშორისო და ინტერტემპორალური შედარებისას ჯინის კოეფიციენტების რა პრობლემებმა შეიძლება იჩინონ თავი.

გამოყენებული ლიტერატურა

უმუშევრობის დონის სტატისტიკური გაზომვის პრობლემებზე მსჯელობენ *Landmann/Jerger* (1999) და *Franz* (2009), ინფლაციის გაზომვასთან დაკავშირებულ პრობლემატიკას განიხილავენ *Bofinger* (2001) და *Görgens* და სხვ. (2008). საგადასახდელო ბალანსის კონცეპტუალურ პრობლემებზე მსჯელობენ *Rose/Sauernheimer* (2006). კეთილდღეობის გასაზომად სხვადასხვა სტატისტიკური მეთოდების შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან *Donges/Freytag* (2009). გარემოს დაცვის მიზნების ოპერაციონალიზების შესაძლებლობებს აღწერს *Feess* (2007). შემოსავლებისა და ქონების განაწილების გასაზომად სხვადასხვა კონცეფციებს აანალიზებს *Bohnet* (1999).

ნაწილი VI

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლები: ახალი პოლიტიკური ეკონომიის გამოყენება

16 ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების ქცევის ეკონომიკური ანალიზი 335

17 ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების სანდოობა და მოქმედების არეალი..... 361

18 ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინსტიტუციებს შორის ურთიერთობების ორგანიზაციის ფორმები 375

ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების ქცევის ეკონომიკური ანალიზი

16.1 ახალი პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები 336

16.2 საპარლამენტო დემოკრატიის ეკონომიკური თეორია 339

16.3 ინტერესთა ჯგუფების ეკონომიკური თეორია 345

16.4 ბიუროკრატიის ეკონომიკური თეორია 349

16.5 მაგალითი: ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის რეფორმის ინსტიტუციური პრობლემები 353

16

თავი

სწავლების მიზნები

- ახალი პოლიტიკური ეკონომიის კონცეფცია ეფუძნება მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის პრინციპს, რომლის მიხედვითაც, ყველა სახის საერთო გადაწყვეტილება, საბოლოოდ, ინდივიდების რაციონალურ ქმედებებს უნდა უკავშირდებოდეს.

- წარმომადგენლობით დემოკრატიებში მყარად დამკვიდრებული ფესვგამდგარი მექანიზმები, რომლებიც უპირატესობას ანიჭებენ კონკურენტი პარტიების მიერ ცენტრისტული (არალოიალური და არარადიკალური) პოზიციის ამომრჩევლების, უფრო ზუსტად კი ცვალებადი აზრის მქონე (მერყევ) ამომრჩეველთა პრიორიტეტებზე ორიენტირებულ საარჩევნო პროგრამას.

- პოლიტიკოსთა მცდელობები, არჩევნების წინ მიზანმიმართული პროგრამით გავლენა მოახდინონ ამომრჩეველთა მნიშვნელოვან ჯგუფებზე, ხელს უწყობს პოლიტიკური კონიუნქტურული ციკლების წარმოქმნას.

- ინდივიდუალური სარგებლისა და ხარჯების ანალიზი გვიჩვენებს, თუ რატომ ხდება, რომ როგორც წესი, მცირე ჯგუფები დიდ ჯგუფებთან შედარებით უკეთ ახერხებენ ინსტიტუციური თვალსაზრისით თავიანთი ინტერესების ორგანიზებას.

- პოლიტიკის დამოკიდებულება ლობისტთა ჯგუფებზე, რომლებშიც საზოგადოების ინტერესები ასიმეტრიულად არის წარმოდგენილი, პოლიტიკური კონკურენციის მარცხს და ინსტიტუციურ სკლეროზს იწვევს.

- ბიუროკრატიის თეორია კარგად განმარტავს, თუ რატომ არის დაკავშირებული სახელმწიფო ადმინისტრირება არა მარტო გადაჭარბებულ ხარჯებთან, არამედ, ხშირად, საზოგადოებრივი საქონლის განუსაზღვრელი ოდენობით და, როგორც წესი, მზარდი ტენდენციის მქონე მიწოდებასთან.

- ევროკავშირის ბოლო აგრარული რეფორმის განხორციელება შესაძლებელი გახდა იმიტომ, რომ საერთაშორისო ზეწოლამ შეცვალა პოლიტ-ეკონომიური ჩარჩო პირობები. ისე რომ არსებული სისტემის ლობისტები თავდაცვის რეჟიმში გადავიდნენ.

16.1 ახალი პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები

შესაბამისი ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტრუმენტების განვითარება, რომელთა საშუალებითაც, ეკონომიკური თეორიის გამოცდილების თანახმად, შესაძლებელია მაღალი საზოგადოებრივი ღირებულებებიდან გამომდინარე ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების მიღწევა, ტრადიციულად, თეორიული ეკონომიკური

პოლიტიკის კომპეტენციას წარმოადგენს. თუმცა ეკონომიკურ-პოლიტიკური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ თეორიული რეკომენდაციები, ხშირად, არასაკმარისი, დაგვიანებული ან საერთოდ შეუსრულებადია. ეს ყოველთვის არ უკავშირდება არასაკმარის თეორიულ დასაბუთებას, ან ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევის ხარვეზებს. ხშირად, ის პირები, ვინც ეკონომიკურ-პოლიტიკური პროგრამები პოლიტიკურ პრაქტიკაში უნდა გაატარონ, მხოლოდ ეკონომიკური თეორიის გამოცდილებით არ ხელმძღვანელობენ. ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს ეკონომიკურ-პოლიტიკური რეკომენდაციების განხორციელებისას გადამწყვეტი პოზიცია უჭირავთ. ისინი მოიცავენ ყველა ინსტიტუციას, რომლებსაც მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების განხორციელება ევალებათ. მათ რიცხვშია, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ორგანოები ქვეყნის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ, თუმცა ასევე პროფკავშირები და დამსაქმებელთა ალიანსები, სამრეწველო და სხვა დარგობრივი კავშირები.

ეკონომიკურ-პოლიტიკური კონცეფციების განხორციელებისათვის უმნიშვნელოვანესია ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების ქცევების ჯერ კიდევ რჩევის პროცესში გათვალისწინება. ინსტიტუციების ქცევების ანალიტიკური კვლევები შესაძლებელია განხორციელდეს სრულიად განსხვავებული რაკურსითა და სრულიად განსხვავებული მეთოდებით. ამდენად, პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესის აღწერა და მისი განმარტება, უკვე დიდი ხანია, ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, პოლიტოლოგიურ, ფსიქოლოგიურ ან იურიდიულ ჭრილში ხდება. ეკონომიკურმა თეორიამ პოლიტიკური ინსტიტუციების კოლექტიური გადაწყვეტილების ანლიზის საკუთარი მეთოდები შედარებით გვიან შეიმუშავა. კვლევის ამ ახალი მიმართულების ფუძემდებლად, რომელსაც „ახალი პოლიტიკური ეკონომია“ ეწოდა, გვევლინებიან იოზეფ შუმპეტერი (1942), ენტონი დაუნსი (1957), ასევე ჯეიმს ბიუკენენი და გორდონ ტალოკი (1962). ახალი პოლიტიკური ეკონომიის განსაკუთრებული მახასიათებელი იმაში მდგომარეობს, რომ იგი პოლიტიკურ სისტემას, მისი მოქმედების პრინციპს და მის შედეგებს იმავე მეთოდიკით იკვლევს, რომელსაც ეკონომიკური თეორია ეკონომიკური მოვლენების ანალიზისათვის იყენებს. ახალი პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს მცდელობას, ცნებათა მთელი ინსტრუმენტების გამოყენებით და ეკონომიკური თეორიის აზროვნების წესით, განსაკუთრებით კი თანმიმდევრული მიკროეკონომიკური ანალიზის დასაბუთებით, მიაღწიოს კოლექტიური გადაწყვეტილებების პროცესის სიღრმისეულ გაგებას.

ახალი პოლიტიკური ეკონომიის სამი მთავარი ჰიპოთეზის მაგალითზე შესაძლებელია მიკროეკონომიკური თეორიის გავლენის არსის გაგება:

- როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური ანალიზის ამოსავალ წერტილს წარმოადგენს მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის კონცეფცია, რომლის მიხედვითაც, გადაწყვეტილებების ძირითადი მიმღებები, მათ შორის კოლექტიური გადაწყვეტილებების სფეროშიც, ყოველთვის არიან ინდივიდები და არასდროს ზეინდივიდუალური კოლექტივები, როგორიცაა, მაგალითად, სახელმწიფო, ხალხი ან პარტიები. ამიტომ თეორიული მიზანია პოლიტიკურ-ინსტიტუციურ სფეროში (პოლიტიკოსები, ამომრჩევლები, სხვადასხვა გაერთიანებების წარმომადგენლები ან ბიუროკრატები) ინდივიდთა ქმედებების შესახებ შეხედულებების განვითარება.

- ამას ემატება ჰიპოთეზა ინდივიდთა რაციონალური ქცევის შესახებ. ჰიპოთეზის თანახნად, თითოეული ინდივიდი პოლიტიკური გადაწყვეტილებების

მიღებისას, საარჩევნო ქმედებათა ალტერნატივებს შორის არჩევანს იმ ალტერნატივაზე აკეთებს, რომელიც მას მოცემული დანახარჯის შემთხვევაში, მიზანთან მაქსიმალურად მიაახლოებს, ან მიზნის მიღწევის განსაზღვრული ხარისხის შემთხვევაში, მინიმალურ დანახარჯს მოითხოვს.

- და ბოლოს, ინდივიდუალური ქცევების მიზნად მიჩნეულია ინდივიდუალური სარგებლის მაქსიმიზაცია, რომლის დროსაც ინდივიდუალური სარგებელი თავის მხრივ შესაძლებელია დამოკიდებული იყოს შემოსავლების ნაკადებზე, პრესტიჟის ზრდაზე, ხმების მოპოვებასა ან იერარქიული პოზიციის გაუმჯობესებაზე.

ის ფაქტი, რომ ახალ პოლიტიკურ ეკონომიაში იგივე ძირითადი აქსიომები გამოიყენება, რაც თეორიულ ეკონომიკურ პოლიტიკაში, იძლევა ეკონომიკური და პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესის ერთიან კონცეფციად ჩამოყალიბების საშუალებას. პოლიტიკურ-ინსტიტუციური რეგულირების სხვადასხვა სფეროებში მიკროეკონომიკური თეორიის გამოყენებამ გამოიწვია ახალი პოლიტიკური ეკონომიის რამდენიმე დამოუკიდებელი, ცალკეული სფეროს განვითარება. დემოკრატიის ეკონომიკური თეორიის, ინტერესთა ჯგუფების ეკონომიკური თეორიისა და ბიუროკრატიის ეკონომიკური თეორიის შესახებ შემდგომში უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი.

ანტუან დე მონკრეტიენი და პოლიტიკური ეკონომია

ანტუან დე მონკრეტიენ დე ვატევილი (1575-1621) დაიბადა ფალეზში, ნორმანდია. კანში სკოლის დამთავრების შემდეგ, ის დიდი ხნის მანძილზე ცხოვრობდა ინგლისსა და ჰოლანდიაში. საფრანგეთში დაბრუნებისას მან დააარსა სავაჭრო-მანუფაქტურული საწარმო. მისი მთავარი ნაშრომია: *Traité de l'Oeconomie Politique* (*Paris*, 1615).

პოლიტიკურ ეკონომიის შესახებ თავისი სამეცნიერო ნაშრომით მონკრეტიენმა საფუძველი ჩაუყარა ეკონომიკური პოლიტიკის თანამედროვე თეორიას. მას მოუწია ცხოვრება ეპოქაში, როდესაც ევროპაში ეკონომიკური კეთილდღეობა მეტად არათანაბრად ვითარდებოდა. ნიდერლანდები გამოირჩეოდა ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებლით, რამაც ქვეყანა „ოქროს ხანამდე" მიიყვანა მაშინ, როდესაც საფრანგეთი პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისის წინაშე აღმოჩნდა. იმართებოდა ინტენსიური დისკუსიები იმ თეორიების ირგვლივ, რომლებიც ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით, სხვა ქვეყნებს ნიდერლანდების წარმატებების მაგალითზე უნდა გამოეყენებინათ. ცალსახა იყო, რომ ნიდერლანდების კეთილდღეობა ინტენსიურ საგარეო ვაჭრობასთან იყო დაკავშირებული. აქედან გამომდინარე, ეგრეთწოდებული მერკანტილიზმის მიმდევრები მთელ ევროპაში მხარს უჭერდნენ სახელმწიფოს მხრიდან ვაჭრობისა და მეწარმეობის წახალისებას, როგორც ეკონომიკური ზრდის პოლიტიკის საშუალებას. მონკრეტიენმა ანალიზი დაიწყო საფრანგეთის ეკონომიკური მდგომარეობის აღწერით, იგი მხარს უჭერდა ეკონომიკური ზრდის წახალისებას, როგორც მნიშვნელოვან პოლიტიკურ მიზანს და მოითხოვდა მიზანმიმართულ სახელმწიფო პოლიტიკას საფრანგეთის შიდა და საგარეო ვაჭრობის განვითარების მიზნით.

თავიდან პოლიტიკური ეკონომიის ცნება ეკონომიკური მეცნიერების იდენტურად მიიჩნეოდა, ვინაიდან ეკონომიკური კავშირების თეორიული ანალიზი, მუდმივად, ცალკეული სახელმწიფოების კეთილდღეობის ამაღლების პოლიტიკურ ინტერესებთან იყო დაკავშირებული. აღნიშნულ ცნებას შეხვდებოდით ასევე ეკონომიკის კლასიკოსთა სახელმძღვანელოებში, როგორიცაა მაგალითად, დევიდ რიკარდოს *Principles of Political Economy and Taxation*. კარლ მარქსი შეეცადა თავის მთავარ ნაშრომში „კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა", დაედგინა ეკონომიური თეორიისა და თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის კავშირი და საზოგადოების კონკრეტული ჯგუფის, კაპიტალისტების, ინტერესებთან. ახალი პოლიტიკური ეკონომია, ერთი მხრივ, ემხრობა ეკონომიკური პოლიტიკის ინტერესების კავშირის თეზისს, თუმცა ამასთან, ნაშრომში სრულიად განსხვავებულ ინტერესებს ხედავს.

16.2 საპარლამენტო დემოკრატიის ეკონომიკური თეორია

ახალი პოლიტიკური ეკონომიის პირველადი მიდგომები, რომლებიც საპარლამენტო დემოკრატიის მუშაობის პრინციპით არიან დაკავებულნი, პირველად აისახა იოზეფ შუმპეტერის ნაშრომში, რომელიც დინამიკური კონკურენციის თეორიის ფუძემდებლად ითვლება. შუმპეტერის ანალიზი შეგნებულად უვლის გვერდს კლასიკური დემოკრატიის იდეალს, რომელშიც დეპუტატები ამომრჩეველთა მოთხოვნით საერთო კეთილდღეობის მიღწევისკენ ისწრაფიან. ნაცვლად ამისა, იგი საპარლამენტო დემოკრატიას განიხილავს, როგორც პოლიტიკოსთა დინამიკურ კონკურენციას ამომრჩეველთა მაქსიმალური ხმების მოსაპოვებლად. ამომრჩევლები და პოლიტიკოსები თავიანთ ქმედებებში ხელმძღვანელობენ მხოლოდ ინდივიდუალური სარგებლის და არა საყოველთაო კეთილდღეობის მოსაზრებით. პოლიტიკოსთა მიზანს წარმოადგენს სახელმწიფო თანამდებობაზე არჩევა, შესაბამისად, განმეორებითი არჩევა და მასთან დაკავშირებული უპირატესობები – ძალაუფლება, პრესტიჟი, შემოსავლები. თუმცა, პოლიტიკოსთა სურვილს საკუთარი სარგებლის მაქსიმიზაციის თაობაზე, შესაძლოა პოლიტიკური კონკურენციის დინამიკის შენარჩუნების შემთხვევაში, მთელი საზოგადოებისათვის დადებითი შედეგი მოჰყვეს. ზუსტად ისევე, როგორც მომხმარებელთა საქონლით უზრუნველყოფა მეწარმის ინდივიდუალური მოგებისაკენ სწრაფვის თანმხლებ მოვლენას წარმოადგენს, განსაზღვრულ პირობებში, პოლიტიკოსთა ინდივიდუალურ სწრაფვას ძალაუფლებისა და თანამდებობისკენ, შედეგად შესაძლოა, ამომრჩეველთა სურვილების უმაღლეს დონეზე დაკმაყოფილება მოჰყვეს.

საპარლამენტო დემოკრატიის ეკონომიკური თეორიის ძირითადი პრინციპები ეფუძნება ენტონი დაუნსის (1957) მიერ განვითარებულ მარტივ მოდელს. აღნიშნული მოდელი ეფუძნება სულ მცირე ორი პარტიის (შესაბამისად, ორი პარტიის წარმომადგენლის) არსებობას, რომლებიც პოლიტიკური ძალაუფლებისთვის იბრძვიან. არჩევნები ტარდება პერიოდულობით, დროის შედარებით მოკლე ინტერვალებით, რომლის დროსაც არჩევნებში მონაწილეობის უფლე-

ბის მქონე ყველა მოქალაქეს საარჩევნო ხმა გააჩნია. მოქალაქეთა გულგრილობა არჩევნების მიმართ გამორიცხული უნდა იყოს. პარტია, რომელიც ხმათა უმრავლესობას მოიპოვებს, უფლებამოსილია, შემდგომ არჩევნებამდე ხელში აიღოს მართვის სადავეები. დამარცხებულები გამარჯვებულ პარტიას ვალდებულებების საკუთარ თავზე აღებაში ხელს ვერ შეუშლიან და თავის მხრივ, გამარჯვებული პარტია არ ცდილობს, არჩევნებში გამარჯვება დამარცხებული პარტიების პოლიტიკური მოღვაწეობის შეზღუდვისათვის გამოიყენოს. ამ გზით უზრუნველყოფილია გრძელვადიანი პოლიტიკური კონკურენცია.

რაციონალური ქცევისა და პოლიტიკოსთა და ამომრჩეველთა ინდივიდუალური სარგებლის მაქსიმიზაციის პირობით, პარტიები მსგავს სისტემაში შეძლებისდაგვარად ბევრი ამომრჩევლის ინტერესის გათვალისწინებით, ხმათა მაქსიმუმის მოპოვებაზე იზრუნებენ. ამომრჩევლები, თავის მხრივ, აირჩევენ იმ კანდიდატებს, რომელთა პოლიტიკური აქტივობებიდანაც ისინი სარგებლის მაქსიმალურ ზრდას მოელიან. გამარტივების მიზნით, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ამომრჩევლები სრულყოფილად გაეცნონ პარტიების პროგრამებს, ხოლო პოლიტიკოსებს ჰქონდეთ ზუსტი ინფორმაცია ამომრჩეველთა პრიორიტეტების განაწილების შესახებ.

კონკურენციის თეორიის მსგავსად, დაუნსის მოდელი აფიქსირებს თავის პოზიციას პარტიების პროგრამების დინამიკის შესახებ, რაც გულისხმობს, პოლიტიკოსთა საარჩევნო გზავნილების განვითარებას დროთა განმავლობაში. ორპარტიულ სისტემაში, რომელშიც საპროგრამო გამონათქვამები მხოლოდ ერთადერთ, პოლიტიკურად გადასაჭრელ პრობლემას შეეხება და ამდენად, ამომრჩეველებს ცალმხრივი გადაწყვეტილების მიღება მოეთხოვებათ, შესაძლებელია ამომრჩეველთა სპექტრის შუა სეგმენტზე პარტიული პროგრამების დაახლოების აშკარა ტენდენცია განვითარდეს.

თუ ორივე პარტიის პროგრამა აბსოლუტურად საპირისპირო პოზიციებს წარმოადგენს, აქამდე მიღებული ჰიპოთეზების თანახმად, ისინი იმ დონემდე დაუახლოვდებიან ერთმანეთს, ვიდრე ცენტრისტული ამომრჩევლის პრიორიტეტებთან შესაბამისობაში არ მოვლენ. ამასთან, საქმე ეხება ამომრჩეველს, რომელთა პრიორიტეტებს შედეგად მოსახლეობის გაყოფა მოსდევს, იმ თვალსაზრისით, რომ მოსახლეობის ერთი ნახევარი ხმის მისაცემ სუბიექტს უფრო მეტ ან უფრო ნაკლებ პრიორიტეტს ანიჭებს. ამდენად, მისი ხმა გადამწყვეტია იმ თვალსაზრისით, რომ ერთ-ერთი პარტია ხმების 50%-ზე მეტს და, შესაბამისად, უმრავლესობას მოიპოვებს. ცენტრისტული ამომრჩევლისაკენ მოძრაობა ამასთან, ხორციელდება ამომრჩეველთა პრიორიტეტების განაწილების ფუნქციის კონკრეტული ფორმის მიუხედავად. თუ განვიხილავთ ერთგანზომილებიან პოლიტიკური გადაწყვეტილების პრობლემას, როგორიცაა, მაგალითად, ეკონომიკურ პროცესში სახელმწიფო ჩარევების მასშტაბის საკითხი, დარჩება პოლიტიკური არჩევანის შესაძლებლობა ორ პოლუსს შორის არსებული უწყვეტობიდან (ურთიერთკავშირიდან), Z აბსოლუტურად ცენტრალურ დაგეგმვასა და F სრულიად თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას შორის.

ნახაზზე 16.1. გამოსახულ უსასრულობაში თითოეული ამომრჩეველი კონკრეტულ პუნქტს უპირატესობას იმის მიხედვით ანიჭებს, რაც უფრო ახლოს მდებარეობს იგი მისთვის მისაღებ პუნქტთან, ცალკეულ შემთხვევაში მისგან დაშორების მიუხედავადაც. თავის არჩევანს იგი სწორედ ამის მიხედვით აკეთებს.



ნახაზი 16.1: არჩევნების წონასწორობა ამომრჩეველთა თანაბრად განაწილებული პრიორიტეტების დროს

როდესაც ორი პარტია ამომრჩეველთა ხმებისთვის იბრძვის, არჩევნების მიმართ გულგრილობა არ არის შესაძლებელი და ყოველი ამომრჩეველი ირჩევს პარტიას, რომლის პროგრამაც მის პრიორიტეტებს განსაკუთრებულად შეესაბამება, პარტიათა პროგრამები ცენტრისტულ ამომრჩეველთან მიმართებაში ერთმანეთს უახლოვდებიან. მხოლოდ იქ და არა ფლანგებზე ან უკიდურეს წერტილებთან არის შესაძლებელი სხვა პარტიისათვის ხმების წართმევა. წონასწორობაში ორივე პარტიის პროგრამა ემთხვევა M ცენტრისტული ამომრჩევლის პრიორიტეტს.

და ბოლოს, განვიხილოთ შემთხვევა, რომელშიც ამომრჩეველთა რაოდენობა განაწილების V_1 ფუნქციის შესაბამისად, შესაძლო პროგრამული პოზიციების სპექტრით თანაბრად არის განაწილებული. თუ A პოლიტიკოსი საწყის მდგომარეობაში პროგრამას ცენტრიდან მარცხნივ, ხოლო B პოლიტიკოსი მარჯვნივ გვთავაზობს, წარმოიქმნება A-ს და B-ს საპროგრამო გზავნილების ცენტრისტების მიმართ ერთმანეთთან დაახლოების ტენდენცია. ცენტრისკენ მოძრაობა ზრდის ალბათობას, რომ ამომრჩევლები ერთ პოლიტიკოსს მეორეს ამჯობინებენ. არჩევნებისთვის გადამწყვეტია, მოიპოვო ის ამომრჩეველი, რომლის ხმაც პარტიას ხმათა უმრავლესობას მოუტანს. ამ შედეგს ცენტრისტული ამომრჩევლის თეორემასაც უწოდებენ.

ცენტრისტული ამომრჩევლის პოზიციასთან საპროგრამო გზავნილების დაახლოება მოცემული პირობით მაშინაც იჩენს თავს, როდესაც ამომრჩეველთა პრიორიტეტები სხვა სახეს ატარებენ (შეადრ. ნახაზი 16.2.ა და ბ.). ამ კავშირს ცხადყოფს V_2 განაწილების ფუნქცია, რომელიც ცენტრში დაჯგუფებაზე მიუთითებს, ან V_3 განაწილების ფუნქცია, რომელიც ცენტრიდან მარჯვნივ და მარცხნივ ორ უმაღლეს წერტილს ფლობს. ამომრჩეველთა ხმების საერთო რაოდენობა, რომლებიც ყველა პარტიაზე ნაწილდება, გამოითვლება, როგორც განაწილების ფუნქციის ქვემოთ მონიშნული ველი. რადგან ყველა პარტია ცდილობს მაქსიმუმამდე გაზარდოს მისთვის განკუთვნილი ველი, ხოლო კიდეებზე ან მათ მიღმა არ არსებობს გაფართოების საშუალება, ახალი ამომრჩევლების მოზიდვა მხოლოდ ცენტრისტებთან ურთიერთობით არის შესაძლებელი. თუ რამდენად არის დაშორებული თითოეული პარტიის მოძრაობა ცენტრიდან, მოძრაობისთვის რა მანძილი დასჭირდება, დამოკიდებულია მოცემულ მომენტში ცენტრისტების შესაბამის განაწილებაზე.



ნახაზი 16.2: არჩევნების წონასწორობა ამომრჩეველთა არათანაბრად განაწილებული პრიორიტეტების დროს

ამომრჩეველთა არათანაბრად განაწილებული პრიორიტეტების შემთხვევაში, პარტიების პროგრამებისთვის M ცენტრისტული ამომრჩევლის მიზიდულობის ძალა მნიშვნელოვანი რჩება, თუ არჩევნებში ერთმანეთს კვლავინდებურად მხოლოდ ორი პარტია უპირისპირდება, საარჩევნო პროგრამები ერთგანზომილებიანია, არჩევნებისადმი გულგრილობა გამორიცხულია და თითოეული ამომრჩეველი ხმას აძლევს პარტიას, რომელიც მის პრიორიტეტებს ყველაზე მეტად შეესაბამება.

პარტიული პროგრამების მრავალფეროვნებას შეეძლო ცენტრისკენ მოძრაობის შეჩერება. თუმცა ამომრჩევლებს წარმოეშობათ ინფორმაციასთან დაკავშირებული მნიშვნელოვნად მაღალი ხარჯები, თუ მათ საპროგრამო გზავნილების მთელი სპექტრისა და მათი შედეგების შეფასება და შედარება მოუწევთ. აქედან გამომდინარეობს მოტივაცია პარტიებისათვის, წარმოადგინონ ერთგანზომილებიანი საპროგრამო გზავნილები, რომლის დროსაც აღნიშნული ფუნქცია, ხშირად, ერთ კონკრეტულ, მკაფიოდ ჩამოყალიბებულ პარტიულ იდეოლოგიას ეკისრება. ცენტრისკენ მოძრაობას ხელს უშლის საპროგრამო გზავნილებთან დაკავშირებული შიდაპარტიული კონკურენცია. თუ პარტიის ხელმძღვანელობა, რომელიც პასუხისმგებელია საპროგრამო გზავნილების ჩამოყალიბებაზე, არჩევნების გზით თავად ხდება ლეგიტიმური, მან როგორც წესი, ორიენტაცია

უნდა აიღოს პარტიის მიერ წარმოდგენილი ამომრჩეველთა ჯგუფის და არა ამომრჩეველთა საერთო პოტენციალის ცენტრისტულ ნაწილზე. ამით საფუძველი ეყრება საარჩევნო პროგრამის ჩამოყალიბების ტენდენციას, რომელშიც ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიციები უფრო მეტად არის გათვალისწინებული.

არჩევნებისადმი გულგრილი დამოკიდებულების (მასში მონაწილეობაზე უარის თქმა) საფრთხე და ახალი პარტიების გამოჩენა ეწინააღმდეგება პარტიული პროგრამების მეტისმეტად დიდ შინაარსობრივ მსგავსებას. არჩევნებისადმი გულგრილობის საფრთხე მოსალოდნელია უკიდურესად განსხვავებული პრიორიტეტების მქონე ამომრჩევლებისგან, რომლებიც თვლიან, რომ მათი ინტერესები არც ერთი პარტიის მხრიდან არ არის სათანადოდ წარმოდგენილი, თუ ყველა საარჩევნო პროგრამა მეტისმეტად ღრმად ცენტრისკენ იხრება. შედეგს კიდევ უფრო ამძაფრებს, როდესაც იმედგაცრუებული ამომრჩევლები მხარს უჭერენ ახლად დაარსებულ პარტიებს, რომლებიც თავიანთი გზავნილებით საპროგრამო სპექტრის კიდეებს იკავებენ. მეორე მხრივ, თავად ცენტრისტებისთვის აღარ არის მიმზიდველი, ხმა მისცენ ერთ კონკრეტულ პარტიას, თუ ყველა პარტიის საპროგრამო გზავნილი მეტისმეტად დაემსგავსა ერთმანეთს. ამომრჩეველთა მხრივ ხმის მიცემისგან თავის შეკავება ყველა პარტიისთვის იგივე შედეგის მომტანია, რაც ამომრჩეველთა სხვა პარტიებისკენ გადახრას იწვევს. ამით იზრდება მოტივაცია, უფრო ძლიერად გაიმიჯნოს საპროგრამო გზავნილები.

და ბოლოს, დაუნსის მოდელის დამაჯერებლობას პრობლემას უქმნის დაშვებები, რომლებიც უკავშირდება პარტიული პროგრამებისა და ამომრჩეველთა სურვილების შესახებ ინფორმაციებს. თავდაპირველად, შესაძლოა დაეჭვება გამოიწვიოს საკითხმა, რეალურად ზუსტად განჭვრეტენ კი პარტიები ამომრჩეველთა პრიორიტეტებს, როგორც ამას განაწილების ფუნქციის ჰიპოთეზა ვარაუდობს. ამდენად, Probabilistic Voting -ის (Coughlin 1992), ანუ ამომრჩეველთა ქცევის ალბათობის თეორია გამოდის იქედან, რომ პარტიებს მხოლოდ ამომრჩეველთა ხმების მოპოვების ალბათობის მაქსიმიზაცია შეუძლიათ. თუ ვივარაუდებთ, რომ ამომრჩეველთა სხვადასხვა ჯგუფები პარტიული პროგრამების ცვლილებებზე სხვადასხვაგვარად რეაგირებენ, პარტიებს ექმნებათ მოტივაცია, მაქსიმალური ორიენტაცია აიღონ ამომრჩეველთა იმ ჯგუფის ინტერესებზე, რომელიც საპროგრამო ცვლილებებს დიდი ალბათობით საარჩევნო ქცევის ცვლილებით უპასუხებს. ამდენად, პარტიული პროგრამის ჩამოყალიბებისათვის, შუალედური პოზიციის ამომრჩევლის მიმზიდველობას, ცვალებადი აზრის ამომრჩევლის მიმზიდველობა ენაცვლება.

ვინაიდან ამომრჩეველთა მიერ პარტიული პროგრამის სავალდებულო შეფასება ყოველთვის მხოლოდ არჩევნების დროს ხდება, პოლიტიკოსები ყველა შემთხვევაში იძულებულნი არიან, წინასწარ განსაზღვრონ ამომრჩეველთა პრიორიტეტები. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, არჩევნების ჩატარების თარიღისათვის დროულად იქნეს შეთავაზებული ის პროგრამა, რომელიც პოლიტიკოსთა აზრით, ამომრჩეველთა ნებას ყველაზე მეტად შეესაბამება. თავიანთი საინფორმაციო ბაზის გასაფართოებლად, პოლიტიკოსებისათვის მიზანშეწონილი უნდა იყოს, გამოიკითხონ და გაითვალისწინონ ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფების აზრი. ამით თავს იჩენს მნიშვნელოვანი ფუნქცია ისეთი ინტერესთა ჯგუფის არსებობისათვის, რომელიც უფრო დეტალურად განხილული იქნება 16.3-ში.

სხვადასხვა პოლიტიკოსთა კონკრეტული საპროგრამო გზავნილებისა და მათი შედეგების შესახებ ინფორმაციის მოპოვება ამომრჩევლებისთვისაც ხარ-

ჯებთან არის დაკავშირებული. ამდენად, მთავრობაში მყოფი პოლიტიკოსებისათვის იქმნება მოტივაცია, თავიანთი საქმიანობის სარგებლიანობა განსაკუთრებულად წარმოაჩინონ უშუალოდ არჩევნების წინ. მათი მიზანია, არჩევნების წინ გაატარონ ამომრჩეველთა ჯგუფებზე ორიენტირებული სპეციფიური წამახალისებელი ღონისძიებები ან იზრუნონ შეძლებისდაგვარად ოპტიმალურ საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ამასთან, ისინი შეეცდებიან აღნიშნული ღონისძიებების ხარჯები უკვე არჩევნების შემდეგ წარმოიშვას. ალბათობა მსგავსი პოლიტიკისათვის იზრდება საარჩევნო პერიოდთან ერთად, შედეგად მას მოჰყვება პოლიტიკური კონიუნქტურებისა და ციკლების წარმოშობა (ნორდჰაუსი, 1975 წ).

უილიამ ნორდჰაუსი და პოლიტიკური კონიუნქტურის ციკლი

უილიამ დ. ნორდჰაუსი (დაბ. 1941 წ. ალბუკერკეში, ნიუ მექსიკო) სწავლობდა პარიზსა და იელში, სამეცნიერო ხარისხი დაიცვა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და 1973 წლიდან არის იელის უნივერსიტეტის პროფესორი. მისი ძირითადი შრომებია: *A Theoretical Treatment of Technological Change* (*Cambridge MA*, 1969); *Is Growth Obsolete?* (*zusammen mit J. Tobin*, *New York*, 1973); „*The Political Business Cycle*“ (*Review of Economic Studies*, 1975); *Managing the Global Commons: The Economics of Climate Change* (*Wien*, 1994).

თავის სტატიაში პოლიტიკური ციკლების წარმოშობის შესახებ, ნორდჰაუსი საპარლამენტო დემოკრატიის მექანიზმებში მთავრობის მოტივაციას ხედავდა არა კონიუნქტიურული მერყეობების თავიდან აცილებაში, არამედ პირიქით, მათ შექმნაში. ამაზე პასუხისმგებელია პარლამენტებისა და მთავრობებისათვის კანონით წინასწარ განსაზღვრული საარჩევნო ციკლები. პოლიტიკოსები დაინტერესებული იქნებიან, არჩევნებამდე და არჩევნების შემდეგ ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ეკონომიკური პოლიტიკა გაატარონ, თუ მათ ამომრჩეველთა მხრიდან ხმების დაკარგვა არ ემუქრებათ.

ნორდჰაუსის მოდელი ეფუძნება ფილიპსის მრუდს, რომელიც მთავრობას ინფლაციის დონესა და უმუშევრობის მასშტაბს შორის მოკლევადიანი არჩევანის საშუალებაში არწმუნებს, რომლის დროსაც ინფლაციის დონე მონეტარული პოლიტიკის ცვლილებებზე თავიდან მხოლოდ დაყოვნებით, გაჭიანურებით რეაგირებს. ამომრჩევლები მთავრობას აფასებენ მათი წარმატებების მიხედვით ინფლაციის დაძლევისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით, თუმცა ისინი მათ წარსულ მიღწევებსაც და გარკვეული დროის შემდეგ, მათ ძველ წარუმატებლობებსაც ივიწყებენ. აღნიშნულის საფუძველზე, მთავრობა მოტივირებულია, უშუალოდ არჩევნების შემდეგ, ინფლაციის დონე რესტრიქციული მაკროეკონომიკური პოლიტიკით შეამციროს და სამაგიეროდ შეეგუოს უმუშევართა მზარდ რაოდენობას. უშუალოდ არჩევნების წინ, პირიქით, დასაქმება პოლიტიკის თვალსაზრისით, ზევრად უფრო პრიორიტეტულია. ეს აისახება ექსპანსიურ საბიუჯეტო პოლიტიკაში, რომელსაც თან ისევ ზრდადი ინფლაციის დონე ახლავს.

პოლიტიკური კონიუნქტურის თეორიის მნიშვნელოვანი დავის საგანს წარმოადგენს მხარეთა მოლოდინების ჩამოყალიბება. რაციონალური მოლოდინის დროს, არც ფილიპსის მრუდის მოკლევადიანი სტაბილურობაა

გარანტირებული და არც იმის იმედად ყოფნა ღირს, რომ მთავრობის რეალური პოლიტიკის შესახებ ამომრჩეველი ხანგრძლივი დროის მანძილზე მოტყუებული დარჩება. აღნიშნულ წინააღმდეგობას თავის მხრივ უპირისპირდება ის ფაქტი, რომ ნებისმიერი პოლიტიკური არჩევნები ყოველთვის გაურკვეველ პირობებში ტარდება და ეგზოგენური მიზეზები აქვს: ნედლეულის ფასის ცვლილებები, მსოფლიო კონიუნქტურის გავლენა, პოლიტიკური კრიზისები. ამომრჩეველთა უდიდეს ნაწილს არ შესწევს უნარი, ზუსტად განასხვავოს ეკონომიკურ-პოლიტიკურ მიზნებზე ენდოგენური და ეგზოგენური ფაქტორების გავლენა. ამდენად, პოლიტიკოსებს ექმნებათ მოქმედებისა და მანევრირების თავისუფლება, რომელიც მათ ინოვაციური საარჩევნო გზავნილების საშუალებით შეუძლიათ გამოიყენონ ხელახალი არჩევისათვის და რაც ზუსტად შეესაბამება შუმპეტერის დინამიკური კონკურენციის თეორიის არსს.

16.3 ინტერესთა ჯგუფების ეკონომიკური თეორია

ახალი პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ინტერესთა ჯგუფების წარმოშობისა და მათი პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესზე გავლენის გაანალიზება და შეფასება. დემოკრატიულ სისტემებში ხშირად გაკრიტიკებული „ალიანსთა მმართველობა“, პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, ყურადღებას ამახვილებს ორგანიზებული ჯგუფური ინტერესების მნიშვნელობაზე. აქედან გამომდინარე, ისმის კითხვა, იქნებ საპარლამენტო დემოკრატიის სისტემა სპეციფიური ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესების გატარებას უწყობს ხელს.

ახალი პოლიტიკური ეკონომიის ჭრილში, ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკური ძალაუფლების მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ისინი პოლიტიკოსებს და თავიანთ წევრებს ისეთ ინფორმაციებს აწვდიან, რომლის მიღებაც მათთვის სხვა შემთხვევაში მნიშვნელოვან ხარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული. შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ პოლიტიკოსები და პარტიის წარმომადგენლები, როგორც წესი, არასაკმარის ცოდნას ფლობენ კონკრეტული ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების ზემოქმედებისა და ამომრჩევლების პრიორიტეტების შესახებ, ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნებისა და საშუალებების თვალსაზრისით. ინტერესთა ჯგუფების მიერ მსგავსი ინფორმაციებით უზრუნველყოფა, შედარებით ნაკლებ ხარჯებთან არის დაკავშირებული. მეორე მხრივ, ინტერესთა გაერთიანებებს შეუძლიათ თავიანთ წევრებს ასევე ზუსტი ინფორმაცია მიაწოდონ სახელმწიფო ღონისძიებების ეფექტურობის შესახებ და ამით ხელი შეუწყონ ინდივიდუალური საარჩევნო გადაწყვეტილების მიღებისას საჭირო ცოდნის დონის გაუმჯობესებას. ალიანსთა ძალაუფლება ასევე შესაძლებელია ეფუძნებოდეს იმ ფაქტს, რომ მათ ორგანიზებულობის მაღალი ხარისხის გამო შეუძლიათ, მიზანმიმართული აქციებით გავლენა მოახდინონ მთლიან ეკონომიკურ სისტემაზე. მათ შუძლიათ ამომრჩეველთა სხვა ჯგუფებთან დაკავშირება და ალიანსის ინტერესებიდან გამომდინარე მათი გადაწყვეტილებებით მანიპულირება. ალიანსების მსგავსი „საბაზრო ძალაუფლება“ გამოხატულებას ჰპოვებს ორგანიზებული გაფიცვის ან გარკვეულ პროდუქტებზე ბოიკოტის ფორმით.

არ არის აუცილებელი, რომ პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებაზე ინტერესთა ალიანსების გავლენამ პოლიტიკის შედეგები ცალმხრივად დაამახინჯოს. პოლიტიკოსთა ინფორმაციის ფორმირებაში წვლილი შეაქვთ არამხოლოდ ინტერესთა ჯგუფებს, არამედ დამოუკიდებელ მრჩეველთა კომიტეტსა და ინდივიდუალურ გამოცდილებებს. ალიანსების მიერ ყველა სახის ინდივიდუალური ინტერესის თანაბრად წარმოდგენა, ასევე გამოიწვევდა კონკურენციის ზეწოლას, რაც ხელს უშლის პრეფერენციების ჩამოყალიბებას. თუმცა, ინტერესთა ჯგუფების ეკონომიკურმა თეორიამ აგრეთვე აჩვენა, რომ არ არის შესაძლებელი ყველა ინდივიდუალური ინტერესის თანაბრად, ალიანსების მსგავსად კლასიფიცირება და ამდენად, პოლიტიკური თვალსაზრისით ერთნაირად დამაჯერებლად გატარება. რაც არ უნდა იყოს, ინტერესთა ჯგუფის დაარსება და შენახვა მისი წევრებისათვის ხარჯებთან არის დაკავშირებული მაშინ, როდესაც ალიანსების საქმიანობის შედეგებით შესაძლოა ისარგებლონ იმ ინდივიდებმა, რომელთაც თავად არ უხდებათ ამ ხარჯების გაწევა.



ნახაზი 16.3: კლუბის ოპტიმალური სიდიდის დეტერმინანტები

ზემოთ მოცემულია მოსალოდნელი C ხარჯებისა და U სარგებლის განვითარება, დამოკიდებული კლუბის x წევრთა რაოდენობაზე. ქვედა ნაწილში ასახულია შესაბამისი C′ ზღვრული ხარჯებისა და U′ ზღვრული სარგებლის განვითარება. ეკონომიკური თვალსაზრისით კლუბის ოპტიმალური სიდიდე ზღვრული ხარჯებისა და ზღვრული სარგებლის გადაკვეთის x წერტილში მდებარეობს.*

მანსურ ოლსონმა (1965) გაანალიზა ის პირობები, რაც ამართლებს ალიანსებში გაწევრიანებას. ალიანსი (კლუბი) თავის წევრებს სთავაზობს კერძო კოლექტიურ საქონელს, რაც იმას გულისხმობს, რომ კლუბის წევრები არ მეტოქეობენ საქონლის მოხმარებისას, მაგრამ სარგებელს საერთოდ ვერ მიიღებენ ისინი, ვინც კლუბში არ არიან გაერთიანებული. ვინაიდან კლუბში გაწევრიანება ხარჯებთან არის დაკავშირებული, რაციონალურად მოქმედ ინდივიდს მისი წევრობა მხოლოდ მაშინ უღირს, როდესაც ალიანსის მიერ შეთავაზებულ კლუბის საქონელს ინდივიდუალური სარგებლიანობის ანგარიშში საკმარისად დიდი მნიშვნელობა აქვს.

კლუბის წევრობის ხარჯები და სარგებლიანობა, ცხადია კლუბის წევრთა რაოდენობაზეც არის დამოკიდებული, რომლის დროსაც სრულიად განსხვავებული ფუნქციური განვითარებაა მოსალოდნელი. წევრობის სარგებელი, ისევე, როგორც ხარჯები, წევრების რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში შესაძლოა გაიზარდოს ან შემცირდეს. კონკრეტული განვითარების პროცესის მიუხედავად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კლუბის ოპტიმალური სიდიდე მაშინ მიიღწევა, როდესაც ახალი წევრის მიღების ზღვრული ხარჯები ზღვრულ სარგებელს შეესაბამება. ნახაზი 16.3 წარმოადგენს ხარჯებისა და სარგებლის შესაძლო განვითარებას, რომელსაც შედეგად წევრთა x* რაოდენობის შემთხვევაში, კლუბის ოპტიმალური სიდიდე მოჰყვება. აღნიშნულ მაგალითში მთლიანი ხარჯები წევრთა მზარდი რაოდენობის შემთხვევაში მცირდება. ზღვრული ხარჯები ამდენად უარყოფითი, თუმცა ზრდადია, გამომდინარე იქედან, რომ მაგალითად, წევრთა გაზრდილი რაოდენობის გამო, ორგანიზაცია უფრო ხარჯიანი ხდება. წევრთა სარგებელი თავიდან იზრდება, თუმცა მოგვიანებით მცირდება, ვინაიდან იმატებს მათი ჰეტეროგენურობა და, შესაბამისად, კლუბი თავის მიზანს ისეთი წარმატებით ვეღარ აღწევს.

თუ გავითვალისწინებთ ინტერესთა ალიანსის მიზანსა და მის დამოკიდებულებას ინდივიადუალურ სარგებელთან, კლუბის წევრების სარგებელთან და მოცემული ხარჯების პირობებში, ზღვრული სარგებლის განვითარებასთან, შესაძლებელია აიხსნას, თუ რატომ ხდება, რომ მეწარმეები და დასაქმებულები ბევრად უფრო მეტად არიან ალიანსის ტიპის ორგანიზაციულ წესრიგზე ორიენტირებულნი, ვიდრე მომხმარებლები. შრომის დანაწილებაზე დაფუძნებული ეკონომიკის ფარგლებში, როგორც წესი, ინდივიდები შემოსავალს დომინირებული წყაროდან იღებენ, როგორც ხელფასს ან მოგებას. საპირისპიროდ ინდივიდუალური სამომხმარებლო აქტივობა მიმართულია უამრავი სხვადასხვა საქონლისკენ, რომლებიც ასევე უამრავ ბაზარზე იყიდება. ამდენად, ინტერესთა ჯგუფის მხარდაჭერას, რომელიც ინდივიდუალური შემოსავლის ზრდაზე ზრუნავს, როგორც წესი, ინდივიდუალური სარგებლის გაზრდა ბევრად ეფექტურად გამოსდის, ვიდრე ლობისტურ საქმიანობას, რომელიც მხოლოდ ერთი სამომხმარებლო საქონლით უკეთ უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. კონკრეტული სამომხმარებლო საქონლის შეძენის ან სარგებლობისათვის მზარდი ხარჯების შემთხვევაში, უფრო მიმზიდველი ხდება მომხმარებელთა ინტერესების გაერთიანებული ფორმით ორგანიზება. საოჯახო ბიუჯეტის ხარჯებში საკმარისად მაღალი წილის მქონე სამომხმარებლო საქონლის და, შესაბამისად, მომხმარებელთა გართიანებული ფორმით ორგანიზების ტიპურ მაგალითს წარმოადგენს მანქანა და ბინა. ამდენად, გასაკვირი არ უნდა იყოს, თუ გერმანიაში ერთი მხრივ, გასაქირავებელ ბინებზე მოთხოვნა წახალისებულია ქირის სუბსიდირებით და, იმავდროულად, ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის ფარგლებში, მასობრივ დახმარებას იღებენ სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მეწარმეები.

მანსურ ოლსონი და ინსტიტუციური სკლეროზი

მანსურ ლოიდ ოლსონი (1932-1998) ამერიკელი ეკონომისტი, დაიბადა გრანდ ფორკსში, ჩრდილოეთ დაკოტა, ოქსფორდსა და ჰარვარდში სწავლის შემდეგ, 1969 წელს ის იყო მერილენდის უნივერსიტეტის პროფესორი, ხოლო 1991 წლიდან იგი გახდა იქვე ახლად დაფუძნებული *Center on Institutional Reform and the Informal Sector* (*IRIS*)-ის დირექტორი. ინსტიტუტმა ამოცანად დაისახა, შეექმნა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის თამაშის წესები ქვეყნების სპეციფიკიდან გამომდინარე და შეემუშავებინა მათი განხორციელების სტრატეგია. *IRIS*-ის ძირითად თემატურ მიმართულებებს წარმოადგენს დემოკრატიზაცია, იუსტიციის დარგში რეფორმები, საბაზრო რეგულირება, კონკურენციის პოლიტიკა, კორუფციასთან ბრძოლა და ასევე სოციალური კაპიტალის შექმნა. ოლსონის მთავარი შრომებია: *The Logic of Collective Action* (*Cambridge*, 1965), *The Rise and Decline of Nations* (*New Haven*, 1982).

ოლსონმა თავის ნაშრომებში საფუძველი ჩაუყარა ლობისტური ჯგუფების ორგანიზების თეორიას. მან უჩვენა, თუ რა მიზნით და როგორ ყალიბდება თანამედროვე საზოგადოებაში ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც თავიანთი წევრების განსაზღვრულ კოლექტიურ საქონელთან წვდომას უზრუნველყოფენ. ოლსონი დიდ საფრთხეს ხედავდა იმაში, რომ საზოგადოებრივი ინტერესების ორგანიზება სიმეტრიულად არ ხორციელდება. სხვისი კაპიტალის მითვისებისა და მოხმარების საფრთხისა და ორგანიზაციის ხარჯების გამო, როგორც წესი, პატარა ჯგუფების განსაკუთრებული ინტერესები შესაძლოა, ინსტიტუციურად ბევრად უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს ერთმანეთს, ვიდრე უფრო მოზრდილ ჯგუფთა ინტერესები. თუმცა, როდესაც პატარა, კარგად ორგანიზებული ინტერესთა ჯგუფები ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზე მეტისმეტად დიდ გავლენას ახდენენ, ისინი გრძელვადიან პერსპექტივაში ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცვლილებებს ბლოკავენ. მიზანმიმართული ლობიზმის საშუალებით ისინი ცდილობენ, გაზარდონ თავიანთ წევრთა შემოსავალი, მაშინაც კი, როდესაც იგი არა საყოველთაო კეთილდღეობის ზრდასთან, არამედ, წმინდა გადანაწილებასთან არის დაკავშირებული.

ოლსონი გრძელვადიანი კეთილდღეობის წინაპირობას ხედავდა გავლენიან ინტერესთა ჯგუფების შევიწროვებასა და კონკურენციის გაძლიერებაში. სახელმწიფოთა ხანგრძლივ ეკონომიკურ დაღმასვლას იგი უკავშირებდა „ინსტიტუციურ სკლეროზს“, რომლის მიზეზსაც წარმოადგენს ლობისტთა ჯგუფების მიერ საკუთარი პრივილეგიების დასაცავად კონკურენციის წესრიგის დარღვევა და ამით ეროვნული ეკონომიკის გარე შოკების მიმართ მგრძნობიარობის გაზრდა.

ინტერესთა ჯგუფის (ალიანსის) წევრობა ასევე საინტერესო უნდა იყოს სარგებლის მაქსიმუმამდე გაზრდაზე ორიენტირებული ინდივიდისათვის, რომლის შემოსავლებიც იმ საქონელსა და მომსახურებასთან არის დაკავშირებული, რომლებითაც ალიანსის არა-წევრები ვერ სარგებლობენ, მაგალითად ასეთებია წევრებისათვის განკუთვნილი გაზეთი, უფასო კონსულტაცია, სწავლებისა და გადამზადების ღონისძიებები, ჯგუფური მოგზაურობების ორგანიზება და სხვ. ცოტა თუ იქნება ისეთი ალიანსი, რომელიც უარს იტყვის მსგავსი სპეციალური აქტივობების გზით წევრთა ინტერესების გააქტიურებაზე.

ვინაიდან ინტერესთა ჯგუფების ჩამოყალიბება სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული, არ არის გამორიცხული, არსებულ ინტერესთა ჯგუფების მოქმედებას, შედეგად პოლიტიკოსთა ასიმეტრიული ინფორმაცია მოჰყვეს. ამით ადგილი აქვს პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სისტემატურ დამახინჯებას. ნაწილობრივ დამაბალანსებელ მექანიზმად შეიძლება განვიხილოთ ერთი მხრივ, პარტიებს შორის კონკურენცია ამომრჩეველთა ხმების მოსაპოვებლად, როდესაც პარტია არაორგანიზებულ ინდივიდთა სურვილებს ითავისებს და მათ განხორციელებას ცდილობს. მეორე მხრივ, შესაძლებელია ასოციაციის პოლიტიკური გავლენა და მასთან დაკავშირებული ეკონომიკური პრივილეგიები ისე გაიზარდოს, რომ დაზარალებულთა ჯგუფის ორგანიზების სარგებელმა საბოლოოდ გაწეულ ხარჯებს გადააჭარბოს. ერთი მხარის ძალაუფლება აღნიშნულ შემთხვევაში საპირისპირო მხარის ძალაუფლების აღმოცენების საბაბი შეიძლება გახდეს.

16.4 ბიუროკრატიის ეკონომიკური თეორია

ეკონომიკურ-პოლიტიკურ არჩევანსა და მის შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა უკავშირდება მმართველ ინსტანციებს, რომლებსაც მათი განხორციელების უფლებამოსილება აქვთ. ახალი პოლიტიკური ეკონომია ბიუროკრატიას აღარ განიხილავს, როგორც საკანონმდებლო გადაწყვეტილებების განხორციელების ორგანოს. იგი ბევრად უფრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მმართველ ორგანოებში დასაქმებულ ინდივიდთა რაციონალურ ქცევებს. აღნიშნული ინდივიდები შეეცდებიან არა საერთო კეთილდღეობის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ინდივიდუალური სარგებლის მაქსიმიზაციას.

პოლიტიკური გადაწყვეტილებების პროცესში ძირითადი დატვირთვა მმართველ ინსტანციებზე მოდის, თუნდაც იმის გამო, რომ ისინი, როგორც წესი, ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების ეფექტიანობისა და მათი რეალიზების შესახებ ბევრად უკეთ არიან ინფორმირებულნი, ვიდრე პოლიტიკოსთა დიდი რაოდენობა. ეს ინფორმაციული უპირატესობა მმართველ სახელმწიფო მოხელეებს შეუძლიათ საკუთარი მიზნების მისაღწევად გამოიყენონ. მათი ინდივიდუალური სარგებელი, რომლის მაქსიმიზაციასაც ისინი ცდილობენ, ამასთან, შესაძლოა დამოკიდებული იყოს მათ პრესტიჟზე, ძალაუფლებაზე ან თანამშრომელთა რაოდენობაზე. მაგრამ, საბოლოოდ იგი ყოველთვის კავშირშია სახელმწიფო ორგანოს მიერ მართული ბიუჯეტის მოცულობასთან. ბიუჯეტის ზრდასთან ერთად ბიუროკრატიის იერარქიული საფეხურების რაოდენობაც იზრდება. ადმინისტრაციის მაღალი რგოლის თანამშრომელს ეძლევა მეტი შანსი, მიიღოს პრესტიჟული წოდება, თანამშრომელთა მეტი რაოდენობა და უფრო მაღალი შემოსავალი.

პოლიტიკოსებისა და პარლამენტარების საპირისპიროდ იქცევიან ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენლები. ისინი ინფორმაციულ უპირატესობას იყენებენ თავიანთი უწყების ცნობადობისა და ბიუჯეტის სიდიდის დაცვისათვის, დამატებითი ამოცანების შესრულების ხარჯზე, მმართველი აპარატის შეძლებისდაგვარად გაფართოებისა და საქმიანობის ახალი სფეროების მოძიებისათვის, იმ შემთხვევაში, თუ მათი უკვე არსებული საქმიანობა ეკონომიკური ან პოლიტიკური განვითარების შედეგად აქტუალობას დაკარგავს. თუ სახელმწიფოს მიერ

მომსახურების მიწოდება, მოცემული პირობების გამო, მეტისმეტად დიდი მოცულობისაა, ადგილი აქვს ალოკაციურ არაეფექტურობას. ბიუროკრატთა ანგარიშში ხარჯებთან დაკავშირებული მოსაზრებები პირიქით, უმნიშვნელო როლს ასრულებენ, ვინაიდან მათ, როგორც გადასახადების გადამხდელებს, მზარდი ადმინისტრაციის დამატებითი ხარჯები, ყოველ შემთხვევაში თავიანთ თანამდებობაზე, მხოლოდ უმნიშვნელოდ თუ აწვებათ ტვითად. იმავდროულად, მმართველ ინსტანციებს შორის არარსებული კონკურენტული ზეწოლა, ვინაიდან სახელმწიფო მომსახურება მონოპოლისტურია, იწვევს გამოყენებული საწარმოო ფაქტორების გაფლანგვას. ის ფაქტი, რომ სახელმწიფო უწყებები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს ხარჯებს ხშირად, გადაჭარბებით წარმოადგენენ, ჰარვეი ლაიბენშტაინის (1966) მიერ შეფასებულია, როგორც X არაეფექტურობა. X არაეფექტურობასა და ალოკაციის არაეფექტურობას შორის ურთიერთქმედება განმარტებულია უილიამ ნისკანენის (1971) ბიუროკრატიის მოდელში, რომელიც გამოსახულია ნახაზზე 16.4. აქ გაანალიზებულია q სახელმწიფო მომსახურების მიწოდება და მოთხოვნა, რომლის უზრუნველყოფაც ალტერნატივის სახით კერძო მიმწოდებლებსაც შეუძლიათ. S_1 მიწოდების წრფივი მრუდი შეესაბამება კერძო მომსახურების ზღვრულ ხარჯებს.



ნახაზი 16.4: სახელმწიფო ბიუროკრატიის არაეფექტურობა

სახელმწიფო ბიუროკრატიის X არაეფექტურობას ადგილი აქვს, თუ სახელმწიფო მიწოდების ზღვრული ხარჯები კონკურენციის არარსებობის გამო, კერძო მიწოდების ზღვრულ ხარჯებს აღემატება. მიწოდების მრუდის გადახრით მცირდება საბაზრო უზრუნველყოფა B-ში კონკურენციის წონასწორობასთან

შედარებით. ბიუროკრატიის მიერ ბიუჯეტის გაზრდის ტენდენციის გამო, მეორე მხრივ, ხელი ეწყობა ჭარბ მიწოდებას და, შესაბამისად, ალოკაციურ არაეფექტურობას. ბიუჯეტის რესტრიქციის გარეშე მიწოდება მოთხოვნის სრულ დაკმაყოფილებამდე გაიზრდებოდა E-სთან. ბიუჯეტის რესტსრიქციის გათვალისწინების შემთხვევაში, წარმოიშვებოდა წონასწორობა F-თან, სადაც ხარჯები გადასახადებით დაფინანსებულ ბიუჯეტს ზუსტად შეესაბამება.

რადგან ნავარაუდებია მზარდი ზღვრული ხარჯები, მიწოდების მრუდს დადებითი დახრა აქვს. D მოთხოვნის მრუდი არის წრფივი და კლებადი. მასში აისახება მომხმარებელთა მარგინალური საგადასახდელო მზადყოფნა საქონლით სარგებლობისათვის. აღნიშნული საქონელი სახელმწიფო მომსახურების სახით უფასოდ მიეწოდება. დაფინანსება ხორციელდება საყოველთაო გადასახადით, რომლის საერთო ოდენობა მოქალაქეთა საგადასახდელო მზადყოფნით განისაზღვრება. არსებული სახელმწიფო ბიუჯეტის ოდენობა, რაც ყველა სახის შემოსული გადასახადის საერთო რაოდენობას გულისხმობს, შესაძლებელია გაიზომოს მოთხოვნის ქვემოთ არსებული ველით სახელმწიფოს მიერ შესრულებული q სამუშაოს რაოდენობამდე. გადასახადების აკრეფის დროს, ალოკაციური ხარვეზების თავიდან აცილების მიზნით, უნდა ვივარაუდოთ, რომ სახელმწიფო მომსახურების ყველა მოსარგებლისათვის წესდება თანაბარი ოდენობის გადასახადი და რომ მისი საერთო ჯამი ზუსტად შეესაბამება სახელმწიფო ბიუჯეტს.

კერძო მიმწოდებლებს შორის კონკურენციის დროს, კონკურენციის წონასწორობაში მომსახურების მიწოდება განისაზღვრება qW ოდენობით. სახელმწიფო მიწოდების X არაეფექტურობა იმაში მდგომარეობს, რომ მომსახურების გაწევის ზღვრული ხარჯები იზრდება კონკურენციის ზეწოლისა და ხარჯების ეფექტური კონტროლის არარსებობის გამო. X არაეფექტურობის გამო, ნახაზზე 16.4.ა, მიწოდების მრუდი ზემოთ, S2-ზე გადაადგილდება. ბაზარზე სახელმწიფოს მომსახურების მიწოდების შემთხვევაში გაჩნდებოდა საბაზრო წონასწორობა უფრო მცირე qX ოდენობით და უფრო მაღალ ფასად. სახელმწიფოს მიერ qX რაოდენობის მიწოდების შემთხვევაში, ადგილი აქვს ადმინისტრაციის ბიუჯეტის სიჭარბესაც ABC სამკუთხედის მოცულობით. ამის მიზეზია ის, რომ მომსახურების ზღვრული ხარჯები, ადმინისტრაციული არაეფექტურობის გათვალისწინების შემთხვევაშიც კი, მოსარგებლეთა ზღვრულ საგადასახადო ტვირთზე ნაკლებია, რაც ასახულია მოთხოვნის მრუდზე.

სახელმწიფო დაწესებულების მიწოდების ქცევისათვის ჭარბი ბიუჯეტის მაქსიმიზაცია არ არის მნიშვნელოვანი. ჭარბი ბიუჯეტის არსებობამ პოლიტიკოსები შეიძლება აიძულოს, შეამცირონ გადასახადები. ბიუროკრატების ინტერესშია ბიუჯეტის მაქსიმიზაცია. განასხვავებენ ორ შემთხვევას, რაც ასახულია ნახაზზე 16.4.ბ-ზე, თუ არ შეიზღუდა სახელმწიფო მომსახურების ხარჯები, ბიუროკრატები შეეცდებიან მიწოდება გაზარდონ სრული დაკმაყოფილების რაოდენობამდე E-სთან. ამ გზით წარმოქმნილი ბიუჯეტის დეფიციტი სახელმწიფო ბიუჯეტის სხვა პოზიციიდან, მაგალითად სახელმწიფო დავალიანებით უნდა დაფინანსდეს. თუ ამის საპირისპიროდ არსებობს ბიუჯეტის წონასწორობის ვალდებულება, სახელმწიფო მომსახურების მიწოდების რაოდენობა სავარაუდო მაქსიმუმთან, E-სთან მიმართებაში იმ დონემდე მცირდება, ვიდრე qF-თან ხარჯები არ დაიფარება გამიზნული (მომავალში მისაღები) შემოსავლებით. გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები qF-თან, მოთხოვნის მრუდის ქვეშ არსებული ველი, მომსახურების გაწევის მთლიანი ხარჯები, ზღვრული ხარჯების მრუდის ან მიწოდების მრუდის

ქვევით არსებული ველი ერთმანეთს ემთხვევა. ამით შესაბამისობაში მოდიან ასევე საშუალო საგადასახადო ტვირთი და სახელმწიფო მომსახურების საშუალო ხარჯები. კერძო ბაზარზე კონკურენციის წონასწორობასთან შედარებით, როდესაც ზღვრული საგადასახადო ტვირთი და ზღვრული ხარჯები ერთმანეთს ემთხვევა, ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ჭარბ მიწოდებას და, შესაბამისად, ალოკაციის არაეფექტურობას.

ადოლფ ვაგნერი და მზარდი სახელმწიფო საქმიანობის კანონი

ადოლფ ჰაინრიხ გოთჰილფ ვაგნერი (1835-1917) დაიბადა ერლანგენში, სამართლისა და ეკონომიკურ მეცნიერებებს ეუფლებოდა გოეთინგენსა და ჰაიდელბერგში. 1858 წელს ის მიიწვიეს ვენის სავაჭრო აკადემიაში ეროვნული ეკონომიკისა და საფინანსო მეცნიერების პროფესორად. 1864 წელს იგი ხდება სტატისტიკის პროფესორი ესტონეთის დორპატის უნივერსიტეტში, 1868 წელს სახელმწიფოთმცოდნეობის მეცნიერებების კათედრის გამგე ფრაიბურგში, ხოლო 1870 წელს ბერლინის უნივერსიტეტის სახელმწიფოთმცოდნეობის პროფესორი. 1872 წელს იგი გვევლინება სოციალური პოლიტიკის საზოგადოების თანადამფუძნებელად, 1882-1885 წლებში ვაგნერი პრუსიის დეპუტატთა პალატის წევრია. მისი ძირითადი შრომებია: ზოგადი ან თეორიული ეკონომია (ლაიპციგი, ჰაიდელბერგი, 1876), პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები (ლაიპციგი, 1892), საფინანსო მეცნიერება, ოთხტომეული (ლაიპციგი, 1883-1901).

ვაგნერმა წამოაყენა ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფო აქტივობები საერთო ეკონომიკურ განვითარებასთან შედარებით, ზეპროპორციულად იზრდება ისე, რომ სახელმწიფო ქვოტა სეკულარულად უნდა გაიზარდოს: „... პროგრესული კულტურული ერის ერთობლივი მოთხოვნის მუდმივად მზარდი და მნიშვნელოვანი კვოტა, დაკმაყოფილებულია სახელმწიფოს და არა სხვა კოლექტიური ან კერძო ეკონომიკების მიერ, ...“ ხანგრძლივი დაკვირვების შემდეგ, ყველა განვითარებულ ქვეყანაში აღმოჩნდა, რომ სახელმწიფო დანახარჯებმა სოციალურ პროდუქტთან მიმართებაში მოიმატა, როგორც აბსოლუტურად, ისე შეფარდებით. სახელმწიფო ქვოტის ზრდა მაინც თვალნათლივ მიუთითებს ქვეყნებს შორის სპეციფიკურ განსხვავებებზე. ასევე ბუნდოვანია, არსებობს თუ არა სახელმწიფო ქვოტის გრძელვადიანი ზედა ზღვრული სიდიდე და საომმავლოდ იარსებებს თუ არა სახელმწიფო საქმიანობის ხელახლა შემცირების მიზეზებიც. საინტერესოა სახელმწიფო დანახარჯების სტრუქტურაში გრძელვადიანი ცვლილებები. კერძო პირებსა და მეწარმეებზე სატრანსფერო დანახარჯების წილი ბევრად უფრო გაიზარდა ვიდრე სახელმწიფო მოხმარებისა და სახელმწიფო ინვესტიციების წილი. სწორედ სახელმწიფო ინვესტიციები მიუთითებენ ბევრ ქვეყანაში სტაგნაციაზე ან დაღმასვლაზე. ამ ფენომენს ახსნა შეიძლება მოეძებნოს გავლენიანი ლობისტური ჯგუფების მქონე საპარლემენტო დემოკრატიების პოლიტ-ეკონომიკურ მექანიზმებში და ამომრჩეველთა მნიშვნელოვანი ჯგუფებისათვის საარჩევნოდ პოლიტიკური საჩუქრების შეთავაზებაში.

სახელმწიფო ქვოტის ზრდისათვის ბიუროკრატიის გავლენაზე მიუთითებს *Peacock/Wiseman*-ის (1961) მიერ აღწერილი დონის გადაადგილების

ეფექტი. მსოფლიო ომების დროს სახელმწიფოს ხარჯები ყველა განვითარებულ ქვეყანაში ნახტომისებურად იმატებდა. თუმცა, ომის შემდგომ იგი იმავე მასშტაბით აღარ მცირდებოდა. იმ პერიოდისათვის შექმნილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ბუნებრივია, ჰქონდათ პირადი ინტერესი, თავიანთი სამომავლო არსებობა ახალი ამოცანების საკუთარ თავზე აღებით გაემართლებინათ. სახელმწიფო საქმიანობის ექსპანსია პრინციპში კვლავ მიზმული რჩებოდა საჭირო სახელმწიფო შემოსავლების მობილიზაციაზე. ამდენად, სახელმწიფო დანახარჯების ზრდის შესაზღუდად, შესაბამისად, სახელმწიფო ქვოტის შესამცირებლად, დემოკრატიულ სისტემაში აუცილებელია ამომრჩეველთა პროტესტი მზარდი გადასახადებისა თუ გაზრდილი სახელმწიფო დავალიანების მიმართ.

16.5 მაგალითი: ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის რეფორმის ინსტიტუციური პრობლემები

ევროპის აგრარული პოლიტიკა წარმოადგენს კონკრეტულ მაგალითს იმისა, თუ როგორ გამოიყენება ახალი პოლიტიკური ეკონომიის მეთოდები ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების გამტარებელთა ქცევების ანალიზის დროს (შეადრ. თავი 3.4). ევროპის აგრარული პოლიტიკა ხასიათდებოდა იმით, რომ საბაზრო წესრიგის შემოღება გარანტირებული მინიმალური ფასებით, რომლებიც მსოფლიო საბაზრო ფასებზე გაცილებით მაღალი იყო, სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდების მნიშვნელოვან ზრდას იწვევდა. მოთხოვნის სიმცირის გამო, არსებული ჭარბი მიწოდება ან უნდა განადგურებულიყო, ან საწყობებში უნდა შეენახათ, ან სუბსიდიურ ფასად გაეყიდათ ევროკავშირის ფარგლებს მიღმა. შესყიდვის გარანტიებსა და საექსპორტო ანაზღაურებას შედეგად მოჰყვა ერთობლივი აგრარული პოლიტიკის ხარჯებით ევროკავშირის ბიუჯეტის ფინანსური დატვირთვის (დეზეტის) პერმანენტული ზრდა. მზარდმა აგრარულმა ბიუჯეტმა, რომელიც კიდევ უფრო გაიზარდა ევროკავშირში იმ ქვეყნების გაწევრიანების ხარჯზე, რომლებიც სოფლის მეურნეობის მაღალი მწარმოებლურობით გამოირჩევიან, ასევე ჭარბი პროდუქციის შემთხვევაში მცირე რესურსების აშკარა გაფლანგვამ, დღის წესრიგში ძირეული რეფორმების აუცილებლობა დააყენა. არაერთი რეფორმის წარუმატებლობა გასაგები ხდება თუ შევისწავლით მთავარ მონაწილეთა – ეროვნული მთავრობების, ევროკავშირის ბიუროკრატიის, სოფლის მეურნეობის ალიანსებისა და ფერმერთა ინტერესებს, ახალი პოლიტიკური ეკონომიის ჭრილში.

თავდაპირველად შესაძლებელია გამოვიყენოთ ინტერესთა ჯგუფების თეორია, რათა ავხსნათ, საფასო გარანტიებით რატომ მოხდა ეროვნული ეკონომიკის ერთი კონკრეტული სექტორის, სოფლის მეურნეობის, უნიკალური ფორმით წახალისება ევროკავშირის ერთობლივი აგრარული პოლიტიკის მეშვეობით. ეროვნულ ეკონომიკებში სოფლის მეურნეობის წილი ევროკავშირის ყველა ქვეყანაში საშუალოდ 5%-ს შეადგენს. თუმცა, სოფლის მეურნეობის სფეროში მოღვაწე მეწარმეებს, თავისი ინტერესთა ჯგუფების მეშვეობით, როგორც ეროვნულ, ასევე ევროკავშირის დონეზე მნიშვნელოვანი პოლიტიკური წონა

აქვთ. გერმანელ ფერმერთა დაახლოებით 90% გერმანიის ფერმერთა გაერთიანების (DBV) წევრები არიან. ევროკავშირის სხვა წევრ ქვეყნებშიც ფერმერთა ორგანიზაციული მოწყობის ხარისხი ანალოგიურად მაღალია. ეროვნულ გაერთიანებებს შუძლიათ როგორც პირდაპირ, ასევე ევროპის სათაო ორგანიზაციის – Comit´e des Organisations Professionelles Agricoles de la CEE (COPA) დონეზე, ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე გავლენა მოახდინონ.

ფერმერთა გაერთიანების ტიპის ორგანიზაციული მოწყობის ხარისხი, თავის მხრივ, საშუალებას იძლევა, გავამახვილოთ ყურადღება სოფლის მეურნეობის პროდუქციის განსაკუთრებულ სტრუქტურაზე. ფერმერები, ისევე, როგორც ყველა სხვა მეწარმე, უფრო მეტად არიან დაინტერესებულები ევროკავშირის ფასების პოლიტიკის გავლენის სფეროში არსებული შემოსავლების განვითარებით, ვიდრე მომხმარებლები – საკვები პროდუქტების დაბალი ფასებით, რომლებიც ამასთან, საერთო სამომხმარებლო დანახარჯების მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენენ. შესაბამისად, როგორც ეროვნულ, ისე ევროკავშირის დონეზე ნაკლებად შესაძლებელია მომხმარებელთა გაერთიანება ინტერესთა ჯგუფებში. დასაქმებულებისა და მრეწველობის სფეროში მოღვაწე მეწარმეებისგან განსხვავებით, დამოუკიდებელი ფერმერები აგრარულ პროდუქტებზე დაწესებული ფასების გზით არამხოლოდ სამუშაო ძალის გამოყენების ანაზღაურებასა და ინვესტირებული კაპიტალის მოგებას იღებენ, არამედ ასევე რენტას მიწით სარგებლობისათვის. სტიმული საშემოსავლო გარანტიების პოლიტიკური უზრუნველყოფისათვის სოფლის მეურნეობის მეწარმეთათვის მით უფრო მაღალია, რამდენადაც დაბალია იმ წარმატების ალბათობა, რაც ამ თვალსაზრისით მათ შეუძლიათ მიიღონ გამოყენებული საწარმოო ფაქტორების ალტერნატიული გამოყენების გზით. თუმცა, უმუშევრობის მაღალი დონის დროს, სოფლის მეურნეობის სფეროდან სამუშაო ძალების გადასვლა განსაკუთრებით რთულად განსახორციელებელია. სასოფლო-სამეურნეო მიწის ალტერნატიული გამოყენება მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიების მიღმა თითქმის შეუძლებელია. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ჩადებული კაპიტალი შესაძლებელია მხოლოდ მაღალი დანაკარგების შემთხვევაში იქნეს ლიკვიდირებული და სხვა დანიშნულებით გამოყენებული.

სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული გაერთიანებები თავიანთ წევრებს სთავაზობენ უამრავ სპეციალურ მომსახურებას. მაგალითად, მათ შეუძლიათ ცალკეული ფერმერი გაარკვიონ ევროკავშირის მეტად რთული აგრარული პოლიტიკის დეტალებსა და შედეგებში. არაწევრ მომხმარებლებს სამაგიეროდ ეზრდებათ საინფორმაციო ხარჯები, თუ მათ აგრარულ სფეროში ფასების მხრივ ჩარევის დეტალებში გარკვევა და ალტერნატივების შემოწმება სურთ. ფერმერთა მაღალი ორგანიზაციული ხარისხი შესაძლებელია, თავის მხრივ, გაერთიანების ხელმძღვანელობამ მარტივად გამოიყენოს პოლიტიკური გავლენისათვის. წარმოებული საქონლის განსაკუთრებული ბუნებიდან გამომდინარე, რომელიც თუმცა მცირე, მაგრამ კერძო მოხმარების აუცილებელ წილს შეადგენს, გაერთიანებებს დამატებით ეძლევათ საშუალება, მიზანმიმართული აქციებით უარყოფითად იმოქმედონ ამომრჩეველთა პოტენციალის ფართო სფეროზე და პასუხისმგებლობა პოლიტიკოსებსა და პარტიებს დააკისრონ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ასევე იმ პოლიტიკოსთა და ადმინისტრაციულ მმართველთა ქცევები, რომლებსაც ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის გატარება ევალებათ. ახალ პოლიტიკურ ეკონომიას შეუძლია განმარტოს, რასთან არის დაკავშირებლი, რომ სწორედ აგრარული პოლიტიკა გამოვიდა ეროვნული პასუხისმგებლობის სფეროდან და აყვანილი იქნა ზენაციონალურ დონეზე. როლანდ ვაუბელი (1985) საერთაშორისო ინსტიტუციების თეორიის ფარგლებში აყალიბებს ჰიპოთეზას, რომ ეროვნული პოლიტიკოსები, სავარაუდოდ, საერთაშორისო ორგანიზაციებს არ დაუთმობენ უფლებამოსილებებს, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ამომრჩეველთა ფართო ფენების ინტერესებზე გავლენის მოხდენა და, შესაბამისად, მათი საარჩევნო ბრძოლის მიზნებისათვის კარგად გამოყენება. სამაგიეროდ, ისინი მზად არიან დათმონ ისეთი კომპეტენციები, რომელთა საშუალებითაც კერძოდ, მათ შეუძლიათ ცალკეული ინტერესთა ჯგუფის მხარდაჭერა მოიპოვონ, თუმცა რომელთა შემთხვევაშიც, მათ არც თუ დიდი სურვილი აქვთ ყველა ამომრჩევლის წინაშე პასუხისმგებლობა აიღონ წარმოქმნილი ხარჯების გამო. პოლიტიკოსები ამდენად, საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობისგან ელიან ღონისძიებებს, რომელთა სარგებელი კონცენტრირებულია ამომრჩეველთა მცირე რაოდენობაზე, ხოლო ხარჯები იმდენად ფართოდ ნაწილდება ამომრჩეველთა საერთო რაოდენობაზე, რომ ისინი, თითოეული ამომრჩევლის საინფორმაციო ხარჯების გამო, საერთოდ აღარ რეგისტრირდება. ექსტრემალურ სიტუაციაში, გადაწყვეტილებების მიღების კომპეტენციების გადატანა საერთაშორისო კომიტეტებზე გამოყენებულ იქნება იმ ხარჯების დასამალად, რომელთა ზრდაც დაკავშირებულია განსაკუთრებული ინტერესების მიზანმიმართულ დაკმაყოფილებასთან.

ერთიანი აგრარული პოლიტიკის გატარებაზე პასუხისმგებელი ევროკავშირის ბიუროკრატებიც ნაკლებად უნდა ინტერესდებოდნენ არსებული სისტემის ძირეული რეფორმით. ვინაიდან, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე სრულიად თავისუფალი ფასწარმოქმნის დაბრუნებით, მათი მოქმედების სფერო მეტისმეტად ვიწროვდება. თუ საქმე მხოლოდ არსებული სისტემის უარყოფითი გავლენის შესუსტებამდე მივა, ევროკავშირის ბიუროკრატია დამოკიდებული გახდება სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული ალიანსების მიერ გაცემულ ინფორმაციაზე. ამით ალიანსების გავლენა პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე კვლავ გაიზრდება.

ის ფაქტი, რომ 1990 წლის შემდეგ ევროკავშირის აგრარულ პოლიტიკაში მაინც გატარდა ფართო მასშტაბის რეფორმები, დაკავშირებულია სამ ფაქტორთან:

- აგრარული პოლიტიკის მანამდე არსებული ფინანსური ტვირთი ევროკავშირის ბიუჯეტს სერიოზულ საფრთხეს უქმნიდა.
- ევროკავშირის მოსალოდნელი აღმოსავლეთით გაფართოება მანამდე არსებული დახმარების სისტემის სრული განადგურების საფრთხეს წარმოადგენდა.
- ევროკავშირის აგრარული პოლიტიკა მოექცა მასობრივი ზეწოლის ქვეშ მსოფლიო ვაჭრობის ლიბერალიზაციის შესახებ მოლაპარაკებებთან დაკავშირებით, რომლებიც თავიდან *GATT*-ის ფარგლებში იმართებოდა, ხოლოს 1995 წლიდან ახალი მსოფლიო ვაჭრობის ორგანიზაციის (*World Trade Organization*, *WTO*) ფარგლებში გაგრძელდა.

სწორედ მესამე ფაქტორი გახდა ყველაზე ეფექტური ბერკეტი, ევროპის აგრარული პოლიტიკის მყარი ინსტიტუციური სტრუქტურების შესაცვლელად.

მსოფლიო ვაჭრობის აღრინდელი მდგომარეობისგან განსხვავებით, ამჟამად მკაფიოდ გამოიკვეთა მსოფლიოს მასშტაბით აგრარული ვაჭრობის ფართო ლიბერალიზაციასთან დაკავშირებული მიზანი. 1990 წელს ევროკავშირი იმუქრებოდა, რომ მას შეეძლო თავისი პროტექციონისტური აგრარული პოლიტიკით ხელი შეეშალა *GATT*-ის ახალი შეთანხმების ამოქმედებისათვის და ამით დაეზარალებინა სამრეწველო საქონლითა და მომსახურებებით საერთაშორისო ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციისადმი თავისი საკუთარი ინტერესები. ცვლილებები ევროკავშირის აგრარულ პოლიტიკაში გამოიწვია არა არასწორმა ეკონომიკურმა ხედვამ, არამედ ინტერესთა უფრო ძლიერი ჯგუფების პოლიტიკურმა ზეწოლამ. ცვლილებები დაიწყო 1992 წელს მაკშერის რეფორმით და ევროკომისიის სამოქმედო გეგმა 2000-მდე მივიდა. 2003 წლამდე სამოქმედო გეგმის ფარგლებში 2000 წელში გამოვიდა ე.წ. შუალედური დასკვნა, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა რეფორმების გასატარებელი ღონისძიებების დაჩქარება და იმავდროულად ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის საზღვრების დადგენა. მას შემდეგ, რაც ევროკავშირი 2007 წელს 27 წევრამდე გაფართოვდა, კიდევ ერთხელ მიიღეს მკაფიო შეთანხმება 2013 წლამდე აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებით.



ნახაზი 16.5: ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის რეფორმის ფისკალური ეფექტები

გარანტირებული p_E ფასის შემთხვევაში, რომელიც p_W მსოფლიო საბაზრო ფასს აღემატება, ევროკავშირის ბაზრიდან ჭარბი პროდუქციის ამოღების მიზნით, ტრადიციულ სისტემაში საჭირო იყო DCBA მართკუთხედის სიდიდის ექსპორტის ანაზღაურება. გარანტირებული ფასების სისტემის სრული ჩანაცვლება პირდაპირი საშემოსავლო დახმარებებით, რომელიც ყველა ფერმერს თავდაპირველი შემოსავლის ოდენობით უზრუნველყოფს, მოითხოვს p_WCBp_E ოდენობის ბიუჯეტს და, შესაბამისად, დამატებით საშუალებებს. ევროკავშირის ბიუჯეტის ამ ტვირთისგან გათავისუფლება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ შემოსავლის მხრივ ზარალი სრულად არ ანაზღაურდებოდა.

რეფორმის თავდაპირველი მიზანი იყო აგრარულ ბაზრებზე საბაზრო წონასწორობაზე ორიენტაცია, ფასების დაკლება ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, ასევე გარემოს დაცვისა და ახალი სტრუქტურული სიჭარბის თავიდან აცილების მიზნით სოფლის მეურნეობის ექსტენსიფიკაცია. სოფლის მეურნეობის

საწარმოების ხელშეწყობის ფარგლებში, პირდაპირ ფულად დახმარებებს, კომბინირებულს მიწით სარგებლობის ფორმასთან და ჭარბი პროდუქციის შემთხვევაში, ასევე დაკავშირებულს მიწის კონსერვაციის პროგრამასთან, უნდა ჩაენაცვლებინა სახელმწიფოს მიერ ფასების დონის შენარჩუნება. გარანტირებული და საინტერვენციო ფასების შემცირებით ასევე იკლებდა იმპორტის გადასახადები ევროკავშირის არა-წევრი ქვეყნებიდან შემოტანილ საქონელზე და საექსპორტო ანაზღაურება, რომლებიც ორიენტირებულნი იყვნენ მსოფლიო საბაზრო ფასთან განსხვავებაზე. მაკ შერის რეფორმამ გზა გაუკვალა *GATT* -ის ახალ შეთანხმებას, თუმცა ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის ხარჯების შეზღუდვის აუცილებლობას ადგილი არ ჰქონია. სახელმწიფოს მიერ ფასების დონის შენარჩუნების ჩანაცვლებამ პირდაპირი ფულადი დახმარებით, ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის ხარჯების ზრდას უფრო შეუწყო ხელი, რაც კარგად ჩანს ნახაზზე 16.5.

ამოსავალი წერტილია ევროკავშირის აგრარული ფასების p_E დონე, რომელიც აღემატება p_W მსოფლიო ფასების დონეს. p_E-სა და p_W-ს შორის სხვაობა იფარება ექსპორტის კომპენსაციით. კომპენსაციის საერთო მოცულობა უტოლდება ექსპორტის ოდენობას. იგი შეესაბამება *DCBA* ველის ფართობს. თუ ევროკავშირის აგარული ფასების დონე მსოფლიო ფასების დონემდე დაიწევს, ექსპორტის კომპენსაციას ადგილი აღარ ექნება და დაძლეული იქნება ალოკაციური დამახინჯებები, რაც გამოწვეული იყო ფასებთან დაკავშირებული ინტერვენციით. სამაგიეროდ, ახლა ადგილი აქვს ფინანსურ დატვირთვას, რაც დაკავშირებულია შემოსავლის მხრივ ზარალის ანაზღაურებისათვის ფერმერების პირდაპირ ფულად დახმარებასთან. იგი შეესაბამება p_WCBp_E ველს. ვინაიდან, ფასების დაცემა ერთნაირად ეხება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ გაყიდულ აგრარულ პროდუქტებს, პირდაპირი ფულადი დახმარებების წმინდა ხარჯები მით უფრო მაღალია, რაც ნაკლებია ექსპორტის წილი მთლიან პროდუქციაში. ევროკავშირში ეს წილი დაახლოებით ერთ მეხუთედს შეადგენს. აგრარული ხარჯები მცირდება მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო წარმოების (პროდუქციის) შემცირების ხარჯზე, რაც, ცხადია, ასევე აგრარული ფასების კლებადი დონის შედეგი იქნება.

აგრარული ხარჯების არაკონტროლირებადი ზრდის საფრთხეს ევროკავშირმა სოფლის მეურნეობის ხარჯების შესაბამისი შეზღუდვით უპასუხა. როგორც თავში 3.4. ცხრილი 3.1. გვიჩვენებს, მიზანი, ევროკავშირის საერთო ბიუჯეტში სოფლის მეურნეობის გარანტირებული ხარჯების წილი 50%-ზე ბევრად ნაკლებ დონეზე შენარჩუნებულიყო, რეალურად განხორციელდა.

ევროკავშირის თავდაპირველი აგრარული პოლიტიკის პოლიტ-ეკონომიკური სარგებელი კიდევ ერთხელ ჩანს რეფორმის სტრატეგიიდან. მაღალი გარანტირებული ფასებით აგრარული პოლიტიკის ხარჯები შედარებით ფართოდ ნაწილდებოდა მომხმარებელთა მთელ ჯგუფზე მაშინ, როდესაც პირდაპირი ფულადი დახმარებების ხარჯები ჯერ სახელმწიფო ბიუჯეტზე მოდის და მხოლოდ ამის შემდეგ არის შესაძლებელი გადასახადების გადამხდელებისათვის მათი გადაცემა. მომხმარებელთა პროტესტს მაღალი აგრარული ფასების გამო, სავარაუდოდ, უფრო ნაკლები შედეგი უნდა გამოეღო, ვიდრე გადასახადების გადამხდელთა წინააღმდეგობას მზარდი სახელმწიფო ბიუჯეტის გამო. ამ თვალსაზრისით, პირდაპირი დახმარებები ხარჯების მეტ კონტროლსა და მეტ დასაბუთებას მოითხოვს. ამდენად, სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი სისტემის გარდაქმნა – ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის ხარჯების გრძელვადიანი სტაბილურობისათვის მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენდა.

ძირითადი ცნებები

- პოლიტიკური ეკონომია
  ახალი პოლიტიკური ეკონომია
- დემოკრატია
  ცენტრისტული პოზიციის მქონე ამომრჩევლის თეორემა
  ცვალებადი აზრის მქონე ამომრჩეველი
- ინტერესთა ჯგუფი
  ლობიზმი
  კლუბის საქონელი
  ინსტიტუციური სკლეროზი
- ბიუროკრატია
  ალოკაციური არაეფექტიანობა
  X-არაეფექტიანობა
- ვაგნერის კანონი
  მაკ შერის რეფორმა

დავალებები

1. პარტიათა შორის კონკურენცია გერმანიაში

იმსჯელეთ დაუნსის მოდელის საფუძველზე 1990 წლიდან ორი მსხვილი სახალხო პარტიის (*CDU/CSU* და *SPD*) პროგრამულ განვითარებასა და მცირე ზომის პარტიების (*FDP*, მწვანეები, მემერცხენეები /*PDS*) კონკურენტულ შანსებზე. რა შედეგი გამოიღო 2005-2009 წლებში *CDU/CSU*-სა და *SPD*-ს დიდ კოალიციად გაერთიანებამ სამი სხვა პარტიის პროგრამული განვითარების თვალსაზრისით?

2. პროფკავშირები კლუბის თეორიის ჭრილში

რა საფუძვლებს ქმნის ინტერესთა ჯგუფების თეორია პროფკავშირების წარმოქმნისა და გავლენისათვის?

3. სახელმწიფო ჯანდაცვის სისტემის არაეფექტურობა

მოიყვანეთ მაგალითები, წმინდა სახელმწიფო მოწყობის ჯანდაცვის სისტემაში, ჩვეულებრივ, რატომ გვხვდება როგორც ალოკაციის არაეფექტურობა, ასევე *X*-არაეფექტურობაც.

4. რეფორმის სტაგნაცია და საპენსიო პოლიტიკის რეფორმები

1957 წლის საპენსიო რეფორმის შემდეგ, გერმანიაში სახელმწიფო საპენსიო სისტემა მუშაობდა ფინანსების განაწილების მეთოდის მიხედვით, რომლის თანახმადაც, პენსიონერებისთვის თანხის გაცემა საბოლოოდ, დაქირავებული დასაქმებულებისათვის თანხის გაცემაზე იყო ორიენტირებული. მზარდმა უმუშევრობამ და გრძელვადიან პერსპექტივაში მოსახლეობის შემცირებამ აღნიშნულ სისტემას პრობლემები შეუქმნა. გაჩნდა შენატანების განაკვეთის გაზრდის საფრთხე, ზრდადი დეფიციტები უნდა დაფარულიყო ფედერალური ბიუჯეტიდან დანამატების სახით. მხოლოდ 90-იან წლებში დაიწყო არსებული სისტემის დახვეწა, რაც გულისხმობს, რომ პირები, რომლებიც დღეს იხდიან შენატანებს, ქმნიან „მყარ დანაზოგს“, რათა სამომავლოდ პენსია გარანტირებული ჰქონდეთ. პოლიტ-ეკონომიკური პერსპექტივიდან იმსჯელეთ, რა იყო ამ რეფორმის დაყოვნების მიზეზი და საბოლოო ჯამში, რატომ ვერ მოხერხდა მისი თავიდან აცილება.

გამოყენებული ლიტერატურა

ინსტიტუციათა შიდა მოწყობის მნიშვნელობა პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის გაგების თვალსაზრისით – *Dixit* (1996). ახალი პოლიტიკური ეკონომიის კვლევის პროგრამის ფართო მიმოხილვას წარმოადგენენ *Bernholz/Breyer* (1994), *Feld/Frey/Kirchgässner* (2013) და *Kirsch* (2004) სახელმძღვანელოები. ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში ახალი პოლიტიკური ეკონომიის ინსტრუმენტების გამოყენების მაგალითებს გვთავაზობს *Drazen* (2000) და *Persson/Tabellini* (2000). ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის ანალიზისათვის ახალი პოლიტიკური ეკონომიის გამოყენების შესახებ მსჯელობს *Hasse* (1983). უახლესი გამოცდილებები შეაგროვეს *Tangermann* (1998) და *Koester* (2010). ევროკავშირის აგრარული პოლიტიკის მომავალზე ინფორმაციას გვაწვდის *Rutz* და სხვ. მიერ (2013) გამოცემული კრებული. საფინანსო პოლიტიკის მრავლისმომცველ ანალიზს ახალი პოლიტიკური ეკონომიის ჭრილში გვთავაზობს *Blankart* (2008).

ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების სანდოობა და მოქმედების არეალი

17

თავი

17.1 ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების დროში შეუთავსებლობა 362

17.2 ინსტიტუციური რეგულირებების საწყისები 365

17.3 მაგალითი: ევროპის ცენტრალური ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია 367

სწავლების მიზნები

- ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების სანდოობა ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევების ეფექტურობის წინაპირობას წარმოადგენს. სანდოობა ეჭვქვეშ დგება, როდესაც ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების ქმედებები დროში შეუთავსებლობაზე მიუთითებს.
- დროით არასტაბილურობას ადგილი აქვს, როდესაც გადაწყვეტილებები, რომლებიც დროის კონკრეტულ მომენტში იქნა მიღებული, მოგვიანებით აღარ არის ოპტიმალური, ვინაიდან სხვა მხარეებმა ამასობაში ახალი სტრატეგიები შეიმუშავეს. თუ ისინი დროის მიხედვით არათავსებადობას გაითვალისწინებენ, თავიანთ ქცევებში შესაბამის შესწორებებს შეიტანენ.
- დროის მიხედვით სტაბილური ქმედებებისა და, შესაბამისად, ეკონომიკური პოლიტიკის უფრო მაღალი სანდოობის მიღწევა შესაძლებელია ეკონომიკურ-პოლიტიკური სუბიექტების მკაცრად განსაზღვრული საერთო (ზოგადი) ვალდებულებებითა და კონკრეტული მიზნის დასახვით.
- აქტიორთა დროითი ჰორიზონტის გაფართოება, მაგალითად, საარჩევნო პერიოდის გახანგრძლივება, ხელს უწყობს მათი რეპუტაციის შექმნას.
- ევროპის ცენტრალური ბანკის მოწყობა ზრუნავს მონეტარული პოლიტიკის გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელ პირთა დამოუკიდებლობის მაღალ ხარისხზე და ფასების დონის სტაბილურობასთან დაკავშირებით, მკაფიო და ერთმნიშვნელოვან მიზანს სახავს. „ორი მიმართულების“ სტრატეგიის ფარგლებში, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ჩამოაყალიბა მონეტარული პოლიტიკის წესები, რომლებიც დისკრეციული ქმედებებისთვისაც საკმარის სივრცეს ტოვებენ.

17.1 ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების დროში შეუთავსებლობა

ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებსა და ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევების შედეგად დაზარალებულ პირებს შორის არსებული ჰეტერეგენულობის გამო ეკონომიკურ-პოლიტიკური ელემენტების წარმატებულად გამოყენებას ჩრდილი სხვა თვალსაზრისითაც შეიძლება მიადგეს. ჯერ კიდევ ლუკასის კრიტიკასთან კავშირში, რომელიც რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციას ეხებოდა, თავი იჩინა კითხვამ, კონკრეტული ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევების საპასუხოდ, დე ფაქტო რამდენად იცვლება ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლების მიერვე დაწესებული ჩარჩო-პირობები. მოქმედების შესაძლო ცვლილებების თვალსაზრისით, ეკონომიკური პოლიტიკა დაზარალებული პირებისათვის იქცევა თამაშის არეალად, რომელშიც მოწინააღმდეგის რეაქცია ორივე მხარემ უნდა გაითვალისწინოს. თუმცა, ეკონომიკურ-პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე პასუხისმგებელ პირთა სანდოობის ძირითადი პრობლემა სწორედ თამაშის მონაწილეთა სხვადასხვა რეაქციის გამო ხდება. ბაზრებსა და ეკონომიკურ ციკლზე ეფექტური გავლენის მოხდენა მხოლოდ სანდო ინსტიტუციას შეუძლია. ნდობის მოპოვება შესაძლებელია ინსტიტუციების ზოგადი ვალდებულებებით. დისკრეციულ ქმედებებთან მიმართებაში, წესების უპირატესობის დამამტკიცებელი დებატები, რომლებშიც დღემდე, უპირველეს ყოვლისა, ბიუროკრატიის პირადი ინტერესების ეფექტურ შეზღუდვაზე კეთდებოდა აქცენტი, ამდენად, სხვა, მნიშვნელოვან მასშტაბს იძენს.

ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების სანდოობა სასწორზე დევს, როდესაც მისი ქმედება დროში არათავსებადობაზე მიუთითებს. დროში არათავსებადობას ადგილი აქვს, როდესაც გადაწყვეტილებები, რომლებიც დროის კონკრეტულ მომენტში იქნა მიღებული, მოგვიანებით აღარ არის ოპტიმალური (*Kydland/Prescott* 1977). აღნიშნულ დროის მომენტებს შორის პერიოდში თამაშში მონაწილე მხარეებმა გადაწყვეტილებები უკვე მიიღეს. თუ მათ მოწინააღმდეგის მხრიდან დროში შეუსაბამო ქმედებების იმედი აქვთ, ისინი ამას გადაწყვეტილების მიღების პროცესშივე განსაზღვრავენ. საბოლოო შედეგი ყველა მონაწილე მხარისათვის იქნება იმაზე უარესი, ვიდრე დასაწყისში, მოქმედების თავისუფლების ეფექტური შეზღუდვის შემთხვევაში იქნებოდა, მაგალითად, მკაცრი წესების შემოღების გზით. დროში არათავსებადობის პრობლემატიკის გათვალისწინებით, როგორც ჩანს, მოქმედების შესაძლებლობების შეზღუდვისადმი დაქვემდებარება მიზანშეწონილია იმ ინსტიტუციებისთვისაც კი, რომლებიც იმთავითვე ქმედების სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ.

შესაძლო დროში არათავსებადობის ანალიზმა განსაკუთრებული მნიშვნელობა მონეტარული პოლიტიკის სფეროში შეიძინა. რობერტო ბარომ და დევიდ გორდონმა (1983), ცენტრალური ბანკის დისკრეციული ქმედებისა და ზოგადი ვალდებულებების შედარების მიზნით, განავითარეს მარტივი მოდელი. გადაწყვეტილებების მიღებასთან დაკავშირებული სიტუაცია, ნახაზზე 17.1. გამოსახულია მოლოდინით მოდიფიცირებული ფილიპსის მრუდის საშუალებით. უმუშევრობის ბუნებრივი დონე და, შესაბამისად, ფილიპსის გრძელვადიანი მრუდი მდებარეობს U_n პუნქტთან. P ფილიპსის მოკლევადიანი მრუდები, რომლებშიც შესაძლო ალტერნატივა π ინფლაციის დონესა და U უმუშევრობას შორის გამოისახება, მით უფრო მაღლა მდებარეობენ, რაც უფრო მაღალია კერძო პირთა π_e ინფლაციისადმი მოლოდინი, ვინაიდან ისინი ხელფასის სატარიფო შეთანხმებას მოსალოდნელი ინფლაციის დონის მიხედვით განსაზღვრავენ. ცენტრალური ბანკისგან მოსალოდნელია, რომ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებით მოახერხებს ფაქტიური ინფლაციის მიზანმიმართულ და დროში შეფერხების გარეშე მართვას. ცენტრალური ბანკი თავისი ქმედებებით W სოციალურ კეთილდღეობის ფუნქციაზეა ორიენტირებული. სოციალური კეთილდღეობის ფუნქციის განურჩევლობის მრუდები მკვეთრად ჩაზნექილია. ისინი აღწერენ π-ს და U-ს კომბინაციას, რომლებიც ერთნაირ სარგებელს ქმნიან. რაც უფრო მარცხნივ მიემართებიან ისინი, მით უფრო მაღალია მიღებული სარგებლის დონე. ის ფაქტი, რომ U_n-ზე ნაკლებ უმუშევრობის დონეს, ცენტალური ბანკის თვალსაზრისით, უფრო მაღალი სარგებლის მოტანა შეუძლია, პრინციპში გვიჩვენებს, რომ მოდელის ლოგიკით უნდა არსებობდნენ ჰეტეროგენული პრიორიტეტების მქონე ინდივიდები. კერძო პირებისგან, რომლებიც მოდელში არიან წარმოდგენილი, შემდგომში სავარაუდოა, რომ ისინი ცენტრალური ბანკის მოდელისა და მისი ალტერნატიული ქმედებების შესახებ სრულყოფილად

არიან ინფორმირებული და, რომ ინფლაციასთან დაკავშირებული მათი მოლოდინები პირველი პერიოდის დასასრულს აღნიშნული ინფორმაციების საფუძველზე რაციონალური იქნება. ინფლაციის მოსალოდნელი დონიდან მისი ფაქტიური დონის გადახრა, აღნიშნული მოცემულობის პირობებში, მხოლოდ ცენტრალური ბანკის ქმედების სრულიად მოულოდნელი ცვლილების შემთხვევაშია შესაძლებელი, მას შემდეგ, რაც კერძო პირებს უკვე ჩამოყალიბებული აქვთ თავიანთი მოლოდინები ინფლაციასთან დაკავშირებით.



ნახაზი 17.1: დისკრეციული მონეტარული პოლიტიკის დროში შეუსაბამობა

აქ გამოსახულია ვერტიკალური გრძელვადიანი ფილიპსის მრუდი უმუშევრობის ბუნებრივი დონის ზემოთ, ორი მოკლევადიანი ფილიპსის მრუდი უარყოფითი დახრით, რომელიც ინფლაციასა და უმუშევრობას შორის მონაცვლეობის შესაძლებლობებზე მიანიშნებს, ასევე ცენტრალური ბანკის სოციალური კეთილდღეობის ფუნქციის უარყოფითად დახრილი განურჩევლობის მრუდები. თავდაპირველად ცენტრალური ბანკისა და კერძო პირების საერთო მიზანს წარმოადგენს ინფლაციის ნულოვანი დონე A წერტილთან. თუმცა, როგორც კი კერძო პირებს წარმოეშობათ მოლოდინი ინფლაციის აღნიშნულ დონესთან დაკავშირებით, ცენტრალური ბანკი დგება ცდუნების წინაშე, ინფლაციის გაზრდით შეამციროს უმუშევრობა და აქედან გამომდინარე, B წერტილთან კეთილდღეობის უფრო მაღალ დონეს მიაღწიოს. მაგრამ, თუ კერძო პირები ცენტრალური ბანკისგან მსგავს, დროში შეუსაბამო ქმედებას მოელიან, მათი ინფლაციასთან დაკავშირებული მოლოდინი იმთავითვე დადებითი იქნება, ისე რომ გრძელვადიანი წონასწორობის არსებობა მხოლოდ C წერტილშია შესაძლებელი. ცენტრალური ბანკის გადმოსახედიდან, C წერტილში A წერტილთან შედარებით, კეთილდღეობის დონე შემცირდა კიდეც.

ცენტრალური ბანკის თვალთახედვით, იმ პირობით, რომ არ იქნება მოქმედების სხვა შეზღუდვები, მოდელი დროში შეუსაბამო ქმედებისათვის ცალსახა მოტივაციას წარმოადგენს. ვინაიდან, დიდი ხნის მანძილზე უმუშევრობის ქვოტა მუდმივად ბუნებრივ U_n დონეს შეინარჩუნებს, თამაშის დასაწყისში ცენტრალური ბანკის დეკლარირებული მიზანი ყოველთვის იქნება ინფლაციის $\pi = 0$ დონეზე დაფიქსირება და ამით, საზოგადოების კეთილდღეობის ფუნქციაზე A წერტილში W_2 სარგებლიანობის დონის მიღწევა. თუმცა, როგორც კი კერძო პირები თავიანთ ინფლაციასთან დაკავშირებულ მოლოდინებს აღნიშნული მაჩვენებლისკენ მიმართავენ და, შესაბამისად, მცირე დროის მანძილზე P_1 ფილიპსის მრუდი მნიშვნელობას შეიძენს, ცენტრალური ბანკი შეცვლის თავის გადაწყვეტილებას. მას, პრინციპში, შეეძლო B წერტილთან მიეღწია W_3 სარგებლიანობის ყველაზე მაღალი დონისათვის, თუ ის ინფლაციის მოულოდნელი π_1 დონით, უმუშევრობის დონეს U_1-მდე, ანუ ბუნებრივი დონის ქვემოთ შეამცირებდა. რადგან, ინფლაციასთან დაკავშირებული მოლოდინის რაციონალური ჩამოყალიბებაა ნავარაუდევი, კერძო პირები ცენტრალური ბანკისგან მოელიან ქმედებას, რომელიც დროში არათავსებადობით ხასიათდება და გადაწყვეტილების მიღებისას უკვე გათვალისწინებულიც აქვთ. დროში თავსებადი სტაბილური წონასწორობა, აღნიშნულ პირობებში, მხოლოდ მაშინ მიიღწევა, როდესაც, ინფლაციის მოლოდინები $\pi_2 > 0$-თან მდებარეობს და ინფლაციის დონეს, π-ს შეესაბამება. მასთან დაკავშირებული P_2 ფილიპსის მრუდი, უმუშევრობის ბუნებრივ მრუდის U_n დონესთან (და, აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი ფილიპსის მრუდზე არსებულ პუნქტში), ეხება W_1 განურჩევლობის მრუდს. ამდენად, ცენტრალური ბანკის გადმოსახედიდან, ინფლაციის დონის ვერც ზრდა და ვერც შემცირება, სარგებლიანობის დონეს ვეღარ აამაღლებს. თუმცა, სარგებლიანობის დონე C წერტილში მნიშვნელოვნად ნაკლებია, ვიდრე ეს A-ში ან B-ში იქნებოდა. რაციონალურად ჩამოყალიბებული მოლოდინების შემთხვევაში, დროის თვალსაზრისით სტაბილურ წონასწორობას, მაშასადამე, საქმე მიჰყავს იმ მდგომარეობამდე, რომელიც, პრინციპში, ყველა მონაწილე მხარის აზრით, ყველაზე უარეს გამოსავალს წარმოადგენს. ცენტრალური ბანკის დისკრეციული ქმედების არეალის შეზღუდვა, მაგალითად, თუ ინფლაციასთან დაკავშირებული მიზანი $\pi = 0$ დონის შესაბამისი იქნებოდა, პირიქით, ის აღმოჩნდებოდა ხელსაყრელ გარემოში, რომელიც ხელს შეუშლიდა დროით ქმედებას, და, ამდენად, ხელს შეუწყობდა A წერტილში წონასწორობის რეალურად მიღწევას.

ფილიპსის მრუდის ძირითადი მოდელი ბევრი თვალსაზრისით გაფართოვდა. ეს განსაკუთრებულად შეეხო სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებულ დაურწმუნებლობის, გაურკვევლობის გათვალისწინებას, ინფლაციის მოლოდინების ჩამოყალიბების პროცესში კერძო პირთა არასრული ინფორმაციის როლს, ასევე მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების მრავალპერიოდიანი დროის მონაკვეთის გათვალისწინებას. მოდელის აღნიშნული გაფართოებით უკეთ გამოიკვეთა ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების სანდოობისა და ეფექტიანობის ასამაღლებელი შესაძლებლობები და საზღვრები, დისკრეციული ქმედების არეალის მკაცრი შეზღუდვის გზით.

17.2 ინსტიტუციური რეგულირებების საწყისები

თამაშთა თეორიის ძირითადი, საბაზისო მოდელი გვარწმუნებს იმ წესების უპირატესობაში, რომლებზეც ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციები თავისი ქმედებებით ორიენტაციას იღებენ და რომლებსაც ისინი გარკვევით აცნობენ კერძო პირებს. ამასთან, წესები, წარმოადგენენ განსაზღვრული მიზნების (მაგალითად, ინფლაციის დონის განსაზღვრა ნულოვან ნიშნულზე) ან შუალედური მიზნების დასახვას, რომლებიც მჭიდრო კავშირში არიან ძირითად მიზანთან. მონეტარული პოლიტიკის სფეროში, ინფლაციასთან დაკავშირებულ მიზანთან ერთად, ან მის ნაცვლად, ასევე შესაძლებელია არსებობდეს ფულის რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებული მიზანიც.

ბაროსა და გორდონის მოდელის მრავალპერიოდულობის ანალიზით (1983), ნათელი ხდება, რომ ინსტიტუციები კერძო პირებში რეპუტაციას მოიპოვებენ, თუ იზრუნებენ, ორიენტაცია აიღონ განსაზღვრულ წესებზე.

რაც უფრო ნაკლებად მოექცევა ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუცია სხვა მოთხოვნების გავლენის ქვეშ, მისთვის აღნიშნული პროცესი მით უფრო მარტივი იქნება. ამ თვალსაზრისით, ინსტიტუციის დამოუკიდებლობა ეხმარება მისი რეპუტაციის შექმნას ზოგადი ვალდებულების შემთხვევაში. ინსტიტუციის რეპუტაციისა და მაღალი საზოგადოებრივი სარგებლიანობის დონის ჩამოყალიბებას, პასუხისმგებელ პირთა მიზანმიმართული შერჩევაც კარგ სამსახურს უწევს. „კონსერვატიულად განწყობილი“ ბანკირების დაქირავებას, რომელთა ინდივიდუალური სარგებლის ფუნქციაში განსაკუთრებული ადგილი ფასების დონის სტაბილურობის მიღწევას უკავია, კერძო პირებისთვის მნიშვნელოვანი სასიგნალო ფუნქცია აქვს. საბოლოოდ, შესაძლებელია სცადონ განსაკუთრებული სტიმულების საშუალებით, მაგალითად განსაზღვრული მიზნების მიღწევაზე შემოსავლების პირდაპირი მიბმით, დროითი არასტაბილურობის პრობლემის გადაჭრა. ახალი ზელანდიის ცენტრალურ ბანკს, მაგალითად, თავისი თანამშრომლების ანაზღაურება უშუალოდ აქვს მიბმული დასახული სტაბილურობის მიზნის განხორციელებასთან.

თუმცა, ზოგადი ვალდებულებების ცალსახა უპირატესობები მცირდება, როდესაც მნიშვნელობა ენიჭება სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებულ გაურკვევლობას. დღეისათვის არსებული არაპროგნოზირებადი მოვლენების საფუძველზე, ეკონომიკურ-პოლიტიკური მხარეების მოქმედების არეალის მკაცრი წესებით გადაჭარბებული შეზღუდვა, უგუნურობა იქნებოდა. ინსტიტუციის შესაძლებლობა, ექსტრემალურ სიტუაციაში გაატაროს დაუგეგმავი ღონისძიებები და ამით გრძელვადიან შედეგს მიაღწიოს, მაინც იმაზეა დამოკიდებული, რომ მათ კერძო პირების წინაშე მაღალი რეპუტაცია უფრო ადრე, ჩვეულებრივ პირობებში მოიპოვეს. ამდენად, ზოგადი ვალდებულებები და დისკრეციული ქმედებები მთლიანად ურთიერთგამომრიცხავი არ უნდა იყოს. კონკრეტული სამოქმედო სიტუაციის კარგად შეფასების შემთხვევაში, მათ შესაძლოა, ერთმანეთი ეფექტურადაც კი შეავსონ.

ინსტიუციური რეგულირებები ეკონომიკურ-პოლიტიკურ სანდოობაზე მნიშვნელოვან გავლენას მონეტარული პოლიტიკის სფეროს მიღმაც ახდენენ. ბისლეი და კოეტი (1997; 1998) წარმომადგენლობითი დემოკრატიის მთავარ პრობლემას იმაში ხედავენ, რომ მთავრობის შეცვლის შესაძლებლობა ყოველი არჩევნების დროს მთავრობის გრძელვადიან ფინანსურ აქტივობებზე და, ამდენად, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ინვესტიციების დონეზე უარყოფით გავლენას ახდენს. კრეინის (2002) ემპირიულმა კვლევებმა დაამტკიცა, რომ საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ხანგრძლივი ვადა სანდოობის თვალსაზრისით უფრო ეფექტურად მოქმედებს და, შესაბამისად, ძირითადი და ადამიანური კაპიტალის სახელმწიფოს მხრიდან ინვესტირებას უწყობს ხელს.

ჯონ ტეილორი და ოპტიმალური საპროცენტო პოლიტიკის წესი

ჯონ ბ. ტეილორი (დაბ. 1946 წელს, იონკერსში, ნიუ-იორკი) სწავლობდა პრინსტონსა და სტენფორდში, ასწავლიდა პრინსტონის კოლუმბიის უნივერსიტეტში და 1984 წლიდან არის სტენფორდის უნივერსიტეტის პროფესორი. 1989-1991 წლებში ის იყო აშშ-ს პრეზიდენტის ეკონომიკის მრჩეველთა საბჭოს წევრი, 2001-2005 წლებში – აშშ-ს ფინანსთა სამინისტროს საერთაშორისო საქმეთა სახელმწიფო მდივანი. მისი ძირითადი შრომებია: *Macroeconomic Policy in a World Economy: From Econometric Design to Practical Operation* (*New York*, 1993); „*Discretion versus Policy Rules in Pratice*“ (*Carnegie-Rochester Conference Series on Public Policy*, 1993); *Monetary Policy Rules* (*Chicago*, 1999). ტეილორის შრომები მონეტარული პოლიტიკის ოპტიმალური წესების შესახებ, ეფუძნება როგორც ლუკასის კრიტიკას, ასევე მოსაზრებებს დისკრეციული ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების დროში შეუთავსებლობის შესახებ. დროში არათავსებადობის შესახებ გამართული დებატები მოითხოვს მონეტარული პოლიტიკის კონკრეტულ ზოგად ვალდებულებებს. გუდჰარტის წესის თანახმად, მკაცრად განსაზღვრულ ზოგად ვალდებულებებს ასევე შეუძლიათ სტრუქტურული პარამეტრების ცვლილებების გამოწვევაც. ამდენად, საჭიროა მონეტარული პოლიტიკის წესები, რომლებიც არა სტატიკური, არამედ ეკონომიკური სიტუაციის ცვლილებებს შეესაბამება.

ტეილორმა მასშტაბური ეკონომეტრული კვლევების საფუძველზე, შეიმუშავა ნომინალური *i* განაკვეთის, ანუ ცენტრალური ბანკის უშუალო გავლენის ქვეშ არსებული მონეტარული პოლიტიკის სიდიდის ოპტიმიზაციის წესი:

$$i = r + \pi + 0{,}5(Y - Y^*)/Y^* + 0{,}5\,(\pi - 0{,}02)$$

სადაც, *r*-ი აღნიშნავს რეალური განაკვეთის მიზნობრივ დონეს, π – გასული ოთხი კვარტალის განმავლობაში არსებული ინფლაციის დონეს, *Y* – რეალურ მშპ-ს, ხოლო *Y** – რეალური მშპ-ს მიზნობრივ მაჩვენებელს, რომლის საფუძველს გრძელვადიანი წონასწორობა წარმოადგენს. ტეილორის წესის მიხედვით, მაშასადამე, ოპტიმალური მონეტარული პოლიტიკა ორიენტირებულია წარსულში არსებულ π ინფლაციის დონეზე, ინფლაციის დონის 2%-იანი მაჩვენებლით „აუცილებელ“ გადახრაზე, ასევე მშპ-ს გადახრის მაჩვენებელზე (ე.წ. *Output Gap*) თავისი გრძელვადიანი წონასწორობის რეალური დონიდან. ტეილორის წესში ინტერესს იწვევს ერთნაირი წონა – 0,5, რომლის საშუალებითაც ფასების დონის სტაბილურობის მიზნიდან და ტენდენციური ზრდიდან გადახრის გათვალისწინებაა შესაძლებელი. ერთი შეხედვით, მის მიღმა უნდა იმალებოდეს ცენტრალური ბანკის განსაკუთრებული პრიორიტეტი, რომელიც კერძო პირების პრიორიტეტებს დიდად არ შეესაბამება. ინფლაციის დონისა და მისი დეტერმინანტების სამომავლო განვითარებასთან დაკავშირებული გაურკვევლობიდან, ასევე განხილული მაკროეკონომიკური მოდელის შესაძლო არასტაბილურობიდან გამომდინარე, მაინც მიზანშეწონილი უნდა იყოს რეალური ეკონომიური სიდიდეების შესაძლო ტენდენციური გადახრების გათვალისწინება. ტეილორის წესი დღეისათვის ლიკვიდობის მართვის ნაწილში მონეტარული პოლიტიკის ანალიზისა და მიზნის ფორმულირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან ინსტრუმენტად არის მიჩნეული.

17.3 მაგალითი: ევროპის ცენტრალური ბანკის ორგანიზაციული სტრუქტურა და მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია

ევროპის ცენტრალური ბანკი, როგორც ჯერ კიდევ ახალბედა ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუცია, მეტისმეტად ხშირად ეჯახება თავის სანდოობასთან და

მონეტარული პოლიტიკის მოქმედების არეალთან დაკავშირებულ კითხვებს. აღნიშნული კითხვების პასუხად, ჯერ კიდევ ევროპის სავალუტო კავშირის შესახებ არსებულ მოლაპარაკებებში, 1992 წლის ევროპის ცენტრალური ბანკის დაარსების შესახებ მაასტრიხტის ხელშეკრულების დებულებებში, 1996 წელს მიღებულ ევროპის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტში და ევროპის ცენტრალური ბანკის მიერ არჩეულ მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიაში ჩამოყალიბდა ინსტიტუციური წესები, რომლის გაანალიზება შესაძლებელია პოლიტ-ეკონომიკური ინსტრუმენტების დახმარებით. ამასთან, კარგად ჩანს, რომ ბაროსა და გორდონის თამაშთა თეორიის მოდელის პერსპექტივები კარგი დამხმარეა ცალკეული რეგულირების შეთანხმებული მუშაობის გასაანალიზებლად და სუსტ წერტილებზე ყურადღების გასამახვილებლად.

მაასტრიხტის ხელშეკრულება სხვა უამრავ დამხმარე პროტოკოლთან ერთად არეგულირებდა ევროკავშირის ერთიან ეკონომიკურ და სავალუტო პოლიტიკას. მაასტრიხტის ხელშეკრულებისა და ევროპის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტის წესები 2009 წლიდან ევროკავშირის მუშაობის პრინციპის შესახებ არსებული ხელშეკრულების (*AEUV*) შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ცენტრალური ადგილი უჭირავს ევროპის ცენტრალური ბანკის (*EZB*) მუშაობის კრიტერიუმებს, რომლებიც ეროვნულ ცენტრალურ ბანკებთან ერთად, ცენტრალური ბანკების ევროპულ სისტემას (*ESZB*) ქმნიან. *AEUV*-ის §1-ის 127-ე მუხლი ადგენს: „ESZB-ის უპირატესი მიზანია, უზრუნველყოს ფასების სტაბილურობა. *ESZB* მხარს უჭერს გაერთიანების საყოველთაო ეკონომიკურ პოლიტიკას, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება ფასების სტაბილურობის დაზარალების გარეშე...“ ევროპის მონეტარული პოლიტიკის სანდოობა უნდა გაამყაროს სწორედ ფასების სტაბილურობასთან დაკავშირებულმა ერთმნიშვნელოვანმა მიზანმა, რომელიც შეზღუდვის გარეშე შესაძლებელია გაგებულ იქნას, როგორც ფასების დონის სტაბილურობა შესაბამისი ინდექსის სტანდარტით. ბაზრის მონაწილე მხარეები ერთმნიშვნელოვნად არიან ინფორმირებული იმის თაობაზე, რომ „ევროპის ცენტრალური ბანკი არ გაატარებს დასაქმების პოლიტიკას, თუ ის რამენაირად ეჭვქვეშ დააყენებს ფასების სტაბილურობის უპირატეს მიზანს“. *AEUV*-ის §1-ის 219-ე მუხლი ცდილობს, საფრთხეს იმის თაობაზე, რომ სხვა ვალუტებთან მიმართებაში ევროს გაცვლითი კურსის დადგენამ შესაძლოა გამოიწვიოს ფასების დონის სტაბილურობას, გაცვლითი კურსის სტაბილურობასა და საგადასახდელო ბალანსის წონასწორობას შორის მიზანთა კონფლიქტი, დაუპირისპიროს გარანტია იმის შესახებ, რომ ევროპის საბჭოს შეთანხმებებს ევროს გაცვლით კურსთან დაკავშირებით, ადგილი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ ეს შეთანხმება ერთხმად იქნება მიღებული ევროპის ცენტრალური ბანკისა და ევროპარლამენტის მოსმენის შემდეგ, ფასების დონის სტაბილურობის უპირატესი მიზნის გათვალისწინებით.

ახალი პოლიტიკური ეკონომიის ფუნდამენტურ მიღწევას წარმოადგენს ის, რომ ინსტიტუციების მიზნები განუხორციელებელი რჩება, თუ ისინი ინსტიტუციებში მოღვაწე ინდივიდების მიზნებთან შეუთავსებელია და მხედველობაში არ იღებენ ინდივიდუალური გადაწყვეტილებების გამტარებლებისათვის მნიშვნელოვან შეზღუდვებს. ევროპის სავალუტო კავშირის ცენტრალური გადაწყვეტილებების მიმღები კომისიები *AEUV*-ის §1-ის 283-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენენ ევროპის ცენტრალური ბანკის ადმინისტრაციულ კომიტეტსა და ევროპის ცენტრალური ბანკის საბჭოს, რომელიც შედგება ევროზონის წევრ-ქვეყნების ცენტრალური ბანკების დირექტორთა საბჭოს წევრებისა და პრეზიდენტებისგან. გარდა ამისა, ხელშეკრულება მე-2 პარაგრაფის 283-ე მუხლში ადგენს, რომ დირექტორთა საბ-

ჭოში, რომელიც შედგება პრეზიდენტის, ვიცეპრეზიდენტისა და სხვა ოთხი წევრისგან, შესაძლებელია მოწვეულ იყვნენ მხოლოდ ის წევრები, რომლებიც წარმოადგენენ „სავალუტო და საბანკო სფეროებში აღიარებულ და გამოცდილ პირებს“.

ESZB-სა და *EZB*-ს, როგორც ორგანიზაციას, დასახული მიზნის განხორციელებაში დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი ენიჭება. ამასთან, პერსონალური დამოუკიდებლობა მდგომარეობს იმაში, რომ დირექტორთა საბჭოს წევრებს თავიანთი თანამდებობრივი ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც არაუმეტეს 8 წლით განისაზღვრება, ხელახალი არჩევის უფლება პრინციპულად აღარ აქვთ. ამდენად, მათ უჩნდებათ ვალდებულება, გამოვიდნენ სხვა პირების არჩევის ინტერესიდან, როგორც სტაბილურობის პოლიტიკის მიზნის გამტარებლები. ევროპის ცენტრალური ბანკის ფუნქციური დამოუკიდებლობის საფუძველს წარმოადგენს ის, რომ მას შეთანხმების მიხედვით გადაეცემა საჭირო ინსტრუმენტები, რათა იზრუნოს ფასების სტაბილურობაზე. დამატებითი, N4 ოქმის მე-18-20 მუხლები ღია საბაზრო და საკრედიტო საქმიანობას, ასევე მინიმალურ რეზერვებს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტებად განიხილავენ და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებასაც დასაშვებად მიიჩნევენ, თუ ამის აუცილებლობა სტაბილურობის მიზნის მიღწევით არის განპირობებული.

და ბოლოს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას, რომელიც ევროპის ცენტრალურ ბანკს რამდენიმე თვალსაზრისით მიენიჭა. ევროკავშირის მუშაობის პრინციპის შესახებ ხელშეკრულების (*AEUV*) 130-ე მუხლი ერთმნიშვნელოვნად აცხადებს, რომ თავისი უფლებამოსილების, ამოცანებისა და მოვალეობების შესრულებისას, „არც ევროპის ცენტრალურმა ბანკმა, არც წევრ-ქვეყნების ცენტრალურმა ბანკებმა, ასევე არც ხელმძღვანელი ორგანოს წევრებმა არ უნდა მოითხოვონ და არ უნდა მიიღონ ხელმძღვანელი ორგანოს ან გაერთიანების სხვადასხვა უწყების, წევრი ქვეყნების მთავრობების ან სხვა უწყებების მითითებები“. ჩამოთვლილ ინსტიტუციებს არ უნდა ჰქონდეთ მცდელობა, გავლენა მოახდინონ „ევროპის ცენტრალური ბანკის ან წევრ-ქვეყნების ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელი ორგანოს წევრებზე მათი ამოცანების შესრულებისას“. *AEUV*-ის §1-ის 123-ე მუხლი ფუნქციურ და ინსტიტუციურ დამოუკიდებლობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ თვალსაზრისით, რომ *ESZB*-ს მიერ სახელმწიფო ვალების დაფინანსება იკრძალება გამონაკლისის გარეშე: „ოვერდრაფტი ან სხვა საკრედიტო უზრუნველყოფა ევროპის ცენტრალურ ბანკში ან წევრ-ქვეყნების ცენტრალურ ბანკებში... გაერთიანების უწყებებისა თუ ორგანოებისთვის, ცენტრალური მთავრობებისთვის, რეგიონული თუ ადგილობრივი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულებისთვის ან სხვა საზოგადებრივ-სამართლებრივი იურიდიული პირებისთვის, საჯარო სამართლის სხვა უწყებებისთვის ან წევრი ქვეყნების საზოგადოებრივი საწარმოებისათვის აკრძალულია ისევე, როგორც მათი დავალიანებების უშუალო გამოსყიდვა ევროპის ცენტრალური ბანკის ან წევრ-ქვეყნების ცენტრალური ბანკების მიერ. სახელმწიფო ბიუჯეტის ჭარბი დეფიციტის თავიდან აცილებისათვის პრევენციული ზომების მიღების მიზნით, რაც შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს ევროპის ცენტრალური ბანკის მონეტარული პოლიტიკის კურსს, *AEUV*-ის 126-ე მუხლის თანახმად, წევრი ქვეყნების ბიუჯეტი და სახელმწიფო ვალების მდგომარეობა ექვემდებარება მუდმივ კონტროლს ევროკომისიის მიერ. ჯერ კიდევ 1996 წელს მიღებული სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტით, ევროზონის მომავალმა წევრმა ქვეყნებმა აიღეს ვალდებულება, სახელმწიფო ბიუჯეტის 3%-ზე მეტი დეფიციტი და სახელმწიფო დავალიანების 60% -ზე მეტი მაჩვენებელი, ყველა მოცემულ მომენტში მშპ-თან მიმართებაში პრინციპულად

გადაჭარბებულად ეცნოთ და საშუალოვადიან პერსპექტივაში დაბალანსებული ბიუჯეტისათვის მიეღწიათ. ევროკომისიის მიერ გადაჭარბებული დეფიციტის აღმოჩენის შემთხვევაში ევროსაბჭოს შეუძლია კონკრეტული წევრ-ქვეყნის მიმართ სანქციები დააწესოს.

აღნიშნულ ინსტიტუციურ ფარგლებში, რომელიც ევროპის მონეტარული პოლიტიკის სანდოობისა და ქმედითუნარიანობის უზრუნველყოფას მაქსიმალური დამოუკიდებლობით ცდილობს, 1998 წლის ოქტომბერში ევროპის ცენტრალურმა ბანკმა წარმოადგინა მონეტარული პოლიტიკის სტრატეგია. მისი კონცეფცია, ფასების სტაბილურობის მიზნის რაოდენობრივი განსაზღვრის ფორმით, შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: საშუალოვადიან პერსპექტივაში ჰარმონიზებული სამომხმარებლო ფასების ინდექსის (*HCPI*) ზრდა ევროს სავალუტო ზონისათვის გასულ წელთან შედარებით, 2%-ზე დაბალი უნდა ყოფილიყო. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ევროპის ცენტრალური ბანკი იყენებს მეტად მნიშვნელოვან „ორი მიმართულების“ სტრატეგიას. მასში ერთმანეთს უპირისპირდება ორი სხვადასხვა ანალიტიკური პერსპექტივა, რომლებიც ფასების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი ფაქტორების შესახებ შეძლებისდაგვარად სრულყოფილ ინფორმაციას მხოლოდ ერთობლივად გასცემენ. პირველი მიმართულება მდგომარეობს ეკონომიკურ ანალიზში. ის ეფუძნება კონიუნქტურული და საფინანსო ბაზრების ინდიკატორების ფართო სპექტრის შეფასებას, რომლებსაც შეუძლიათ ევროზონაში ფასების დონის სტაბილურობასთან დაკავშირებული მოკლე და საშუალოვადიანი რისკების შესახებ სასიგნალო ინფორმაციის მიწოდება. მეორე მიმართულებას უწოდებენ მონეტარულ ანალიზს. ის მიმართულია გრძელვადიან პერსპექტივაზე და აკვირდება მონეტარული აგრეგატების განვითარებას, განსაკუთრებით, M_3 ფულადი მასისა და მისი კომპონენტების ზრდას.

„ორი მიმართულების“ სტრატეგიის დახმარებით, ევროპის ცენტრალური ბანკი ცდილობს, იპოვოს პრაგმატული შუალედური გზა მონეტარული პოლიტიკის ფულის რაოდენობისა და ინფლაციასთან დაკავშირებული მიზნისადმი მკაცრად განსაზღვრულ ზოგად ვალდებულებასა და წმინდად დისკრეციულ მეთოდს შორის, რომელიც მოცემულ მომენტში ცალკეულ, მონეტარული პოლიტიკის შოკებზე რეაგირებს. რაოდენობრივად გამოსახული და ამით კარგად გადამოწმებადი სტაბილურობის მიზნის გამოცხადებით – მონეტარული პოლიტიკის სანდოობა უნდა გაიზარდოს. სხვადასხვა მონეტარული და არამონეტარული ინდიკატორების გათვალისწინებამ უნდა უზრუნველყოს სანდოობის დაზარალების გარეშე მონეტარული პოლიტიკის მოქნილი რეაგირება საგანგებო სიტუაციებზე, მაგალითად, როგორიცაა გაცვლითი კურსის ან ნედლეულის ფასების ცვლილებები. თუმცა კრიტიკოსები სწორედ ამაში ხედავენ არჩეული სტრატეგიების საფრთხეს. საგანგებო ან/და ეგზოგენური ფაქტორების გათვალისწინება, შესაძლოა, სანდო მონეტარული პოლიტიკის შექმნის დაბრკოლებად იქცეს, ვინაიდან ის, როგორც ჯერ კიდევ ახალბედა ინსტიტუცია, არ სარგებლობს ხანგრძლივი დროის მანძილზე ჩამოყალიბებული რეპუტაციით. ვინაიდან, ევროპის ცენტრალურმა ბანკმა შეგნებულად გააფართოვა საჭირო ინდიკატორების რაოდენობა, ბაზრებს სრულყოფილად არ შეუძლიათ წინასწარ განსაზღვრონ შესაძლო არახელსაყრელი განვითარება. აქედან გამომდინარე, იმის გამო, რომ ისინი იძულებულნი არიან, მუდმივად მონეტარული პოლიტიკის მოულოდნელი გადაწყვეტილებების მოლოდინში იყვნენ, ბაროსა და გორდონის მოდელის მექანიზმების თანახმად, შესაძლებელია თავი იჩინოს ინფლაციის იმაზე მაღალმა დონემ, ვიდრე ამას, პრინციპში, ბაზრის თითოეული მონაწილე ისურვებდა.

2007 წელს დაწყებულმა ეკონომიკურმა და ფინანსურმა კრიზისმა, რომელმაც ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყნის ეკონომიკურ ზრდაზე მნიშვნელოვანად იმოქმედა და რომელმაც ბევრი ქვეყნის საბანკო სექტორის კრიზისი და სახელმწიფო დავალიანების შემდგომი ზრდა გამოიწვია, ევროზონის მონეტარული პოლიტიკის ძირითადი პირობები მნიშვნელოვნად შეცვალა. 2011 წლის ბოლოსთვის, წევრი ქვეყნების დიდი უმრავლესობა ეკონომიკური სტაბილურობისა და ზრდის პაქტის კრიტერიუმებს ვეღარ ასრულებდა (ევროპის ცენტრალური ბანკი, 2012). 2010 წლიდან ევროპელი პარტნიორების და *IMF*-ის მრავალგვარი დახმარებით ადგილი ჰქონდა მცდელობას, საბერძნეთისთვის აეცილებინათ სახელმწიფო ბანკროტის საფრთხე. ირლანდიასთან, პორტუგალიასთან და ესპანეთთან ერთად, ამავე პერიოდში ევროზონის არაერთ ქვეყანას დასჭირდა დახმარება, რათა თავიდან აეცილებინათ საბანკო სისტემის ჩამოშლა, შესაბამისად, დაეფარათ ჭარბი დავალიანება. ამ პირობებში მუდმივად მიდიოდა მსჯელობა სავალუტო სისტემის შესაძლო დაშლის შესახებ. ზოგიერთი ანალიტიკოსის აზრით, ხელოვნური დევალვაციის გზით, კრიზისულ ქვეყნებს შესაძლოა, გამარტივებოდათ მაკროეკონომიკური ადაპტაცია. მეორე მხრივ, სწორედ ეს დისკუსიები უწყობდნენ ხელს კაპიტალის გადინებას კრიზისული ქვეყნებიდან და ამწვავებდნენ სპეკულაციებს ევროზონის სხვა ქვეყნებში კრიზისის საშიშროების შესახებ.

აღნიშნულ ფაზაში ევროპის ცენტრალურ ბანკს თავისი მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიის სანდოობასთან დაკავშირებით, რამდენჯერმე შეექმნა სერიოზული პრობლემები. საბერძნეთის პრობლემების დროში გაწელვამ აჩვენა, რომ არაეფექტური აღმოჩნდა არამხოლოდ მეტისმეტად მაღალი სახელმწიფო დავალიანების დაფარვის მიზნით არსებული განსაზღვრული სანქციების მექანიზმები. მოგვიანებით ასევე აღმოჩნდა, რომ ჯერ კიდევ საბერძნეთის ევროკავშირში შესვლის დროს, არ შესრულებულა ფისკალური პოლიტიკის პირველადი, რეკომენდებული წინაპირობები. სავალუტო კავშირის თითქმის ყველა ქვეყანაში საბანკო სისტემის კრიზისმა გამოიწვია კრედიტების გაცემის დრამატული შემცირება და, შესაბამისად, საბანკო სისტემაში ფულის ემისია. მონეტარული პოლიტიკის მთავარი ინსტრუმენტის – რეფინანსირების ძირითადი განაკვეთის – მნიშვნელოვნად შემცირების მიუხედავად, ამით ჩნდებოდა მონეტარული პოლიტიკის იმპულსებისთვის მეტად მნიშვნელოვანი ტრანსმისიის არხის მწყობრიდან გამოსვლის საფრთხე. იმავდროულად სახელმწიფო ბიუჯეტები, სახელმწიფო ვალების რეფინანსირების თვალსაზრისით, ქმედითუნარიან კაპიტალის ბაზრებზე იყვნენ დამოკიდებულნი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესამჩნევია არასტანდარტული მონეტარული პოლიტიკა, რომელსაც ევროპის ცენტრალური ბანკი 2010 წლის შუა პერიოდიდან ატარებს (შეადრ. თავი 6.5). ბანკების ლიკვიდობის მიზანმიმართულმა გაფართოებამ და კრიზისული ქვეყნების სახელმწიფო ვალების შესყიდვამ, ასევე იმის გამოცხადებამ, რომ მსგავსი შესყიდვები რეალურად რაოდენობრივი შეზღუდვის გარეშე განხორციელება, ევროზონის ფინანსური ბაზრების ქმედითუნარიანობა უნდა გააძლიეროს და დაუპირისპირდეს სავალუტო კავშირის შესაძლო დაშლის შესახებ არსებულ სპეკულაციებს. საბოლოო ჯამში, საფინანსო და ეკონომიკური კრიზისის ფონზე, ასევე გამოჩნდა მონეტარული პოლიტიკის აბსტრაქტული იდეალური მოდელის საზღვრებიც. ის ვარაუდობს, რომ მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების გამოყენებით ასევე შესაძლებელია რეალურ სიდიდეებზე და მონატარულ აგრეგატებზე გავლენის მოხდენაც.

თანამედროვე, საერთაშორისო შრომით დანაწილებაზე დაფუძნებულ ეროვნულ ეკონომიკებში აღნიშნული გავლენები ეფუძნება ქმედითუნარიან ფინანსურ ბაზრებსა და ფინანსურ სისტემებს. ცენტრალური ბანკი, რომელიც თავისი მონეტარული პოლიტიკის ეფექტურობაზე ზრუნავს, ამით, სავსებით შესაძლებელია, მიზანთა კონფლიქტის წინაშე აღმოჩნდეს. თუ ის ბანკებისა და ფინანსური ბაზრების სტაბილურობას უგულვებელყოფს, ამით შეამცირებს მონეტარული პოლიტიკის ინსტრუმენტების ეფექტურობას. და თუ ის უპირველეს ყოვლისა, ფინანსური ბაზრების სტაბილურობაზე განსაკუთრებულად ზრუნავს, მას შესაძლოა, დაემუქროს ფასების დონის სტაბილურობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კონფლიქტი, არაკონტროლირებადი ფულის ემისიის გამო. ამ ეტაპზე რთულია იმის შეფასება, ევროპის ცენტრალური ბანკის შემთხვევაში, საბოლოოდ რომელი ეფექტი აღმოჩნდება დომინანტურ სიტუაციაში.

ძირითადი ცნებები

- დროითი შეუთავსებლობა
  ფილიპსის მრუდი
  საერთო (ზოგადი) ვალდებულება
  დისკრეციული ქმედება
- *ტეილორის* წესი
- რაციონალური ეკონომიკური პოლიტიკა
  თინბერგენის ფორმულა
  ლუკასის კრიტიკა
  ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკა
- მაასტრიხტის ხელშეკრულება
  ევროპის სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტი
  ორი სვეტის სტრატეგია
  პირადი დამოუკიდებლობა
  ფუნქციური დამოუკიდებლობა
  ინსტიტუციური დამოუკიდებლობა

დავალებები

1. ბიუჯეტის დეფიციტი და საერთო-ეკონომიკური წონასწორობა

კონსტიტუციის 115-ე მუხლში, 2009 წელს ცვლილებების შეტანამდე, აღნიშნული იყო, რომ ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი გეგმურ სახელმწიფო ინვესტიციებზე ნაკლები უნდა ყოფილიყო. ამ ზღვარის გადაჭარბება დასაშვები იყო მხოლოდ "საერთო-ეკონომიკური წონასწორობის დარღვევის თავიდან აცილების მიზნით". იმსჯელეთ, რატომ არ გამოდგებოდა მსგავსი პირობა ფისკალური პოლიტიკის ზოგადი ვალდებულებისათვის.

2. ევროპის სტაბილურობის პაქტის რეფორმა

ევროპის სტაბილურობისა და ზრდის პაქტი შემოღებულ იქნა ევროზონის ქვეყნებში ბიუჯეტის ჭარბი დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით. ამასობაში ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის გერმანიამ, სახელმწიფო დავალიანების ნორმას ნაწილობრივ მრავალი წლის განმავლობაში გადააჭარბა. იმსჯელეთ, რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს ამ მოვლენას ევროზონის ფინანსური და მონეტარული პოლიტიკისათვის.

3. გაცვლითი კურსის მიზნების საიმედოობა

განმარტეთ, რატომ არის შესაძლებელი, რომ ეროვნული ვალუტის მყარი გაცვლითი კურსი უცხოური ვალუტის სტაბილურ გაცვლით კურსთან მიმართებაში ქვეყნის ცენტრალური ბანკის რეპუტაციის გაზრდისთვის ხელსაყრელი აღმოჩნდეს. ასევე იმსჯელეთ, რა უარყოფითი მხარეები შეიძლება მოჰყვეს გაცვლითი კურსის დაფიქსირებას ცენტრალური ბანკის მოქმედების თავისუფლებისათვის.

4. ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობა

ვალტერ ოიკენის თანახმად, „ეკონომიკური პოლიტიკის სტაბილურობა" კარგი ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპს წარმოადგენს. განმარტეთ, რამდენად და რა ფორმით იყო შესაძლებელი ამ პრინციპის სოციალური საბაზრო ეკონომიკის პროგრამაში განხორციელება.

გამოყენებული ლიტერატურა

დროში შეუთავსებლობის შესახებ ეკონომიკური პოლიტიკის პრობლემატიკის ბრწყინვალე მიმოხილვას გვთავაზობს *Drazen* (2000); დროითი არამდგრადი მონეტარული პოლიტიკის გავლენებზე მუშაობს *Bofinger* (2001). ევროპის ცენტრალური ბანკის მოწყობასა და მონეტარული პოლიტიკის სტრატეგიას აღწერენ *Bofinger* (2001) და *Görgens* და სხვ. (2008).

ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინსტიტუციებს შორის ურთიერთობების ორგანიზაციის ფორმები

18

18.1 კონტროლი 376

18.2 დამოუკიდებლობა 378

18.3 კოორდინაცია 379

18.4 მაგალითი : დიალოგზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა შრომის ალიანსში 381

სწავლების მიზნები

- დემოკრატიულ ქვეყნებში ძალაუფლების დანაწილების პრინციპის შესაბამისად, მოქმედებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოს ურთიერთკონტროლის მექანიზმი. ამით იზღუდება ცალკეული ინსტიტუციის ძალაუფლებისკენ სწრაფვა.
- კონტროლის ფუნქციების განხორციელება დროს მოითხოვს, ისე რომ, ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტრუმენტების გამოყენებისას, შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს დროში შეუთავსებლობას.
- ეკონომიკურ-პოლიტიკური მხარეების რეაგირების უნარი ეკონომიკური ვითარების ცვლილებებზე იზრდება მათი დამოუკიდებლობის გაზრდის შემთხვევაში. სუბსიდიარიზმი და ფედერალიზმი, როგორც სახელმწიფო სისტემების სტრუქტურული ფორმირების პრინციპები, მოწმობენ, რომ დამოუკიდებლობა ხელს უწყობს სახელმწიფო ინსტიტუციებს შორის კონკურენციას.
- თუმცა, დამოუკიდებელი ინსტიტუციების მიერ ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტრუმენტების არაკოორდინირებულმა გამოყენებამ შესაძლოა, საზოგადოებისთვის სუბოპტიმალური შედეგი მოიტანოს.
- დამოუკიდებელი ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტრუმენტების კოორდინირების ღონისძიებები კონტროლისა და დამოუკიდებლობის უპირატესობების ერთმანეთთან შეჯერების შესაძლებლობას წარმოადგენს. თუმცა, განსაზღვრული ეკონომიკურ-პოლიტიკური ინტერესების კოორდინაციის მცდელობამ შესაძლოა, საქმე კორპორაციული შეთანხმების სისტემის ჩამოყალიბებამდეც მიიყვანოს, რაც ნებისმიერი კონკურენციისთვის საზიანოა.
- გერმანიაში, დიალოგზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის დღემდე არსებულმა მიდგომებმა, შრომის ალიანსის კონცენტრირებულმა ქმედებამ, ვერ შეძლეს სატარიფო პოლიტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის სხვა სფეროების ხანგრძლივი კოორდინაციის მიღწევა. წარუმატებლობის მიზეზად შესაძლებელია ჩაითვალოს ინფორმაციული, ნდობისა და განაწილების პრობლემები.

18.1 კონტროლი

ახალი პოლიტიკური ეკონომია ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების ქცევა, ერთი მხრივ, განისაზღვრება პოლიტიკურად პასუხისმგებელი და მოქმედი პირების ინდივიდუალური მიზნებით. მეორე მხრივ, იგი დამოკიდებულია შეზღუდვებზე, რომლებსაც ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული გამტარებლის საქმიანობა ექვემდებარება. მსგავსი

შეზღუდვები განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენენ ცალკეული ინსტიტუციის კომპეტენციების გამიჯვნისა და შეთანხმების დროს. ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების წარმატება არცთუ უმნიშვნელოდ დამოკიდებულია, თუ რამდენად მოხერხდება გადაწყვეტილებების მიმღები ცალკეული ინსტანციების შეთანხმებული მოქმედების ორგანიზება ისე, რომ მაქსიმალურად განხორციელდეს საერთო-ეკონომიკური მიზანი.

მთლიანი სახელმწიფო აპარატის გადაწყვეტილებების მიმღებ ცალკეულ ინსტანციებს შორის ურთიერთობის ორგანიზაციული სტრუქტურის წამყვან ფორმას კონტროლი წარმოადგენს. დემოკრატიული სახელმწიფოს გაგება ეფუძნება ძალაუფლების დანაწილების პრინციპს, რაც გულისხმობს ამომრჩევლების მიერ პარლამენტის მუშაობის კონტროლს, პარლამენტის მიერ მთავრობის კონტროლს, მთავრობის მიერ ადმინისტრაციული ბიუროკრატიის კონტროლს და დამოუკიდებელი სასამართლოს მიერ ყველა სახის სახელმწიფო ქმედებების კონტროლს. აღნიშნულ პროცესში გამოყენებულმა მექანიზმებმა – მთავრობის არჩევა, შესაბამისად, მისი გადარჩევა, მთავრობის მიერ ადმინისტრაციის მუშაობის კონტროლი, სასამართლოს მიერ ყველა სახის სახელმწიფო გადაწყვეტილებისა და ღონისძიების შემოწმების საშუალებები – უნდა უზრუნველყონ, რომ ცალკეული გადაწყვეტილების დონეზე მოქმედი ინდივიდების ეგოისტური ქცევის მიუხედავად, შესრულდეს საერთო-ეკონომიკური მიზნები.

ახალი პოლიტიკური ეკონომიის ანალიზი ყურადღებას ამახვილებს კონტროლის მექანიზმებთან დაკავშირებული საფრთხეების წარმოქმნაზე. განსაკუთრებით, ცალკეულ საარჩევნო პროცედურებს შორის ხანგრძლივმა პერიოდმა და ცალკეულ ინსტანციებს შორის ინფორმაციების არათანაბარმა განაწილებამ, შესაძლოა, გამოიწვიოს ის, რომ ამომრჩეველთა ცალკეულმა ჯგუფმა მხოლოდ ცალმხრივი პრეფერენციების შესახებ მიიღოს ინფორმაცია ან ადმინისტრაციულმა ინსტანციებმა პოლიტიკოსთა მიმართ საკუთარი ინტერესები გაატარონ. თუმცა, ინფორმაციასთან დაკავშირებულმა პრობლემამ შესაძლებელია, დემოკრატიულ ქვეყნებში მნიშვნელობა დაკარგოს, ვინაიდან სახელმწიფო ღონისძიებების აუცილებლობის, ალტერნატივებისა და შედეგების შესახებ მედიის მიერ მიწოდებული ინფორმაციის სახით, კონტროლის დამატებითი ინსტანცია არსებობს. პოლიტიკოსებს ასევე შეუძლიათ, გააფართოონ თავისი საინფორმაციო ბაზა, თუ ისინი გადაწყვეტილებების მიღებისას ბიუროკრატებისა და სხვადასხვა გაერთიანების წარმომადგენლების რეკომენდაციების გარდა, ასევე დამოუკიდებელ მეცნიერ-ექსპერტთა რჩევებს დაეყრდნობიან.

კონტროლის ფუნქციების განხორციელება დროს მოითხოვს. ამან შესაძლოა ეკონომიკური პოლიტიკის დროში შეუთავსებლობა (time lags) გამოიწვიოს. წესრიგის პოლიტიკის სფეროში, რომლის ფარგლებშიც, ეკონომიკური სისტემის ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბების შესახებ ფართო მასშტაბის გადაწყვეტილებები მიიღება, აუცილებელია ყველა შესაბამის ინდივიდსა და ჯგუფთან მრავლისმომცველი ერთობლივი განსჯა და კონტროლი. პროცესების რეგულირების პოლიტიკის სფეროში, პირიქით, შესაძლოა საჭირო იყოს სწრაფი გადაწყვეტილებები, რომელსაც ხელს უშლის კომპლექსური კონტროლის სისტემა.

დროის მონაკვეთს, იმ მომენტიდან, როდესაც შეიცვალა ეკონომიკურ-პოლიტიკური საერთო მდგომარეობა და აღიარებულ იქნა ეკონომიკურ-პოლიტიკური ქმედებების აუცილებლობა, შესაბამისი ღონისძიებების გატარების მომენტამდე, რომლებიც წინასწარ უნდა შეიმუშავოს ადმინისტრაციამ, გადაწყვიტოს მთავრობამ და დაამტკიცოს პარლამენტმა, ასევე პროცესების რეგულირების

პოლიტიკის შიდა ფაქტორებით გამოწვეულ დროში არათავსებადობას (inside lag) უწოდებენ.

ეკონომიკური სისტემის მოქმედების პრინციპით განპირობებული ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩარევების გარე ფაქტორებით გამოწვეულ დროში ჩამორჩენასთან (*outside lags*) ერთად, შიდა შეუთავსებლობამ შესაძლოა, პროცესების რეგულირების პოლიტიკის ღონისძიებების არაეფექტურობა გამოიწვიოს. სახელმწიფო ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების ეფექტურობა, რამაც მოთხოვნის ბუმი უნდა ჩაახშოს, ხანგრძლივი კონსულტაციების, შემდგომ მისი დამტკიცებისა და მოქმედებაში მოყვანის, ასევე ხანგრძლივი პერიოდის გამო მხოლოდ უკვე დაწყებული კონიუნქტურული კრიზისის დროს იგრძნობა. ფისკალური პოლიტიკის რესტრიქციული ღონისძიებები, ასეთ შემთხვევაში, ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის შემცირებას უწყობს ხელს.

18.2 დამოუკიდებლობა

პროცესების რეგულირების პოლიტიკის ხანგრძლივი დროითი არასტაბილურობის თავიდან აცილებისა, და, ამდენად, ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების ეფექტურობის ამაღლებისათვის, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს, კონტროლის მექანიზმების შემცირება ან სახელმწიფო აპარატის სხვადასხვა სფეროს დამოუკიდებლობა სხვა სახელმწიფო ორგანოებთან შეთანხმებებისა და კონტროლისგან. მაგალითად, ფედერალურად დაყოფილ სახელმწიფოებში ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებებისა და კონტროლის კომპეტენციები სხვადასხვა იერარქიულ დონეებზე ნაწილდება. ამასთან, გადაწყვეტილებების ცალკეულ დონეებს შორის კომპეტენციების გამიჯნვა ხშირად სუბსიდიარიზმის პრინციპით ხდება. აღნიშნული პრინციპის თანახმად, ყველაზე დაბალმა საფეხურმა უნდა განახორციელოს გადაწყვეტილებებისა და კონტროლის ყველა კომპეტენცია მანამ, სანამ მას როგორც ორგანიზაციულად, ისე მატერიალურად ამის შესაძლებლობა ექნება და, სანამ მისი გადაწყვეტილებები სხვა, მსგავსი რანგის იერარქიული დონის კომპეტენციებზე გავლენას არ მოახდენს. აღნიშნული პროცესი ისე უნდა განხორციელდეს, რომ იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე მიღწეულ იქნეს ინტერესთა ბალანსი.

ადმინისტრაციული აპარატის ცალკეული სფეროს დამოუკიდებლობის მოპოვება, პირიქით, საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე პრობლემებს ქმნის. პირველ რიგში, ცალკეული სახელმწიფო ინსტიტუციის სრული გათავისუფლება პოლიტიკური კონკურენციის კონტროლის მექანიზმიდან, ეწინააღმდეგება დემოკრატიული სახელმწიფოს ორგანიზაციული სტრუქტურის პრინციპებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ გზით მნიშვნელოვნად გაიზრდებოდა ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების ეფექტურობა. მეორე მხრივ, კონტროლის მოხსნა ასევე გააუქმებდა მეტად მნიშვნელოვან ბარიერს, რომელიც დამოუკიდებლად მოქმედ ინსტიტუციებს საკუთარი ინტერესების გატარებაში უშლის ხელს. დამოუკიდებელი, სახელმწიფო-ადმინისტრაციული ინსტანციის მიერ მნიშვნელოვან, საერთო-ეკონომიკურ მიზნებთან დაკავშირებული ვალდებულების შესრულება, როგორც ცენტრალური ბანკის შემთხვევაში, შესაძლებელია კონკრეტული ინსტიტუციისადმი ზედმიწევნით დაზუსტებული და, შესაბამისად, ნებისმიერ დროს გადამოწმებადი მიზნის დასახვის შემთხვევაში. აღნიშნული ინსტიტუცია უნდა

აცნობიერებდეს, რომ მიზნიდან მნიშვნელოვანი გადახრა განსაკუთრებული პოზიციის დაკარგვის საფრთხეს შეიცავს.

დამოუკიდებლები არიან ასევე ეკონომიკური პოლიტიკის ის გამტარებლებიც, რომლებიც სახელმწიფო გადაწყვეტილებებისა და კონტროლის სფეროში საწყის ეტაპზე არ არიან ჩართული. ამ თვალსაზრისით, ეკონომიკურ-პოლიტიკურ მნიშვნელობას იძენენ, უპირველეს ყოვლისა, კერძო ინტერესთა ჯგუფები იმ შემთხვევაში, თუ მათ ცალკე ან სხვა გაერთიანებებთან ერთად შეუძლიათ ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც გავლენას მოახდენენ გაერთიანების წევრების ეკონომიკურ ქცევაზე ან სხვა ეკონომიკურ სუბიექტებზეც. მსგავსი გაერთიანებების გამორჩეულ მაგალითს, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი სფეროების შესახებ გადაწყვეტილებებს დამოუკიდებლად იღებენ, წარმოადგენს პროფკავშირები და დამსაქმებელთა ალიანსები, რომლებიც, კანონით გარანტირებული სატარიფო ავტონომიის საფუძველზე, სახელფასო და შემოსავლების პოლიტიკის სფეროში ძირითად კომპეტენციებს ფლობენ.

და ბოლოს, საერთაშორისო დონეზე, ერთმანეთისგან დამოუკიდებლები არიან ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული ეროვნული გამტარებლები. საერთაშორისო დონეზე მეტისმეტად მჭიდროდ დაკავშირებულ ეროვნულ ეკონომიკებში, ქვეყნის ფარგლებს გარეთ შემუშავებული და გატარებული ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებები ქვეყნის შიდა-ეკონომიკურ განვითარებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.

18.3 კოორდინაცია

მართალია, ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუციების დამოუკიდებლობას შეუძლია შეამციროს შიდა ფაქტორებით გამოწვეული დროსთან შეუთავსებლობა, მაგრამ შესაძლოა, ეკონომიკური ღონისძიებების ეფექტურობისათვის თავად იქცეს პრობლემად, თუ დამოუკიდებელი ინსტანციების გადაწყვეტილებები თავიანთი მოქმედებით ერთმანეთს შეუშლიან ხელს. ასე, მაგალითად, შესაძლებელია საერთაშორისო კონტექსტში, ერთ ქვეყანაში მიღებული რესტრიქციული მონეტარული პოლიტიკის ღონისძიებები არაეფექტური აღმოჩნდეს, თუ ეროვნული გაცვლითი კურსი მიზმულია სხვა ქვეყნის გაცვლით კურსზე და საზღვარგარეთ ხორციელდება მეტისმეტად ექსპანსიური მონეტარული პოლიტიკა. ასევე, სახელმწიფო ღონისძიებების ეფექტურობა, რომელიც მიზნად ისახავს დასაქმების დონის ზრდას ერთობლივი მოთხოვნის განხორციელების გზით, მნიშვნელოვნად იკლებს, როდესაც დამოუკიდებელი სატირიფო მხარეები სახელფასო განაკვეთს ერთდროულად იმდენად ზრდიან, რომ შედეგად მცირდება დასაქმების დონე. და ბოლოს, ფედერალურ ქვეყნებში სახელმწიფო დანახარჯების შემცირების ან სახელმწიფო კრედიტის აღების ეკონომიკური ეფექტი მცირდება იმ შემთხვევაში, თუ მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მხოლოდ საერთო-სახელმწიფოებრივ დონეზე იქნა მიღებული, ხოლო დაბალი იერარქიული საფეხურები იმავდროულად თავიანთი დანახარჯებისა და დავალიანების მოცულობას მნიშვნელოვნად გაზრდიან.

ამ მაგალითებიდან კარგად ჩანს, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების ყველა სფეროში, რომელთა შედეგებზეც ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა დამოუკიდებელი გამტარებელი ახდენს გავლენას, ცალკეული

ღონისძიების შეთანხმებაა საჭირო. არ არის აუცილებელი, ეს მოხდეს ზემო ინსტანციის კონტროლით გადაწყვეტილების ცალკეული მიმღების დამოუკიდებლობისა თუ დაქვემდებარების თვალსაზრისით. შეთანხმება შესაძლებელია განხორციელდეს ნებაყოფილობითი კოორდინაციის ფორმით, როდესაც ყველა მონაწილე მხარეს მათი პასუხისმგებლობის სფეროში გატარებული ღონისძიებების გაუმჯობესებული შედეგების იმედი აქვს. ამასთან, კოორდინაციის ორგანიზაციულმა ჩამოყალიბებამ შესაძლოა, სრულიად განსხვავებული ფორმები შეიძინოს. შესაძლებელია, ეკონომიკური პოლიტიკის სხვა გამტარებლებმა წარმოადგინონ მხოლოდ მშრალი ინფორმაცია ცალკეული ინსტიტუციის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. ამასთან, სხვა ინსტიტუციების გადასაწყვეტია, გამოიტანენ თუ არა ისინი ამ ინფორმაციიდან დასკვნებს. ასევე შესაძლებელია, საკოორდინაციო ალიანსის ჩამოყალიბების გზით მოხდეს მისი ინსტიტუციონალიზაცია, რომელშიც ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული გამტარებლები საერთო, ურთიერთშეთანხმებული ღონისძიებების შესახებ იმსჯელებენ.

კოორდინაცია პრობლემატური ხდება, თუ იგი მესამე პირთა, შესაბამისად საზოგადოების საზიანოდ, მონოპოლისტურ ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფად ჩამოყალიბდება. ორგანიზებულ ჯგუფთა შორის შეთანხმებას, რომლებსაც ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეულ სფეროებზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ, კორპორატივიზმი ეწოდება. კორპორაციული სისტემები მიისწრაფიან ინსტიტუციებს შორის კონკურენციას და, შესაბამისად, ინოვაციებს ხელი შეუშალონ.

კარლ შილერი და კონცენტრირებული ქმედება

კარლ შილერი (1911-1994) დაიბადა ბრესლაუში, სამართალმცოდნეობასა და ეკონომიკურ მეცნიერებებს იგი ეუფლებოდა კილში, მაინის ფრანკფურტსა და ჰაიდელბერგში. 1947 წელს ის ჰამბურგის უნივერსიტეტში მიიწვიეს ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგედ. 1946 წლიდან ის იყო გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, 1948-1953 წლებში – ჰამბურგის ეკონომიკისა და ტრანსპორტის სენატორი, ხოლო 1961-1965 წლებში – ეკონომიკის სენატორი ბერლინში. 1965-1972 წლებში შილერი გერმანიის ბუნდესთაგის წევრია. 1966 წელს ის გახდა გერმანიის ეკონომიკის მინისტრი და ამ თანამდებობაზე დარჩა 1972 წლამდე. 1971 წელს იგი იმავდროულად იყო გერმანიის ფინანსთა მინისტრიც. მისი მთავარი ნაშრომია: ეკონომისტი და საზოგადოება. ლიბერალური და სოციალური ელემენტი თანამედროვე ეკონომიკურ პოლიტიკაში (შტუტგარტი, 1964). შილერს დიდი წვლილი მიუძღვის იმაში, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ (SPD) თავისი 1959 წლის გოდესბერგის პროგრამით სოციალურ საბაზრო ეკონომიკას დაუჭირა მხარი. მის მიერ დამკვიდრებული ფორმულით – „რაც შეიძლება მეტი კონკურენცია, რაც საჭიროა იმდენი დაგეგმვა“, ის გამოდიოდა სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო-ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის მაკროეკონომიკური გლობალური რეგულირებით შევსების მხარდამჭერად, „ფრაიბურგის იმპერატივის შერიგებით კეინზიანისტურ გზავნილთან“. მისი ეკონომიკის მინისტრობის პერიოდში, 1967 წელს მიიღეს კანონი სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის შესახებ, რაც მას თანამედროვე ეკონომიკური პოლიტიკის საფუძვლად მიაჩნდა. აღნიშნული კანონის განსაკუთრებულ ინსტიტუციურ ინოვაციას წარმოადგენდა კონცენტრირებული აქციის,

ანუ ფედერალური მთავრობის წევრებისა და სატარიფო მხარეების ერთგვარი დიალოგის რეჟიმში მომუშავე ალიანსის ჩამოყალიბება, რომელსაც გერმანიის ეკონომიკის მინისტრი უხელმძღვანელებდა. სხდომებზე ფედერალური ბანკი მოწვეული იყო მრჩევლის რანგში. განხილვის მიზანი უნდა ყოფილიყო სატარიფო პოლიტიკის, სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის და შეძლებისდაგვარად ასევე მონეტარული პოლიტიკის კოორდინაცია კონიუნქტურული სტაბილიზაციის მისაღწევად. ალიანსმა ვერ მოახერხა თავიდან აეცილებინა 70-იანი წლების შუა პერიოდის მწვავე ეკონომიკური კრიზისი. მან საბოლოო კრახი განიცადა 1977 წელს ალიანსიდან პროფკავშირების გასვლის შემდეგ.

18.4 მაგალითი : დიალოგზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა შრომის ალიანსში

გერმანიის ახალი მემარცხენე-ცენტრისტული (ე.წ. „წითელ-მწვანე“ კოალიცია, სოციალ-დემოკრატიული პარტია, მწვანეთა პარტია) მთავრობის განსაკუთრებით გამორჩეულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ინოვაციას წარმოადგენდა 1998 წელს შექმნილი გაერთიანება – „შრომის, განათლებისა და კონკურენტუნარიანობის ალიანსი“. ალიანსის დაარსების მიზანი იყო ეკონომიკური პოლიტიკის სხვადასხვა გამტარებლების ინსტიტუციონალიზებული დიალოგი, განსაკუთრებით სახელმწიფოს, პროფკავშირებსა და ეკონომიკურ გაერთიანებებს შორის, უმუშევრობის ქვოტის მნიშვნელოვანი შემცირების მიზნით. მის საფუძველს წარმოადგენდა ეკონომიკური პოლიტიკის დამოუკიდებელი გამტარებლების ნებაყოფილობითი კოალიცია. ალიანსმა სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის კანონის თანახმად ჩამოყალიბებული კონცენტრირებული აქციის მოდელი, რომელიც მაკროეკონომიკურ სტაბილურობას უნდა მომსახურებოდა, შრომის ბაზრის რეფორმაზე გადმოიტანა. 2002 წელს ჩაიშალა ალიანსის შემდგომი მოლაპარაკებები. 2003 წელს ფედერალურმა მთავრობამ სამოქმედო გეგმა 2010-ით საფუძველი ჩაუყარა შრომის ბაზრის რეფორმებს, რომლებიც არ იყო შეთანხმებული სატარიფო პარტნიორებთან (იხ. თავი 19.2). გაუგებარი რჩება, დიალოგზე ორიენტირებულმა პოლიტიკამ რატომ ვერ მოახერხა გერმანიაში არასრული დასაქმების შემცირებაში უფრო მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა.

დიალოგისა და თანამშრომლობის სტრატეგიის მიკროეკონომიკური ანალიზი შესაძლებელია, თუ არასასურველ თანმხლებ მოვლენებს გარე ეფექტებად მივიჩნევთ, რომლებიც ეკონომიკური პოლიტიკის ცალკეული მხარეების ქმედებებით დაიწყო და სხვათა ქმედებებზეც გავრცელდა. დასაქმების პოლიტიკის სფეროში მსგავსი გარე ეფექტები სახელმწიფოსა და სატარიფო მხარეებს შორის, ორგვარი გზით ამოიცნობა. სატარიფო შეთანხმებების წმინდა ფინანსური შედეგი მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება თანამედროვე საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკით, რომლის კურსის შესახებ ხშირად, სატარიფო მხარეები საქმის კურსში არ არიან. მეორე მხრივ, სოციალური დაცვის ნებაყოფილობით დაფინანსებულ სისტემებში სოციალური გადასახადებისა და მოსაკრებლების განაკვეთები მოცემული გამომუშავებული

შედეგის დონის შემთხვევაში მჭიდრო კავშირშია შენატანების გადამხდელთა რაოდენობასთან, რაზეც თავის მხრივ დიდ გავლენას ახდენს სატარიფო პარტნიორების სახელფასო პოლიტიკა. კოოპერაციული მოწყობის ახალი ფორმების ძიება, რომლის დროსაც სახელმწიფო გამოდის არა როგორც მაკონტროლებელი ინსტანცია, არამედ, როგორც თანასწორი პარტნიორი, შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც გარე ეფექტების ინტერნალიზაციის ინსტიტუციური მოწყობა.

ეკონომიკურ პოლიტიკაში დიალოგზე ორიენტირებული და კოოპერაციული ქმედებების ზემოხსენებული შესაძლო უპირატესობებიდან გამომდინარე, ცხადია, დაისმება კითხვა, ასევე არსებობს თუ არა კოოპერაციის უარყოფითი მასტიმულირებელი ეფექტები, რომლებიც დღემდე არსებულ ანალიზებში არ განხილულა. აღნიშნულ კითხვაზე პასუხად შესაძლებელია, დავუბრუნდეთ ქოუზის თეორემას, რომლის თანახმადაც, კოოპერაციული გადაწყვეტილების გატარებისა და შენარჩუნებისათვის მზადყოფნა მიბმულია ტრანზაქციის დაბალი ხარჯების არსებობაზე. ტრანზაქციის ხარჯები, უპირველეს ყოვლისა, წარმოიშობა ინფორმაციის მოპოვებისა და შეგროვებისათვის საჭირო ხარჯებით. დიალოგზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებისათვის, ამდენად, არსებითად მნიშვნელოვანია, რომ ყველა მონაწილე მხარე ფლობდეს სანდო ინფორმაციას, რაც მათი ქმედებების, ასევე მათი პარტნიორების ქმედებებისა და საერთო-ეკონომიკური პირობების განვითარების სავარაუდო ეფექტურობას შეეხება. გრძელვადიანი კოოპერაციული სტრატეგია მხოლოდ მაშინ არის მოსალოდნელი, როდესაც ყველა მონაწილე მხარე აცნობიერებს ინფორმაციასთან დაკავშირებულ აღნიშნულ პრობლემას და ზრუნავს ინფორმაციის ხარჯების შემცირებით მნიშვნელოვნად გაზარდოს თანამშრომლობის წმინდა მომგებიანობა.

ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემის მნიშვნელობა გერმანიის შრომის ალიანსშიც გასაგები გახდა. ალიანსის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფების ბაზაზე ჩამოყალიბდა სოციალური და ეკონომიკური დარგის მეცნიერებისგან შემდგარი სამეცნიერო-საკონსულტაციო ასოციაცია, რომელშიც შედიოდნენ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების (DGB), ეკონომიკისა და სოციალურ მეცნიერებათა ინსტიტუტისა და გერმანიის ეკონომიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხელმძღვანელები. აღნიშნულ ექსპერტთა ალიანსისთვის განსაკუთრებით ნიშანდობლივია ის, რომ მათ თავიანთ საქმიანობაში სრულიად გააზრებულად არ ჩართეს ფედერალურ სამინისტროებთან, ასევე ექსპერტთა საბჭოსთან მანამდე არსებული სამეცნიერო კომისიები. ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემების სენსიტიურობა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ სამეცნიერო მრჩეველთა მჭიდრო, ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა პირებთან, რომლებსაც ისინი კონსულტაციას უწევენ, ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გახდა, ვიდრე კონსულტაციების შედეგების სამეცნიერო ხარისხი. ამით კოოპერაციის სტრატეგიის წარმატების პირობის მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკურ პოლიტიკაზე პასუხისმგებელი პირებიდან მათ სამეცნიერო მრჩეველებზე გადავიდა, რომლებსაც თავის მხრივ, სამომავლო ალტერნატიული ქმედებების შეფასებასთან დაკავშირებით კონსენსუსისთვის უნდა მიეღწიათ. ვინაიდან ხშირად მსგავსი შეთანხმების მიღწევა რთული იყო, ალიანსის ქმედითუნარიანობის პირობები შეზღუდული რჩებოდა.

თუ ინფორმაციასთან დაკავშირებული შეთანხმების მიღწევა არ მოხერხდა, თანამშრომლობის სტრატეგიას წარუმატებლობა ემუქრება. წარუმატებლობა მაშინაც მოსალოდნელია, თუ მონაცემები, რომლებიც თანამშრომლობის გადაწყვეტილებებს საფუძვლად ედო, პოსტ ფაქტუმ არასაკმარისი ან ყალბი აღმოჩნდა. თუმცა დიდწილად არასანდო სწორედ ის ინფორმაციებია, რომლებიც საერთო-ეკონომიკურ დონეზე ალიანსის მოლაპარაკებებში აღწევენ. ამისათვის სულ მცირე ორი მიზეზი არსებობს: პირველი მდგომარეობს მაკროეკონომიკურ მონაცემებში მიკროეკონომიკური განვითარების აგრეგაციებში. დასაქმების სამომავლო განვითარება საბაზრო ეკონომიკაში სწორედ რომ ცალკეული მეწარმეების დეცენტრალიზებულ გადაწყვეტილებებს ეფუძნება, რომლებიც სამუშაო ძალების მიღებასა თუ გათავისუფლებას შეეხება. თანამშრომლობაზე აგებული გადაწყვეტილებების ჯგუფები (კოლექტივები), რაც უფრო დაშორებულია ცალკეული საწარმოს მიკროდონისგან, მით უფრო დიდია საფრთხე იმისა, რომ მიკროეკონომიკური შედეგები მაკროეკონომიკურ დონეზე მცდარად ან არასაკმარისად შეფასდეს. საერთო-ეკონომიკურ დონეზე თანამშრომლობის გზით მიღებული გადაწყვეტილებების ეფექტიანობის პროგნოზირებისას გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილებების მიმღები პირები მაკროეკონომიკურ დონეზე ვერ გამოვლენ იქიდან, რომ მიკროეკონომიკურ დონეზე ყველა გადაწყვეტილება რეალურად განხორციელდება. ამდენად და ასევე სამუშაო ჯგუფების ავტორიტეტული მრჩეველების ღიად გაცხადებული პარტიულობის გათვალისწინებითაც, იზრდება ალტერნატიული ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების საფრთხე. ამდენად, სამომავლო განვითარებისა და ალტერნატიული ქმედებების შეფასება არა შეძლებისდაგვარად მაღალი სამეცნიერო დონის კრიტერიუმით, არამედ ალიანსის მხარეებს შორის შეთანხმებულობის მაქსიმალური ხარისხით ხორციელდება. ამით იზრდება მცდარი ინფორმაციის არსებობის ალბათობა და, შესაბამისად, მცირდება გრძელვადიანი თანამშრომლობის წარმატების შანსები.

კონკურენციის თეორიიდან ცნობილია, რომ თუმცა ორი დამოუკიდებელი მეწარმის თანამშრომლობა ზრდის ერთობლივ მონოპოლიურ ძალაუფლებას, რის შესაბამისადაც, ორივეს მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი თანამშრომლობა ასევე ხშირად, მეტისმეტად არასტაბილურია. ამის მიზეზი მდგომარეობს კლასიკური თამაშთა თეორიის პატიმრის დილემაში, ვინაიდან შეთანხმების ჩაშლითა და მხარის თაღლითური ქმედებით, თითოეულ მხარეს უფრო მაღალი მოგების მოპოვების შანსი ექნებოდა. იგივე ეხება დიალოგზე ორიენტირებულ ეკონომიკურ პოლიტიკასაც. იგი მხოლოდ მაშინ არის წარმატებული, როცა თაღლითური სტრატეგიების მიმართ უნდობლობას პარტნიორი ეფექტიანად უპირისპირდება. სტრატეგიული ნდობის პრობლემა პატიმრის დილემის ფორმით ცნობილია ეკონომიკური პოლიტიკის ოპტიმალური ღონისძიებების დროსთან შეუთავსებლობით, რის გამოც ვითარდება აღნიშნული პრობლემის სხვადასხვაგვარი გადაწყვეტა, რომლებიც ძირითადად ეფუძნება სიფრთხილის განსაკუთრებულ ინსტიტუციურ ზომებს მხარეთა თაღლითური ქმედებების წინააღმდეგ.

გამოსავალი მდგომარეობს ინდივიდუალური გადაწყვეტილებების მკაცრად განზოგადებულ ვალდებულებებში. მონეტარული პოლიტიკის სფეროში მისი დემონსტრირება მოახდინეს ცენტრალურმა ბანკებმა ინფლაციის, ფულის რაოდენობის ზრდის ან გაცვლითი კურსის მიზნების გაწერის და მათ დაცვაზე ვალდებულების გზით. მეორე მხრივ, თანამშრომლობაში ურთიერთნდობა ყოველთვის ძლიერდება, როდესაც შეთანხმება გრძელვადიან თანამშრომლობას ეხება, ვინაიდან ამ შემთხვევაში ღირს შეთანხმების შესაბამისი ქცევის რეპუტაციის შექმნა. ამ თვალსაზრისით, ყველაზე კარგად ფუნქციონირებს უვადო თანამშრომლობა. უკანასკნელი შესაძლებლობა თანამშრომლობის წარმატების

უზრუნველყოფისათვის, საბოლოო ჯამში, იმაში მდგომარეობს, რომ წარუმატებლობის ფასი იმის ხარჯზე გაიზარდოს, რომ პარტნიორებმა თავიანთი კეთილი ნების გარანტია ერთმანეთს გადასცენ. საწარმოების თანამშრომლობის შემთხვევაში, ეს შესაძლებელია იყოს კაპიტალის თანამონაწილეობა, პოლიტიკური კოოპერაციის დროს, საქმე ეხება გადაწყვეტილების მიღებაში თანამონაწილეობას. შრომის ალიანსში ძირითადი აქცენტი იმთავითვე სახელმწიფოს, პროფკავშირებსა და ეკონომიკურ გაერთიანებებს შორის ხანგრძლივ თანამშრომლობაზე კეთდებოდა.

ალიანსის მოლაპარაკებების ხანგრძლივი დროითი ჰორიზონტი, რომელიც სულ მცირე, უფლებამოსილების ვადას მოიცავდა, დიალოგის პარტნიორებთან ურთიერთნდობის მოსაპოვებლად თავიდან საკმარისი ჩანდა. იმ ფაქტსაც, რომ პროფკავშირები და ეკონომიკური გაერთიანებები ყველა სამომავლო საგადასახადო და სოციალურ-პოლიტიკურ საკანონმდებლო ინიციატივაში ჩართულობის განსაკუთრებულ შესაძლებლობას მხოლოდ შრომის ალიანსში მონაწილეობის გზით იღებდნენ, თანამშრომლობის შეძლებისდაგვარად ხანგრძლივი არსებობა უნდა უზრუნველყო.

ის ფაქტი, რომ თანამშრომლობის სავარაუდო საერთო-ეკონომიკურ მოგებასთან ერთად არსებობს ასევე ინდივიდუალური ხარჯები და, რომ მოგებისა და ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით საჭიროა თანხმობის მიღწევა, ყველა სახის დიალოგისა თუ თანამშრომლობის სტრატეგიისათვის პრობლემას წარმოადგენს. განაწილების პრობლემა მწვავდება, როდესაც არსებობს ხარჯების გადატანის შესაძლებლობები დიალოგის პროცესში არამონაწილე პირებზე. განაწილების პრობლემის წარმოქმნისა და მისი მოგვარებისთვის, უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტია, საერთოდ ვინ და რა ფორმით არის დიალოგის მონაწილე. დიალოგისა და თანამშრომლობის სტრატეგიის ეფექტურობა უპირობოდ მოითხოვს მონაწილეთა შეზღუდულ რაოდენობას. დიალოგში მონაწილეები ხდებიან სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლები. ინტერესთა ჯგუფების ეკონომიკური თეორიიდან ცნობილია, რომ სხვადასხვა სარგებელი-ხარჯებისგაანგარიშების საფუძველზე არ არის შესაძლებელი ინტერესთა ყველა ჯგუფის ერთნაირად კარგად ორგანიზება. ამდენად, არც დიალოგის პროცესშია შესაძლებელი, მაგალითად როგორიცაა გერმანიის შრომის ალიანსი, ერთნაირი წარმატებით ჩაერთოს ყველა პოტენციური დაინტერესებული პირი. როგორც მოსალოდნელი იყო, მონაწილეების სახით, გერმანიის მთავრობასთან ერთად გამოვიდნენ უპირველეს ყოვლისა, მსხვილი საწარმოების გაერთიანებების წარმომადგენლები და პროფკავშირების ხელმძღვანელი პირები. ინსტიტუციონალიზებული დიალოგის მიღმა – მიუხედავად პრინციპულად მაღალი დაინტერესებულობის, მაგრამ არასაკმარისი წარმომადგენლობითობის გამო – იდგნენ უფრო მცირე საწარმოებისა და უცხოური საწარმოების ან ტექნოლოგიური თვალსაზრისით, ახალ სფეროებში ჯერაც არ არსებული საწარმოების წარმომადგენლები და ბოლოს, უმუშევართა, გადასახადებისა და შენატანების ამჟამინდელი გადამხდელებისა და მომავალი თაობების წარმომადგენლები. ინტერესთა ასიმეტრიული წარმომადგენლობიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ დიალოგში მონაწილეებს ჰქონდათ ძლიერი მოტივაცია, სახელმწიფო რეგულირების გავლენის დახმარებით, განაწილების შიდა კონფლიქტები დიალოგის მიღმა დარჩენილების ხარჯზე მოეგვარებინათ.

განაწილების პრობლემის დაძლევა მონაწილეთა წრის გაფართოებით რთული წარმოსადგენია. უფრო მიზანშეწონილია, მისი მოგვარება ისევ და ისევ ერთობლივი ვალდებულებებისა და კონკურენციის დისციპლინირებული ძალების გამოყენებით. ინოვაციების კვლევებიდან ცნობილია, რომ ხანგრძლივად წარმატებული საწარმოების კოოპერაციები მხოლოდ ინტენსიური კონკურენციის წნეხის ქვეშ ფუნქციონირებენ. ამის მიზეზი ალბათ იმაში მდგომარეობს, რომ მხოლოდ კონკურენციის გზით არის შესაძლებელი, ეფექტურად შეწყდეს თანამშრომლობის ხარჯების აუტსაიდერებზე გადაბარება. ალიანსის მოლაპარაკებების უუნარობას, გერმანიაში უმუშევრობის დონის ხანგრძლივი დროის მანძილზე შემცირებასთან დაკავშირებით, ამდენად, საბოლოო ჯამში ჰქონდა თავისი პოლიტ-ეკონომიური მიზეზები, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ თანამშრომლობაში როლების განაწილების პრობლემის გადაჭრა არასაკმარისად ეფექტური აღმოჩნდა.

ძირითადი ცნებები

- *დროის შუალედი*
  შიდა შუალედი
  გარე შუალედი
- სუბსიდიარიზმი
  ძალაუფლების დანაწილება
  ფედერალიზმი
  სატარიფო ავტონომია
- კონცენტრირებული აქცია
  დიალოგზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკა
  შრომის ალიანსი
  კორპორატივიზმი

დავალებები

1. ფედერაციული მოწყობა ცენტრალიზებული სახელმწიფო მოწყობის წინააღმდეგ

იმსჯელეთ, ფედერაციული და ცენტრალიზებული სახელმწიფო მოწყობის უპირატესობებსა და ნაკლზე, ეფექტიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის თვალსაზრისით.

2. ევროპული დასაქმების სტრატეგია

2000 წელს ევროკავშირის სახელმწიფო და მთავრობის ხელმძღვანელების მიერ მიღებული ლისაბონის სტრატეგიის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ეროვნული შრომის ბაზრებისა და დასაქმების პოლიტიკის ღონისძიებები. ტრადიციულად, დასაქმების პოლიტიკა ეროვნული მთავრობების სფეროს წარმოადგენდა. იმსჯელეთ, ევროპის მასშტაბით დასაქმების პოლიტიკის გაძლიერებული კოორდინაციის სარგებელსა და ხარჯებზე.

3. ფისკალური პოლიტიკის საერთაშორისო კოორდინაცია

მსოფლიო ეკონომიკურ სამიტებს, რომლებშიც მონაწილეობას ყველაზე ავტორიტეტული განვითარებული ქვეყნების წარმომადგენლები იღებენ, საფუძველი ჩაეყარა 70-იან წლებში და მათ მიზანს წარმოადგენდა ეროვნული ფისკალური პოლიტიკის საერთაშორისო გავლენების თავისუფლად ცვალებად გაცვლითი კურსის სისტემასთან კოორდინაცია. განმარტეთ საპროცენტო და

შემოსავლების ეფექტების გათვალისწინებით, რით იყო განპირობებული გაძლიერებული საერთაშორისო კოორდინაციის მოთხოვნა და იმსჯელეთ, რამდენად რეალური იყო მსოფლიო ეკონომიკური სამიტების გზით უფრო ეფექტური საერთაშორისო შეთანხმების მიღწევა.

გამოყენებული ლიტერატურა

დიალოგზე ორიენტირებული ეკონომიკური პოლიტიკის შანსებისა და შესაძლებლობების შესახებ დისკუსია იხილით *Klump*-თან (1998); შრომის ალიანსსა და მისი წარუმატებლობის მიზეზებს აანალიზებენ *Berthold/Hank* (1999) და *Fickinger* (2005).

ნაწილი VII

ეკონომიკური პოლიტიკის აქტუალური დებატები

19 ეკონომიკური პოლიტიკა გლობალიზაციის პირობებში 389

20 ეკონომიკური პოლიტიკის მომავალი ეკონომიკურ მეცნიერებებში 411

ეკონომიკური პოლიტიკა გლობალიზაციის პირობებში

19

19.1 გლობალიზაცია და ეკონომიკური კრიზისი, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები 390

19.2 შრომის ბაზრის რეფორმები და დასაქმების განვითარება 393

19.3 სახელმწიფო დავალიანება და ვალების მუხრუჭი 395

19.4 საბაზრო ჩავარდნა, სახელმწიფოს ჩავარდნა და ეკონომიკური წესრიგი 398

19.5 ეკონომიკური მიღწევების გაზომვა, ცხოვრების დონე და მდგრადი განვითარება 401

19.6. ეკონომიკური პოლიტიკის საერთაშორისო კოორდინაცია 403

სწავლების მიზნები

- ბოლო წლებში განვითარებული მძიმე ეკონომიკური კრიზისი არა მხოლოდ პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკისათვის იქცა მოქმედების მნიშვნელოვან სტიმულად, არამედ მან ასევე წარმოშვა ახალი მოთხოვნები თეორიული ეკონომიკური პოლიტიკისადმი. ეკონომიკურ-პოლიტიკური რჩევები დროულად უნდა იძლეოდეს ინფორმაციას მოვლენათა არახელსაყრელი განვითარების შესახებ, უფრო მიზანმიმართულად უნდა მოუწოდებდეს შესაფერისი ქმედებისკენ და ეფექტურად ქმნიდეს პოლიტიკური კონსენსუსის პირობებს, როგორც ქვეყნის მასშტაბით, ასევე – და სულ უფრო ხშირად – მის ფარგლებს მიღმაც.

- ეკონომიკური პოლიტიკის ირგვლივ არსებულ მრავალ ახალ სადისკუსიო საკითხში აქტუალური გახდა ძველი დებატების თემები. თუმცა გლობალიზაციის ეპოქაში, ბაზრების მზარდი საერთაშორისო ქსელის პირობებში, მათ ახალი მასშტაბი შეიძინეს.

- ბაზრების გლობალიზაცია საფუძველს უყრის ეკონომიკური პოლიტიკის არამხოლოდ მიკროეკონომიკური და მაკროეკონომიკური ინსტრუმენტების გამოყენების ახალ მეთოდებს, არამედ ის გავლენას ახდენს აგრეთვე ეკონომიკურ სისტემებს შორის არსებულ კონკურენციაზე, ეკონომიკური პოლიტიკის მიზნების საერთაშორისო შედარებითობაზე და ეკონომიკური პოლიტიკის გამტარებლებს შორის არსებულ საერთაშორისო კოორდინაციაზე.

19.1 გლობალიზაცია და ეკონომიკური კრიზისი, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები

2008 წელს დაწყებულ მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისს, მიზეზებისა და შედეგების გამო, ხშირად, 1930-იანი წლების დიდ დეპრესიას ადარებენ. ორივე კრიზისის უშუალო ამოსავალ წერტილს წარმოადგენდა ფინანსურ ბაზრებზე განვითარებული კრიზისული სიტუაციები, რომლებიც რეალურ ეკონომიკაზე გავრცელდა და მშპ-ს კლების საფუძველზე მატერიალური კეთილდღეობის შემცირება და უმუშევრობის ზრდა გამოიწვია. დიდმა დეპრესიამ ხელი შეუწყო დამოუკიდებელი მაკროეკონომიკური თეორიის, როგორც საერთო-ეკონომიკურ განვითარებაზე „პასუხისმგებელ“ ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის საფუძვლის, აგრეთვე მნიშვნელოვანი ეკონომიკური ინდიკატორების ფართო სპექტრის სტატისტიკურ აღრიცხვასა და ეკონომიკურ ციკლში მიზანმიმართული ჩარევების ალბათობებთან და რისკებთან დაკავშირებით პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკის ცნობიერების შექმნას. ექსპერტთა დიდი ნაწილისათვის მოულოდნელი იყო კრიზისის სიმწვავე, რამაც 21-ე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ეკონომიკა მოიცვა. რაც შეეხებათ კრიტიკოსებს, ისინი პირიქით, კრიზისის სიმძაფრეში გლობალიზაციის უარყოფითი შედეგების მაგალითს ხედავდნენ.

იგულისხმება პროცესი, რომელშიც მსოფლიო ეკონომიკა უკანასკნელი 30 წლის მანძილზე იმყოფება და რომელმაც 1990 წელს, სოციალისტური ეკონომიკური სისტემის ჩამოშლით, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ბიძგი მიიღო.

ეკონომიკური გლობალიზაცია, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური ცნება, პირველად გამოიყენა თეოდორ ლევიტმა (1983). იგი ასახავს მზარდი საერთაშორისო ქსელის ჩამოყალიბებას ეკონომიკური ცხოვრების ყველა სფეროში. ის მოიცავს:

- საქონლითა და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობის ზრდას;

- საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობის ზრდას ფინანსური აქტივების ყველა ფორმის მიხედვით;

- საწარმოების საერთაშორისო პირდაპირი ინვესტიციების ზრდას;

- გლობალური საწარმოებისა და საწარმოთა კოოპერაციების ზრდას;

- სამუშაო ძალების საერთაშორისო მიგრაციის ზრდას.

პრინციპულად ახალი არც ერთი ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტი არ არის. გასულ საუკუნეებშიც, განსაკუთრებით კი მე-19 საუკუნის ბოლოს არსებობდა ფაზები, რომლის დროსაც ვაჭრობა, კაპიტალის მოძრაობა და მიგრაცია მკვეთრად იზრდებოდა და გლობალურ დონეზე ორიენტირებული საწარმოები ყალიბდებოდა. და მაინც, თანამედროვე გლობალიზაციისათვის დამახასიათებელია ის, რომ ყველა ეს პროცესი კიდევ უფრო გამოკვეთილი და ურთიერთდაკავშირებულია, რომლის დროსაც, რაც ასევე მნიშვნელოვანია, აღნიშნული ურთიერთკავშირი გაფართოებული და გლობალურ დონეზე დაქსელილი ფინანსური სისტემის მიერ არის მხარდაჭერილი და წახალისებული.

21-ე საუკუნის ეკონომიკური გლობალიზაცია არავითარ შემთხვევაში არ უნდა მიეწეროს უბრალო შემთხვევითობას. ის წარმოადგენს გააზრებული ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილების შედეგს, რომლის მიზანსაც შეადგენდა ეკონომიკურ პროცესებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ჩარევების მიზანმიმართული შევიწროება:

- საქონლისა და მომსახურების არაერთი ბაზრის მიზანმიმართული დერეგულირება, რომელიც ეფუძნებოდა მიკროეკონომიკური თეორიის ახალ მოსაზრებებს ბაზრების თვითრეგულირების უნარის შესახებ (შეადრ. დისკუსიებს თავი 4.3) და რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენდა ფინანსური ბაზრების დერეგულირების პროცესზე,

- ბარიერების მიზანმიმართული გაუქმება საერთაშორისო ვაჭრობაში და საერთაშორისო კაპიტალის მოძრაობაში (შეადრ. დიკუსიას თავი12.3),

- საერთაშორისო ბაზრების გაფართოება ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ტრანსფორმაციის გზით (შეადრ. მე-11 თავი), მსოფლიო ეკონომიკაში ჩინეთის აღმავლობა და საერთაშორისო შრომით დანაწილებაში მრავალი ყოფილი განვითარებადი ქვეყნის ინტეგრაცია.

ბაზრების ქსელის ინტენსიური ჩამოყალიბებიდან გამომდინარე გასაკვირი არ არის, რომ კრიზისს, რომელმაც 2007 წელს იფეთქა აშშ-ს იპოთეკური კრედიტების ბაზარზე, ერთი წლის განმავლობაში მსოფლიო მასშტაბის ეკონომიკური კრიზისი მოჰყვა. თუმცა, იმის მიხედვით, თუ როგორ რეაგირებდა კრიზისზე მსოფლიოს ესა თუ ის ქვეყანა თუ რეგიონი, თავი იჩინა ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის თავისებურებებმა. ამ თვალსაზრისით, კრიზისი იძლევა მაგალითებს, თუ პრაქტიკული ეკონომიკური პოლიტიკა, თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის გამოცდილებაზე დაყრდნობით, როგორ რეაგირებს ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების განხორციელების მასობრივ დარღვევებზე. შემდგომ თავებში მოყვანილია მაგალითები გერმანიისა და საერთაშორისო ეკონომიკური პოლიტიკიდან, თუ, ერთი მხრივ, რა რეაგირება მოჰყვა გლობალიზაციისა და ეკონომიკური კრიზისების გამოწვევებს და მეორე მხრივ, როგორ მოხდა ახალ პირობებში ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის ტრადიციული რეცეპტების განახლება. ცალ-ცალკე არის განხილული:

- გერმანიის შრომითი ბაზრის რეფორმები მას შემდეგ, რაც 2003 წელს „სამოქმედო გეგმა 2010“ გამოცხადდა,
- ახალი ძალისხმევები, რომლებიც გერმანიასა და ევროკავშირში სახელმწიფო დავალიანების შემცირებისკენ იყო მიმართული, ე.წ. ვალების მუხრუჭის შემოღებით,
- კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის რეგიონული ვარიანტების შეზღუდვა, საბაზრო ჩავარდნისა და სახელმწიფო ჩავარდნების მიმართ მათი განსხვავებული დამოკიდებულებით,
- ცხოვრების ხარისხისა და ხანგრძლივობის საზომი ინდიკატორების შესახებ დისკუსია,
- და ბოლოს, ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების საერთაშორისო კოორდინაცია ბოლოდროინდელი ეკონომიკური კრიზისის დაძლევის ან ეფექტური, გლობალური, კლიმატის დაცვის მექანიზმის შემუშავების მცდელობების მაგალითზე.

რადგან, 2008 წელს დაწყებული კრიზისი ჯერაც არ დასრულებულა, ძნელია ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების საბოლოო შეფასება კრიზისის დაძლევის თვალსაზრისით. და მაინც, გამოიკვეთა, რომ კრიზისზე რეაგირებისათვის გამოყენებულ იქნა ეკონომიკური პოლიტიკის ყველა სფეროს – თეორიული ეკონომიკის, ინსტიტუციური და კეთილდღეობის ეკონომიკის, ასევე ახალი პოლიტიკური ეკონომიის ღონისძიებები. აღნიშნული ღონისძიებების ადრეულ ეტაპზე გამოყენებით მოხერხდა ის, რომ ბოლოდროინდელმა კრიზისმა ეკონომიკაზე, საზოგადოებასა და პოლიტიკაზე არ მოახდინა ისეთი ფატალური გავლენა – ყოველ შემთხვევაში ამ ეტაპზე, – როგორსაც თავის დროზე ადგილი ჰქონდა დიდი დეპრესიის დროს. ამდენად შესაძლებელია ჩაითვალოს, რომ კრიზისის მენეჯმენტი, რომელსაც საფუძველს უმყარებდა მრავალწლიანი ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის გამოცდილება, საბოლოოდ წარმატებული აღმოჩნდა.

19.2 შრომის ბაზრის რეფორმები და დასაქმების განვითარება

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის შედეგად, გერმანიას მშპ-თან დაკავშირებით, განსაკუთრებით მძიმე პრობლემებთან გამკლავება მოუხდა. თუმცა, იმავდროულად უმუშევართა ქვოტამ საერთაშორისო დონესთან შედარებით მხოლოდ უმნიშვნელოდ მოიმატა. ამ დროის მანძილზე გერმანიაში უმუშევრობა ნელ-ნელა შემცირდა კიდეც, ისე რომ ზოგიერთი მკვლევარი გერმანიის ერთგვარ „დასაქმების საოცრებაზეც“ ალაპარაკდა. აღნიშნული მოვლენის მიზეზი, ერთი მხრივ, შრომითი ბაზრის რეფორმაშია, რომელიც გერმანიაში ჯერ კიდევ კრიზისის დაწყებამდე გატარდა, მეორე მხრივ, გერმანიის შრომითი ბაზრის პოლიტიკის განსაკუთრებულ ინსტრუმენტებში, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი გახდა კრიზისით გამოწვეული დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემების შემცირება. გერმანიის შრომითი ბაზრის რეფორმებიც, ეჭვგარეშეა, მზარდი საერთაშორისო კონკურენციისა და შრომის დანაწილების შედეგს წარმოადგენდა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში, დასაქმების უზრუნველყოფისთვის შრომის ბაზრის ზოგიერთ, სოციალ-პოლიტიკურად მოტივირებულ, რეგულირების ოპტიმიზაციას მოითხოვდა. ამდენად, გერმანიის შრომით ბაზარზე არსებული მძიმე ეკონომიკური კრიზისის ეფექტური დაძლევა გვიჩვენებს, რომ ცალკეული ქვეყნის წარმატებული ეკონომიკური პოლიტიკა გლობალიზაციის პირობებშიც შესაძლებელია.

გერმანიის „დასაქმების ალიანსში“ შეთანხმებულ მოქმედებაზე ორიენტირებული დიალოგის პოლიტიკის კრახის შემდეგ (იხ. თავი 18.4), გერმანიის მთავრობამ გაითვალისწინა დამოუკიდებელ ექსპერტთა საბჭოს რეკომენდაციები და ძირითადი ორიენტაცია შრომით ბაზარზე აიღო. ამაში გამორჩეული როლი მიუძღვის კომისიას პეტერ ჰარტცის ხელმძღვანელობით (2002), რომელიც შრომით ბაზარზე თანამედროვე მომსახურების განვითარებაზე იყო ორიენტირებული. წინადადებები წარმოადგინა აგრეთვე საერთო-ეკონომიკური განვითარების (2002) შეფასების ექსპერტთა საბჭომაც, რომლებიც 2003 წელს შევიდა სამოქმედო გეგმა 2010-ში (Agenda 2010). რეფორმების გატარება მიმდინარეობდა 2003-2005 წლებში, უამრავი ცვლილებით მან მოიცვა შრომითი ბაზრის პოლიტიკის ყველა სფერო. ჰარტცის კომისიის მთავარი აზრი იმაში მდგომარეობდა, რომ უმუშევრობის საშუალო ხანგრძლივობის შემცირებით მიეღწიათ უმუშევრობის დონის კლებისათვის. უმუშევრობის საშუალო ხანგრძლივობის მესამედით შემცირებით უნდა განახევრებულიყო უმუშევრობის საერთო დონე. შესაბამისად, რეკომენდებული ინსტრუმენტები უნდა მიმართულიყო, პირველ რიგში, შრომით ბაზარზე შუამდგომლობის პროცესის დაჩქარებისკენ, ხოლო, მეორე მხრივ, უმუშევრობის დახმარება ნაკლებ მიმზიდველი უნდა გამხდარიყო. ასევე უნდა შეზღუდულიყო უმუშევრობის დაზღვევით სარგებლობის ხანგრძლივობაც. ამ მიზნით საჭირო იყო უმუშევრობის დაზღვევისა და სოციალური დახმარების მანამდე ცალ-ცალკე არსებული სისტემების ინტეგრაცია და მისი იმ ფორმით ჩამოყალიბება, რომ სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით სასურველ საბაზისო დაზღვევას არ ჰქონოდა მინიმალური ხელფასის ეფექტი, რაც ხშირად, დასაქმებისათვის ხელშემშლელი ფაქტორი იყო.

საერთო ჯამში, შრომით ბაზარზე თანამედროვე მომსახურების ოთხი კანონის მიხედვით (ჰარტცი I-IV) სხვა დანარჩენთან ერთად, შემდეგი ახალი წესები დამკვიდრდა:

- შრომის ფედერალური უწყების გადაკეთება თანამედროვე, მომსახურებაზე ორიენტირებულ დასაქმების სააგენტოდ, რომელიც თავისი დასაქმების ბიუროებით, დასაქმების ყველა მაძიებლისათვის საკოორდინაციო ცენტრი იქნება.

- კერძო საქმიანობისა და შრომითი რესურსების მოქნილი რეალიზაციის წახალისება ინდივიდუალური საწარმოების (Ich-AG – „მე სააქციო საზოგადოება“) დაარსების გზით, მცირე მეწარმეობის წახალისების მიზნით და ასევე კერძო მომსახურების სააგენტოების საქმიანობის გაფართოებით, რომლებიც დამსაქმებლებს დათქმული ვადით დაქირავებული სამუშაო ძალით უზრუნველყოფენ.

- შემოსავლებზე დამოკიდებული უმუშევრობის დახმარება – I-ისა, როგორც უმუშევართა დაზღვევის მომსახურების ხანგრძლივობის მაქსიმალური შემცირება 12 თვემდე, ასაკოვანი უმუშევრებისათვის, შესაბამისად 18 თვემდე.

- უმუშევრობისა და სოციალური დახმარებების გაერთიანება ე.წ. უმუშევრობის დახმარების ფორმით – II და ამით ხანგრძლივი დროის მანძილზე უმუშევარი პირებისათვის ადრინდელ შემოსავალზე ორიენტირებული სატრანსფერო მომსახურების გაუქმება, რაც ხელს შეუწყობს დახმარების სახით არსებული ხელფასის შემცირებას და ახალი სამსახურის ძებნის თვალსაზრისით გააქტიურებას.

შემოსავლებისგან დამოუკიდებელი უმუშვრობის დახმარება – II-ის ზუსტ ოდენობასთან დაკავშირებით მწვავე დებატები გაიმართა, რასაც თან ახლდა სოციალურსა და შრომის ბაზრის პოლიტიკის მიზნებს შორის კონფლიქტი. შრომითი ბაზრის ფუნქციის ლოგიკით, აღნიშნული სატრანსფერო მომსახურება ბაზარზე გაცემულ ხელფასებთან შედარებით, მნიშვნელოვნად ნაკლები უნდა იყოს, რათა დასაქმებისათვის გრძელვადიანი სტიმული არსებობდეს. სოციალური პოლიტიკის ლოგიკით, დახმარების ოდენობა უნდა იძლეოდეს ადამიანის ღირსეული არსებობის გარანტიას, ცხოვრების ინდივიდუალური პირობების გათვალისწინებით. ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ 2010 წლის თებერვალში მოითხოვა დასაბუთებული კრიტერიუმების მიხედვით დახმარების საჭირო ოდენობის თავიდან დაანგარიშება და საგანგებო მდგომარეობისთვის ახალი წესების შემუშავება. სავარაუდოა, რომ აღნიშნული მიზანთა კონფლიქტი გერმანიაში არსებულ პოლიტიკურ დებატებზე მომავალშიც იქონიებს გავლენას.

იმის გამო, რომ სამოქმედო გეგმა 2010-ის უამრავი შემადგენელი ნაწილი ერთდროულად და მასშტაბურად დაინერგა, რთულია გერმანიის შრომითი ბაზრის შემდგომი განვითარებისათვის ცალკეული ღონისძიების გავლენის რაოდენობრივი გამოთვლა. თუმცა, ექსპერტები თანხმდებიან იმასთან დაკავშირებით, რომ გატარებულ რეფორმებს უმუშევრობის მკვეთრ შემცირებაში გადამწყვეტი წვლილი მიუძღვით. 2005 წლიდან შრომითი ბაზრის განვითარება, პრინციპში, მუდმივად განიცდიდა აღმავლობას, რაც ფირმების მხრიდან შრომის მოთხოვნაზე დადებითად აისახა, ხელფასების ზრდის ტენდენციაც ასევე ზომიერებით გამოირჩეოდა და მაინც, მსგავსი წინაპირობები არასაკმარისი აღმოჩნდა მაღალი კონიუნქტურის უფრო ადრეულ ფაზებში უმუშევრობის ხანგრძლივად შემცირებისათვის. გერმანიაში უმუშევრობამ განვითარების პიკს 2005 წლის დასაწყისში მიაღწია. აქედან ორი წლის განმავლობაში უმუშევართა რაოდენობა

ერთ მილიონზე მეტით შემცირდა. ეს იყო ყველაზე მასშტაბური შემცირება, რომელიც გერმანიაში ომის შემდგომ პერიოდში დაფიქსირდა. ჰარტცის კომისიის მიერ დასახული მიზნის შესაბამისად, შესაძლებელი გახდა ასევე უმუშევართა საერთო რაოდენობაში, ხანგრძლივად უმუშევართა წილის მნიშვნელოვანი შემცირებაც: თუ მათი რაოდენობა 2006 წლისთვის 40%-ს შეადგენდა, 2009 წელს – 30%-ზე ნაკლები გახდა.

„სამოქმედო გეგმა 2010-ის“ რეფორმასთან დაკავშირებულმა ღონისძიებებმა, რომელმაც გერმანიის შრომით ბაზარს მნიშვნელოვანი მოქნილობა შესძინა და ასევე ზომიერმა სახელფასო პოლიტიკამ თავისი წვლილი იმაშიც შეიტანა, რომ მასობრივი მსოფლიო კრიზისი გერმანიის დასაქმების სფეროს მხოლოდ უმნიშვნელოდ შეეხო. ამას დაემატა ის, რომ ერთობლივი ეკონომიკური მოთხოვნის შემცირების პირობებშიც კი, მეწარმეების პრიორიტეტს მაღალკვალიფიციური სამუშაო ძალების მობილიზება წარმოადგენდა. აღნიშნული სტრატეგიის განხორციელებისათვის შესაბამის ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც მიზანმიმართულ საწარმოო განათლების მიღებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას თავისი ნაყოფი უნდა გამოეღო და შემდგომი კონიუნქტურული აღმავლობის შემთხვევაში, თავიდან აეცილებინა სამუშაო ძალის დეფიციტი, წარმოადგენდა არასრული სამუშაო დროის გაფართოება, რომელიც მიზანმიმართულად იყო სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი. ნაცვლად სამსახურიდან გათავისუფლებისა, დაიწყო დასაქმებულთა სამუშაო დროის შემცირება, რომლის ხარჯებსაც ნაწილობრივ თავის თავზე იღებდნენ დამსაქმებლები, ხოლო ნაწილობრივ, იფარებოდა უმუშევრობის დაზღვევიდან არასრული სამუშაო დროის გამო გაცემული დახმარების სახით. სახელმწიფოს მიერ არასრული სამუშაო დროის მოდელის და, შესაბამისად, მეწარმეების დასაქმებულებთან გრძელვადიანი კავშირის მხარდაჭერა, Hall-ისა და Soskice-ის აზრით (2001), წარმოადგენს კოორდინირებული (კაპიტალისტური) საბაზრო ეკონომიკის ტიპურ მახასიათებლებს, რომელთა ანალიზიც აღწერილია თავში 10.4.5. თუმცა, შრომითი ბაზრის პოლიტიკის მსგავსი განსაკუთრებული პროგრამების სახელმწიფო ხელშეწყობა ასევე ზრდის სახელმწიფო ბიუჯეტის საფინანსო მოთხოვნას და დღის წესრიგში, საფინანსო პოლიტიკის თვალსაზრისით, დგება საკითხი მდგრადი განვითარების შესახებ, განსაკუთრებით, როდესაც მსგავსი პროგრამების დაფინანსება ხანგრძლივ პერსპექტივას წარმოადგენს.

19.3 სახელმწიფო დავალიანება და ვალების მუხრუჭი

დაურეგულირებელი ფინანსური ბაზრების პრობლემატიკასთან ერთად, ბოლოდროინდელმა ეკონომიკურმა კრიზისმა ასევე ნათლად აჩვენა, რა საფრთხეები შეიძლება ახლდეს სახელმწიფო ბიუჯეტების დეფიციტების უკონტროლო ზრდას. ძირითადად ეს საფრთხე შემდეგში მდგომარეობს:

- არაკონტროლირებადი სახელმწიფო დავალიანება ქვეყნების საფინანსო და ეკონომიკური კრიზისებისადმი ლაბილობას უწყობს ხელს,

- რთულდება კრიზისის ადეკვატური და ეფექტური დაძლევა ფისკალური პოლიტიკის ღონისძიებებით,

- შეთანხმებული ღონისძიებების აუცილებლობიდან გამომდინარე, დროში ჭიანურდება კრიზისის დაძლევა.

მნიშვნელოვანმა მაკროეკონომიკურმა უწონასწორობამ თავი განსაკუთრებით აშშ-ში იჩინა. აშშ-ს მუდმივად მზარდმა ბიუჯეტის დეფიციტმა, რამაც არასაკმარისი კერძო დანაზოგების გამო, მიმდინარე ანგარიშების ბალანსის დეფიციტებიც გამოიწვია და, შესაბამისად, მათი კომპენსაცია მხოლოდ საზღვარგარეთული დავალიანებების გაფართოებით იყო შესაძლებელი, ჯერ კიდევ კრიზისის დადგომამდე მსოფლიო ეკონომიკისათვის პოტენციურ საფრთხეზე მიუთითებდა. კრიზისმა არამხოლოდ ბიუჯეტის კონსოლიდაციას შეუშალა ხელი, არამედ აგრეთვე სახელმწიფოს მიერ გატარებულმა კონიუნქტურულმა პროგრამებმა საბიუჯეტო დეფიციტების რეკორდული ზრდა გამოიწვია. იმის გამო, რომ ამერიკის ცენტრალური ბანკი გადასულია სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების მიზანმიმართულ შესყიდვაზე და მეტად ექსპანსიურ მონეტარულ პოლიტიკას ატარებს, ამავდროულად იზრდება ინფლაციისა და, შესაბამისად, დოლარის მნიშვნელოვნად გაუფასურების საფრთხე.

როგორც აღმოჩნდა, ევროკავშირში სტაბილურობის პაქტის შეთანხმებების მიუხედავად, სახელმწიფო ბიუჯეტების კონსოლიდაცია არასაკმარისი იყო. საბერძნეთის შემთხვევაში აღმოჩნდა, რომ ევროზონაში შესვლის დროს მაასტრიხტის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ზღვრული პარამეტრები სახელმწიფო ვალების ოდენობასთან დაკავშირებით არ შესრულებულა და მისი შესრულება არც მომდევნო პერიოდში იგეგმებოდა. საერთაშორისო საფინანსო ბაზრების უნდობლობამ საბერძნეთის სახელმწიფო საბიუჯეტო პოლიტიკის მიმართ, 2010 წლის მაისში საქმე იქამდე მიიყვანა, რომ მხოლოდ სხვა ევროპული ქვეყნების, ევროკავშირის, ევროპის ცენტრალური ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარების კოორდინირებული ღონისძიებებით გახდა შესაძლებელი საბერძნეთის გადახდისუუნარობის თავიდან აცილება. საბერძნეთის სახელმწიფო ბანკროტი დღის წესრიგში მისი ევროზონიდან გარიცხვის აუცილებლობას აყენებდა. თუმცა, გადახდისუუნარობის თავიდან აცილებამ გამოიწვია ის, რომ ევროპის სავალუტო ფონდის (შეადრ. თავი 17.3) უმთავრესი ინსტიტუციური პირობები სულ მცირე, დროებით მაინც, მწყობრიდან გამოვიდა. კერძოდ:

- დროული და ეფექტური სანქციები სტაბილურობის პაქტით დაშვებული სახელმწიფო დავალიანების ზღვრული პარამეტრების გადაჭარბების შემთხვევაში.

- სახელმწიფო ვალების დაფინანსებაში ევროპის ცენტრალური ბანკის მონაწილეობის ცალსახად აკრძალვა სახელმწიფო ფასიანი ქაღალდების პირდაპირი შესყიდვის გზით და

- ცალკეული ევროპული ქვეყნის პასუხისმგებლობის არარსებობა სავალუტო კავშირის სხვა წევრი ქვეყნების ბიუჯეტის დეფიციტის შემთხვევაში („no-bailout clause“).

დროში თავსებადი ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპების მიხედვით, აღნიშნულმა ღონისძიებებმა დააზარალა ევროპის მონეტარული პოლიტიკის სანდოობა. სამომავლოდ ევროკავშირის ქვეყნების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტების კონსოლიდაციის მიზნით, სანდო სტრატეგიის ჩამოყალიბება. გერმანია, როგორც ევროკავშირისა და ევროზონის ყველაზე დიდი ქვეყანა, აღნიშნულ საკითხში მთავარ როლს ასრულებს. აღსანიშნავია, რომ 2009 წელს გერმანიის კონსტიტუციაში „ვალების მუხრუჭის“ შეტანით, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ფედერალური მხარეთა ბიუჯეტების ახლებური რეგულირება, არჩევანი გაკეთდა ფინანსური პოლიტიკის სტრატეგიაზე, რომელიც წარმატების შემთხვევაში, მართლაც მოახდენდა სახელმწიფო დავალიანების მკვეთრ შეზღუდვაზე გავლენას და ამით საერთაშორისო საფინანსო ბაზრებს გადასცემდა მაკროეკონომიკური სტაბილურობის ძლიერ სიგნალს.

მხარეთა ფინანსური მოწყობის ახალმა წესებმა უნდა შეძლონ ევროპის საავალუტო კავშირის ფისკალური პოლიტიკის კრიტერიუმების ეროვნულ დონეზე გადატანა, რომლებიც ფედერაციასა და ფედერალურ მხარეებზე საბიუჯეტო პოლიტიკის კონსოლიდაციას უზრუნველყოფენ და ზღვარგადასული სახელმწიფო დავალიანების საწინააღმდეგოდ ყველა მონაწილე მხარესთვის სავალდებულო ბარიერს ქმნიან. უფრო დეტალურად, ფედერალური კონსტიტუციის ახალი, 109-ე მუხლის მე-3 თავი, 117-ე და 143-ე მუხლებთან ერთად ითვალისწინებს, რომ ფედერაციისა და ფედერალური მხარეების ბიუჯეტები პრინციპულად იყოს დაბალანსებული ყოველგვარი ახალი დავალიანების გარეშე. აღნიშნული წესი ფედერაციისათვის ძალაშია 2016 წლიდან, ხოლო ფედერალური მხარეებისთვის 2020 წლიდან. მხოლოდ ფედერაციას ეძლევა უფლება, კონიუნქტურისგან დამოუკიდებელი ახალი დავალიანება შეზღუდოს ნომინალური მშპ-ს არაუმეტეს 0,35%-მდე. სახელმწიფო დავალიანების სტრუქტურული კომპონენტების გაზრდა დასაშვებია მხოლოდ ექსტრემალურ სიტუაციებში (მაგ., ბუნებრივი კატასტროფები ან მძიმე ეკონომიკური კრიზისები), რაც საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერას მოითხოვს. ამასთან ერთად ასევე დასაშვებია ანტიციკლური ფისკალური პოლიტიკის რეალიზაციისათვის კონიუნქტურით განპირობებული ბიუჯეტის დეფიციტები, თუმცა კონიუნქტურით განპირობებული გადახრები დაბალანსებული ბიუჯეტიდან უნდა ემყარებოდეს საკონტროლო ანგარიშს, რომელიც კონიუნქტურული ციკლის ფარგლებს მიღმა წონასწორობის მდგომარეობაში უნდა რჩებოდეს. საკონტროლო ანგარიშის უარყოფითი სალდოები არ უნდა აჭარბებდეს მშპ-ს 1,5%- იან განაკვეთს. მუხლი 109ა ზრდის ფედერაციისა და ფედერალური მხარეების მანამდე არსებულ საფინანსო დაგეგმვის საბჭოს მნიშვნელობას და მას სტაბილურობის საბჭოს უფლებამოსილებას ანიჭებს, რომელსაც ევალება, მუდმივი მონიტორინგის საშუალებით ყველა ბიუჯეტს დროულად დაიცვას საგანგებო მდგომარეობისგან. 2019 წლამდე გერმანიის ხუთი ფედერალური მხარე ბიუჯეტის გაჯანსაღებისთვის მიიღებს კონსოლიდაციის განსაკუთრებულ დახმარებას, რათა 2020 წლისათვის მათ მოახერხონ ბიუჯეტის დამტკიცება სტრუქტურული დეფიციტის გარეშე.

ვალების მუხრუჭის საკითხს წინ უძღოდა ინტენსიური სამეცნიერო დისკუსია, რომელიც სრულად აისახა ახალ საკონსტიტუციო წესებში და რომლებმაც ბიუჯეტის დეფიციტის თავიდან აცილების მოტივაცია დასახეს. მათი რეალური ეფექტურობა, სახელმწიფო დავალიანების შეზღუდვასთან დაკავშირებით, გამოჩნდება აღნიშნული წესების განხორციელების პროცესში 2020 წლამდე და მას შემდეგაც. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს, რეალურად რამდენად შეზღუდულად გამოიყენებენ გამონაკლისების შესაძლებლობას მაღალი სტრუქტურული დეფიციტებისათვის და მართლა მოხერხდება თუ არა რეცესიებით განპირობებული კონიუნქტურული დეფიციტების დაბალანსე-

ბა ჭარბი ბიუჯეტით მაღალი კონიუნქტურის შემთხვევაში. საბოლოო ჯამში, ვალების მუხრუჭი მხოლოდ მაშინ იქნება წარმატებული, თუ ყველა, ვისაც ფისკალური პოლიტიკა ეხება და მასში მონაწილეობს – მაშასადამე, პოლიტიკოსები, ამომრჩევლები, ლობისტები, ბიუროკრატები – სრულიად გააზრებულად გახდებიან საბიუჯეტო კონსოლიდაციის ახალი კულტურის მიმდევრები და მისდამი პატივისცემას თითოეული მათგანი თავის სამოქმედო სფეროში გამოხატავს.

2013 წლის დასაწყისში ძალაში შესული ევროპის ფისკალური პაქტი, რომლის თაობაზეც დიდი ბრიტანეთისა და ჩეხეთის გარდა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა შეთანხმდა, ეროვნულ კონსტიტუციებში მკაფიოდ ჩამოყალიბებული დავალიანების ზღვარის დაფიქსირებას ითვალისწინებს. ფისკალური პაქტი წარმოადგენს 2011 წლის ბოლოს სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის რეფორმისთვის მიღებული რეგულაციების („Sixpack“) გაგრძელებას, რომელთა დახმარებითაც, გამკაცრდა სანქციები მაასტრიხტის კრიტერიუმების დარღვევისათვის და მზარდი ფისკალური დეფიციტის თავიდან აცილების მიზნით, ჩამოყალიბდა პრევენციული ღონისძიებები, მაგალითად, სახელმწიფო დანახარჯების ზრდის კონტროლი.

ეროვნული საბიუჯეტო პოლიტიკის უფრო მჭიდრო კოორდინაციისა და კონტროლისათვის 2010 წელს შემუშავდა ახალი მეთოდი, რომელიც ევროპული სემესტრის სახელით არის ცნობილი. აღნიშნული მეთოდის თანახმად, მიმდინარე წლის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ეროვნული საბიუჯეტო პოლიტიკის დაგეგმვა ევროკომისიის ეკონომიკური ზრდის შესახებ წლიური ანგარიშის გათვალისწინებით, რომელშიც მთელი ევროკავშირის ეკონომიკურ-პოლიტიკური პრიორიტეტებია განსაზღვრული, ისე უნდა იყოს შეთანხმებული, რომ ეროვნული პარლამენტების მიერ წლის მეორე ნახევარში დამტკიცებულმა ბიუჯეტმა არანაირი მაკროეკონომიკური დისბალანსი არ გამოიწვიოს. ახალი მარეგულირებელი მექანიზმი და ახლად დანერგილი მეთოდები საჭირო და მიზანშეწონილია. მისი სანდოობა ერთმნიშვნელოვნად დამოკიდებული იქნება, თუ ეროვნული მთავრობები და ევროკავშირის ინსტიტუციები რეალურად რამდენად სტაბილურად შეასრულებენ მას კრიზისულ პერიოდსა და მაღალი პოლიტიკური წნეხის პირობებში.

19.4 საბაზრო ჩავარდნა, სახელმწიფოს ჩავარდნა და ეკონომიკური წესრიგი

გლობალურმა ეკონომიკურმა კრიზისმა და მასთან ბრძოლის მეთოდებმა ცხადყო, რომ კაპიტალისტურ საბაზრო ეკონომიკებში, ბაზრებისა და სახელმწიფოს მხრიდან საბაზრო რეგულირებების მიმართ დამოკიდებულება ერთმანეთისგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. კერძოდ, კრიზისის გამო მთელ მსოფლიოში უკეთ გააცნობიერეს, რომ საბაზრო ჩავარდნა თურმე შესაძლებელია, განსაკუთრებით კი საფინანსო ბაზრებზე. თუმცა, ამ ფაქტმა ყველგან ავტომატურად როდი გამოიწვია კაპიტალისტურ ეკონომიკურ სისტემაში სახელმწიფოს, როგორც მარეგულირებელი ინსტანციის როლის ზრდა. გერმანიის სოციალური საბაზრო ეკონომიკის, როგორც ფრაიბურგის სკოლის ტრადიციის მიმდევარის პოზიცია, რომ დემოკრატიული მოწყობის სახელმწიფო სისტემატურად და პასუხისმგებლობის მაღალი შეგნებით მნიშვნელობას ანიჭებს კრიზისიდან თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების ჩარჩო პირობების შექმნას, დროთა განმავლობაში „რაინის კაპიტალიზმის“ მოდელად ჩამოყალიბდა (ალბერტი 1991, ლეტერმე 2009). თუმცა, დემოკრატიული წყობის სახელმწიფოს მარეგულირებელი როლისადმი რწმენას არც ანგლოამერიკულ სამყაროში და არც აღმოსავლეთ აზიის დინამიურად მზარდ ეროვნულ ეკონომიკებში არ იზიარებენ. აშკარა საბაზრო ჩავარდნის მიუხედავად, ბაზრების მაკოორდინირებელ ძალას ისინი ან გადაჭარბებულად მიიჩნევენ ან მიზნების განხორციელებაში სახელმწიფოს როლი ზედმიწევნით ავტორიტარულ დატვირთვას ატარებს, რაც დემოკრატიული თვალსაზრისით, არალეგიტიმურია და ძირითადად მხოლოდ ერთი ჯგუფის ინტერესებს ემსახურება. წესრიგის პოლიტიკის შესახებ ადრინდელ დებატებთან შედარებით საინტერესო განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მარეგულირებელ კრიტერიუმებად ითვლება არა ბაზარი და სახელმწიფო, არამედ უფრო მეტად საბაზრო ჩავარდნისა და სახელმწიფო არასრულყოფილების შესაძლო ფორმები.

საბაზრო ჩავარდნის სხვადასხვა ფორმები აღწერილია თავში 3.2. გასული ათწლეულის თეორიულ დისკუსიებში კარგად ჩანს არგუმენტები იმის თაობაზე, რომ საბაზრო პროცესი თავად არეგულირებს საბაზრო ჩავარდნას. თეორიულად, საბაზრო პროცესში შესაბამისი კერძო გარიგებებით, შესაბამისად პოტენციური კონკურენტების გამოცოცხლებით, შესაძლებელია სახელმწიფოს ჩარევის გარეშეც გამოსწორდეს, როგორც არასტაბილური საბაზრო წონასწორობის, ასევე ასიმეტრიული ინფორმაციების, გარე ეფექტების და ბუნებრივი მონოპოლიის საბაზრო ძალაუფლება. აღნიშნულს ზურგს უმაგრებს ფრიდრიხ აუგუსტ ფონ ჰაიეკის საფუძვლიანი მოსაზრება, რომ ბაზარი, როგორც ევოლუციური ინსტიტუცია, ყველზე უკეთ ახერხებს ეკონომიკისა და საზოგადოების განვითარების საუკეთესო გზების მოძიებას. სოციალისტური ეკონომიკური სისტემის დაშლამ საბაზრო ეკონომიკის უპირატესობა გეგმურ ეკონომიკასთან მიმართებაში შთამბეჭდავად დაამტკიცა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ საბაზრო კოორდინაცია სახელმწიფო ჩარევებს კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის ყველა ფორმაში ჩაანაცვლებს.

მოსაზრებას, ბაზრისა და კონკურენციის საშუალებით ეფექტური თვითრეგულირების შესახებ, ეფუძნებოდა ბაზრების დერეგულირების არაერთი ეკონომიკურ-პოლიტიკური რეფორმა, რაც გულისხმობს სახელმწიფო რეგულირების შემცირებას და ამით გლობალური კონკურენციის დამკვიდრებას (შეადრ. თავი 4.3). განსაკუთრებულ მიზანს ფართომასშტაბიანი საფინანსო ბაზრების დერეგულირება წარმოადგენდა. სრულყოფილი ბაზრის მოდელის მიხედვით, ფუნქციონირებისთვის ყველაზე შესაფერისი სწორედ საფინანსო ბაზრები იყო, რადგან სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებები, როგორც ფასიანი ქაღალდები და ფინანსური ბაზრების ობიექტები, განსაკუთრებული ჰომოგენურობით ხასიათდება და განუყოფლობის თვალსაზრისით ნაკლებ პრობლემებს აქვს ადგილი, სამაგიეროდ მრავლად არიან პოტენციური მიმწოდებლები და მომხმარებლები. და მაინც, მუდმივად ბუნდოვანი რჩებოდა, რეალურად შესაძლებელია კი ფინანსურ ბაზრებზე ყველა მიმწოდებელი თუ მომხმარებელი სრულყოფილად ინფორმირებული, ან საერთოდ ინფორმირებული იყოს საბაზრო მოვლენების ყველა ასპექტის შესახებ. შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ საფინანსო ბაზრები ექცევიან სპეკულაციური გავლენის ქვეშ, რაც ნაკარნახევია მოლოდინებით, რომლებიც იმთავითვე არასაიმედოა.

გარდა ამისა, საფინანსო კრიზისმა კარგად აჩვენა, რომ ყველა სახის ინოვაციური პროდუქტი, რომელიც საფინანსო ბაზრებზე დერეგულირების შემდეგ

იყიდება, ბაზრის ყველა მონაწილეს სულაც არ ესმის დეტალურად და ამის გამო ვერ შეფასდება ბაზრის მოთხოვნების შესაბამის ფასად. და ბოლოს, საფინანსო კრიზისმა ცხადყო, რომ გარე ეფექტები საფინანსო ბაზრებიდან დიდი მასშტაბით გადადის რეალური ეკონომიკის განვითარებაზე. საფინანსო კრიზისის დროს მასობრივად დაზარალებული უამრავი მცირე მეანაბრის დაცვის, თუმცა ასევე უარყოფითი გარე ეფექტების შემცირების მიზნით, დღეისათვის ცხადი გახდა გლობალური ფინანსური ბაზრების რეგულირების აუცილებლობა და მიზანშეწონილობა. თუმცა, ამასთან თავს იჩენს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ეროვნული მარეგულირებელი ღონისძიებების ეფექტურ საერთაშორისო კოორდინაციასთან, რაც უფრო დეტალურად განხილულია თავში 19.6.

ევროკავშირის მასშტაბით 2013 წლიდან დაარსდა საბანკო კავშირი. დაწესდა რამდენიმე ქვეყნის ერთობლივი კონტროლი იმ კომერციულ ბანკებზე, რომელთა გაკოტრებამ შესაძლოა უარყოფითად იმოქმედოს ევროპის ფინანსური სისტემის სტაბილურობაზე. კონტროლის ამ ახალი უწყების, რომელიც ევროპის ცენტრალური ბანკების დაქვემდებარებაში იმუშავებს, ზუსტი ინსტრუმენტების, ასევე წევრ-ქვეყნების ცენტრალური ბანკების კონტროლის მექანიზმებთან თანამშრომლობის შესახებ ჯერ ცნობილი არ არის. თუმცა უკვე გამოიკვეთა იმის საფრთხე, რომ ევროპის ცენტრალური ბანკი საფინანსო ბაზრების სტაბილურობასთან დაკავშირებული დამატებითი პასუხისმგებლობით, შესაძლოა მიზანთა კონფლიქტში აღმოჩნდეს თავისი უპირველესი მონეტარული პოლიტიკის მიზნების განხორციელების თვალსაზრისით. რეგულირების რეფორმის კრიტიკოსები იმაზე მიანიშნებენ, რომ არამხოლოდ საბაზრო ჩავარდნის სხვადასხვა მიზეზი, არამედ ასევე სახელმწიფო არასრულყოფილობის სხვადასხვა ფორმაც არსებობს. სავარაუდოდ, ბაზრის მარეგულირებელი სახელმწიფო უწყებები, როგორც წესი, საბაზრო მოვლენების შესახებ კერძო მოთამაშეებზე უკეთ არ არიან ინფორმირებულნი და მაინც, ისინი არ არიან დაინტერესებულები დამატებითი სპეკულაციური ტალღის აზვირთებაში.

როგორც ამაზე საუბარი იყო თავში 16.4, სახელმწიფო მარეგულირებელი უწყებები იმთავითვე ალოკაციის და X არაეფექტურობის გავლენას და ორგანიზებულ ინტერესთა ჯგუფების გავლენას ექვემდებარებიან. აღნიშნული არაეფექტურობა შესაძლებელია შევადაროთ კერძო ბაზრების ორგანიზების არაეფექტურობას. ამ შედარებისთვის, საბოლოო ჯამში, გადამწყვეტია, რამდენად და რა გზით არის შესაძლებელი ეკონომიკური განვითარების სახელმწიფოს მიერ ფორმულირებული მიზნების ეკონომიკური ქმედებების კერძო მიზნებთან შეთანხმება. ამისათვის გადამწყვეტია არჩევნებისა და კენჭისყრის გზით პოლიტიკური ნების ჩამოყალიბების ფორმები. როგორც ეს აღწერილია თავში 16.2, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ საპარლამენტო დემოკრატიებში სისტემატური არჩევნების გზით შესაძლებელია ასევე მიღებულ იქნას გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რეგულირების რა მასშტაბით უნდა ჩაერიოს სახელმწიფო ბაზრის საქმიანობაში. მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩევლები ვერ ამჩნევენ საბაზრო ჩავარდნისა და სახელმწიფოს უშედეგოდ ჩარევის ყველა ფორმას, ისინი ხომ იმ პარტიის პროგრამას უჭერენ მხარს, რომელშიც ბაზრებზე სახელმწიფო ჩარევების მასშტაბზეა საუბარი, იმ ფინანსური რესურსების ჩათვლით, რაც ამ მიზნის მისაღწევად არის საჭირო.

ევროპის მასშტაბით, ამ ფონზე დაიწყო დისკუსიები, თუ რამდენად არის შესაძლებელი სოციალური საბაზრო ეკონომიკის გერმანული მოდელი კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის სპეციფიკურ საერთო-ევროპულ მოდელად რომ განვითარდეს. „რაინის კაპიტალიზმის“ კონცეფცია ეფუძნება საზოგადოებ-

რივ მოდელს, რომელიც უშვებს ბაზრების სახელმწიფო რეგულირებას, თუ არსებობს ეკონომიკური და საზოგადოებრივი წინსვლის დაბრკოლების საფრთხე. კონცეფცია სახელმწიფოს მიიჩნევს ქმედითუნარიანი ეკონომიკური წესრიგის გარანტად, რომელიც ქმნის კრიზისისგან თავისუფალი და საბაზრო ეკონომიკის გრძელვადიანი განვითარების პირობებს. თუმცა, აღნიშნული კონცეფციის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს საკითხი, იმის შესახებ, თუ რა მექანიზმებითა და ქმედებებით უნდა გაკონტროლდეს სახელმწიფო ორგანოები და როგორ უნდა მოხდეს შესაძლო სახელმწიფო ჩავარდნების თავიდან აცილება. ეკონომიკურ-პოლიტიკური რეგულირების უფლებამოსილებების ევროკავშირის უწყებებზე გადატანამ, რომელიც ჯერაც არ ექვემდებარება მასშტაბურ საპარლამენტო კონტროლს, სწორედ ევროპა დააყენა საფრთხის წინაშე, რაც იმას გულისხმობს, რომ რეგულირება უპირველეს ყოვლისა, ბიუროკრატთა მოქმედების არეალს გაზრდის.

თუმცა, მაკონტროლებლის როლში შესაძლოა გამოვიდეს კაპიტალისტური საბაზრო ეკონომიკის სხვადასხვა ფორმებს შორის არსებული საერთაშორისო კონკურენცია, იმდენად, რამდენადაც იგი დროულად გამოააშკარავებს ეკონომიკურ-პოლიტიკური მართვის არასწორ განვითარებას და საბაზრო ჩავარდნისა თუ სახელმწიფოს ჩავარდნის კორექციას მოითხოვს. ამ თვალსაზრისით, გლობალური კონკურენციის გამოყენების წინაპირობას წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე ანალოგიური ინფორმაციები მნიშვნელოვანი ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების მიღწევის შესახებ. ამდენად არ არის გასაკვირი, რომ ევროპული ეკონომიკური მოდელის ჩამოყალიბების თაობაზე მიმდინარე დისკუსიებში მიზანმიმართულად მიმდინარეობს შესაფერისი ეკონომიკურ-პოლიტიკური ინდიკატორების ძიება.

19.5 ეკონომიკური მიღწევების გაზომვა, ცხოვრების დონე და მდგრადი განვითარება

ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნების ჩამოყალიბებისა და გაზომვის შესახებ ახალი დებატების ცენტრში, რომლებიც ევროპაში ეკონომიკური კრიზისის შედეგად დაიწყო, ერთი მხრივ, დგას ეკონომიკური მიღწევები, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივი კეთილდღეობა. 2008 წლის მარტში საფრანგეთის პრეზიდენტის ნიკოლა სარკოზის დავალებით უნდა მომზადებულიყო მოხსენება ეკონომიკური მიღწევისა და ცხოვრების ხარისხის შესახებ, რომელიც კომისიას ცნობილი ეკონომისტების ხელმძღვანელობით, 2009 წლის სექტემბრამდე უნდა წარმოედგინა (*Stiglitz/Sen/Fitoussi* 2009). აღნიშნული მოხსენების გათვალისწინებით, 2010 წლის დეკემბერში გერმანიის ექსპერტთა საბჭომ და საფრანგეთის *Conseil d'Analyse Economique*-მა წარმოადგინეს ერთობლივი ექსპერტიზა ინდიკატორთა სისტემის ჩამოყალიბებისათვის, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ეკონომიკური მიღწევის, ცხოვრების ხარისხისა და მდგრადი განვითარების შეფასება (ექსპერტთა საბჭო, 2010). ევროკომისიამაც დაიწყო (2009) ახალი დებატები ეკონომიკური და საზოგადოებრივი პროგრესის შესაფერისი საზომი ინდიკატორების გარშემო. მათი დახმარებით, უნდა ჩამოყალიბდეს და შეფასდეს ევროკავშირის სამი მთავარი მიზანი, რომელიც ასახულია 2020 წლის სტრატეგიაში, კერძოდ ერთდროულად ინტელექტუალური (ე.ი. ცოდნასა და ინოვაციებ-

ზე დაფუძნებული), მდგრადი (ე.ი. რესურსების დამზოგველი და კონკურენციის ხელშემწყობი) და „ინკლუზიური“ (ე.ი. დასაქმების თვალსაზრისით ინტენსიური და ამით განპირობებული სოციალური კავშირი) ეკონომიკური ზრდა.

გერმანულ-ფრანგულ ექსპერტიზაში სისტემატურად განიხილავენ ყველანაირ ტრადიციულ თუ თანამედროვე მეთოდს ეკონომიკური და საზოგადოებრივი კეთილდღეობის გასაზომად. ღიად საუბრობენ სოციალური პროდუქტის სტატისტიკის ნაკლზე (შეადრ. თავი 15.4) და ასევე განიხილავენ მისი ინფორმაციულობის გაუმჯობესების შესაძლებლობებს. ყურადღება მახვილდება ასევე კეთილდღეობის ემპირიული კვლევის მეთოდთან დაკავშირებულ მოსაზრებებზე. მაშინ, როდესაც საბაზრო ფასების გამოყენება სხვადასხვა ეკონომიკური სიკეთისა და ტრანზაქციის შეფასების მიზნით, ხელს უწყობს სოციალური პროდუქტის სტატისტიკის შექმნას – მრავალფეროვანი ინფორმაციის ერთ ინდიკატორში სტაბილურად თავმოყრას, კეთილდღეობის შესახებ გამოკითხვის შედეგები ხვდება პრობლემას, რომ ცხოვრების ხარისხთან დაკავშირებული ინდივიდუალური შეგრძნებების ერთიან საზოგადოებრივ ინდიკატორში თავმოყრა მხოლოდ მეტისმეტად შეზღუდულ პირობებშია შესაძლებელი. საერთაშორისო შედარებისთვისაც სოციალურ პროდუქტთან დაკავშირებული ინფორმაციები, ცხოვრების ხარისხით კმაყოფილების შესახებ გამოკითხვასთან შედარებით, მეთოდურად უკეთესია. და მაინც, ბედნიერების თანამედროვე კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მატერიალურ კეთილდღეობასთან ერთად, არსებობს ასევე არამატერიალური ფაქტორები, რომლებიც სრულფასოვანი ცხოვრების ხარისხზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ.

გერმანელი და ფრანგი ექსპერტები ერთხმად თანხმდებიან, რომ ადამიანის პროგრესის საზომად მხოლოდ ერთი ინდიკატორის გამოყენება არ არის საკმარისი. ისინი ემხრობიან ინდიკატორთა სისტემის შექმნას, რომელიც აერთიანებს სამ პარამეტრს – ეკონომიკურ მიღწევებს, ცხოვრების ხარისხსა და მდგრად განვითარებას. ეკონომიკური მიღწევების წარმოდგენილ ინდიკატორებს ერთ სულ მოსახლეზე მშპ-თან ერთად განეკუთვნება ასევე ერთ სულ მოსახლეზე კერძო და სახელმწიფო სამომხმარებლო დანახარჯები, როგორც ბიუჯეტების მატერიალური საქონლით უზრუნველყოფისა და შემოსავლების განაწილების შეფასებისათვის საჭირო საზომი. ცხოვრების ხარისხის საზომი ინდიკატორები მოიცავენ ჯანმრთელობის, განათლების დონის, გარემო პირობების, პოლიტიკური გავლენისა და კონტროლის შესაძლებლობებისა და სიღარიბის რისკების არარსებობის საზომ სიდიდეს. განსაკუთრებით საინტერესო, თუმცა იმავდროულად, განსაკუთრებით საკამათოა მდგრადი განვითარების საზომი ინდიკატორები. ისინი მოიცავენ ბიომრავალფეროვნების, ნედლეულის მოხმარებისა და მწარმოებლურობის, ასევე ერთ სულ მოსახლეზე აირისებრი საწვავის საზომ ერთეულებს, და გარდა ამისა, საფინანსო ბაზრებსა და საფინანსო პოლიტიკაში მდგრადი განვითარების ინდიკატორებს. მწვავე საფინანსო და ეკონომიკური კრიზისის შედეგად, მასში ასევე ასახულია ის ფაქტი, რომ სახელმწიფო დავალიანების შეუზღუდავი ზრდა, ისევე როგორც საკუთრების უფლების ბაზრებზე სპეკულაციური ტენდენციები, მწარმოებლური კაპიტალის ჩამოყალიბებაზე უარყოფითი გავლენით და, შესაბამისად, ეკონომიკისა და საზოგადოებრივი განვითარების შანსების შემცირებით აბრკოლებენ ეკონომიკის მდგრად განვითარებას.

ინდიკატორების წარმოდგენილი სისტემა ჰუმანური განვითარების ინდექსის (*Human Development Index*) მაგალითზე, შეგნებულად ამბობს უარს ცალკეული საზომი სიდიდეების ერთ საერთო ინდიკატორში გაერთიანებაზე. გერმანელი და ფრანგი ექსპერტების აზრით, თანამედროვე დემოკრატიული საზოგადოების ინფორმაციის მოთხოვნებს შეესაბამება ისეთი დიფერენცირებული ინდიკატორების სისტემის არსებობა, რომელიც პროგრესის სხვადასხვა პარამეტრებს შორის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობას გამჭვირვალეს გახდის. თუ მოხერხდება საერთო ეკონომიკური განვითარების შეფასებისათვის მსგავსი ინდიკატორების მსოფლიოს მასშტაბით ერთიანი სისტემის ჩამოყალიბება, ცალკეული მიზნის მიღწევაში ცალკეული ქვეყნის განსხვავებული წარმატება იქნებოდა იმის გამოხატულება, თუ კაპიტალიზმის ფორმები როგორ განსხვავდებიან ერთმანეთისგან. ეკონომიკური განვითარების ერთადერთ საზომ ერთეულზე უარის თქმა და განვითარების ინდიკატორების დიფერენცირებული სისტემისათვის უპირატესობის მინიჭება, ადასტურებს, რომ გლობალიზაციის პროცესში ჩართულ მსოფლიო ეკონომიკაში არ არსებობს განვითარებისა და პროგრესის მხოლოდ ერთი ნორმატიული მოდელი.

ექსპერტები თავიანთ კვლევაში ყურადღებას ამახვილებენ, რომ საჭირო მონაცემების მოსაპოვებლად უფრო მეტ სანდო ინდიკატორს, თან ახლავს მნიშვნელოვანი ხარჯებიც. ცხოვრების ხარისხის გაზომვა, როგორც ეს კეთილდღეობის ემპირიული კვლევიდან უკვე ცნობილია, მოითხოვს ზეპირ ინდივიდუალურ გამოკითხვებს. შესაბამისად, ეკონომიკურ-პოლიტიკური მიზნის განხორციელების გასაზომად აუცილებელია ეკონომიკური პრინციპის დაცვა, რომლის თანახმადაც ზღვრული ხარჯები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ შემოსავლებს.

19.6 ეკონომიკური პოლიტიკის საერთაშორისო კოორდინაცია

ბაზრებისა და ეკონომიკური ციკლების გლობალიზაციას, ასევე ინსტიტუციური რეგულირების გლობალურ კონკურენციას თავისთავად მოჰყვება ეკონომიკური პოლიტიკის გლობალიზაციაც, როდესაც საქმე მთელ მსოფლიოში არსებული კრიზისების დაძლევას ეხება. მწვავე ეკონომიკურმა კრიზისმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ წარმატებული ეროვნული ეკონომიკა პრინციპში საჭირო, თუმცა არასაკმარისი პირობაა გლობალური კრიზისის დასაძლევად, თუ სხვა ქვეყნები საჭირო რეფორმების გატარებაზე უარს ამბობენ. მე-VI ნაწილში მოცემულ ახალი პოლიტიკური ეკონომიის მოდელში არსებული პრობლემები, როგორიცაა ძლიერი ლობისტური ჯგუფების ძალაუფლება, გავლენიანი ბიუროკრატების ზემოქმედება, უპირველეს ყოვლისა კი საფრთხე იმისა, რომ პოლიტიკოსები შეეცდებიან, არაპოპულარული გადაწყვეტილებები არა საკუთარი ამომრჩევლების, არამედ შეძლებისდაგვარად სხვა ჯგუფების ხარჯზე მიიღონ, ასევე გვხვდება ეკონომიკური პოლიტიკის საერთაშორისო კოორდინაციაში უამრავი მაგალითის სახით. თუმცა, გლობალურ კრიზისთან დაკავშირებული ფენომენები, როგორიცაა ბოლოდროინდელი ეკონომიკური კრიზისი ან გლობალური დათბობის ფენომენი, რეფორმების ღონისძიებების საერთაშორისო კოორდინაციაზე ზეწოლას ახდენენ, რათა რეალურად უზრუნველყონ მათი მდგრადი განვითარება.

ეკონომიკური პოლიტიკის საერთაშორისო დონეზე შეთანხმების გაძლიერება დაიწყო 1973 წელს *Bretton Woods*-ის სისტემის საბოლოო დაშლისა და თავისუფლად ცვალებად გაცვლითი კურსის რეჟიმზე გადასვლის შემდეგ. ფიქსირე-

ზული გაცვლითი კურსების პირობებში ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის არარსებული დისციპლინა ეროვნულ მთავრობებს მართალია მეტ ავტონომიას ანიჭებდა, თუმცა მას თან ახლდა საერთაშორისო ვაჭრობასა და კაპიტალის მოძრაობაში დაუცველობის ახალი ხარისხი. აღნიშნულ სიტუაციაში მსოფლიოს წამყვანმა ეკონომიკურმა ქვეყნებმა ძალიან მალე საჭიროდ მიიჩნიეს, თავიანთი ეკონომიკურ-პოლიტიკური სტრატეგიები, განსაკუთრებით კონიუნქტურული პოლიტიკის სფეროში, ერთმანეთთან უკეთ შეეთანხმებინათ. 1975 წელს პარიზთან, რამბუიეში დაარსდა დიდი ექვსიანის ჯგუფი (*G6*), რომლის წევრებიც – აშშ, გერმანია, იაპონია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი და იტალია ყოველწლიურად იკრიბებოდნენ მსოფლიო ეკონომიკურ სამიტზე. ზუსტად ერთი წლის შემდეგ ჯგუფს შეემატა კანადა და დიდი შვიდიანის ჯგუფად (*G7*) გადაკეთდა. საბჭოთა კავშირის დაშლისა და მისი ყოფილი წევრი ქვეყნების მსოფლიო ეკონომიკაში ინტეგრაციის შემდეგ, რუსეთის, თავდაპირველად სტუმრის, ხოლო 1998 წლიდან სრულფასოვანი წევრის სტატუსმა, ჯგუფი დიდ რვიანამდე (*G8*) გააფართოვა. ჯგუფი ყოველწლიურად იკრიბება სხვადასხვა ქვეყნის თავმჯდომარეობით. ამასთან, ის უკვე დიდი ხანია გასცდა კონიუნქტურისა და სავალუტო პოლიტიკის სფეროებში კოორდინაციას და *OPEC*-ისა (ნავთობის კრიზისის დროს, 1979) და განვითარებადი ქვეყნების პირისპირ (XX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში ვალების კრიზისი) გამოვიდა ორგანიზებული ჯგუფის სახით, მსოფლიო ეკონომიკურ მოვლენებზე უფრო ძლიერი გავლენის მიზნით. აღნიშნული ორგანიზებული გავლენა მან ასევე დაუპირისპირა ათასწლეულის დასაწყისისათვის გლობალიზაციასთან დაკავშირებული საყოველთაო ფართო კრიტიკის ფარგლებში წაყენებულ ბრალდებას იმის თაობაზე, რომ ის სულ უფრო მეტად ყალიბდებოდა მონოპოლიურ ინტერესთა ჯგუფად, რომელიც ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ხარჯზე მოქმედებს. ზოგიერთი გარდამავალი ქვეყნის, როგორიცაა ჩინეთი და ბრაზილია, მზარდმა ეკონომიკურმა მნიშვნელობამ, რომლებიც დროთა განმავლობაში უკეთ ორგანიზებულ, *G8*-ს საპირისპირო ძალად ჩამოყალიბდნენ და იმის გაცნობიერებამ, რომ ზოგიერთი გლობალური პრობლემა მართლაც მხოლოდ უფრო მოზრდილ კოლექტივში უნდა განიხილებოდეს, ხელი შეუწყო გასულ წლებში *G8*-ის მეტ გახსნილობას.

2006 წელს სანკტ-პეტერბურგში გამართულ სამიტზე, დისკუსიაზე პირველად მიიწვიეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები (*Non-Governmental Organizations*, *NGOs*), რათა ამ გზით უზრუნველყოფილიყო მისაღები გადაწყვეტილებებისა და მათი ეფექტურობის შესახებ უფრო ფართო ინფორმაციული საფუძვლების მომზადება. გარდა ამისა, 1999 წლიდან *G8*-ს დისკუსიებს ემატება *G20*-ის შეხვედრები, რომლებზეც იწვევენ 11 მნიშვნელოვანი გარდამავალი ქვეყნის წარმომადგენლებსა და ევროკავშირის პრეზიდიუმის წევრებს. დიალოგში მონაწილეთა მანამდე ე.წ. „აუტსაიდერებით“ გაფართოებამ ხელი შეუწყო დიალოგის მოქმედების არეალის გაფართოებასა და ლეგიტიმურობას, ტრანზაქციის ხარჯების შეუსაბამო ზრდისა და შეთანხმებული პერსპექტივების შეფერხების გარეშე. ამ ფორმით ჩამოყალიბებულმა საკოორდინაციო ჯგუფებმა, ამდენად, 2007 წლიდან მსოფლიო მასშტაბის საფინანსო და ეკონომიკური კრიზისების დაძლევის მიზნით გამართულ საერთაშორისო შეთანხმებებში მთავარი როლი იტვირთეს. 2008 წლიდან საჭირო ეკონომიკურ-პოლიტიკური ღონისძიებების შეთანხმების მიზნით *G20* წელიწადში ორჯერ იკრიბებოდა – ნაცვლად მანამდე დაგეგმილი ერთი შეხვედრისა. მაშინ, როდესაც აღნიშნული შეთანხმებები წარმატებული იყო საფინანსო ბაზრების სახელმწიფო გარანტიებით უზრუნველყოფის თვალსაზრისით, 2010 წელს სეულში გამართულ სამიტზე,

მსოფლიო ეკონომიკის აღმავლობის საკითხში ფისკალური პოლიტიკის როლთან დაკავშირებით, ჯგუფმა კონსენსუსს ვერ მიაღწია. მაშინ, როდესაც აშშ კვლავინდებურად გაფართოებული ფისკალური პოლიტიკის მომხრე იყო, ევროპის ქვეყნები, განსაკუთრებით გერმანია, უპირატესობას სახელმწიფო დავალიანებების შემცირებას ანიჭებდნენ. რამდენად ეფუძნებოდა აღნიშნული აზრთა სხვადასხვაობა მნიშვნელოვანი მიკრო- და მაკროეკონომიკური ინფორმაციების სხვადასხვაგვარ შეფასებებს, ან რამდენად წარმოადგენდა იგი საერთაშორისო დიალოგის ფარგლებში ცალმხრივი უპირატესობის ძიების მაგალითს, ამ ეტაპზე ამის საბოლოო გარკვევა შეუძლებელია.

ფინანსური სპეკულაციების საერთაშორისო რეგულირების და ფინანსური ტრანზაქციების საზოგადოებრივ რისკებში კერძო საფინანსო ინსტიტუციების მონაწილეობის შემთხვევაშიც, რომელთა განხორციელებაც საერთაშორისო დონეზე კაპიტალის მობილურობის სხვადასხვა შესაძლებლობების გამო, მხოლოდ საერთაშორისო ფარგლებშია შესაძლებელი, შეთანხმების მიღწევა შორეული პერსპექტივა უნდა იყოს. დღეისათვის მკვეთრად განსხვავდება *G20*-ის წევრთა დამოკიდებულება, როგორც ვითარების შეფასების, ასევე ხარჯების თვალსაზრისითაც, რომლებიც რეგულირების და მასთან დაკავშირებული საფინანსო აქტივობების შესაძლო შემცირების შემთხვევაში, ცალკეულმა სახელმწიფომ უნდა გაიღოს. და მაინც, *G20*-მა, მაგალითად, ლონდონის სამიტზე მიაღწია დაბალი გადასახადების ქვეყნებთან დაკავშირებით ერთობლივ პოლიტიკას, რათა შეეზღუდა გადასახადების კონკურენცია და მასთან დაკავშირებული კაპიტალისა და საწარმოო რესურსების გატანა განვითარებული ქვეყნებიდან. ამდენად, როგორც აღმოჩნდა, დიალოგი *G20*-ის ფარგლებში, მიუხედავად პარტიული უთანხმოებებისა, მაინც მოქნილი და ყოველ შემთხვევაში, სტაბილური მოდელია, რომლის საშუალებითაც გლობალურ მსოფლიო ეკონომიკაში, სულ მცირე, ნაწილობრივ მაინც უნდა გადაიჭრას ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის პრობლემები.

რაც შეხება კლიმატთან დაკავშირებულ პრობლემატიკას, კარგად ჩანს, თუ კოორდინაციასთან დაკავშირებული პრობლემები რა საფრთხეს უქმნიან მხოლოდ ერთად მიღწევადი მიზნების განხორციელებას. 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართული გარემოს დაცვის პირველი საერთაშორისო სამიტის დროს, რომელშიც გაეროს ყველა წევრი მონაწილეობდა, ჯერ კიდევ არ არსებობდა კონსენსუსი მთავარი ფაქტების შესახებ. ინფორმაციასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის 1988 წელს დაარსებულ მსოფლიო კლიმატის საბჭოს (*Intergovernmental Panel on Climate Change*, *IPCC*) მოხსენებებს, რომლებიც მოიცავს გლობალური დათბობის რისკების შესახებ მეცნიერულად დასაბუთებულ ანალიზს. 1997 წელს მიიღეს ოქმი, რომლის თანახმადაც აირისებრი საწვავის ემისია 1990 წელს არსებულ დონესთან შედარებით, საშუალოდ 5,2%-მდე უნდა შემცირებულიყო. თუმცა, აღნიშნული ოქმის რატიფიცირებაზე უარი თქვა რამდენიმე მნიშვნელოვანმა ქვეყანამ, მათ შორის აშშ-მ. კიოტოს ოქმთან დაკავშირებული ყველა მცდელობა დღემდე წარუმატებელი რჩება. მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს კანკუნში მიიღეს დეკლარაცია, სადაც დეტალურად არის ჩამოყალიბებული ამ შემცირებასთან დაკავშირებული ახალი მიზნები, დღის წესრიგში დადგა პრობლემა, როგორ განაწილდებოდა ხარჯები და უფლებები განვითარებად და გარდამავალ ქვეყნებს – რომლებშიც ერთ სულ მოსახლეზე დაბინძურების შედარებით დაბალი დონე, მაგრამ ყველაზე მეტი ზრდა ფიქსირდება – და განვითარებულ ქვეყნებს შორის, იმის გათვალიწინებითაც, რომ აღნიშნულ ჯგუფებს შორის ურთიერთობები მუდმი-

ვად ცვალებადია. რადგან, წარმატებისთვის საჭირო ორივე ჯგუფის მონაწილეობა, სავალდებულო შეთანხმებების კრახი საბოლოოდ ისევ თანამშრომლობაში როლების განაწილების პრობლემის მოუგვარებლობას ეფუძნება.

ამდენად, სრულიად აშკარაა, რომ ეკონომიკური პოლიტიკის საერთაშორისო კოორდინაცია რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული: დიალოგში მონაწილეთა პრობლემის ადეკვატური შერჩევა, მნიშვნელოვანი ინფორმაციების თაობაზე საერთო შეთანხმება, ლეგიტიმაცია ყველა დაინტერესებული პირის ჩართვით და განაწილების პრობლემის მისაღები გადაჭრა. საერთაშორისო დონეზე აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინების შემთხვევაშიც კი შიდა პოლიტიკური მიზეზებისა და არჩევნების მოლოდინის გამო, მუდმივად არსებობს ეროვნული ინტერესების საერთაშორისო შეთანხმებებზე მაღლა დაყენების ტენდენცია. ამდენად, საერთო შეთანხმება კოოპერაციის გრძელვადიანი წარმატებისათვის, ყველა მონაწილე მხარისგან მოითხოვს პასუხისმგებლობის განსაკუთრებულ გაცნობიერებას.

გასულ წლებში ევროკავშირს მოუხდა ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციაში არსებულ პრობლემებთან გამკლავება. ევროს შემოღებისთანავე ნათელი გახდა, რომ სავალუტო კავშირი ხანგრძლივი დროის მანძილზე სტაბილურობას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეინარჩუნებდა, თუ ის სწრაფად გადადგმული ნაბიჯებით ნამდვილ ეკონომიკურ-პოლიტიკურ კავშირად ჩამოყალიბდებოდა ან სულ მცირე, ის მაინც გამოვიდოდა, რომ მონაწილე ეროვნულ მთავრობებს ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციაზე პასუხისმგებლობა აეღოთ, რათა მწყობრიდან არ გამოსულიყო ან არ დაზარალებულიყო ერთიანი ფულადი პოლიტიკა. 1996 წელს სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტით ადგილი ჰქონდა მცდელობას, ჩამოყალიბებულიყო ევროკავშირის ქვეყნების საბიუჯეტო პოლიტიკის ერთიანი თამაშის წესების მინიმალური პირობები. თუმცა 2008 წელს ევროკავშირში წარმოქმნილმა კრიზისმა აჩვენა, რომ მანამდე არსებული მარეგულირებელი მექანიზმები ვერ ახერხებდნენ სავალუტო კავშირის სტაბილურობის დროულ დაცვას საფრთხეებისგან, რომლებმაც თავი იჩინეს არაკოორდინირებული ეკონომიკურ-პოლიტიკური ქმედებების გამო. ევროკავშირის წევრი ქვეყნები და ევროპის ცენტრალური ბანკი აღმოჩნდნენ არჩევანის წინაშე – ან ცალკეულ წევრებს უნდა დაეტოვებინათ კავშირი, რაც შესაბამისად, სავალუტო კავშირის დაშლას გამოიწვევდა, ან გადაეხვიათ მანამდე არსებული წესებიდან.

იმის გამო, რომ ევროზონის დაშლის პოლიტიკური ღირებულება მეტისმეტად მაღალი ჩანდა, მიუხედავად ბევრი ყოყმანისა – მათ შორის ეკონომისტების მხრიდან, მაინც აირჩიეს გზა, რომელიც დღემდე არსებულ მარეგულირებელ მექანიზმებს დააკავშირებდა ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციისათვის უფრო მეტი პასუხისმგებლობით სავსე შეთანხმებებთან. ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა ის ფაქტი, რომ ევროპის ფარგლებში პოლიტიკური კავშირის მიმართულებით კრიზისის საპასუხო რეაქციად მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. თუმცა, არსებობს ასევე პესიმიზმის საფუძვლებიც – არც ახალი წესები აღმოჩნდა ეკონომიკური თვალსაზრისით დღემდე მეტად განსხვავებულ ქვეყნებს შორის სტაბილური სავალუტო კავშირის გარანტია.

ამ ძირითადმა პრობლემამ თავი იჩინა ევროპის სტაბილურობის მექანიზმების (*ESM*) შემოღებასთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაზე, რომელიც 2012 წლის შემოდგომიდან შეუდგა მუშაობას. *ESM*-ის ძირითად კაპიტალს შეადგენს 700 მილიარდი ევრო, რომელსაც გასწევს ევრო-ზონის ყველა ქვეყანა ჯამურ მშპ-ში საკუთარი ქვოტის შესაბამისად, რაც იმას ნიშნავს, რომ გერმანიაზე

ყველაზე დიდი წილი მოდის. აღნიშნული თანხით უნდა დაფინანსდეს სავალუტო კავშირის მაღალი ვალების მქონე წევრი ქვეყნების საკრედიტო გარანტიები, რომლებიც ამავდროულად უნდა დაექვემდებარონ ეკონომიკურ-პოლიტიკური ადაპტაციის პროგრამას. ამ ახალი ინსტიტუციის დაარსებით ამოქმედდება თავდაპირველი „*no-bailout*“-ის პრინციპის ზერკეტები, ვინაიდან, საერთო ფონდების საშუალებით ყველა წევრი ქვეყანა პასუხისმგებლობას იღებს მათზე, ვისაც მაღალი სახელმწიფო დავალიანების გამო გაკოტრება ემუქრებათ.

თუმცა, მსგავსი ფონდის გარეშე, ევროპის ცენტრალურ ბანკზე ზეწოლა – გაორმაგებული ძალებით გამოესყიდა სახელმწიფო ვალები კრიზისული ქვეყნებიდან, კიდევ უფრო გაიზრდებოდა (შეადრ. თავი 6.5). ამით ხანგრძლივი დროის მანძილზე წაიშლებოდა ინსტიტუციონალური საზღვარი მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას შორის და მონეტარული პოლიტიკის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებები ეჭვქვეშ დადგებოდა. ე.წ. „სიქსპაკის“ მიერ სტაბილურობისა და ეკონომიკური ზრდის პაქტის – ფისკალური პოლიტიკის მკაცრი წესების შემოღებისათვის ევროპის ფისკალური პაქტის – რეფორმის რეგულირებებთან, სავალუტო კავშირის ყველა წევრი ქვეყნის აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლებასთან და ეკონომიკური პოლიტიკის უფრო მჭიდრო კოორდინაციისათვის ევროპული სემესტრის შემოღებასთან ერთად (შეადრ.თავი 19.3), ასევე ევროპის საბანკო კავშირში მსხვილი ბანკების რეგულირების ახალი წესების შემოღებასთან ერთად *ESM*-ის შექმნა შესაძლებელია განვიხილოთ, როგორც ერთიანი პაქტის ნაწილი, რომელმაც ევროზონის ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების ინტეგრაცია ახალ საფეხურზე უნდა აიყვანოს. თუმცა, კრიტიკოსები ეჭვობენ, უფრო მჭიდრო ეკონომიკურ-პოლიტიკური კოორდინაციის პროცესში, რამდენად შეინარჩუნებს სავალუტო სტაბილურობასთან დაკავშირებული მიზანი ისეთივე მაღალ პრიორიტეტს, როგორიც მაასტრიხტის ხელშეკრულებით იყო გათვალიწინებული. ამ შემთხვევაში, არსებობს იმის პერსპექტივა, რომ *ESM*-ის შექმნით დაიწყოს ხანგრძლივი სახელმწიფოთაშორისო ტრანსფერები ისე, რომ საბოლოო ჯამში, დონორ ქვეყნებს არ ჰქონდეთ კრედიტის მიმღები კრიზისული ქვეყნების ეროვნულ საბიუჯეტო პოლიტიკაზე ეფექტური პოლიტიკური ზემოქმედების უფლება. რეგულირების ახალი მექანიზმების სანდოობა მომავალში უნდა გამოვლინდეს.

ძირითადი ცნებები

- გლობალიზაცია
  ეკონომიკური კრიზისი
- ჰარტცის კომისია
  სამოქმედო გეგმა 2010
  შრომის სააგენტო
  უმუშევრობის დახმარება II
  არასრული სამუშაო დრო
- ვალების მუხრუჭი
  ფისკალური კონსოლიდაცია
  სტაბილურობის საბჭო
- დიდი რვიანის ჯგუფი (*G8*)
  დიდი ოცეულის ჯგუფი (*G20*)
  არასამთავრობო ორგანიზაციები (*NGOs*)
  მსოფლიოს კლიმატის საბჭო
  კიოტოს ოქმი
- ეკონომიკური ანალიზის საბჭო
  ბედნიერების კვლევა
  ცხოვრების ხარისხი
  მდგრადი განვითარების ინდიკატორები

- რაინის კაპიტალიზმი
  რეგულირება
  სახელმწიფო ჩავარდნა
- ეკონომიკური ანალიზის საბჭო
  ბედნიერების კვლევა
  ცხოვრების ხარისხი
  მდგრადი განვითარების ინდიკატორები
- ევროპის ფისკალური პაქტი
  სიქსპაქი
  ევროპული სემესტრი
  ევროზონის საბანკო კავშირი
  ევროპის სტაბილურობის მექანიზმი (*ESM*)

დავალებები

1. ეკონომიკური კრიზისები და ეკონომიკური რეფორმები

გამოთქვით აზრი თეზისთან დაკავშირებით, რომ იმდენად, რამდენადაც ეკონომიკური კრიზისები დღის წესრიგში აყენებენ ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობას, რომლებიც სხვა შემთხვევაში პოლიტიკური თვალსაზრისით არ გატარდებოდა და დადებითი შედეგი მოაქვთ.

2. ჯანმრთელობის დაცვის რეფორმის შეფასება

ჯანდაცვის სიტემის ყველა რეფორმის ცენტრში დგას ჯანმრთელობის კანონიერი დაზღვევის დახვეწა. განმარტეთ, რომელი რეფორმის სხვადასხვა პერსპექტივები შეიძლება გამომდინარეობდეს ეკონომიკურ-პოლიტიკური, სოციალურ-პოლიტიკური და საფინანსო პოლიტიკის ლოგიკიდან.

3. სტრატეგიული სახელმწიფო დავალიანების შეზღუდვა

სტრატეგიული სახელმწიფო დავალიანების თეორიის თანახმად(Feld 2010), დემოკრატიული გზით არჩეული მთავრობა, რომელსაც განმეორებით არჩევნებში გამარჯვების მინიმალური შანსები აქვს, მოტივირებულია სახელმწიფო დავალიანების გაზრდით, რათა თავიანთ შემცვლელებს საკუთარი ფისკალური პოლიტიკისათვის მაქსიმალურად მცირე მოქმედების არეალი დაუტოვონ. ამით უნდა შემცირდეს მათი ხელახალი არჩევის შანსიც. იმსჯელეთ, რამდენად შეესაბამება გერმანიაში შემოღებული ვალების მუხრუჭი მსგავსი სტრატეგიული სახელმწიფო დავალიანების შეზღუდვას.

4. დემოგრაფიული ცვლილება და ეკონომიკური წესრიგი

იმსჯელეთ თეზისის შესახებ, რომლის თანახმადაც ევროპაში სახელმწიფოს როლს აშშ-სთან შედარებით მხოლოდ იმიტომ აქვს მაღალი საზოგადოებრივი დატვირთვა, რომ ევროპაში ბოლო პერიოდში შედარებით მეტი ასაკოვანი ცხოვრობს, ვიდრე ახალგაზრდა.

5. გლობალურ მიმდინარე ანგარიშების დისბალანსთან ბრძოლა

აშშ-ს მიმდინარე ანგარიშების ბალანსის მაღალი დეფიციტები და ჩინეთისა და აღმოსავლეთ აზიის სხვა ქვეყნების ჭარბი მიმდინარე ანგარიშების ბალანსები წარმოადგენს დიდ ეკონომიკურ-პოლიტიკურ გამოწვევას მსოფლიო ეკონომიკისათვის. იმსჯელეთ, რომელი შიდა და საერთაშორისო დონეზე კოორდინირებული ღონისძიებებით არის შესაძლებელი აღნიშნული დისბალანსის შემცირება. ასევე განმარტეთ, რა საფრთხეები არის მოსალოდნელი, აღნიშნული ღონისძიებების წარუმატებლობის შემთხვევაში.

5. ESM და Eurobond

სულ უფრო მეტად გახშირდა დისკუსიები *Eurobonds*-ის (ფასიანი ქაღალდი – ევროპის სავალუტო კავშირის სახაზინო ვალდებულება), როგორც *ESM*-ის (ევროპის სტაბილურობის მექანიზმები) ალტერნატიული ორგანიზაციის შესახებ, რომელიც ევროზონის ჭარბი დავალიანების მქონე წევრი ქვეყნების მხარდასაჭერად გასცემს კრედიტებს გარკვეული პირობებით. იმსჯელეთ საბიუჯეტო პოლიტიკის გათვალისწინებით, მონეტარული პოლიტიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაციის დადებით და უარყოფით მხარეებზე, რაც მოსალოდნელი იქნებოდა *Eurobonds*-ის შექმნის შემთხვევაში.

გამოყენებული ლიტერატურა

საფინანსო და ეკონომიკური კრიზისის წარმოშობა და მისი გავლენები, აგრეთვე კრიზისის დასაძლევი სხვადასხვა ღონისძიებების სრულყოფილი ანალიზი მოცემულია ექსპერტთა საბჭოს საერთო ეკონომიკური განვითარების ყოველწლიურ ანგარიშში 2008 წლიდან. ეკონომიკური კრიზისების მეტად საინტერესო მიმოხილვას ისტორიულ პერსპექტივაში გვთავაზობს *Plumpe* (2009). (ეკონომიკური) გლობალიზაციის უპირატესობებსა და რისკებს აანალიზებენ *von Weizsäcker* (1999) და *Stiglitz* (2002). 2010 წლის სამოქმედო გეგმისა და მასთან დაკავშირებული შრომის ბაზრის რეფორმების მიმოხილვა ეკუთვნით *Zimmermann* (2008) და *Schneider* (2008).გერმანიაში ვალების მუხრუჭის შემოღებაზე მსჯელობს *Feld* (2010). "რაინის კაპიტალიზმის" მიზანმიმართულ განვითარებაზე, როგორც ეკონომიკური კრიზისის შედეგზე, საუბრობს ბელგიის პრემიერ-მინისტრი *Leterme* (2009). ეკონომიკური პოლიტიკის ახალი ინდიკატორების სისტემის შესახებ დებატები ასახულია ექსპერტთა საბჭოს საერთო ეკონომიკური განვითარების კვლევაში (2010). ეროვნული საფინანსო პოლიტიკების საერთაშორისო კოორდინაციის ინტერდისციპლინარული ანალიზი გადასახადების კონკურენციის ფონზე ასახულია Zagler-ის მიერ (2010) გამოცემულ კრებულში. გარემოს გლობალური გამოწვევებისა და კოოპერაციული გადაწყვეტილებების სტრატეგიების პოლიტიკური ეკონომიის ღრმა მიმოხილვას გვთავაზობს *Cogoy/Steininger* (2007). *Hajnal* (2007) დეტალურად აღწერს *G*7-სა და *G*20-ს წარმოშობასა და ევოლუციას.

ეკონომიკური პოლიტიკის მომავალი ეკონომიკურ მეცნიერებებში

20

თავი

20.1 ეკონომიკური პოლიტიკა და დებატები ეკონომისტებს შორის 412

20.2 პერსპექტივა..... 413

სწავლების მიზნები

- როდესაც ეკონომიკურ-პოლიტიკური ექსპერტიზის გამოყენების აუცილებლობა პრაქტიკაში მუდმივად იზრდება, გერმანიაში ადგილი ჰქონდა საუნივერსიტეტო კვლევებსა და სწავლებაში ეკონომიკური პოლიტიკის მომავალთან დაკავშირებულ მწვავე დებატებს.
- ეკონომიკური პოლიტიკის ახლებურად ჩამოყალიბებული თეორიის დიდი შესაძლებლობები მდგომარეობს ეკონომიკური თეორიის მრავალი ახალი მიმდინარეობის ინტეგრაციაში, მკაფიო ინტერდისციპლინარულ პერსპექტივასა და ეფექტიანობასა და სამართლიანობას შორის პერმანენტული დაძაბული თანაფარდობის განსაზღვრაში, რომელის გათვალისწინებითაც მიიღება ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებები.

20.1 ეკონომიკური პოლიტიკა და დებატები ეკონომისტებს შორის

მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა და კლიმატის გლობალურმა ცვლილებამ, აგრეთვე სწრაფმა დემოგრაფიულმა ცვლილებებმა, პოლიტიკური და საზოგადოებრივი წესრიგის ახალი ფორმებისა და ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ, დღის წესრიგში ეკონომიკურ-პოლიტიკური პროგნოზისა და ექსპერტიზის დიდი აუცილებლობა დააყენა. პოლიტიკას ყველა დასახელებულ სფეროში ესაჭიროება მეცნიერულად დასაბუთებული რჩევები და ის სპეციალიზებულ საკონსულტაციო უწყებებთან არსებული ახალი სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის შესაქმნელად თანხებს არ იშურებს. ეს ყველაფერი უცნაურ კონტრასტშია უამრავი ახალი ეკონომიკური მეცნიერებების სწავლების სფეროში არსებულ თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის როლთან.

გერმანიაში 1999 წელს დაწყებულმა ბოლონიის რეფორმამ თავისი თანმიმდევრული საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლებით საქმე იქამდე მიიყვანა, რომ ეკონომიკურ-პოლიტიკურმა სავალდებულო პროგრამამ, მეთოდური დისციპლინების – მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკისა და ეკონომეტრიკის სასარგებლოდ, უკანა პლანზე გადაინაცვლა. ეს მით უფრო გასაკვირია, რამდენადაც მჭიდრო კავშირი პრაქტიკული თვალსაზრისით მნიშვნელოვან სასწავლო მასალასთან – რეფორმის გატარების ერთ-ერთი საფუძველი იყო. თუმცა, რეფორმა, დე ფაქტო სასწავლო მასალის მზარდი გლობალიზაციის პროდუქტს უფრო ჰგავდა, რომელიც ორიენტირებულია ყველაზე დიდი ეროვნული ბაზრის, აშშ-ს მოთხოვნებზე.

საუნივერსიტეტო სწავლების ახლებური ორიენტაცია, თავის მხრივ, იწვევს საუნივერსიტეტო კვლევებში ეკონომიკური პოლიტიკის ღირებულებითი მნიშვნელობის ცვლილებას. გერმანიის ეკონომიკურ მეცნიერებებში, აღნიშნული პროცესი 2009 წლის მანძილზე ეკონომისტთა ორ ჯგუფს შორის დაპირისპირების საგნად იქცა, რომელთა ერთი ნაწილი მხარს უჭერდა მკვეთრად ეკონომიკურ-პოლიტიკური მიმართულების კათედრების არსებობას მაშინ, როდესაც

მეორე ჯგუფი საუნივერსიტეტო კვლევის თანმიმდევრულ გარდაქმნას და საერთაშორისო სტანდარტის შესაბამის სწავლებას ემხრობოდა. ეკონომისტთა დაპირისპირების კონკრეტულ საბაბს წარმოადგენდა გერმანიის ზოგიერთ უნივერსიტეტში მდიდარი ტრადიციების მქონე ეკონომიკურ-პოლიტიკური კათედრების რეალურად არსებული თუ საფრთხის შემცველი ორიენტაციის შეცვლა.

მეცნიერებას, რომელსაც შემოქმედებითი ნგრევის პროცესში კონკურენციის გამაჯანსაღებელი მოქმედების სჯერა, პრინციპულად არ შეუძლია უარი თქვას თავისსავე სფეროში კვლევების ორგანიზებაში არსებულ მსგავს ცვლილებებზე. და მაინც, ის ფაქტი, რომ პოლიტიკას და საზოგადოებას ეკონომიკურ-პოლიტიკურ ექსპერტიზასთან დაკავშირებით სულ უფრო მზარდი მოთხოვნა აქვს, იძლევა შიშის საბაბს, რომ ეკონომიკური მეცნიერებების თვითორგანიზებული მონოპოლიზებული სტრუქტურები გრძელვადიან პერსპექტივაში წარმატების ნიმუში ვერ იქნება. ეკონომიკური მეცნიერებების სავალდებულო პროგრამებში და საუნივერსიტეტო კვლევის სამოქმედო გეგმაში რჩება, – და ეს ასეც უნდა იყოს – ეკონომიკურ-პოლიტიკური თემების ახლებური დამკვიდრების სამოქმედო არეალი. მისი გამოყენება სწორედ იქ არის მიზანშეწონილი, სადაც ეკონომიკური მოვლენების სფეროში სახელმწიფოს როლი ტრადიციულად დიდია და სადაც აღნიშნული როლის საზღვრები მუდმივად ახლებურად უნდა განისაზღვრებოდეს, მაშასადამე კონტინენტური ევროპის კოორდინირებულ საბაზრო ეკონომიკებში.

20.2 პერსპექტივა

ეკონომიკური მეცნიერებების სფეროში ახლებურად ფორმირებული ეკონომიკური პოლიტიკის თემები ნაწილობრივ მკვეთრად განსხვავდებიან ეკონომიკურ-პოლიტიკური კვლევისა და სწავლების კლასიკური თემებისგან: კაპიტალისტური და სოციალისტური ეკონომიკური წესრიგების შედარების ნაცვლად, დღეს საქმე ეხება კაპიტალიზმის სხვადასხვა თამაშის ფორმებს შორის განსხვავებას, ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის ნაცვლად ინტერესის სფეროს სულ უფრო მეტად წარმოადგენს საერთაშორისო და ევროპის ეკონომიკური პოლიტიკა და ყველა სახის ეკონომიკურ-პოლიტიკური რეფორმის ჩამოყალიბებისას, სოციალური და საფინანსო პოლიტიკის განმარტებები მუდმივი თვალთახედვის არეალში რჩება. ანალოგიურად თავს იჩენს ასევე მნიშვნელოვანი თანმიმდევრულობა: მიკრო- და მაკრო-დონეზე ეკონომიკურ-პოლიტიკურმა რეფორმებმა უნდა გაითვალისწინონ მნიშვნელოვანი ინსტიტუციების მოქმედების პრინციპი. წმინდად ეკონომიკურის გარდა, ასევე მნიშვნელოვანია იურიდიული, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და ისტორიული გავლენის ფაქტორებიც და მათაც შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს. ამდენად, ეკონომიკური პოლიტიკა ხდება ეკონომიკური მეცნიერებების ინტერდისციპლინარული ქსელის წარმოჩენის მთავარი მახასიათებელი.

და მაინც, როგორი იქნება მომავალში თეორიული ეკონომიკური პოლიტიკის სავალდებულო პროგრამა? ის უნდა ეფუძნებოდეს მიკროეკონომიკის, მაკროეკონომიკისა და ეკონომეტრიკის სოლიდურ ცოდნას, გარდა ამისა უნდა შეძლოს ინსტიტუციური ეკონომიკისა და წესრიგის თეორიის შემეცნების გავრცელება. ინსტიტუციებთან დაპირისპირება იქნებოდა კარგი საშუალება

ინტერდისციპლინარული განხილვების ჩასართავად – იურისპრუდენციის, ისტორიული მეცნიერებების, პოლიტიკური მეცნიერებებისა და სოციოლოგიის სფეროების ჩათვლით და ასევე აღნიშნულის საფუძველზე ეკონომიკური თეორიის ისტორიის გასაანალიზებლადაც. ინსტიტუციების შიდა პერსპექტივები შესაძლებელია გადაიშალოს ახალი პოლიტიკური ეკონომიის მეთოდების გამოყენების გზით.

ეკონომიკური პოლიტიკის მიზნებთან დაკავშირებით მიმართავენ ინტენსიურ ინტელექტუალურ და პოლიტიკურ დებატებს, რომლებსაც, სხვა შემთხვევაში, მხოლოდ ეკონომიკური მეცნიერებების დისკუსიების ფარგლებში დარჩენა ემუქრებოდა. განხილვის თემებია: კეთილდღეობის შესაბამისი მასშტაბი, დებატები ეკონომიკურ-პოლიტიკური სტრატეგიების გრძელვადიანი პერსპექტივების შესახებ და – საბოლოო ჯამში ყველა ზემოთ ჩამოთვლილზე მნიშვნელოვანი – ეფექტურობასა და სამართლიანობას შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი.

გერმანიაში ეკონომისტთა ბოლოდროინდელი დაპირისპირების სიღრმისეული არსი საბოლოოდ, ალბათ შემდეგში მდგომარეობს: იქნება თუ არა მომავალში ეკონომიკა მხოლოდ ეფექტურობის შესახებ სწავლება, თუ იმავდროულად ის სამართლიანობის შესახებ სწავლებადაც შეიძლება განვიხილოთ. ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი პრობლემა მუდმივად არის ეფექტურობასა და სამართლიანობას შორის არჩევანის შესაძლებლობის აღწერა და მისი გადაწყვეტა. ეკონომისტებმა სამართლიანობასთან დაკავშირებული საკითხი მხოლოდ იურისტებს, ფილოსოფოსებსა და პოლიტოლოგებს არ უნდა გადააბარონ. ეკონომიკამ თავად განავითარა უკვე ნაცადი ინსტრუმენტები, როგორც ეფექტურობის, ისე სამართლიანობის განხილვისა და ეროვნულ და საერთაშორისო ფარგლებში მათი პოზიციისა და დისპოზიციის თანაფარდობის გასაანალიზებლად. თუმცა, საუნივერსიტეტო ეკონომიკური პოლიტიკის გაუქმების შემთხვევაში, სწორედ ეს ინსტრუმენტები მიეცემა დავიწყებას.

წინამდებარე სახელმძღვანელო ასევე წარმოადგენს ეკონომიკური პოლიტიკის გონივრული, მომავლის სავალდებულო პროგრამისათვის ფარგლების დასახვის მცდელობას, რომელიც მჭიდრო კავშირშია, როგორც ეკონომიკურ-პოლიტიკური პრაქტიკის მოთხოვნებთან, ისე ეკონომიკური მეცნიერებების აქტუალურ კვლევებთან. რამდენად წარმატებული იქნება ეს მცდელობა გრძელვადიან პერსპექტივაში, ბაზარმა და კონკურენციამ უნდა გადაწყვიტონ. კონკრეტული სავალდებულო პროგრამის ჩამოყალიბებისაგან დამოუკიდებლად კი ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ეკონომიკურ მეცნიერებებში ეკონომიკურმა პოლიტიკამ მომავალშიც თვალსაჩინო როლი უნდა შეასრულოს და, რომ ეს უეჭველად ასეც იქნება.

ძირითადი ცნებები

- ბოლონიის რეფორმა
- დებატები ეკონომისტთა შორის
- ეფექტიანობა
- სამართლიანობა

დავალებები

1. შეფასების დაპირისპირება და დებატები ეკონომისტთა შორის

იმსჯელეთ შეფასების დაპირისპირებისა და ეკონომისტთა შორის ბოლო დროინდელი დებატების მსგავსებასა და განსხვავებებზე.

2. ეფექტურობა და სამართლიანობა

წინამდებარე წიგნში მოყვანილი მაგალითების საფუძველზე, განმარტეთ ეფექტურობასა და სამართლიანობას შორის დაძაბული თანაფარდობა, რომლის გათვალისწინებითაც ხდება ეკონომიკურ-პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება.

გამოყენებული ლიტერატურა

გერმანიაში ეკონომიკური პოლიტიკის სამომავლო როლის შესახებ ეკონომისტთა შორის დაპირისპირების საინტერესო მიმოხილვას გვთავაზობს Caspari/Schefold (2011)-ის კრებულში თავმოყრილი სტატიები.